

1962/5

ՀԱՅԿԵՆԱՆ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

Օրալընդ

9

1962/5

ქვეყნის

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ფურნალი
საქართველოს ალკაბ. გ.-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

8895

9

შინაარსი

რ. ვაიშვილი — სიმონეთის გზებზე	3
ზ. ლეჟავა — დ. კლდიაშვილის ნაწარმოებების ილუსტრაციები	15
ო. მამფორია — სიმონეთის გზაზე (ლექსი)	17
ჯ. ჩარკვიანი — მოთხრობები	18
ბ. ჯაბუზანური — ლექსები	29
თ. შილაძე — შუადღე (მოთხრობა)	30
ლ. სულაბერიძე — ლექსები	118
ი. ხოშტარია — ლექსები	119

კრიტიკა და კუბლიცისტიკა

ბ. გვერდფითელი — პატარა სამყაროს დიდი მწერალი	120
დ. შულღიაშვილი — უცნობი დოკუმენტი და- ვით კლდიაშვილის ბიოგრაფიისათვის	130
გ. ნაბაშიძე — 150 წლის წინათ	133
ბ. მერკვილაძე — რომანისტიც ენა და ტიპე- ბი (დასასრული)	139
ბ. განიჩილაძე — მხატვრული თარგმანის სტილი- რიის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ამე- რიკულ ლიტერატურათმცოდნეობაში	140

1962

სამკვეთი
სახელმწიფო
გამომცემლობა
„საბჭოთა
მწერალი“





რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:


კ. კალაძე, რ. მეტრეველი, გ. შატბერაშვილი, ჯ. ჩარკვიანი (პ/მგ. მდივანი)
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/X-62 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 898. უფ. 09981. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიამომცემლობის ბეჭდვით
სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ԲՅ. Ն. ՄԱՐԿԱՆԻ

ჩემო ჭიჭილი

სამხელის გზები

ზედა სიმონეთი

შარაზე ახლახან მოუყრიათ სილა და ხრეში. სილაა ისეთი რბილი და ლუფთა, თითქოს ზღვიდან იყოს მოტანილი.

დანჯღრეულმა თვითმცლელმა ხრიალით ამოათავა აღმართი; გზაზე მტერის ნასახიც არ დატოვა.

ცხელა. სიწყნარეა. არაპროპორციულად, მაგრამ თითქოს საგანგებოდ გადაჯაჭვულ ბრეკებზე სოფელია შეფენილი. სოფელი ქვევიდან მოჩანს. მისადგომები ჩალურჯებულ ყანებსა და ვენახებს დაუფარავს. მერე უფრო დიდრონი ხეები ჭარბობს. ხეთა ფოთლებში ოდა-სახლების წითელი კრამიტები ვაშლებივით ილანდება. უფრო ზევით — უნაგირა მთა და მისი მომდევნო გაბუჩქნარებული ტყით შემოსილი გორებია, კორტოხზე — წმინდა გიორგის ბაზილიკური ტიპის საყდარი სამრეკლოთი. სამრეკლოსა და ეკლესიის აღნაგობასა და განლაგებაში საოცარი სიმეტრიაა.

ეს არის ზედა სიმონეთი. აქ, ამ პატარა სოფელში ასი წლის წინ, ზუსტად ამ დროს, ახალ შემოდევზე დაიბადა დავით კლდიაშვილი.

ცისვრად შეღებვილი სახლი

პატარა ოდა სახლი ბებერი მუხისა და ბებერი ძელქვის ტოტებშია შემალული. სახლი ცისვრადაა შეღებილი. თეთრ შიფერს ფოთლებში გაპარული მზის სხივები აელვარებს. ძველი, წაბლის ხის სახლი ჯერ კიდევ ჯანმრთელადაა, მისი ერთი მხარე სვეტებითა და ბირკვილებით შემოსილი აივანია.

ეზოში კოლინდარი: ერთ მხარეზე ჩაყოლებული კაკლის ხეები და წნელის ღობე — დღეღამეზე ჩამოკიდებული ჭიშკრით. ჭიშკარს იქით ყანა, ვენახი და მწიფე ლეღვები.

პატარა სახლი აფორიაქებულია. ოთახებს ალაგებენ, ახლებურად აწყობენ. თერჯოლაში ნაყიდი ხის სახლი საიუბილეოდ ემზადება.

ოთახის ერთ კუთხეში, იატაკზე ფოტოსურათები აწყვია. გვერდზე კიდევ

სტენდები და ჩარჩოებია. დავითის პირადი ნივთები და საწერი მოწყობილობა მინის ქვეშ არის მოქცეული, მაგრამ მალე ამათაც შეუცვლიან ადგილს.

დავითის პატარა ოთახში მყუდროებაა. პირჩაშავებული ბუნარიც მშვიდადაა და სულ არ ნაღვლობს, ექსპონატად რომ ქცეულა.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ აქ განუწყვეტლივ თუხთუხებდა შებოლილი ჩაიდან. მოხუცი მწერალი რა დროს მოითხოვდა ცხელ ჩაის, კაცმა არ იცოდა. დასუსტებულ დავითს ივლისშიც ციოდა და ამ პატარა ბუნარში მუდამ ტკაცუნებდა კინცხის გრძლად დაქრილი ტოტები.

შეუძლია იამაყოს თერჯოლაში ნაყიდმა წაბლის ხის სახლმა; მის კედლებში დაიბადა და გარდაიცვალა დიდი მოქალაქე და დიდი მწერალი დავით სამსონის ძე კლდიაშვილი.

ქალბატონი ნუცა

ქალბატონ ნუცას თეთრი თმები აქვს. იგი გაუჩერებლივ დაფუსფუსებს სახლში: დავითის დღეებისათვის ნაადრევად ჩამოსულ სტუმრებს მზრუნველობას არ აკლებს, თვალს ადევნებს საიუბილეო დღეებისათვის წარმობულ სამაზადისს; რჩევით, დარიგებით თუ წამლებით ისტუმრებს მეზობლებს, ხშირად ტელეფონით უკავშირდება რაიონულ ცენტრსა და დედაქალაქს... მოკლედ, მასპინძლის საქმით კი არა, ცქერითაც შეიძლება დაიღალო კაცი.

ქალბატონი ნუცა საგანგებოდ ცალკე შენახულ ფოტოსურათებს შლის მაგიდაზე. აქ არის დავითის ცალკეული პორტრეტები და ჯგუფურად გადაღებული ფოტოები. დავითი მეგობრებთან, დავითი ცოლშვილთან, ნათესაებთან; დავითი ქართველ მწერლებთან — ვაჟასთან, ყაზბეგთან; დავითი ახალგაზრდა, დავითი სამხრეებიანი ხალათით, შილიფად ჩაცმული, დავითი სათვალეებით. პორჩილი ტანის, მოკლედ შეკრეჭილი ჭადარა თმისა და წვერის მქონე კაცი უადრესად კეთილი, ლმობიერი თვალებით გამოიყურება.

ყველა ფოტოსურათზე დავითის ცნობა უცხო თვალსაც ერთი შეხედვით შეუძლია, მაგრამ თავაზიანი მასპინძელი ხშირად ფერავს სათვალის მინებს და სურათს გულდაგულ აცქერდება; მერე წყნარი ხმითა და საოცარი სიყვარულით იმეორებს ამ სიტყვებს: — ეს არის ჩემი მამა; საწყალი მამა რა პატარაა, „საწყალი მამა“... ვის შეუძლია ამ სიტყვების თქმა, თუ არა დავითის ქალიშვილს. ქალბატონი ნუცა განსაკუთრებით ბოლოდროინდელ ფოტოსურათებს წმენდს და ასუფთავებს: — რა მოხუცია ჩემი მამა... ასეთი იყო იგი ბოლოს..

სურათზეა მოხუცი დავითი მოციმციმე, დაუბერებელი თვალებით, თეთრი, აწეწილი მეჩხერი თმით, ასეთივე წვერით და თეთრი-თეთრი პერანგით.

ასეთი იყო დავითი ბოლო წლებში — იხსენებს მასპინძელი. ასე გამოიყურებოდა იგი ავადმყოფობის დროს. დავითი იწვა საწოლში და გამვლელ-გამომვლელს აჩერებდა თურმე და თხოვდა გრამაფონი დაეტრიალებინა. როცა ოთახი მუსიკით გაივსებოდა, დავითი თვალს დახუჭავდა და ოცნებაში ჩაიძირებოდა. გარდასულ დღეთა სიავით თუ სიკეთით გამოწვეულ სევდასიხარულს ალბათ მუსიკის ჰანგებს უფარდებდა. დავითი იყო დიდი მოყვარული მუსიკისა. თვითონაც კარგად უკრავდა ფლეიტაზე.

თეთრი-მეჩხერი თმა-წვერით და თეთრი პერანგით ახსოვთ იგი მეზობლებს. დავითი დაბალ ჯორჯოზე იჯდა ბოსტანში და მეუღლეს ცხრი-



ლით მიწის გაფხვიერებაში ეხმარებოდა. ბოსტანი ყოფილა ფაქიზი, მოვლილს სიყვარულით და სიმშვიდით.

— ვინც არ უნდა შემოსულიყო ჩვენს ეზოში, დავითი გვეტყოდა: თუ ჩემი ხათრი გაქვთ, უარი არაფერზე უთხრათო. — ამბობს ქალბატონი ნუცა.

კოწია

თერჯოლაში ნაყიდ წაბლის ხის სახლს რამდენიმე ოთახი აქვს, ყველაზე დიდ ოთახს — რამდენიმე კარი. როდესაც მაგიდაზე გადაყვითლებულ ალბომებს ვშლიდით და ვსაუბრობდით, ვიღაც წვერგაუპარსავმა კაცმა ყველა კარში შემოყო თავი და მიიმალა... მერე შიშველი ფეხების ბრაგუნით გადაიარა აივანი. ეს იყო კოწია დოღონაძე. კოწია ამ სახლის დარაჯი, ამ ეზო-გარემოს მოძველები, მოჭირნახულე, ყველა ჩამოსული ადამიანის მეგობარი... და უხარელი მოსაუბრე და ხუთი შვილის მამა.

კოწია დოღონაძე კარგა მოზრდილი ყმაწვილი იყო, ფეხი რომ დაიშავა. — თურმე ძეალი მქონია დაჩეჩქვილი და აქაური ექიმები სორცზე მადებდნენ მალამოს; მერე დავითს გეეკითხა — ასეთი ავადმყოფია, ფეხამოვარდნილი, თუ მორჩებაო! — შეიყვანე, არ გადაყვეს ზედო — ეთქვათ. წამიყვანა დავითმა თბილისში... დამაწვინა ბალინცაში. მომიარეს... თურმე დროზე რომ არ ჩავეყვანე, არც გადავრჩებოდი. ვიყავი ასე ექვსი თვე დაცემენტებული. მერე მომცეს ჯოხები და გამომიშვეს. ახალი ჩამოსული ვიყავი, დავითი რომ მოკვდა. იმ სულკურთხეულს მთელი ხალხი გაყვა სადგურში. დავრჩი მე ცარიელ სოფელში, როგორც დამტვრეული... აქ, ამ სახლის მცველად დამტოვეს. — კოწიას ერთი ფეხი კიბეზე უდგას, ერთი — აივანზე და ისე ყველა ამ ამბავს. ყველა სულმოუთქმელად, მაგრამ გარკვევით. ეს კია, ხანდახან ისე უადგილოდ გაიცინებს, შეგეშინდება. — რა კაცი იყო ცხონებული. იქ იწვა, პატარა ოთახში. გულისმოსვლა იცოდა და, რომ აყვირებოდა, ზარასავით გამოდიოდა მისი ხმა გარეთ; მე ვუსყვარდი ძალიან, ხმამაღლა ლაპარაკს არ მიშლიდა... მის ოთახშიც შევიდიოდი... — დაამთავრა კოწიამ, გაიღიმა, გაჩერდა. — დიდი ხმა ჰქონდა!

კოწიამ მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მისმენსო. მერე ხმადაბლა თქვა:

— აქ რომ იყვირებდა, სოფლის ბოლოში ესმოდათ. რაც ტანად იყო, ორი იმდენი ხმა ჰქონდა. — კოწიას თვალეები აუციმციმდა; როცა შეხედა სხვასაც გაეღიმა, სიცილისაგან კინალამ ჩაიკეცა; შემდეგ თვალეები დაუნადვლიანდა და ჩაილაპარაკა: — ეჰ, რა კაცი იყო! სადაა ახლა ასეთი ხალხი.

გლეხები

სიმონეთში ბევრია დავითის ნაცნობი მოხუცი გლეხი, რომელიც უყოყმანოდ იმატებს წლებს; მათი წლოვანების გამოცნობა მაინც იოლია. მოხუცის დასახელებულ რიცხს 7 — 8 წელს გამოაკლებ და დაახლოებით ივარაუდებ მის წლოვანებას. ეს ჩვეულებრივი ამბავია. დავითის ნაწერები ამ ხალხს, როგორც წესი, არა აქვს წაკითხული; დავითს ისინი იცნობენ არა როგორც მწერალს, არამედ როგორც „ღვთისნიერ ადამიანს“, ხალხის მოსარჩლეს და პატრონს. სადაც არ უნდა ნახო მოხუცი სიმონეთელი, ტყეში, ყანაში, ოჯახში, დავითის ხსენებაზე იმწამსვე გამოცოცხდება და გეტყვის: — სადღა დეიბადება, ბიძია, ისეთი კაცი... ძალიან დიდებული ადამიანი იყო, ბატონო... — ეს სიტყვები უბრალოდ, მხოლოდ იმერული ზრდილობისათვის არაა ნათქვამი.



ამ რაიონში თუნდაც გავლით მოხვედრილი კაცი ამ სიტყვების გულწრფელობაში იოლად დარწმუნდება.

გლეხი მოგვიყვება, როგორ დაეხმარა დავითი „ერთხელ“, როგორ მიუწერა წერილი „ვიდაცასთან“, ან როგორ ჩავიდა საგანგებოდ მისი გულისათვის „ქუთისში“ და სხვა. შიმშილობის დროს დავითმა მთელ თემს უსასყიდლოდ ჩამოუტანა სიმინდი. მეორეხელ ორასი ფუთი ღერდილი „გაუხერხა“ სოფელს.

— უცნაურად დეითავმდაბლებდა თავს, ბატონო... უქმე დღეს წირვზე, ეკლესიაზე ამოვიდოდა... მაშინ ასე ვიცოდით... ეკლესიაზე დავდიოდით. ხოდა, ამოვიდოდა დავითი... წელზე ხმალი ეკიდა, ჩემო ბატონო... მოგვიკითხავდა სუყველას... უფრო გაჭირვებულ ხალხთან მივიდოდა...

ნიკო აბესაძე ღრმად მოხუცი კაცია. მიუხედავად ამისა, ცოცხლად გამოიყურება და შრომის უნარსაც არაა მოკლებული. ნიკო აბესაძეს დავითის ქორწილიც კარგად ახსოვს. ამ ქორწილის ამბავს ნიკო, მე მგონი, მას შემდეგ ყვება, რაც დავითმა ქალი შეირთო. ჩამოსული ადამიანისათვის ნიკო უკვე ქცეულა იმ კაცად, რომელსაც „დავითის ქორწილი ახსოვს“. ყურს აღარც ვიკლებს, რას ეკითხები, პირდაპირ იწყებს: „მე, ბატონო... მახსოვს დავითის ქორწილი“...

ნიკო იმ დღეს წყაროზე ამოვიდა. ქალბატონმა ნუცამ აივნიდან დაუძახა მოხუცს. ნიკომ ბევრი იუარა—ასე ჩაცმულს უცხო ხალხთან ნუ შემიყვანთო, მაგრამ ბოლოს მაინც გვინახულა. სიბერისაგან დაღუული ადამიანი სწრაფად შემოკვარდა აივანზე და პირდაპირ დაიწყო, როგორ ააგეს ამ ეზოში ფანჩატური, სადაც მერე დავითის ქორწილი გაიმართა.—ღვთისნიერი კაცი იყო, ბატონო... განათლებული ჩინით და სულით. ყველა დაჩაგრულის და დაგლახავებულის მფარველი, დიდებული, დაფასებული... ღმერთო, ადიდე მისი სახელი!—ნიკომ პირჯვარი გადაიწერა.

— რამდენი წლის ბრძანდებით?

— ასს აღარაფერი დამაკლდება.

— არ იქნები მაგდენის! — გაეცინა კოწიას.

— ბარემ ქეც არ მინდა ამდენის ვიყო, მარა, — რა ვქნა, მიდის ეს უპატრონო წლები, მიდის... წისქვილს რომ სიმინდს დააყრი ისე: ილევა, ილევა, ილევა...

— არაყს ხომ არ დაღვე! — შეახსენა მასპინძელმა. ნიკომ დაილოცა, პირჯვარი ხელახლა გადაიწერა და პატარა სასმისი სწრაფად დაცალა.

კანტორა

ქვედა სიმონეთი, ბარდებიანი, და ზედა სიმონეთი აღრე ერთი თემი იყო. ახლა აქ სამი კოლმეურნეობაა. აღრე ამ არემარეში მხოლოდ ერთი, დაწყებითი სკოლა ყოფილა. ეს სკოლა ქვედა სიმონეთში იდგა და ფოსტას ეძახდნენ. თუ კი ვინმე სწავლას მოახერხებდა, სიარული მოუღებდა ბოლოს.

ახლა ყველა კოლმეურნეობაში სკოლაა. სიმონეთის საშუალო სასწავლებლის დიდი შენობა შორიდან შეგიძლია შეამჩნიო. თეთრი შიფერის სახურავი ვერცხლისფრად ელავს შუადღით; დილით და საღამოს ამას ვერ იტყვი, თუმცა ამინდზეა ყველაფერი დამოკიდებული.

ზედა სიმონეთის დავით კლდიაშვილის სახელობის კოლმეურნეობის კანტორა სოფელეთათვის დასამხარ ადგილზეა. თვითონ შენობა ფიცრულია. იატაკსა და იატაკსშუა ფეხი არ ჩაგივარდება, მაგრამ ქვევით ჩახედვა თავისუფლად შეიძლება. ადამისდროინდელი კარ-ფანჯარები მინჯღრეულა. კედ-



ლებზე გაკვირვებული შპალერია მიკრული. ეს სიძველე უსიამოვნებდა გრძობას არ იწვევს: შიგ სიმყუდროვეა, სისუფთავე. მოშილიფებულ აივანზე, სადაც ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი ყოველი შემთხვევისათვის მაინცა მიკიდებული, ენაგადმოგდებული „სეტერი“ გაკოტირალეზულა. ჩვენს შესვლაზე ძალღმა ცალი თვალი გაახილა და მერე ისევ დაიძინა.

მოგრძო ოთახში მოგრძო მავიდა დგას. მეორე ასეთივე ოთახი დომინოს ქვასავითაა მოდგმული პირველზე. მარჯვნიდან და მარცხნიდან საანგარიშოების წყნარი რაკარუკი ისმის. გარედან შემოსული ჩოჩიალა ურმების ჭრიალი კიანურის ჰანგივით ხვდება ყურს.

თავმჯდომარის ფანჯრიდან მოჩანს, როგორ უყრიან საფუძველს რაღაც დიდ ქვიტკირის შენობას: საქონლის საკვების შესანახად იხარჯებიან. ოთახებში ვრილა. კუთხეში მუცელგაბერილი, სველი ჩაფია მიგდებული.

თავმჯდომარე რაიონშია თათბირზე.

პარტკომის მდივანთან ცხენი აფრინეს.

ღობეშემორღვეულ ეზოში ერთმანეთს მიყოლებით შემოდინ პატარ-პატარა ურმები. ესენი ქვებს ეზიდებიან მშენებლობისათვის. თითო ურმზე ორი ან სამი ქვაა შემოდებული. გულკეთილი მეურმეები არხინად მიმავალ ხარებს უწრუპუნებენ და პაპიროსის ბოლებით დინჯად მოაბიჯებენ.

მსუქანი, წვერგაუპარსავი, დარბაისელი პარტკომი ძლივს გადმოვიდა ცხენიდან. ამ კაცს ზოლებიანი პერანგი ეცვა. შარვლის ტოტები სპირალურად დახაზულ წინდებში ჰქონდა ჩატანებული.

პარტკომი დავით გვადიბაძე საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა.

გვადიბაძემ გაიხსენა, როგორ ეგებებოდნენ გლეხები სოფელში ჩამოსულ საყვარელ მწერალს; როგორ ხვდებოდნენ სადგურში ცხენებით თუ ურმით.

სიმონეთის მცხოვრებლები საშინლად ნაწყენი დარჩნენ თურმე, როცა დავითის ნეშტის თბილისში გადასვენება გადაწყვიტეს. სიმონეთელების უკმაყოფილება უფრო გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ დავით კლდიაშვილს თავისსავე სოფელში სურდა დამარხულიყო.

სოფელი საიუბილეოდ ემზადება. მოუთმენლად ელიან 23 სექტემბერს და ძვირფას სტუმრებს.

— დავითის ოჯახის სტუმარი მთელი სოფლის სტუმარი იქნებაო, — გვითხრა გვადიბაძემ.

ამჟამად საჩქაროდ აფართოებენ სამანქანო გზას. ცდილობენ ისე შეაკეთონ გზაშარა, რომ მანქანამ ავღრიან დღეშიც შეძლოს სოფელში ასვლა.

გზაწვრილი დატარებულ, მწიფე ყანაზე გადადის. მარჯვნივ რომმებად დაწყობილი მიწის ნაჭრები — მწვანე ჩაით, მარცხნივ დალიანდაგებული ვენახი — დამწიფებული, დასაკრეფად გამზადებული.

ახალგაზრდების ბრიგადა გზის პირზე საყარაულო კომქს აგებს. ბიჭები ისვენებენ და ძმურად იყოფენ პაპიროსს. ახალგაზრდები დიდი სიყვარულით, სიამაყით იხსენიებენ დავით კლდიაშვილს, მისი მოთხოვნების გმირებს... უძებნიან პროტოტიპს ამა თუ იმ პერსონაჟს, იცინიან, ხუმრობენ.

— ესენი, ახალგაზრდები, ძალიან ხშირად დგამენ სოფლის კლუბში „დარისპანის გასაქირს“ და დავითის სხვა პიესებს, — გვითხრა გვადიბაძემ.

— მიუხედავად საყოველთაო სიყვარულისა და აღიარებისა, ისეთ რეალისტ მწერალს, როგორიც დავით კლდიაშვილია, არ შეიძლებოდა არ ჰყოლოდა, თუ მტერი არა, უკმაყოფილო მოყვარე მაინც.

ამ სიტყვებზე დავით გვადიბაძემ გაიცინა და თქვა:

— მართალი ვითხრათ, განსაკუთრებით რომ ვინმე გაბოროტებულიყოს, არ მახსოვს, მაგრამ ჩვენი სახელოვანი და საქვეყნოდ ცნობილი დრამატურგი ჟორჟიკა მდივანი რომაა, იმისი ბაბუა შამშუ კლდიაშვილი გახელდა ძალიან... როსტომ მანველაძეში თავისი თავი იცნო.

ეს ფაქტი სხვებმაც დაგვიდასტურეს: თურმე მწერალს დიდი ენერჯია და უზარჯავს გამწყრალი შამშეს დასაშოშმინებლად, მაგრამ „როსტომ მანველაძე“ კარგახანი იკურთხებოდა და სიკვდილამდე უკმაყოფილო დარჩენილა ამ ამბით. მერე „ყველაზე გულგატეხილი, ყველაფერზე გულდაწყვეტილი, ყველას და ყველაფერს ჯანდაბამდის გზას ულოცავდა“.

სამანიშვილების უბანში კი ასეთი განაწყენებული ვერავინ აღმოვაჩინეთ. ისე კი „აზნაურ“ პლატონ სამანიშვილმა თვითონ მოიყვანა მეორე ცოლი. იღბლად მეორე ქალის ხელში პლატონს შვილები არ ეყოლა. ისე, რაც მართალია, ამის შიში სულ არ ჰქონიათ და პირიქით პლატონის ორ ქალიშვილს საწყენად დარჩა ეს ამბავი.

პლატონს ვასაყოფი აღარაფერი აქვს... კოლექტივის მიწა ყველასათვის საკმარისია. პლატონი შეძლებული მოსახლე და მთელ ამ არემარეში განთქმული ქვის მოხელეა.

ძელქვა

დავით კლდიაშვილის ეზოში დგას უზარმაზარი ძელქვა, რომელსაც ტოტები ცისკენ აქვს აშვერილი და დგას უტყვად, იქნებ ხვდება კიდეც, სამას წლამდე რომ ბევრი არაფერი დარჩენია. იგი ასევე იღვა დავითის დაბადების დღეს და ასევე შეხვდება მწერლის დაბადების ასი წლისთავს.

სიმონეთში ღამდება ჩვეულებრივად. ცა არის მაღალი, ჰაერი გამჭვირვალე. ვარსკვლავები ელავენ მომწვანო ცის ფონზე.

წინწყილას ველიდან უბერავს ნიავი. ნიავი მოდის აუჩქარებლად, ამრიალებს მუხასა და ძელქვას... გადადის უნავირო მთაზე... იქიდან ოკრიბაში, ვიღრე ნაქერალამდე და მერე ღმერთმა იცის...

ოღა სახლებში რიგრიგობით ქრება სინათლე. მთები და დამრეცილი ფერდობები სილურჯეში იკარგება. ყველაფერი რბილ მძიმე ზავერდში ეხვევა.

სოფელი იძინებს. ძელქვა ვერ ისვენებს. ტოტებს არხვეს და გუგუნებს; გუგუნებს უკმაყოფილოდ, დაბალ ხმაზე...

ასიათასი წიფობელა კრიჭინებს გადაბმულად, ყრუდ, გაუთავებლად...

ასეთია ღამით დავითის ფართო, გულღია აივანი. დაღლილი და მეოცნებე კაცის სამყოფელი. ისე, ამ იღუმალეზაშიც შეიძლება დისონანსის შეტანა. ვიღაც კაცი დადის ეზოში და რაც შეუძლია ხმადაბლა იძახის:

— კოწია, კოწია!..

ცხადია, სურს მხოლოდ კოწიამ გაიგონოს მისი ხმა.

— კოწია, კოწია — უვლის აივანს ეს ვიღაც.

კოწიას წითელი ღვინო დაუღევია ვაზშამად და გემრიელად ხვრინავს სადღაც.

— კოწია, კოწია!

ხმა მიწყდა და ბოლოს ისევ წიფობელეზა გაამყუდროვეს იქაურობა.

ეზოს ბოლოდან კოწიას ხმა მოისმა:

— რა გაყვირებდა, შე გაფუჭებულო, არ იცი სად მძინავს!.. რო უვლი იმ

ბალკონს ძალღივით... აწუხებ უცხო ხალხს... ხო იცი საცხა მძინავს.

ბოლოს ეს ხმაც მიწყდა. მერე ქუჩაში მანქანა ამუშავდა, გაანათა წაფერ-დებული მესერი და ხრიგინით გაეცალა ჭკაურობას.

ნიაგმა ისევ ყრუდ აატკაცუნა ძელქვის ცისკენ აპყრობილი ტოტები.

ღრუბლის ფთილიდან მთვარე გამოძვრა და აივანზე მუხის ფოთლებს ჩრდილები დაყარა. მთვარის ამოსვლას ფლეიტის სევდიანი პანგზე წამოყვა.

დავითს სიგიჟემდე უყვარდა მუსიკა; ავადმყოფობის დროს მუსიკით ამშვიდებდნენ, მაგრამ ვინ იცოდა, თუ დავითი თვითონ უკრავდა ფლეიტაზე.

საოცარმა ადამიანმა დიდი გულსტიკივლით დაიტირა თავისი ნათესავები, მეზობლები. ის იყო კაცი, რომელიც გრძნობდა ბუნხართან გდებით დაუსტე-ბული როსტომ მანველაძის „დიდების“ დასასრულს. ძნელი იყო გულგრილად დაგენახებინა შენი ოჯახის წევრისათვის მისი ბედის დასასრული. „მე არასოდეს, არავისთვის არ დამიციანა“... როგორ შეეძლო ამ დიდბუნებოვან ადამიანს დაეცინა განწირული ხალხისათვის. დავითმა ცრემლებით დაიტირა ყოველივე. ამიტომ მიყვება მის სიცილს ფლეიტის ნაღვლიანი მელოდები. ამ მელოდებში იყო მწარე სიცილი, სევდა და სიყვარული წყლიდან თევზებით ამოყრილი ხალხის ბედზე; სარდიონ ქველიძეზე, როსტომ მანველაძეზე და დარისპან ქარსიძეზე... მაგრამ ამ ფლეიტის ხმაშივე იყო ნიშანი იმედისა და სინათლე მომავლისა.

მიქელა

მოხუცი მიქელას მრავალრიცხოვანი ოჯახი უღმობელმა სენმა დაუნდობლად გაანადგურა. მიქელას ერთადერთი იმედი პატარა ნესტორა საიმედოდ იყო გახიზნული, მაგრამ მოხუცის დამშვიდება მაინც ძნელი იყო.

ერთხელ მიქელა აუტანელმა სურვილმა შეაწუხა: გადაწყვიტა ენახა ბავშვი, რომელსაც მისი ბუდე დაღუპვას უნდა გადაერჩინა. მიქელამ ჯანმრთელ „შვილიშვილს მოხვია ათრთოლებული ხელები, მოიწოდა, ჩაიკრა გულში და ჩააშტერა აცრემლებული თვალები.

— რავა ხარ, ბიჭო?.. შენ იცი!

... ბიჭო ნესტორა... ოჯახი არ გამიცივო ბაბუა!“

ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს პატარა ნესტორა ახლა ოთხმოცდაათ წელს მიტანებული ვანია კლდიაშვილია. ვანია მორიდებით ზის თავის პატარა სახლის წინ ბალახში, პაპიროსს ეწევა. ეზო დამრეცილია და სახლიც ფერდობზე დგას. ეზოს წინ ვიწრო შუკაა, ქვის ხავსიან ყორესა და ბროწეულის ხეებს შორის მოქცეული შუკა.

— ჩვენ სახლში სენმა ჩაიბუდა. დამიხოცა ბიძები, ბიძაშვილები... ამოვწყლით ერთიანად... მე გამიხიზნეს და გადავრჩი... ბაბუამ გადამარჩინა, მერაბამ. ვანომ ღრმად ჩაისუნთქა პაპიროსის ბოლი, გაჩერდა. ირგვლივ უხერხული სიჩუმე დადგა. პატარა ჩიტი ბროწეულის ტოტზე დაჯდა. ელასტიურმა ტოტმა ირიბულად დაიწყო ქანაობა. მასპინძელმა განავრძო:

— მერე ის სახლი დაშალეს, გამდულდრეს. აქ ჩადგეს ჩაქცეულ ადგილზე, — ხელი დაცემულ მინდორს მიათითა, — მერე ის სახლი ქე დამეწვა.

— ბავშვი ვიყავი: სოფელში ხმა გავარდა, ვანია კლდიაშვილი იწვებაო. — წამოიძახა ლობის ძირში მიმჯდარმა კოწიამ და უხერხულად გაიღიმა.

— დავითი ძალიან დამეხმარა. — პაპიროსი დაფერფლა მთხრობელმა.



მიმიწერა სადაც საჭირო იყო. ერთი სიტყვით, ძალიან დამეხმარა. მერე ეს პატარა სახლი ჩავდგი. თავარი სახლიც ქე ვიყიდე, შვილს მივეცი. მასუკან ქალიშვილი გავათხოვე.

ვანო გამხდარი, ფერმკრთალი კაცია. ტანად მაღალია. ლაპარაკობს წყნარად. არც მოხუცებულობით გამოწვეული გულმავიწყობა, არც ბებრისათვის დამახასიათებელი ემოცია — უცხო ადამიანთან რომ გადაჭარბებულად გამოჩნდება — არ ემჩნევა. საფეთქლებზე სისხლნაკლები ვენები აქვს ამოზრცული. მისი სიბერისაგან გამოლენიებული ცოლი სამფეხა სკამზე ზის და უაღრესად გაკვირვებული იყურება ჩვენსკენ.

ვანო კლდიაშვილმა ვერ გაიგო, საიდან ვიცოდით მისი ოჯახის სამწუხარო ისტორია. ამ ამბავზე რომ შესანიშნავი მოთხრობა დაწერილი, არ იცის: საკვირველი კია.

— დავითს, ჩემო ბატონო, საერთოდ არაფერი წამიკითხავს... კითხვა არ ვიცი. ის კი ვიცი, მასეთი კაცი კავკასიაში ძნელად დეიბადება. თუ რამეს დაწერა დააბიროთ, ბიძია მკვდრად არ თქვათ, სირცხვილია... როგორც ცოცხალი, ისე ახსენეთ.

ლამარა და ლამარა

ესენი თბილისიდან რადიოკომიტეტის დავალებით არიან ჩამოსულნი: ხმის ჩამწერი აპარატითა და უბის წიგნაკებით აღჭურვილნი. ერთი შავგვრემანია, მეორე — თეთრი. ერთს შავი თვალები აქვს, მეორეს — ცისფერი. ერთიც პატარაა, მეორეც პატარა. შეკითხვებს აძლევენ მოხუცებს და ფანქარს იკაკუნებენ თავზე.

ეზომი სიმონეთის დ. კლდიაშვილის სახელობის სკოლის გოგო-ბიჭებია შეყრილი. უმცროსკლასელები საგულდაგულოდ მორთულ-მოკაზმულან.

ამათში გარეულან კოწიას ბავშვები და ქალბატონი ნუცას სამი შვილი-შვილი, სამივე ბიჭები, დავითის შვილთაშვილიშვილები.

ბავშვები თავიანთ შთაბეჭდილებების ჩასაწერად ემზადებიან და ცდილობენ წინასწარ მოამზადონ ჩასაწერი ტექსტი.

კოწია მაგიდაზეა გადაწოლილი და ზომამზე მეტად სერიოზული სახით არიგებს ბავშვებს, როგორ დაიჭირონ თავი აპარატთან. წინა დღით კი, როცა თვითონ მას მიკროფონი ახლოს მიუტანეს, სიცილისაგან კინდამ გაიგულა.

საგანგებოდ ჩაცმული მეშვიდე ან მერვე ჯგუფის მოწაფეს, რომელსაც მსხვილი ფეხები აქვს და თმები თეთრი აბრეშუმის ბაბით გაუკრავს, ეკითხებიან:

— დავით კლდიაშვილს თუ კითხულობ?

— დავით კლდიაშვილს რაღა კითხვა უნდა, ბატონო, ნაკითხი არაა!?

საჭირო გახდა მოცემული ამოცანის განმეორება:

— დავით კლდიაშვილის მოთხრობებს თუ კითხულობ... მის ნაწარმოებებს?

ამაზე სიმონეთელმა ქალიშვილმა სულ დაიმორცხვა — ვითომ მაგი რა სათქმელიაო.

წმინდა გიორგის ეკლესია და სიონითი ზემოდან

წმინდა გიორგის ეკლესიას სახურავი დაზიანებია. ცალ მხარეზე კრამიტებია აყრილი და აღმოსავლეთის კედელს წყალი ეღვინებოდა. აყრილ კრამიტებში ლედვის ხე ამოსულა. ძველია ეს საყდარი, მაგრამ უფრო ძველი ყოფილა ის ნაგებობა, რომლის ნანგრევებიდან ეს კედლები ამოუყვანიათ. საგულდაგულოდ გათლილი წარწერიანი ქვები ეკლესიას აქეთ და იქით, წალმანუკულმა აქვს დატანებული.

ფერდაკარგულ, გახუნებულ საფლავის ლოდებს სიძველე მორევია. წარწერები გაცვეთილა, ეკალი და ბალახი მიწვდომია ყელამდე. ირგვლივ ცაცხეები და მუხებია.

— აქ სხდებოდნენ ღვინეფაძეები, აქით ფანჩულიძეები, ამ ცაცხვის ფესვებზე დოლონაძეები. აქით ქვედაუბნის კლდიაშვილები... იქით, სამრეკლოსთან, ამ უბნის კლდიაშვილები ჩამოჯდებოდნენ. — ყველა მოხუცი მცველი. მცველი ისეთი ენაწყლიანი გამოდგა, რომ პირველად სიმთვრალესაც დაწამებდი, თუმცა, კარგად რომ დაკვირვებოდი, არც უიმისობა იქნებოდა.

— ახლა დღეობაზე და პურმარილზე დავითი ჩვენთან არ დაჯდებოდა, მარა, წირვაზე იცოდა ამოსვლა. გულშეკრული თეთრი კიტელი ეცვა ხშირად. წელზე ხმალი ჰქონდა. ქუდს მოიხდიდა... ხელთათმანებს გაიძრობდა. მოგვესალმებოდა, მოგვიკითხავდა, ჩემო ბატონო...

სასაფლაო მუხის, ცაცხვის ფესვებითა და ფოთლებითაა მოფენილი. აქ ამ ფესვებზე ჩამოსვენებდნენ წირვის შემდეგ გლეხები და აზნაურები. ლაპარაკობდნენ გაჭირვებაზე, ეკალაზე; იფხანდნენ გულს და ჭორაობდნენ. აქ ამოდოდა ოტია ქამუშაძე და დედამისი ეკვირინე, სანიკიძის ქალი. სარდიონ ქველიძის ქალიშვილი ნინო, რომელსაც გაცრეცილი სახე და დიდი, ლამაზი, სევდიანი თვალები ჰქონდა. ქალაქელი რძალი სონია. „გათავდა წირვა, ხალხი გალავანში გამოეფინა.

... ჩრდილში საფლავის ქვაზე ჩამომსხდარნი იყვნენ აქაური აზნაურის ქალები. რძალ-დედამთილის მოახლოებაზე, უცნობი ქალის პატივსაცემად, თითქმის ყველანი წამოდგნენ და შეეგებნენ უცხო პატარძალს სიტყვაუთქმელად, მხოლოდ ხელის ჩამორთმევით. ხელის ჩამორთმევის შემდეგ სონიას და მის დედამთილსაც დაუთმეს ადგილი და ყველანი ისევ ჩამოსხდნენ:

ჩამოვარდა სიჩუმე. ხმას არავინ იღებდა.

— მომილოცავს, ბატონო ეკვირინე, შვილის გაბედნიერება! გადასწია თავი ეკვირინესაკენ პირსავსე, წითურ ლოყებიანმა, ფაქიზად ჩაცმულმა დარბაისელმა ქალმა: — დიდათ სასიამოვნოა ღვთის წინაშე!

ეს იყო სარდიონ ქველიძის ცოლი, მათათი.

— მოგვილოცავს, მოგვილოცავს! — აჰყვნენ მას სხვებიც“.

აქედან მოჩანს სიმონეთი მთლიანად: დასაწყისიდან დასასრულამდე. შემოდგომა დაიწყო, მაგრამ სიყვითლე ჯერ არაფერს შეპარვია. სიმონეთი მოჩანს ზღვასავით. მხოლოდ ტალღები მოედინებთან ძალიან გრძლად და ყოველი მიმართულებით: მარჯვნივ, მარცხნივ, პირდაპირ. ყანები, ვენახები, ჩაი. სიმწვანე, სიმწვანე. ხეებქვეშ წითელი კრამიტები. ჩვენს ქვემოთ გორის ძირში ცისფრად შეღებილი სახლი, ძელქვა და მუხა; კოლინდარი, წყნელის ღობე.



შემოსასვლელში კიბურას თეთრი ავრებებით ამოშენებული ყორე. სიგრძივ დათლილი ეკლარას ქეები, მაგიდებისა და სკამებისათვის. გადლობილში დავითის ბიუსტი, რომელიც სულ მალე შედგება კვარცხლბეკზე. ყანაში — კოწია, რომელსაც ნესვი მოუნახავს. კოწიამ ნესვი ღობისძირში მოაგორა, ორშიმო აიღო და ბიებქვეშ შეფარებულ ქურებს მიაკითხა.

სამზარეულოს ღია კარიდან ბუხრის ალი გამოკრთის. ცეცხლთან ჩვენი ძვირფასი მასპინძელი ტრიალებს. კოწიას ქალიშვილი მადონა შიშველი ფეხების უკანადაა დარბის და სიქმიანობს.

შუქში საჭონე და მარჯვენა რაკონით შემოდის. სახლების საკვამურებიდან ბოლი იწყება ღენის. ბოლია გამჭვრავლე და იისფერი. „ბაკულის ღორები“ ორღობში მორბიან; გამხდრები, დაჯაგრულები, ჭყვირიან და კბენენ ერთმანეთს.

შორს მდინარე ყვირილა, მარჯვნივ — ქუთაისი და კიშურა, მარცხნივ — ძვერი და თერჯოლა, უკან ოკრიბა და ნაქერალა მთა.

აქ ცხოვრობდა და ცხოვრობს დავითის საყვარელი ხალხი. ამ ხალხზე ფიქრში დაამთავრა დავითმა თავის შეგნებული სიცოცხლე. ასახა ამ ხალხის ცხოვრება, გვიჩვენა: „სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“. რა იყო ეს სინამდვილე: რღვევა, დაცემა, სიბნელე, გაჭირვება, გაჭირვება. ყველაფერმა ამის ყურებად, სინანულმა, მწუხარებამ ადრე დააბერა დიდებული მწერალი.


დავითი იყო მონაწილე ყველა საერთო უსაშველობის. იგი შეგნებით, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით განიცდიდა თავისი ერის ბედს და უბედობას. მოვალეობა თავისი ხალხის წინაშე მძიმედ აწვა ამ ადამიანს. ხალხზე ფიქრმა და მისი კეთილდღეობისათვის უკეთესი გზის ძებნამ გატეხა იგი, მაგრამ სამაგიეროდ სიცოცხლეშივე მოესწრო თავისი ოცნების სრულყოფას, სიცოცხლეშივე დააფასა მისმა საყვარელმა ხალხმა, რომლის ღირსად ის თავს არასოდეს არ თვლიდა; მოკვდა, ხალხის ცრემლები, სიყვარული მთაწმინდაზე გაიყოლა და უკვდავება მოიპოვა პატარა ტანის კაცმა, რომელსაც უზარმაზარი ზმა და დიდი გული ჰქონდა.





დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების
ილუსტრაციები

მხატვარი ზ. ლევანაძე









მთაჩ მამუჩია

სიმონათის გზაზე

დავით კლდიაშვილს

8295

ამოვიხსნა შევების დასტურად,
მთების სიმწვანის ეშხით დავითვერ.
ცაო, სხივებით თავთავდასხმულო,
მეც ერთი ბლუჯა შუქი დამითმე.

აი, ეზოში ბალახს მოთელილს,
ცვარის კურცხალი ჩამოღვენთია,
და ორღობეში მქკნარი ფოთლები
ქარს ნისლის ცოცხით აუხვეტია.

თუ ლეკვარდების გამონაყური,
დასწვეთებია მიწას ნამიანს,
მეც რომ ეგ შენი სხივი მაჩუქო,
ლექსისთვის განა დასანანია?

ხმა შემომესმა, გული მეტყინა,
ამ ცისქვეშ დარჩენ ასე მარტონი.
„ღმერთს ნუ სვოდაო“—ოხრავს ბეკინა,
მაინც ეყრება მამას პლატონი.

დამსკდარ კვირტების ქარი აშლილი,
მღელღე აწვენს ბალახს ბიბინას—
და სოფლის წყარომ ცეტი ბავშვივით,
წინ ასკინკილით გადამირბინა.

გაჩნდა სახლკარის ერთი მოწილეც,
ალარ გამართლდა დაპირებული
და მოტანტალებს, ლაღობს ყმაწვილი
ხალხის დანახვით გაკვირვებული...

კოცონთა ცეცხლით ნაბრიალები,
შემონთებია კორდებს ატმები.
როგორც ჩოხებზე მაყრებს ღილები,
ისე, გახსნიათ ოდებს სარკმლები.

შორს ღრუბელივით ფიქრი გადადის,
მიშრიალებენ გზაზე თუთები.
ღიმილში გამდნარ ცრემლის მხატვარი,
აქ, მეგულვება ფუნჯნაკურთხები.

თვალმოუწვდენი მინდვრის ხასხასი,
ფრთადაწყობილი ვერხვის ღულუნნი.
ვაზი აზმორებს, ტოკავს ხარდანზე,
ქალწულის ცრემლით ჩამოლუმბული.

აქ, მეგულვება, აი, ამ გზაზე,
აშლილ ოცნებას იქეთ მივყევარ,
სად, შთავონების ციხე-ღარბაზში,
პატარა სახლი მზეში ირხევა.

მივდივარ, გზაგზა ვხვდები ნაცნობებს,
ისინი წიგნში ვნახე ოდესღაც.
სამანიშვილის დედინაცვალი
ჩაფიქრებულია დაშლილ ღობესთან.

აბრილის სუნთქვამ ერთად შეგვყარა,
ვარდისფერ ნისლში თვალი მეტურვის.
თითქოს პირველად ვხედავ ქვეყანას,
მეც იმ ბიჭივით გაკვირვებული...





ნახატები დ. ერისთავისა

იქით სოფელი ბჟყალაა. ბჟყალა სულ ნისლშია. ნისლს რომ გადაიყრის, მზესავით ამოდის მთებიდან. აქეთ კიდევ უფრო პატარა სოფელია და სურმეშო ჰქვია. ორ სოფელს შუაში ხელიშური ჩამოუდის. რიყეზე სახლების ხელა ლოდები ყრია.

ხელიშური პატარაა და თეთრი, წისქვილებს ძლივს აბრუნებს, მაგრამ თუ აღიღდა, თარიგონიდან არჩვივით გამოქანდა, შენს ლაჯანურს მიაგუბებს, ჩაგიყლაპავს.

ხელიშურს გამოღმა რომ პატარა სოფელია, პირქუშია და უშუხო. ქვემოურები უფრო მზეში არიან და ზემოურებს საყორნიას ეძახიან.

ცოტას აიაღმართებ, მეწყერს აშორდები თუ არა, ღელე შეგხვდება. მარცხნივ ტირიფებია, ტირიფებს ყორე მოუყეება, ყორეს იქით ღობეა, ღობის ბოლოს მაყვალაია, ბარდი, ანწლი, მწარე კვახი, კალამჩალამი, ძალყურძენა, გეიმრა და რა ვიცი რამდენი უბედურება არ არის ამოსული.

საბიჯელა სუფთაა და ეტყობა, დიდხანია არავინ სტუმრებია ამ ადგილს.

ღობის ბოლოს, საბიჯელასთან, წაბანცალეხული, მიხრიგინებული, წუთისოფელთან ნაბლარძენები პატარა სახლი დგას. სახლი ორსართულიანია და აივანს ორი დედაბოძია შერჩენია. ბოძებს ძველი ხელოსნის ხელი ეტყობა და ჩუქურთმები იმზირებიან ბოძებიდან. ადრე ვაზიც იქნებოდა აივანზე გასული, ახლა ვიღაცას მოუსხებია და ძლივს მოჩანს მიწის პირიდან.

მეორე სართულზე ასაველი კიბის ქვეები მთლიანად ყორეშია ჩატანებული. ახლა სართულის მისადგომს ბლისაგან უშნოდ გამოთლილი კიბე აქვს მიყუდებული. კიბის ბოლოები გამომპალაია და მიწას ძლივს ებჯინება. ეზოში

ღმერთს ბალახი მოუსპია და სამაგიეროდ სახურავზე გაუხარებია; ყავარი აბიბ-
 ნებულია და მწვანე. ერთი სიტყვით, მიტოვებულ საყდარს ჰგავს სახლი.

ამ სახლში ცხოვრობდა ლაზარია.

— რაა იცის, რაა, კუსუია, ლაზარია?

— რაა და ასთე: — კუსუია მოიკაცებდა წელში ოთხად, ქვეითა ტუჩებს
 გადმოაბრუნებს, დიდ ლოდინს შეიდებს მხარზე, ბაჯბაჯით აპყვება აღმართს
 და დუღუნებს: — „რა მინდა, ბოშო, მე კოლექტივში, ვაი შენს პატრონს, ამ
 ჰადს ქე ვმონილობ ისთეც და...“

მეთოხარი გლეხები აიტაცებენ კუსუიას ხელში, დალოცავენ, დედას შეუ-
 ქებენ, მამის მალე ჩამოსვლას უსურვებენ და კუსუიას წასვლის შემდეგ სულ
 მასზე საუბრობენ...

მაგ გოუხარდა დედამისს, მაგისაგან დიდი ვილაცა გამოვა, იმნაირი ნიჭი
 და ენა აქვსო.

„ლაზარია, ბედოვლათო“, „ლაზარია წვერა“, „ლაზარია ლაფშა“, „ლაზარია
 მოდღნაზულა“, „ლაზარია ლაბდრიანო“, — ასე უძახოდნენ ლაზარიას.

ლაზარიას ხელა კაცი არ დადიოდა სოფელში. წისქვილივით თავი ჰქონდა,
 ღარივით ფეხები, წარბების ნაცვლად გახუნებული ბალახივით რაღაც ამოსვ-
 ლოდა. ვეებერთელა თითებს წვერებში ირევდა, ცხვირის ნესტოებიდან თმებს
 დიგილეჯდა და, თითქოს სუნთქვა შეუმსუბუქდაო, ერთს ღონივრად შეისუნთ-
 ქავდა, მერე ამოისუნთქავდა და მთელი იმ დღის ჰუჭუყი და მტვერი მიწაზე
 მოადენდა ლართხანს. დიდ სალდათურ ჩექმებს ცხენისა და ხარის ნალები ჰქონ-
 და ძირებზე დაკრული. უკან შარვალზე, თუნუქები და ბეწვიანი ტყავები
 ეკერა. შემოგზვდებოდა, ცალ თვალს ჩაჰუტავდა და მამონტივით ჩამოგზ-
 დავდა...

— ჩემი ქლიავეები ზომ არ მოგიპარია, ბოშო...

არადა ლაზარიას ქლიავეები დიდი ხნის ჩატანილი ჰქონდა მეწყერს „ჯიკ-
 ნალაში“. ახლა ის ქლიავეები ქარსელაძეებს ეკუთვნოდა.

სულ მორები დაჰქონდა ლაზარიას...

სულ ყორეებს აკეთებდა ლაზარია...

თუ სადმე დიდ ლოდინს წააწყდებოდა, უთუოდ გვერდზე უნდა გადაე-
 წია... მორები მოჰქონდა ლაზარიას და სახლის გაკეთებაზე ფიქრობდა, ხანდა-
 ხან მაინც ჩაიდუღუნებდა:

— კი, აა, კოლექტივს დოუტოვებ გაწყობილ სახლს, მანამდე აფერი
 ჰამოს ვარდენია თავმჯდომარემ... შემოდი კოლექტივში და ჩვენ დაგეხმარე-
 ბითო, მოზვარებსაც მოგცემთ სახარეთ, იმნაირ ბონიკებსო როო... ვაი თქვენს
 პატრონს, რა მინდა, ბოშო, კოლექტივში, ამ ჰადს ქე ვმონილობ და... ვაი დე-
 დასა, კულაკობა მაინც მევიდოდეს მალე, რო ჩემი დევიბრუნო...

ლაზარია ერთადერთი შვილი დარჩა თურმე მამამისს, დარჩა და დარჩა...
 როგორც მამამისის სახლს პატრონის სიკვდილის შემდეგ არაფერი კეთილი და
 ჰკვიანური არ გაუგია ვინმესაგან, ისე ლაზარიას, — შვილი არ ჰყავდა და ძირი.
 მეზობელი წვერის გაპარსევისათვის ეჯავრებოდა, სტუმარი — ტანის დაბანასა-
 ვით. იშოვიდა ცოტა სიმინდის კაკალს, ჩავიდოდა „წისქვილიკარს“, დაფქვავდა
 და ორი დღე გინდამც გამაძლარი ყოფილიყოს: ზოგი ასესხებდა, ზოგს ყორეს
 შეუკეთებდა, ოღონდაც დიდი ქვები და მორები ყოფილიყო გადასაზიდი, და
 ლაზარია ერთ მქაღზე და ნახევარ წველა ყველზეც თანახმა იყო. ოღონდაც
 დიდი ლოდინები და მორები ყოფილიყო გადასაზიდი, ოღონდაც ქვეყნისთვის
 არ ემუშავა...

მტკაველს რომ გაჭიმავდა, ხბოს ტყავი გადაეჭიმებოდა ზედ, მართლა რომ გადაგეჭიმა და ლურსმნებით დაგევედათ, ყბას მიონგრევედა და გეტყოდა — რას შობი, ბოშო, მე კაცი ვარ, წისქვილი კი არაო! — არადა თავი წისქვილივით ჰქონდა, ფეხები ღარებივით და ხელები — გაურანდავი და გაუშალაშინებელი ფიცრებივით. მტკაველს რომ გაჭიმავდა, ხბოს ტყავი გადაეჭიმებოდა — მთლიანად მაინც წისქვილს ჰვავდა.

სომინდის ყანებს დარაჯობდნენ ხოლმე ღამით ბიჭები, დათვი ჩამოდიოდა ხოლმე წვერის მთიდან და ატიალებდა ყველაფერს.

ერთხელ ლაზარია მოადლლაზუნებდა ღარებივით ფეხებს ყანაში...

არქა, ზურიკელა, დათვია გონიარ, და ლაზარიას მეწყერივით ჩამოწოლილი შუბლი ძლივს გადაურჩა ეჯახნს. ლაზარიამ თვითონვე, ჩაიდუდლუნა — „გაწი, ბოშო, მა თოფი, კაცი ვარ მე, თვარა დათვი კი არაო“. არადა ბოლოს ნანობდნენ ბიჭები, ნაღდად შევეცდით, კაცი კი არა, დათვი იყო. ტყეში იყო ერთხელ ლაზარია და მორებს ჰკრიდა, სახლი უნდა შეეკეთო, ორმეტრიან დიდყუა ნაჯახს სცემდა ვეებერთელა ხეს, ქელავდა და ყოველ მოქნევას რიტმულად დასძახდა ჰე-ო; ხე როცა წაქცევაზე მივიდა, ლაზარია დეჭიდა წასაქცევად, ხის ნამსხვრევს ხელისგული გადაახია, ხარის ნალის ხელა ნაფოტი ცერა თითის სირბილეში გაერქო, ითქრიალა სისხლმა; ლაზარიამ ტუჩები მობრუნა, ცხვირს წეუერთა და ერთი დაიდუდლუნა — მოგიკვდა დამრგავი და გამხარებელიო. მერე ლაზარიამ ქისა დაიძრო უბიდან, წეკო ამოიღო, ჰრილობას დააყარა და სისხლი შეაჩერა; ქვეითა საცვალს ნაჭერი გადააფხრიწა, ხელის გული მაგრად გადიხვია, შემდეგ მარჯვენა ხელს ნაფოტივით კბილები შეამშველა და ჩამარყუტა...

ლაზარიამ მეტრნახევრიანი სიგრძის დიდყუა ნაჯახი ფართო ქამარში გაირქო და დუდლუნ-დუდლუნით დაბრუნდა შინ.

ხან თუთუნს იყრიდა ჰრილობაზე, ხან ობობას ქსელს იღებდა, ხანაც გამხმარ ბალახს — „ცხენიოფლას“ რომ ეძახიან, მაგრამ თუთუნზე და ცხენიოფლაზე მეტად ობობას ქსელი ეშოვებოდა ლაზარიას.

რამდენს არ ეხვეწებოდა მოხუცი მურზაყანი, ტკბილი ხელი მაქვს და დამსობინე სამართებელიო, ლაზარია უარზე იდგა და დუდლუნებდა: რა გინდა ბოშო, მე აფერს მიშლის და...

ჰრილობა თანდათან დაცხრა და შეხორცდა.

ხის ნამსხვრევმა თავი მოიმყუდროვა ცერა თითის სირბილეში და შეეთვისა ლაზარიას. ლაზარიაც შეეგუა და სულ ასე დუდლუნებდა — რა გინდათ, ბოშო, მე აფერს მიშლის და...

ისევ გადაჰქონდა ლაზარიას მორები, ისევ აკეთებდა ლაზარია ყორეს, ისევ ფიქრობდა სახლის შეკეთებაზე, მაგრამ მაინც ჩაიდუდლუნებდა ხოლმე:

— კი, აბა, კოლექტივს დოუტოვებ გაწყობილ სახლს, მანამდე აფერი ქამოს ვარდენია თავმჯდომარემ... შემოდი კოლექტივში და ჩვენ დაგეხმარებით, მოზერებსაც მოგცემთ სახარეთ, იმნაირ ბოჩიკებსო, როო... ვაი თქვენს პატრონს, რა მინდა, ბოშო კოლექტივში, ამ ჰადს ქე ვშონილობ და...

იმ დღეს დილიდანვე წვიმდა. ხვამლის მთიდან გადმოიყარენ ღრუბლები. ცაზე თითქოს ბევრი ლაზარია მოაბოტებდა და რალაცას ბუტბუტებდა თავისთვის.

აწლა ხვამლს თარიგონის მთა შემოუერთდა, თარიგონიდანაც დაიძრა ბევრი ლაზარია, ერთი დაიგრუხუნა, იხუვლა, ხელიშური მოიგლიჯა გულიდან და გადმოუშვა თავქვე.

დაჰყვა ხელიშური წისქვილებს, შლიდა და ფიცრებად მიჰქონდა ლაჯანურში, ცოცხალ თევზებს ყრიდა და რიყის ქვებივით ისროდა ნაპირზე.

ლაზარია ქვემო სართულის ძირგამომპალ კიბესთან იჯდა, ნაფოტა კიბეებს სიგრძე-სივანით კრეჭდა და დუდღუნებდა:

— ამნაირობა არ მომსწრებია, ბოშო, რა არის, ბოშო, ეს, მორეთ მოსვლა, თუ რა არის... ვაი შენს პატრონს, დოუშვი, ხო, დოუშვი, ძროხა არ დამიბრჩო, ბოჩიკებს არაფერი მომიწიო, ოჯახი არ ამიწიოკო. მე რას მიზამ, ამ ჭადს ქე ვიშოვი, სოფელი დიდია, ღმერთმა ქვა ნუ გამოლიოს, თვარა ჭადი რა საკითხავია.

წყალმა თანდათან გაიკვალა გზა, პატარ-პატარა კალაპოტები გაიჩინა და ლაზარიას სახლისაკენ გამოემართა. ზოგმაც გვერდზე გადაუხვია.

ერთი, უფრო მთავარი წყალი, მუხლამდე რომ მოგწვდებოდა, ლაზარიასკენ გამოემართა — ზედ ფეხებთან მიუვარდა...

ლაზარია გაბაჯბაჯდა უკან და ჩაიდუღღუნა:

— რას შობი, ბოშო, მე კაცი ვარ, თვარა წისქვილი კი არა...

უცებ ერთად დაიგრუხუნეს თარიგონისა და ხვამლის მთებმა, ერთხელ კიდევ გადატყდა ცა შუაზე და რას ხედავს ლაზარია — ის მუხლამდე წყალი, წედან რომ მოუხტა, უფრო გაზრდილა, ახლა მუხლამდე აღარ არის, ახლა მთასავით არის, წვევრგაუპარსავია, უშნოა და ლაზარიას ვავს. ხო, თვითონაც ატყობს, რომ ვავს...

— რას შობი, ბოშო, რას შობი, მე კაცი ვარ, თვარა წისქვილი კი არა...

მოუხტა და არ ეშვება ლაზარიას მეორე წყალი-ლაზარია, მოხვია უშნო და უშველებელი ხელები, სიტყვა არ ათქმევინა ზედმეტი, იხუვლა და ღელისაკენ დაეშვა. ღელემ ჩაიბარა ლაზარია. ღელე კი არა, ზღვა იყო მთელი.

კიდევ ეჭიდებოდა ლაზარია მის საყვარელ ლოდებს და მორებს. კიდევ ვერ იმეტებდნენ ლოდები და მორები მოსაკლავად ლაზარიას. უკანასკნელად ჩაურა ლაზარიამ თვარაძეებს, ბაკურაძეებს, გოქაძეებს; ობოლაძეების კარიც ჩაირიხინა და ხელიშურში ამოჰყო თავი.

ხელიშურს არაფრად ეპიტნავა კაცი და ლაჯანურს მისცა.

ვინ იფიქრებდა, რომ ამდენ ლოდებში, ღელეებში და კლდეებში ნახრიგინები ლაზარია სადმე მაინც არ გაეჩხირებოდა ლაყუჩებახეულ კალმახივით, მაგრამ არა, ლაზარია დაიკარგა...

მეორე დღეს ყველამ მოიკითხა ერთმანეთი, ზოგს ცხენი აკლდა, ზოგს დაბმული ძროხა დახრჩობოდა. უღელი ხარიც არსად ჩანდა ქვრივი ნატალიასი. იმ დღეს ლაზარიაც არ ჩანდა, მაგრამ ტყეში ეგონათ — უთენია წავიდოდაო. საღამოსაც ვერ ნახეს, მაგრამ ლოდებზე ეგონათ — ყორე ექნებოდა შესაკეთებელი; ლაზარიას რა მოკლავსო, ლაზარიას რა დაადრჩობსო, ლაზარია ლოდებისა და მორების წერაო.

თურმე პატარა კუსუიას ჩაუვლია საღამოს ლაზარიას კართან და ღელის პირას ტირიფზე ჩექმა უნახავს — იმ წუთში შინ გაუქანებია.

მთელი კვირა ეძებდა სოფელი ლაზარიას გვამს, ვერა და ვერ იპოვეს. ობოლაძეების კართან ხალათის ნახევიც ნახეს, მაგრამ ლაზარიას საქმეს რას შეელოდა.

დაავზავნეს მცურავები, დაჰყენენ ლაჯანურს და ამოდ ეძებეს...

ორი კვირის შემდეგ სამი დამხრჩვალ კაცი გამოირიყა რიონმა ქუთაისში. ლაზარიას რა ცნობა უნდოდა, მაგრამ მაინც თქვა მოხუცმა მურზაყანმა — ჩემზე კარგად ვერვინ შეიცნობს ლაზარიასო. მარცხენა ხელის გულს დახედა,



საწყალ ლაზარის ცერა თითის სირბილეში გარჯობილი ნაფოტი ისევ მჭიდროდ ქუთაისშივე შემოსეს ლაზარია, გააპატიოსნეს, მანქანას დაუდეს და სოფელში ამოიტანეს. მთელმა სოფელმა წესისამებრ სცა პატივი ლაზარის გვამს და, ეზოსთან ადრე რომ ქლიავები ჰქონდა, იქ დასაფლავეს.

მეორე წელს დამაინტერესა და ლაზარის საფლავი მოვინახულე. ლაზარის საფლავს მეწყერი მოსწოლოდა და თავის საყვარელ ქლიავებთან ჩაეტანა „ჯიკნალაში“.

ახლა ქარსელაძეების კართან განისვენებს ლაზარია.
 რაც საწყალმა ლაზარიამ ჭირი მოგვჭამა, მის მერე იმნაირი წარღვნა აღარ ყოფილაო, — ასე ამბობენ ახლა სოფელში.



მარიონა

დღეს მოვახერხე და მარტო დავრჩი, კი არ მოვახერხე, ასე მოხდა; ჩვენები წავიდნენ — ვანო ბიჭებს გაჰყვა. ვანოს ამხანავს ცხენი ჰყავს ავჭალაში, კვირაობით გამოუვლიან ვანოს და მიდიან ავჭალაში; სანამ ვანოს გამოუვლიდნენ, ვანო მამაჩემის ჩექმებს მოიპარავს, მამაჩემის გალიფე შარვალსაც მოიპარავს, „კოვბოიკა“ თვითონ აჭეს, ჩაიცმევს, იტრიალებს, იტრიალებს სარკესთან, მერე რაღაცას უცხოურს დაუსტვენს და ელოდება პანჩოს.

ვანომ ცხენზე ჯდომა არ იცის, არც პანჩოს ნამდვილი სახელი იცის.
 დეიდა ვარის ახლობელი გარდაეცვალა და ჩააცივდა დედაჩემს და მამაჩემს, წამომყვეით ქუთაისშიო; იქვე ცხოვრობენ, საფინჩიაზე — სასაფლაოდ



იქვეა, გავიდეთ, ვიტყვით და დავბრუნდეთ უკანო. მე სულზე ვიყავი, უარი ვთქვა მამაჩემს, თორემ ვიღუპებოდი.

ერთი ოხრისერთი მეზობელი მყავს, კორა-მაია, და ისიც ოთხი წელი სათოფედ აღარ მეკარება; ოთხი წლის უკან მესამე სართულიდან უსწორა ვანომ და თავზე დააფურთხა. რაღაცაზე დავენიძლავე ვანოს, მგონი არაფერზეც არ დავენიძლავე, და ხელის ჩამორთმევა და კორა-მაიას თავზე ტყაპანი ერთი იყო.

ახლა მარტო ვარ და ველოდები იმ ლაწირაკს, ამას წინათ რომ გავიცანინი — ლაწირაკი მე შევარქვი, თორემ ისე მარინე ჰქვია. მარინე ცხრამეტი წლისაა, მესამე კურსზეა, უცხო ენების ინსტიტუტში სწავლობს. ინგლისური იცის, მე უცხო ენა არ ვიცი, ეს ბოლო ორი დღეა ასე ველაპარაკები: მაფარიფინეფე, მეფე შეფეე ძაფალიფიაფან მიფიყვაფახაფარ. მარინე იცინის, იცინის და ასე მგონია, სიცილი სარკვეში უსწავლია, იმიტომ რომ როცა უნდა, მაშინ იცინის. მარინე ძალიან ლამაზი არ არის, მაგრამ მე უკვე ძალიან მომწონს; მარინეს დიდრონი ცისფერი თვალები აქვს, ქუთუთოებზე ლურჯი წამალი აქვს წასტული, ვითომ ქუთუთოები სტკივა. მიხარია, მარინეს შეღებილი ქუთუთოების რომ სცხვენია. პატარა, სწორი ცხვირი აქვს, აპრეხილი წამწამები და სახე ლოყები. ფეხები ოდნავ სქელი აქვს, ბამბის შავი წინდები აცვია, თმა ზვინივით აქვს დახვავებული და ძალიან უხდება. ბაკურიანიდან ჩამოტანილ კვებს ღეჰავს და ლამაზ ბოჩოლას ჰვავს.

მარინე ბევრად არ დაეძებს, ლამაზი არის თუ არა, ცხრამეტი წლისაა. შინ არც კი ვიცი, ვინა ჰყავს; ვინც გინდა, ის ჰყავდეს, ოღონდ ის არაფერი იყოს მისი, გუშინწინ რომ ახლდა ვერაზე. ოხ, რა მურდალი და შურიანი თვალები ჰქონდა, სულ ასე მიმზერდა — განზე, და თავში მიტენიდა: მე თუ მაგაზე კარგი არა ვარ და თვალთ დავგეფსოსო; ხანაც კიდევ მარინეს სქელ ფეხებს შეხედავდა ამრუხით, მერე თავისაზე დაიხედავდა; მოკლედ — ის არ იყოს მარინეს ახლობელი და არაფერი არ მინდა.

მე კინოში მივდიოდი კიროვის ბაღში და მარინემ და მისმა შურიანმა მეგობარმა სამმანეთიანი გადმომაწოდეს. მე გამოვართვი, ბილეთი ავუღე და ფული უკან დავუბრუნე.

- ხურდა არა ჰქონდა მოლარეს, — ჩუმად ვთქვი...
- უი, მაშინ იცით რა...
- არაფერი, არაფერი...
- ოხ როგორ, მაშინ...
- არა უშავს, არა უშავს...
- იცი რანაირი ხარ, ციცნა, სულ შენი ბრალია...
- ნუ ეხლა, იცით, ისე... იმაში ვარდებით...
- თქვენი სახელი?
- მარინე...
- თქვენი?
- ციცნა...
- მე ვახტანგი მქვია... შევიდეთ კინოში...
- ნუ, კარგი, მაშინ ნაყინზე ჩვენ დაგპატიებთ...
- მეცხრამეტე რიგში დავჯექით.

— აი ამდენი წლისა ვარ მე, — თქვა მარინემ და შავად მიწერილ ცხრამეტს თითი მიაშვირა.

— ოხ, მაშინ მე წინ გადავჯდები, — თქვა ციცნამ, და მე არ მომეწონა ციცნა.

— მე ინგლისურზე ვსწავლობ, ციცნა კიდევ პუშკინშია. თქვენ, ვახტანგ?

— მოთხრობებს ვწერ, წელს დავამთავრე უნივერსიტეტი. აბაშიძე გიხლავართ.

— მწერალი ხართ?

— კი... ყოველ შემთხვევაში, მინდა რომ ვიყო.

— ღვინო გიყვართ?

— ისე რა...

— ქუჩებში ხეტიალი?

— ისე რა...

— აბა რა გიყვართ?

— კინოში ცხრამეტი წლის გოგონასთან საუბარი.

— თვრამეტი წლის გოგონასთან?

— ვერ ვიტან ციცნას...

მარინეს შერცხვა.

— რა საშინელი ფილმია, რა არი სულ ჩაქუჩების რაკარუკი. ნეტა იცოდეს ამისმა დამდგმელმა, რა დღეშიც ვართ ახლა!

— სწორი ხარ, მარინე! ყველა ჩაქუჩი თავში მხვდება, არადა მამაჩემი ძველი ინჟინერია და ყოველ დილით ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებაზე მელაპარაკება.

მარინეს კისკისზე წინიდან ვილაცა გრძელცხვირამ მოგვიხედა, თვალები დაგვიბრიალა და დარბაზიდან გაყვანას დაგვპირდა.

— თქვენ თვითონ ნუ მიირთმევთ ნაყინს, — უბასუხა მარინემ...

ჩვენ ისევ განვაგრძობთ საუბარს ჩუმად. ციცნა თანდათან გრძნობს. რონ ზედმეტია და ამ დროს კინოც დამთავრდა.

ჩვენ სამივენი გამოვედით გარეთ, ჯერ ციცნა გამოვიდა, მერე ვილაც გაყვა, მერე მარინე, მერე მე. და გარეთ ციცნა თუ იყო ჩვენთან, ისიც აღარ მახსოვდა.

— რომელ ქუჩაზე ცხოვრობ, მარინე?

— მე — „პუშკინის“ წინ. ახალი, იდიოტურად აშენებული სახლი რომ არის, აი მაღალი სახლი როა, ლამაზს რომ ჰგავს...

მე მივაცილე მარინე, პუშკინის წინ რომ აყუდებული ბულდოზერივით სახლია, იქ, და დავბირდი, რომ ხვალ დავურეკავ.

მოვყვები ქუჩას და თავში და გულში შემოდინ მანქანები, ტრამვაები, ხეები, ადამიანები; ხან ყირაზე დადიან, ხან ჩერდებიან. უხ, შუალამე ყოფილიყო, ერთს მაინც ვაკოცებდი, რა წამოწეული და მკრთალი ტუჩები ჰქონდა. არა, რას ვამბობ! რანაირად ვაკოცებდი, კოცნამდე რაღაც ხომ უნდა უთხრა. კიდევ კარგი, შუალამე არ იყო და ხალხი დადიოდა ქუჩაში.

— რომ წაეწეულიყავი და იმ წუთას ეთქვა: შე კრეტინო, რას შერებიო, ხომ ვიქნებოდი მართლა კრეტინი! არა, არა, ყოჩად მე, რომ არ ვაკოცე. მაგრამ რა უცებ კი დავები!..

— ვახო, რა მოგივიდა?

— თემოს გაუმარჯოს! თემო, ჩემი ძმა არა ხარ?

— რა მოგივიდა?

— კაცო, ჩემი ძმა თუ ხარ-მეთქი?

— ჰო, ვარ!

— წამო, დამალევიწე.

— დავლიოთ, გენაცვალოს ჩემი თავი...

თემოს წამოსიებული, წაბლისფერი თვალები აქვს, წარბები, შეიძლება ითქვას, სულ არა აქვს. ლიმნისფერი წამწამები თვალებზე ხუფივით ახურავს, მთასვლელის ვეება წალებს იცვამს, დიდი მტკაველი აქვს და ყველას აზომებს— იმ ოთხშაბათს, უნივერსიტეტთან, ვიღაცა ცხენივით ტიპი დაინახა და იმ წუთში იმისაკენ გაექანა: ჩვენი ძმა, მოდი რა, მტკაველი დავაზომოთო... დაატოლეს და თემომ აჯობა. პარასკევსაც შეამჩნია ერთი მოდლღეზილი ტიპი და მოურიდებლად ფეხის ნომერი ჰკითხა. თემოს ფეხს რომ დახედა, იმ კაცმა გაცივებით გაუღიმა და თემოს გაუხარდა...

თემომ მეორე კურსზეა და სტიპენდია არა აქვს; ფიზკულტურა არ ჩაუთვალეს. ფიზკულტურას საერთოდ არ უთვლიან. თემომ სულ გაცივებულია, წელში როგორ იხრებიან ისე, რომ ხელებს მიწაზე ადებენო. თემოს არც მამამისი აძლევს ფულს მაინცდამაინც, მაგრამ პლენხანოვის გამზირზე რომ რუსული მოზარდმაყურებელთა თეატრი, იმის გვერდზე ხომ არის საყვავილე; საყვავილეს გამგედ ხომ მუშაობს სილოვან ჯაბუა; — მუშაობს; — ჰოდა სილოვან ჯაბუა თემოს ბიძა გახლავთ.

— შენ აქ დამიცა, — მითხრა თემომ და შვიდი კიბე ჩაიარა სარდაფში, მერვესთან მოიღუნა და ჩაძვრა. ცოტახნის მერე ამოვიდა და ასე მითხრა: — ჩემს სიცოცხლეში პირველად მითხრა უარი მაგ წუწურაქმა.

მთელი ღამე ერთად დავდიოდით მე და თემომ, მე თითქოს გადამავიწყდა კიდევ ყველაფერი. უკვე ძაან გვიანიაო, მითხრა თემომ და მეც ავუყვიე ჩემს აღმართს.

ჩუმად გავაღე კარი, ჩუმად შევედი ოთახში. მაგიდაზე რძე და შავი პური დამხვდა, კარაქქსამული. მე პურს კარაქი მოვაშორე და შევქამე.

იმ ღამეს წვეთი არ მიძინია და ჩუმად ვმღეროდი: მარინე, მარინე, მარინე... გათენდა თუ არა, დედაჩემმა მომახალა: წუხელ ვიღაცამ დაგირეკა და ასე მითხრა — ქალბატონო, ჯერ კიდევ არ მოსულა ვახტანგიო? ვინა ხარ-მეთქი, და მეგობარი ვარო.

თორმეტ საათზე დავურეკე მარინეს, ორზე კინოში შევედი.

ვინ ჯანდაბა უყურებს კინოს, მე ცალი თვალი სულ მარინესაკენ მაქვს; თუ გამომხვდა ჩუმად, — ხომ კარგი, მეც გავხედავ უცბათ და გავუღიმიებ; თუ არა და ვარ ასე გამოშტერებული და ველი, როდის გამომხედავს ჩუმად მარინე.

ისევ მთავრდება კინო, ისევ გამოვდივართ მე და მარინე და, პუშკინის წინ რომ ბუღლოზერივით სახლია, იქამდე ფეხით მივდივართ; ფეხით მივდივართ ოცდაათხუთმეტ წუთში, ორი საათი შესასვლელთან ვსაუბრობთ. ვსაუბრობთ ყველაფერზე, ადამიანზე, ხეებზე, ტრამვაებზე. მარინეს ომი საერთოდ არ ახსოვს, მე ცოტათი მახსოვს. მე ის მახსოვს, ბიძაჩემი რომ წავიდა ომში. ბიძაჩემი დაიკარგა, კი არ დაიკარგა — მოკლეს, და ბებიამ არაფერი იცოდა. ჩვენ ხომ არ ვეტყოდით. შემოდგომაზე ბოშა ქალები ამოდიდოდნენ სოფელში — ფეხშიშველა ბოშა ქალები კარტებითა და ჭრელ-ჭრელი თილისმებით; ურჩევდნენ ბებიას: ამ ოჯახში ვიღაც ახლობელზე წუხარო; კი, ბატონო, შვილია ომში წასულიო; ხო დედიკო, ჩვენ მაშინვე მივხვდითო. პამიდვრობისას მოვა შენი



შვილი, ყურძენი რომ კარგად დამწიფდება, მაშინ მოვო. ბებია ორ წველას ვეღარ ვეღარ და ერთ კეცია ჰქვამს მისცემდა ბოშა ქალებს და შვილს ელოდებოდა. ბოშები მადლობასაც არ იტყოდნენ, ისე გაგვეცლებოდნენ. ბოლოს ბოშა ქალები უფრო ხშირი სტუმრები იყვნენ ბებიაში, ვიდრე სხვა ახლო მეზობლები და მოყვრები.

მარინემ მითხრა, ერთი ოცდაათი წლის მეზობელი მყავს და ომის დროს ნავთის რიგში რომ მდგარა, ზურგზე და მკლავზე ნომრები ეწერა თურმე. ერთხელ „532“ წერებია.

- ეს ნომრები რაღაა, „კონცლაგერი“ ხომ არ იყო?
- ახლა მაინც არ მოხდებოდეს რამე უბედურება...
- არა, ახლა არ მოხდება.

გუყურებ მარინეს და მგონია, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე ვიცნობ მას. გუშინ დავურეკე მარინეს და დამპირდა, უეჭველად მოვალ. ვუთხარი. მარტო ვიქნები და არავისი არ შეგრცხვეს-მეთქი. მარინემ მითხრა, ძალიან კარგო. ახლა ვდგავარ ფანჯარასთან და ველოდები. რატომ იგვიანებს? თუმცა რატომ იგვიანებს, საიდან იგვიანებს, ჯერ ხომ ათი წუთი აკლია რვას, ათი წუთი რა უბედურება ყოფილა, რომ ვეღარ გაეცია ოთახიდან! აბა მარტო შენ და ის იყო და დედაშენს ელოდე შეიდ საათზე სამსახურიდან, თუ ექვსზე არ მოვიდეს დედაშენი — რა გახდა ამის დედაც ვატირე ეს წუთები...

მე ხან მეორე ოთახში გავდივარ, ხან ფანჯარას ვაღებ და ქუჩაში ვიყურები, ისე რომ გადავარდნაზე ვარ. მერე ისევ ებორიალობ ოთახში, მერე ისევ ბეწვზე ვედივარ ფანჯარაში. მერე ზარი რეკავს, მე ვაღებ კარს და მარინე უკან იწევა. უკან იწევა და ამბობს: — ვაიმე, მრცხენია, რას იტყვიან!

- არავინ არ არის, შემოდი...
- დაიფიცე!
- გეფიცები. შემოდი.

— ვაიმე, ვაიმე, სირცხვილია, — და მარინე შემოდის. მე ვხდი პალტოს და ოთახში შემყავს.

— მე ერთი ბოთლი ღვინო მაქვს შენთვის შინ, ვახტანგ. მე ისეთი ღვინო არასოდეს არ დამიღვია. დეიღამ მითხრა, ამ ღვინოს ალადასტური ჰქვიაო. მე შენთან ერთად მიღდა ის ღვინო დავლიო — ვაიმე, ვაიმე, როგორ შეგეჩვიე!

- კარგი, მარინე, კარგი... აბა ეს კონიაკი გასინჯე როგორია?
- გაგიმარჯოს, ვახტანგ.
- გაგიმარჯოს, მარინე.

— მე მიღდა, მეორეც ვიშოვო ისეთი და ისიც შენთან ერთად დავლიო. მე არა ვსვამ ღვინოს, მე ერთ ჭიქას დავლევ...

მეათე კლასში ამოცანების გამოყენა მიჭირდა ხოლმე, მერე უცებ შენზე დავიწყებდი ფიქრს. დავიწყებდი ფიქრს, და ღმერთმანი, შენ მშველოდი. შენ ყოველთვის მშველოდი სწავლაში. ისე მინდოდა შენთან ცყოფილიყავი, ისე მინდოდა შენთან ცყოფილიყავი...

ერთხელ ქაშუეთთანაც გნახე, ტყავის მოკლე ქურჭი გეცვა, ისე ხმამაღლა იცინოდი, ისე ხმამაღლა, რომ მე შემრცხვა. ხხეები არ გაქცევდნენ ყურადღებას და არც სცხვენოდათ. მერე კიბეზე ახვედი და ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა ნახე, ალბათ ნახე, მე ხომ ვერ შემოგყვებოდი. მე ძალიან მინდოდა შემოსვლა — ვაიმე, რაებს ვყვები, მეტი აღარ დამალეინო რა, ვახტანგ...



— ორი ჭიქა კონიაკი არ ათრობს კაცს, მარინე, თითო ჭიქა ოცგრამიანია, მაგრამ შენ მაინც ნუ დაღევ...

— ხო, ხო, მეტს ნულარ დამალევინებ.

— ნუ დაღევ, მაგრამ კიდევ მიაძებ რაიმე, თუნდაც ტყუილი იყოს, მიაძებ, მარინე.

— მე ტყუილი არ ვიცი. შენ, ვახტანგ?

— მე ხანდახან ვტყუი...

— მოგიტყუებია ვინმე?

— არა. მითხარი რამე, მითხარი.

— კიდევ შენზე ამბობდნენ, ვახტანგი სულ სიყვარულზე წერს, სულ კეთილ აღამიანებზე წერს, შრომა უყვარსო და მეგობრებზე, ასე ამბობდნენ. მე მიხაროდა, რა ჩემი საქმე იყო და მაინც მიხაროდა.

ვახტანგ, იცი რა? მე მინდა ინგლისურად ვთარგმნო შენი მოთხრობები, ხომ მომიხმარები, ვახტანგ? მე შენ ინსტიტუტშიც ძალიან მეხმარები, მე შენ საერთოდ ძალიან მშველი.

თუ მართლა ოცი გრამი ჩადის ამ ჭიქაში, მაშინ ერთ ჭიქასაც დაღევ: მე არასოდეს დამილევია კონიაკი სამი ჭიქა. ერთი ჭიქა კი, არა, ორიც დამილევია, მაგრამ სამი არასოდეს. ღვინო ერთი ღიღი ჩაის ჭიქაც დამილევია დაბადების დღეზე.

ისევ შენ გაგიმარჯოს, ვახტანგ!

მარინეს თვალები უფრო გაუცისფრდა, იგი უფრო ბევრს ლაპარაკობს და მე მსიამოვნებს, რომ ბევრს ლაპარაკობს.

— მე მინდა, რომ შენ სულ მე გიყურო. მე მინდა, რომ შენ ბევრი ილაპარაკო და მე გისმინო; კიდევ გაგიმარჯოს, მარინე, შენ ძალიან კარგი და საყვარელი გოგო ხარ, დიდხანს იცოცხლე, მარინე.

— შენ თვითონა ხარ საყვარელი და სანდო. ვაიმე, ვაიმე როგორ შეგეჩვიე, სხვანაირად ნუ მიიღებ, რა! მე თუ გინდა აღარასოდეს მოვალ — მე შენ განგებ გადმოგაწოდებ ფული მაშინ. მე შენ დიდი ხანია გიცნობ, მე შენ მესხეთშიც გნახე, ძალიან მთვრალი იყავი, ცხენზე იჯექი და თითქოს ცხენი იყო მთვრალი, შენ სადავეს ვერ იჭერდი.

მე როცა გოგასთან ვიყავი დღეობაზე, შენს მოთხრობებს ვაქებდი. გოგამ თქვა შენზე, ტრაბახაო, ციცნამ თქვა ლოთიო — ღვინო უყვარსო. მე მეწყინა და იმიტომ გკითხე კინოში, ღვინოს თუ სვამ-მეთქი. უარი რომ მითხარი, გამიხარდა. მე ციცნა არ მიყვარს. იგი ჩემზე ლამაზია, მაგრამ შურიანია და შენც არ უყვარხარ — ერთხელ ქუჩაში ამირიო; კი, აბა, მამა უცხონდება, ძალიანაც უნდა რომ აურიო, მაგრამ არ გამოუვა.

როგორ შეგეჩვიე, არა, ვახტანგ?

ორმოცდაორში მამა აქ იყო ცოტახანს, მამას დიდი ცისფერი თვალები ჰქონდა და სქელი ფეხები. მამა მაშინ ოცდაორი წლისა იყო. შენც ხომ ოცდაორი წლისა ხარ, ვახტანგ?

მამას დედა არასოდეს არ მოუტყუებია.

— მე არასოდეს არ მოგატყუებ, მარინე, მე არსად არ წავალ, მარინე, — მე სულ შენთან ვიქნები, მარინე.

— ნეტა არსად არ წახვიდე, ვახტანგ. თუ წახვალ, მეც თან წამიყვანე.

— ხო, ხო, შენც წაგიყვან.

— ციცნაც წაგიყვანოთ, ციცნა ცუდი გოგო არ არის, იგი არც შურიანი არ არის, ეს მე ვიყავი ეჭვიანი. ხომ წაგიყვანოთ, ვახტანგ?

- წაეყვანოთ.
- ჩემი დაბადების დღე რომ იქნება, გოგაც დავპატიჟოთ, ის მართლა ტრაბახაა, ხომ, ვახტანგ?
- არ ვიცი, მარინე, მე შენ, ვიცი, რომ თანდათან გეჩვევი. კი არ გეჩვევი, მე შენ ამაღამ არ გაგიშვებ შინ, მარინე.
- არა, ამაღამ წავალ და დედას ვეტყვი, რომ შენ ხვალიდან შინ აღარ გამიშვებ, ახლა გამიშვი, ხომ, ვახტანგ.
- ცოტა ხანს კიდევ დარჩი. მარინე, დედა სულ იმას მეუბნება. შენს შვილს მომასწორო, სანამ ახალგაზრდა ვარო.
- შენ ძალიან კეთილი ბიჭი ხარ, ვახტანგ.
- ცოტა ხანს კიდევ დარჩი, მარინე...
- არა, მე დედა არასოდეს მომიტყუილებია... გამაცილე, ვახტანგ, დღესავით ღამე იყო, მე ისეთი ღამე არასოდეს არ მინახავს თბილისში...



გაბრიელ ჯაბუშანი

მ თ ა

მთა იგი ისევ იგივე დარჩა,
რომ მახსოვს ჩემი ბავშვობის ხანად, —
მაისში იცვამს უჭრელეს ფარჩას,
ზამთარში იცვლის უთეთრეს ხალატს.

ეს მხოლოდ მე ვარ — რომ შევიცვალე,
სიჭაბუკე რომ ვაქციე სიყმედ,
მერე რომ ვიქმენ ჭარმაგთა ცალი
და აი, ახლა სიბერეც ვიძმე...

მხარ-ბეჭს უზღეჩავს იგივე ხეები,
მკერდიდან იმავე ნაკადებს უშვებს;
ზამთარი თუ ჰგვემს ზეაეთა ხელებით,
ზაფხულში წყლულებს სწრაფად
იშუშებს.

დრო მალე დამჯრის სიკვდილის
დარჯაკს
და კუბრის კუბოს დამიდგამს ჯამად...
ის მთა კი ისევ იგივე დარჩა,
როგორც მახსოვს ბავშვობის უმად.

ჰიმნი სიცოცხლეს

დიდება შენდა, სიცოცხლევ დილო,
შენ ვერ გაშინებს შენივე ჯვარცმა,
შენა ხარ დიდი იმედის დედა, —
მარად ყოფნას ჰყეფ არყოფნის
ნაცვლად!
ყველა სულჩადგმულს სიკვდილი
უცდის,
მაგრამ ყოველი მწერი თუ მღილი,

კაცი თუ მხეცი, თევზი თუ უსხი
ფიქრობს: — აცდება არყოფნის
ჩრდილი!
მეც აღსასრული არ მწადს ვიცოდე,
არა მწადს მწამდეს: — ვიქციევი
ნაცრად.
დიდება შენდა, დილო სიცოცხლევ,
შენ ვერ გაშინებს სიკვდილი, ჯვარცმა!

ავახმე, მგონი ვბერდები,
გულო, გოლგოთას ამოხველ...
თითქოს არყოფნას ვბარდები,
საით გავექვე ამ ოხერს...

სალო, შენს ახლო ვიქნები,
თუნდაც უტყვი და უგულო!

შავ ქარაფს შავეხიზნები,
შორს ჩემგან, კვლომის უკუნო!

მხოლოდ არ მინდა: მიწის ქვეშ
თვალს სივრცე გადავუხურო,
დე, კლდესთან კისერს ვიწვდიდე
და მთების ზეცას ვუყურო!





ნახატი დ. ერისთავისა

მანქანიდან ორნი გადმოვიდნენ, შვეკაბიანი ქალარა ქალი და ტაქსის შოფერი.

- თქვენ ნუ შეწუხდებით,—უთხრა ქალმა.
- არა, რას ბრძანებთ... მიგაცილებთ...
- გმადლობთ,—თქვა ქალმა,—გმადლობთ, შეილო...

- ჩამოჯექით ქვაზე...
- ეს ქვა არ არის, ეს საფლავის ლოდია...
- განა ერთი და იგივე არაა?
- არა, ქვა მძიმეა...

ქალი საფლავის რკინის მესერს იდაყვით ჩამოეყრდნო.
 — მძიმეა...

ქალი უაზროდ უყურებდა, თითქო თვალეები შუშისა ჰქონდა. საფლავზე დამკნარი ყვავილები ეყარა, ცოტა იქით—გაყვითლებული გვირგვინები.

ბილიკზე ქალი მოდიოდა. მხარზე გადებულ ჯოხზე წყლით სავსე კასრები ჩამოეკიდა. წყალი მღვრიე იყო, თიხისფერი.

„საფლავებს უელის... ყოველდღე მოაქვს წყალი“...

ჭორფლიანი ქალი დაღლილი ჩანდა. სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. ფეხებს განგანზე ადგამდა და კასრიდან გადმოღვრილი წყალი კაბას უსველებდა. სველი კაბა ტანზე ეკვროდა და ისე მოდიოდა, თითქო მუხლებით რალ-ცას მიიმეხს მოაგორებდა.

„პური იმ ქვეყნიდან...“ რატომღაც გაეღიმა. ჭალარა ქალი კვლავ უაზროდ მიმტერებოდა...

- დაიღალეთ?
- არა, არ დავღლილვარ...
- ცხელა...
- დიახ, ძალიან ცხელა...
- ჩამოჯექით ლოდზე...
- არა, ასე ვიდგები...
- თუ გინდათ მე წავალ, იქით დაგიცდით...
- იყავით, ასე ჯობია...

ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოსრისა და პირში ჩაიღო, მერე ასანთს დაუწყო ძებნა... „მანქანაში დამჩია“...

- აჰა, ასანთი...
- ქალმა ჩანთა გახსნა და ასანთი ამოიღო.
- გმადლობთ.
- ქალმა ახლა პაპიროსის კოლოფი ამოიღო:

— მეც მოვწევ...
თუთუნის კვამლი ქალის თმის ფერი იყო: მთლად თეთრი არა, ოდნავ ცისფერში გადასული თეთრი...

- ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ, მერე ქალმა ჰკითხა:
- რამდენი წლისა ხართ?
- ოცდაათის...
- თქვენ ტოლები ყოფილხართ...
- ვინ ჩვენ?
- ჩემი შვილი და თქვენ... ის ახლა სწორედ ოცდაათისა იქნებოდა...
- „ტოლები?“

სიგარეტი მოქაჩა და გვერდზე გაიხედა. ჭორფლიან ქალს კასრები მიწაზე დაედგა და, დოინჯშემოყრილი მძიმედ სუნთქავდა.

„ყოველდღე ასე... თუმცა მერე სხვა მოიტანს წყალს...“

— ჩემს შვილს მიწა უყვარდა... ბევრს უყვარს მიწა, მაგრამ მას განსაკუთრებით უყვარდა... პატარა რომ იყო, სულ მიწას თხრიდა, სახლებს აშენებდა, გვირაბები გაჰყავდა... რომ წამოიზარდა, ნამდვილი გვირაბის გაყვანა დაიწყო. მივდიოდი და ვუყურებდი... ძალიან ბედნიერი იყო...

- ქალმა ჩაიჩოქა, საფლავის გორაკს ხელი გადაუსვა:
- თითქო მიწა გაიზარდა, ნახეთ, როგორ გაიზარდა მიწა...
- მე წავალ, იქით დაგიცდით...
- ჰო, წადით...

ბილიკს ჩაუყვა და კვიპაროსების ჩრდილში გაჩერდა. უნებურად საფლავებზე წარწერების კითხვა დაიწყო: „კბილის ექიმი...“ „დოცენტი...“, „ძვირფას მამას, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, შვილებისაგან...“

„კაცმა არ იცის, ჭირდება თუ არა სიკვდილს შენი დოცენტობა...“ რატომღაც თავისი ამხანაგი გაახსენდა. სკოლაში ერთად სწავლობდნენ, მერე დი-



დი ხნით დაშორდნენ. ერთხელ რაღაც საქმეზე მიაკითხა. კარზე მინამწკრივით დააკაკუნა. ღი აბრა დაინახა. აბრაზე ეწერა: „უფროსი მასწავლებელი“... ზარი აღარ დაურეკავს, ცივად გამობრუნდა.

„რა უცნაური ქალია, როგორ ლაპარაკობს?“

უცებ ქალის ხმა შემოესმა:

— თუ შეიძლება, მოდი თქვენთან...

ქალი საფლავთან დაჩოქილიყო, მკლავები, მკერდი და მხრები მიწით ჰქონდა მოსვრილი.

— რა გქვიათ?

— გოგი...

— წავიდეთ, ისედაც ბევრი გალოდინეთ...

ლალიძის წყლებთან სტვენით გააჩერეს. სამნი იყვნენ, წეროებივით აწოწილები. მანქანაში ჩასხდნენ თუ არა, უცებ გაუშინაურდნენ.

— შენი ტაქსიც ნიშნებს ხომ არა სწერს? — იკითხა ერთმა.

მეორემ ასანთი სთხოვა.

მერე სამივეს უცბათ დაავიწყდა ის და ადრე დაწყებული საუბარი გააგრძელეს...

— შენ რა ჰქენი?

— პირველივე გამოცდაზე ჩავიჭერი...

— რომელ საგანში?

— ქიმიკში...

— სახლში რა გითხრეს?

— სახლში არ მივსულვარ, ლია წავიყვანე ფუნულორზე...

— ტობე გოგო კია...

— ჰო, ტობეა...

— ავღებები და გაგრაში წავალ, — თქვა ერთმა ნაღვლიანად.

— გაგრაში ადრეა... ხალხი გვიან ჩამოდის...

— იქ კი არ გავჩერდები, წავალ სადმე...

— მაინც ადრეა, ახლა მოსკოვში წასვლა ჯობია, კარგ ფეხბურთს ნახავ.

— მაგას დიდი ფული უნდა...

— ფულიც მე მადარდე...

— თუმცა სულ დამავიწყდა, მამაშენი ხომ მწერა ლია...

— მართალი გითხრა, ძალიან მოსაწყენ რაღაცეებს კი წერს...

— ისე კარგი ტიპია, სულ იცინის...

— აი, აქ გავვიჩერე...

მერე ხურდა ფული მოუგროვეს, მიაწოდეს და დაუბარეს:

— მოქალაქე მძღოლო, დაიცავით მოძრაობის წესები...

ხურდა ფული ხელისგულზე ეყარა და უყურებდა. რატომღაც ეჩვენებოდა, რომ ლითონის ფული მსუბუქი იყო.

ნუთუ მართლა ასე უდარდლები არიან? რა უცნაურად იცინიან? წინათ არსად არ გაუგონია ასეთი სიცილი... იქნებ არც იცინიან... იქნებ...

ცხელოდა... ქუჩა თითქმის ცარიელი იყო...

„მე ჩემი საქმე მაინცა მაქვს, ავია თუ კარგია, ვიცი, რომ რაღაცას ვაკეთებ...“

ფული ჯიბეში ჩაიყარა და მანქანა აამუშავა.

ცხელოდა...

ფული ზოგჯერ ვარდისფერ საპნის ბუშტსა ჰგავდა, რომელიც ეს-ესაა გა-
შუშვა მსუქანმა, ლოყებდაუღაჟა კაცმა. ზოგჯერ კი თითქოს იცინოდა, კისკისებ-
და, მხიარულობდა. ზოგჯერ მძიმე იყო და მნიშვნელოვანი, როგორც პური,
ანდა მიწა... ზოგი ფულს აფრიალებდა, ათამაშებდა. ზოგი იტანჯებოდა და ისე
იღებდა ჯიბიდან. ზოგი ცხვირსახოცში ჰკრავდა და უბეში ინახავდა. ზოგს
დათვლილიც არ ჰქონდა, ისე იყრიდა ჯიბეში. ზოგი კი ითვლიდა და წვალობ-
და, თითებს ისველებდა და თან თვალებში შემოგცქეროდა—ხომ არ მატყუ-
ებსო...

—ფული ბევრს უყვარს,—იტყოდა ხოლმე დედა,—მაგრამ ცოტამ იცის
მისი მოხმარება...

საფლავების მომლელი ქალი ფულს თიხის ყულაბაში ინახავდა. ყულა-
ბას ბზის გამხმარი ტოტები ჰქონდა აფარებული. ამ ყულაბის არსებობა არავინ
იცოდა. თუმცა ვის უნდა სცოდნოდა—ქალი მარტოხელა იყო. სტუმარიც იშვი-
ათად თუ შემოვიდოდა. ხანდახან სტეფანე მესაფლავე შემობაჯბაჯდებოდა და
მოიკითხავდა, ეს იყო და ეს... სხვას არც არავის იცნობდა... სტეფანე მესაფლავე
ხანში შესული კაცი იყო. თავის დროზე ცოლი არ შეერთო და ახლა სიმარტო-
ვეში აღამებდა თავის ცხოვრებას.

— გრძელი ყოფილა წუთისოფელი,—იტყოდა ხოლმე სტეფანე,—აღმართს
ჰგვანებია.

მისი სახლიც სასაფლაოს განაპირას იდგა. პატარა ეზოში ატმის ხე დაერ-
გო. ატამი რომ აყვავდებოდა, სტეფანე სკამს გამოიტანდა და მის ძირში დაჯ-
დებოდა. იჯდა ასე მთელი დღე, გაზაფხულის მზით მოთენთილი და გარინდ-
ებული. პაწაწინა ვარდისფერ ყვავილებს უყურებდა. ატამი ცოტა ხანს ჰყვავოდა
და სტეფანე სინანულით უტყქერდა დაუშნობებულ ხეს. როცა საფლავს თხრიდა,
ცას ახედავდა ხოლმე. საფლავიდან ცა ძალიან პატარა ჩანდა და განთიადზე
ატმისფერი გადაჰკრავდა. ზოგჯერ საფლავის თხრას რომ მორჩებოდა, შიგვე
გაიშოტებოდა და პაწაწინა ცა თავზე დაადგებოდა. იმდენჯერ უნახავს ატმის-
ფერი ცა, რომ დარწმუნებული იყო, მკვდარი რომ ვიქნები, მაშინაც უსათუოდ
დავიანხავო. ამ იმედს ჩუმად ინახავდა და არავის უმხელდა.

— თებრო, ჰაი, თებრო,—ეტყოდა ხოლმე ქალს სტეფანე,—ატამი ჰყვავის,
ქალო...

თებრო ეზოში გაიხედავდა, ხელს ნიკაბთან მიიღებდა და თავს გვერდზე
გადასწევდა:

— რა ლამაზად ჰყვავის, ქა...

თებროსაც უხაროდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ უხაროდა ასე ძა-
ლიან... უხაროდა, მაგრამ არც კი გაიღიმებდა, მის სახეზე ღიმილი უკვე ღიდი
ხანია აღარავის უნახავს...

ქალმა ყულაბა ორივე ხელით აიღო და ყურთან შეანჯღღრია. ფული ყრულ
ჩხრილებდა, ალბათ იმიტომაც, რომ ყულაბაში ქაღალდის ფულიც ეყარა.

„რამდენი იქნება ნეტავი?...“

მერე ყულაბა დადგა და ბზის ტოტები ააფარა. ოთახს მიწის იატაკი ჰქონ-
და და ზაფხულში ყოველთვის გრილოდა. თებრო ხანდახან წყალსაც მოასხამდა
მიწას და კიდევ უფრო აგრილდებოდა. ოთახში ერთი ღიდი ტახტი იდგა. ტახ-

ტზე ჰრელი ფარდაგი ეფინა და წითელი მუთაქა იღო. კედელთან დაბალი კარადა იყო მიყუდებული. კარადას ფეხები მომტვრეოდა და მის ნაცვლად აგურის ნამტვრევები შეეყენებინათ. ოთახს ჰერი არ ჰქონდა და რომ აიხედავდი, კრამიტები მოჩანდა. კედლები შეუღესავი იყო, ეტყობა, სახლი ნაჩქარევად აეშენებინათ.

თებრო კედელთან მივიდა და სურათს შეხედა.

„ათი წელი, შე უბედურო... ათი წელი...“

სურათზე დოინჯშემოყრილი კაცი იღიმებოდა. კაცს ვარსკვლავიანი ჩაჩი ეხურა და მახარაზე, მკერდთან, უზარმაზარი ბაბთა მიემაგრებინა.

„ათი წელი... პავლე, შე უბედურო... ათი წელი...“

ნუთუ მართლა ათმა წელმა გაიარა მას შემდეგ? დრო რამეს წამოდებულ ნაქსოვივით გამოირღვა, გამოირღვა და დაილია... არც კი გაუგია. თუმცა არც დაფიქრებულა, არც კი უკითხავს, დღეს რა რიცხვიაო... არსად არ ეჩქარებოდა, არავის არ ელოდა... დღეს სტეფანემ რალაცაზე ახსენა პავლე და მერე თებროს მიუბრუნდა:

— ცოდო ხარ, გოგო, ათი წელი სულ მარტოდმარტო...

სტეფანეს ყველაფერი ახსოვს. არაფერი დაავიწყდება... მაშ ნამდვილად ათმა წელმა გაიარა?.. თითქოს გუშინ მოხდა ყველაფერი, გუშინ და არა ათი წლის უკან. თუმცა მის მერე თებროსათვის ყველაფერი გათავდა. იქნებ სტეფანეს ეშლება და მართლა გუშინ მოხდა ყველაფერი... ათი წელი... არა, ნამდვილად არა... ან დრო სრულებით არ გასულა, ანდა ათი კი არა, ასი წელი გავიდა... ათი წელი ხომ ბარაბას მიუსაჯეს. მაშ, ბარაბა დღე-დღეზე გამოჩნდება?

მაშინ მაწონი და რძე წყნეთიდან სახედარზე აკიდებული ჩამოჰქონდათ. თებრო ობოლი გოგო იყო და ბიძა სამადლოდ ზრდიდა. ხანდახან ალიონზე წამოაგდებდა და სახედარს გამოაყოლებდა თბილისში. თებრო ფეხსაცმელებს ხურჯინში ინახავდა. ქალაქს რომ მიუახლოვდებოდა, მაშინ ამოიღებდა და ჩაიცვამდა. ქალაქი ძალიან დიდი იყო. თებრო ტრამვაის ხაზს გამოჰყვებოდა და უნივერსიტეტს რომ გამოსცდებოდა, აღმართს შეუყვებოდა. იქ ჰყავდა მუშტარი და იმ უბნის გარდა სხვაგან არსად არ წავიღოდა. შუა ქუჩაში მიდიოდა და თან მაღალ სახლებს ათვალეირებდა.

— მაწონი! მაწონი!..

თებროსაგან მაწონს ბევრი ყიდულობდა.

— დეიდა მარო, მაწონი! — იძახდა თებრო.

გაჩეჩილი დეიდა მარო აივნიდან გადმოიხედავდა, თან მხრებზე წამოსხმულ ხალათს ისწორებდა და ებუზღუნებოდა:

— რა გაყვირებს გოგო...

— დეიდა კატო, მაწონი!..

დეიდა კატო უკვე დიდი ხნის ამდგარი იყო. პირიც დაბანილი ჰქონდა და თმაც ლამაზად დავარცხნილი. ფანჯარას გამოაღებდა და ღიმილით ეტყოდა:

— კინალამ გაგასწარი...

დეიდა კატო აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობდა და ერთხელ თებროს უთხრა, ხომ არ გინდა იქ წავიყვანო. თებრომ რომ შეიცხადა, დეიდა კატომ სიცილით უპასუხა:

— რამ შეგაშინა, გოგო, იქ სულ შენისთანა კარგი გოგოები მუშაობენ...

— დეიდა მერი, მაწონი!

დეიდა მერი პაპიროსს სწევდა. გახსნილ საკინძედან ჩამომჰქნარი მკერდი

მოუჩანდა. ყელზე, მაჯებსა და თითებზე უამრავი სამკაული ჰქონდა ასხმული. ქილას უხმოდ ჩამოართმევდა, რატომღაც უსუნებდა და დაიჰყანებოდა.

— აჩი, ვირო, აჩი...

მეფხოვეები ქუჩებს გვიდნენ... ხალხი სამსახურში გარბოდა...

— მაწონი!.. მაწონი!..

მაშინ რა იყო თებრო? ერთი სულელი, ცეროდენა გოგო, რომელსაც ამ ქვეყნისა არაფერი ესმოდა. ყველაფერი უხაროდა და ასე ეგონა, ეს ქვეყანა იმიტომ იყო გაჩენილი, რომ მას ეთამაშნა და ეკისკისა, სოფლის გზაზე ასკინკილით ერბინა და გაზაფხულზე იები დაეკრიფა; მთვარისთვის აბაზიანი ეჩვენებინა და წვიმის წყლით თმა დაებანა. ეს იყო და ეს. ჰო, ხანდახან სახედარს გამოაყოლებდნენ ხოლმე თბილისში. მაწონს გაჰყიდდა, ხურჯინს პურიტ გატენიდა და ბიძისათვის ერთ ბოთლ არაყს იყიდდა, რადგან წყხეთში არც პური მოდიოდა და არც ვენახები ჰქონდათ იქაურ გლეხებს.

თებროს ქალაქი მარტო დილით ჰქონდა ნანახი. ამ დროს ქუჩებში ცოტა ხალხი იყო ხოლმე და თებროც თავს თავისუფლად გრძნობდა. შინდის სახრეს მხიარულად იქნევდა და თან წკრიალა ხმით იძახდა:

— მაწონი!..

ბარნოვის ქუჩა სულ მთლად დათხრილი იყო, წყალსადენის მილებს ცვლიდნენ. თებროს ამ ქუჩაზე ჰქონდა გზა, აქეთ უნდა გაევიღო. ვირმა ისე კოხტად გაიარა ორმოს კიდეზე, რომ თებროსაც გული მიეცა და მიჰყვა. სულ ცოტა ჰქონდა გავლილი, რომ მოესმა:

— გოგო, მოიცა, გოგო...

ბირველად მოხდა, რომ თებრომ დაძახებაზე არ მოიხედა. რატომღაც შეეშინდა და ნაბიჯს აუჩქარა.

— აჩი, ვირო, აჩი...

თან სახრეც გადაუჭირა.

— მოიცა-მეთქი...

და უცებ სახედარი ერთ ადგილას გაქავდა... გაიწია და ვერ წავიდა, კიდეც გაიწია და მაინც ვერა... თებრომ დაინახა, რომ სახედარისთვის ფეხში ხელი ჩავევლო ვიღაცას. თებროს ჯერ თხრილიდან ამოწვდილი ვეება მხარბეჭი ეცა თვალში, მერე კაცმა თავი მოატრიალა და ქვევიდან შემოჰკლიმა:

— რა მიგარბენინებს, გოგო...

— გაუშვი ხელი სახედარსა, თორემ...

— ნუ გეშინია, გოგო...

— გაუშვი-მეთქი, ვიღაცა ოხერი ხარ...

— რომ არ გავუშვია?..

— გაუშვი, თორემ... გაუშვი, თორემ...

და თებრო კინალამ ატირდა...

— კარგი, ჰო... აჰა, გაუშვი...

მაგრამ მაინც არ გაუშვა. სახედარი იღვა და წინა ფეხებს აბაკუნებდა, თან თავს იქნევდა, თითქოს უკვირდა, ეს ვის ხელში ჩავევარიო...

— აბა, მაწონი მომაწოდე...

— მაწონი კი არა, შავი ქვა არ გინდა?..

— მომაწოდე-მეთქი...

კაცს ხმა შეეცვალა, თითქოს ქვაზე დაცემულმა დანამ გაიჟღერიალა. თე-

ბრო შეერთა. მაშინ რა დაემართა, დღესაც არ იცის... მივიდა და ხურჯინიდან ქილა ამოიღო, ჩაცუქქდა და მიაწოდა:

— აჰა...

კაცმა სახედარს ხელი გაუშვა, ქილა ჩამოართვა და პირდაპირ მიიყუდა. ერთი ყლუბით გადაყლაპა ამოდენა მაწონი.

„დევია...“

მერე ხელი ჯიბეში ჩაიყო და ქილას ფულიც გამოაყოლა:

— გაიზარდე...

თებრომ სახეში შეხედა კაცს. ხმელი, მზით დამწვარი სახე ჰქონდა. წარბები ერთმანეთზე გადაბმოდა და თვალები უცნაურად უბრწყინავდა.

— რა გქვია, გოგო?

თებრომ არ უპასუხა. წამოდგა, ქილა ხურჯინში ჩადო და სახედარს ცრემლმორეული ხმით გაუჯავრდა:

— აჩი-მეთქი, შე სამგლე...

რა იყო ის დღე, თებროს გული რომ კვირტივით გახეთქა და ააყვავა? გული ორივე ხელით ეჭირა და უხაროდა, მის ფეთქებას რომ გრძნობდა. გული კი ძალუმად უძგერდა და მასთან ერთად თითქო სამადლოს მწვენი მინდვრები, ბეთანიის ტყე და კისერგაწვდილი, ყვითელი გორაკებიც თრთოდნენ.

თებროს სახლში რა გააჩერებდა? ახლავე მოვალო, დაიბარა და გზას ზევით აპყვა. ასე ეგონა, რომ ქვეყანას მკერდი გაეხსნა და თვითონ ზედ წვიმასავით მსუბუქად მიირწეოდა.

გული... ოი, რამხელა გული ჰქონია, რამოდენა ხმით ბაგუნობდა მკერდში? „თებრო, შე საცოდავო თებრო, — ეჩურჩულებოდა ვიღაც, — ვინ ავიხილა თვალი, გოგო? ვინ ჩაგძახა დაყრუებულს და გაგაგონა კიდეც? ვინ... ვინ?...“

„— ვინ? — თებრო იღიმებოდა, — ვინა და იმან...“

სახელი არ იცოდა. თუმცა სახელი რად უნდოდა?

გზა არ თავდებოდა... გზა ძალიან გრძელი იყო... მიდიოდა და თებროც თან მიჰყავდა.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ობოლი გოგო...

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბოროტი დევი...

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დევზე ღონიერი კაცი...

და ერთხელ დევმა მოიტაცა ობოლი გოგო...

იჯდა გოგო გამოქვამულში და დევს ვახშამს უმზადებდა:

ამ დროს შემოვიდა დევზე ღონიერი კაცი და ჰკითხა:

— რა გქვია, გოგო?

„რა გქვია, გოგო...“

„რა გქვია, გოგო...“

ფეთქავდა გული.

კაცს წარბები ერთმანეთზე გადაბმოდა და თვალები უბრწყინავდა. ღუმდა და თებროს უყურებდა. თებრო ნელ-ნელა წამოდგა და მისკენ ნაბიჯი გადადგა: ერთი, ორი...

„ერთი... ორი...“

„ერთი... ორი...“

მაინც რამხელა გული ჰქონია?

— „თებრო, — ეძახდა ვიღაც, — დაბრუნდი, თებრო...“

— „ნეტავი შენა, — ნიშნისმოგებით ესიტყვებოდა თებრო, — ვერ მიეფრინავ...“

„მიეფრინავ...“

„მიეფრინავ...“

და მართლაც გზა ზღაპრულ ხალიჩასავით მიეფრინავდა. თებროს გული ხელით ეჭირა, მაგრამ ვერ აკაეებდა, რადგან გული ჰაერით გაბერილი ვარდისფერი ბურთივით მაღლა და მაღლა ადიოდა.

მეორე დღეს ბიძას სთხოვა, სახედარს გამაყოლეო. აბა ბიძა ამაზე უარს როგორ ეტყოდა და თებრომაც თბილისისაკენ გამოსწია. ჯერ ხალისით მოდიოდა. გული წინ გაუბრბოდა, ვეღარ ითმენდა. ბაგებთან რომ ჩამოვიდა, უცებ შეეშინდა. ჯერ არ შეიმჩნია, რადგან შიშზე არ უნდოდა ეფიქრა. „მერე რა მოხდა, გავივლი, უსათუოდ იქ ხომ არ დამხვდებაო“, — იფიქრა. მერე თავისივე ფიქრს შეედავა, როგორ არ დამხვდება, იმოდენა ორმოებსა თხრიან, ასე ადრე ვერ მორჩებოდნენ. ჰო, უსათუოდ დამხვდებაო, — გადაწყვიტა და სწორედ მაშინ ნამდვილად შეეშინდა.

„დაგხვდება, უსათუოდ დაგხვდება...“

„თუნდაც დამხვდეს... თუნდაც დამხვდეს...“

„დაგხვდება, უსათუოდ დაგხვდება...“

„მერე რა, მე ხომ მაწონსა ვყიდი?...“

„როგორ თუ მერე რა? დაგიძახებს...“

„დამიძახებს?...“

„ჰო, დაგიძახებს...“

„დამიძახოს რა...“

„დაგიძახებს და მოვა კიდევაც...“

„ნეტავი... მოვიდეს რა...“

„მერე და შენ რას ეტყვი?...“

„რა უნდა ვუთხრა?...“

„ეტყვი, თებრო მქვიანო?...“

„რატომაც არ ვეტყვი... ვეტყვი...“

„მაშ ეტყვი?...“

„ჰო-მეთქი...“

„მეტი არაფერი?...“

„მეტი რა უნდა იყოს?...“

„იქნებ შენც გინდა, რომ დაგიძახოს?...“

„მე?...“

„ჰო, შენ...“

„მე?...“

„ჰო, ჰო...“

„მინდა...“

„მერე და ასე თამამად მიდიხარ?...“

„მაშ მე თამამად მივდივარ?...“

„განა არა?...“

„თამამად... ჰო, თამამად მივდივარ... არაფრისაც არ მეშინია...“

„გცოდნია, რომ საშიშია...“

„ნეტავი საშიში რა არის?...“

„იქნება საშიშია და არ იცი?...“

„არ ვიცი?... როგორ არა, ვერ ხედავ, ჩემი ფეხით მივდივარ...“

„იქნება გამობრუნდე, ჰა?...“

„ნეტავი შემეძლოს და...“

და თებრო თავისი ფეხით ავიდა ბარნოვის ქუჩაზე. ავიდა და თითქო დაბანგულ ქვეყანაში შედგა ფეხი. ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმოდა. ვერც ნაცნობ სახლებს სცნობდა და ხმასაც ვერ იღებდა. სახედარი მიბაკუნობდა და თებროც უჩუმრა მისდევდა.

„აი, ახლა, აი, ახლა...“

ორმოს ისევ თხრიდნენ. თებრო თავჩაქინდრული მიუახლოვდა და მიწაყრილს რომ მიადგა, გაჩერდა. თავი მაღლა ასწია და მუშუმებს შეხედა. არავის არ მოუხედავს და არავის არ დაუძახია მისთვის. არა, ის იქ არ იყო... იქნებ ორმომი იდგა და თებრო ვერ ხედავდა? თებრომ ჯერ იფიქრა, გავივლი და წავალ, ყველაფერიც გათავდებო, მაგრამ ნაბიჯიც კი ვერ გადადგა.

„კი მაგრამ, რა უნდა გათავდეს?...“

„გეშინია?...“

— მაწონი!...

დაიძახა თებრომ.

— მაწონი!..

თან გულში ინატრა, ნეტავ ჩემმა მუშტრებმა არ გამოგონონო.

— დილა მშვიდობისა, გოგო...

თითქო ცა გასკდა და მსუბუქი და თავბრუდამხვევად ფერადი ფანტელგბით გაივსო ქუჩა... თებროს იქით არც კი გაუხედავს. იდგა და საღლაც იყურებოდა...

— დილა მშვიდობისა, — გაიმეორა კაცმა.

თებრომ მიიხედა: კაცი თხრილის კიდეს იდაყვებით დაყრდნობოდა და იღიმებოდა.

— დილა მშვიდობისა, — თქვა ჩუმად თებრომ.

კაცი ორმოდან ამოვიდა. კი არ ამოვიდა — კვამლივით წამოიშართა. რა მაღალი იყო მაინც...

თებროსთან მივიდა და ხელი მოჰკიდა. მოატრიალა და თვალეზში შეხედა:

— ასეთი კარგი ვისი ხარ?..

— ხელი გამიშვი...

თებრო გაიწია.

— რა გქვია? — ჰკითხა კაცმა ღიმილით.

— ხელი გამიშვი...

„რა მქვია და თებრო...“

— რა გქვია, მითხარი...

— თებრო მქვია...

მეტი თებროს არაფერი ახსოვს, ან იმან რა უთხრა, ან თვითონ რა უბასუხა... ახსოვს, რომ პავლეს აჩქარებული მისდევდა. პავლე გრძელი ნაბიჯებით მიდიოდა და თებრო სირბილით ძლიეს მიჰყვებოდა... სახედარი ერთ წყნეთელ დედაკაცს გაატანეს და თან ამხელა ამბავიც აჰკიდეს...

პავლეს ქალაქის განაპირას ედგა სახლი. სახლი ეთქმოდა, თორემ ისე ერთი პატარა ოთახი იყო, რომელიც პავლეს თვითონ აეშენებინა. აგური აგურზე უსწორმასწოროდ ეწყო და შეუღლესავი კედლები აქეთ-იქით ვადაქანებული ჩანდა. სასაფლაო მაშინ შორს იყო.

თებრომ პირველად რომ გამოხედა, მოეწონა კიდევაც: კვიპაროსები და მზეზე გაბრწყინებული გრანიტები. იქნებ იმიტომაც მოეწონა, რომ გახარებული იყო. პავლეს არც კი მოუხედავს, ისე შეალაჯა სახლში. თებრო კართან გაჩერდა. გაჩერდა და მუხლი მოეკვეთა: მეტი აღარ შეეძლო. კართან ქვა ეგდო. თებრო მივიდა და ზედ ჩამოჯდა. ხელები მუხლებზე შემოიჭდო და საცოდავად მოიბუხა.

„ნუთუ, თებრო, შენი ფეხით მოხვედი აქ?“

„თებრო, თებრო, შე უსირცხვილო...“

„მაშ, რა მექნა? რა მექნა-მეთქი?...“

პავლე გამოვიდა და მიწაზე დაჯდა. კედელს მიეყრდნო და თებროსკენ არც კი გამოუხედავს, ისე თქვა:

— აი, აქა ვცხოვრობ...

თებრომ ხმა არ გასცა. არც შეეძლო რაიმე ეთქვა, თითქო ლაპარაკი დაევიწყა. ანდა ლაპარაკობდა კი როდისმე?..

პავლემ ხალათზე ღილები შეიხსნა, ერთი ამოიხვნეშა და გარინდდა. ასე იცოდა მერცე: გარინდებოდა და ხმას არ იღებდა, იჯდა, რაღაცას ფიქრობდა. თებრო მონუსხულივით შესცქეროდა, თითქო ეშინოდა, მისთვის ფიქრი არ ღაერღვია. შორს სასაფლაო მოჩანდა. მზეში საიდუმლო და ზვიადი ელფერი გადაჰკროდა და გაშტერებული კვიპაროსები არ იძვროდნენ. კვიპაროსები თებროს ძალიან უყვარდა. წყნეთში ერთი ექიმის აგარაკის ეზოში იდგა კვიპაროსი. თებრო მივიდოდა და უყურებდა ხოლმე. რატომ ეგონა თებროს, რომ კვიპაროსი ფიქრობდა, ფიქრობდა რაღაცას გაუთავებელსა და მწუხარეს.

— თებრო, — თქვა პავლემ, — გინდა ეს შენი სახლიც იყოს?..

თებრო დედოფალათი რომ თამაშობდა, მაშინ ჰქონდა თავისი სახლი. დედოფალა ხისა იყო. თებროსავით გალუული და ჩამოკონკალი. დედოფალას მზია ერქვა და თებრომ არ იცოდა, უყვარდა თუ ეცოდებოდა მზია. თებრო მზიას არ იშორებდა და საქმეზე რომ გაგზავნიდნენ, თან წაიყვანდა ხოლმე. მუდამ კალთაში ეჯდა და არწევდა. „ეძინება მზიასა...“ მერე მზია იღვიძებდა, მაღალ, თეთრფარდებიან სარკმელთან მიდიოდა და აღებდა. მზიას ლელვის ფოთოლივით ფართო, მწვანე თვალები ჰქონდა. მზია იცინოდა და ოთახებში დარბოდა. ასეთი ოთახები თებროს ისევ იმ ექიმის აგარაკზე უნახავს. ერთხელ ბიძას დიდი სიცხე მისცა და თებრო ექიმთან აფრინეს. აგარაკს მაღალი მესერი ჰქონდა შემოვლებული. თებრომ ჭიშკარი შეაღო და გაჩერდა, რადგან უზარმაზარი ძალღი დაინახა. ძალღი კიბის საფეხურზე იწვა და მზეს ეფიცებოდა. თითქო ჭიშკრის ხმა არც გაუგონია, თავი არ აუწევია. თებროს რა ექნა, უკან გამობრუნებულიყო? არა, შინ რას ეტყოდნენ... თებრომ ნაბიჯი გადადგა. არაფერი, ძალღი არც კი განძრეულა. თებრო კიბესთან მივიდა და ფეხი საფეხურზე შედგა. არა, ეს ძალღი ნამდვილად სხვა ჯიშისა იყო. ორლობების ძაღლებს კი არ ჰგავდა... თებრომ კიბე აირბინა და ცარიელ დერეფანში შევიდა. სახლში ან არავინ იყო, ანდა ოთახში ისხდნენ. თებრომ ახლა ოთახის კარი შეაღო. დიდი, მზით გავსებული ოთახიც ცარიელი იყო. ცარიელი ოთახი თებროს მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ნახული, როცა მათი მეზობელი, საწყალი ძია სიკო მოკვდა და შვილებმა ბარგი დერეფანში გამოიტანეს. თებრო მაღალ, თეთრფარდებიან სარკმელთან მივიდა და ფარდა გადასწია. აქედან მთელი წყნეთი მოჩანდა. თებრომ ბიძის სახლიც კი დაინახა...

— ამას აქ რა უნდა? — მოესმა უცებ თებროს...

თებრო მოტრიალდა.

— აქ როგორ შემოხვედი?..

ოთახში მაღალი, სათვალეზიანი ქალი შემოსულიყო...

— მე... მე... ექიმი მინდა...

— მერე დაკაკუნება არ იცი?..

ქალი ძალიან მაღალი იყო...

— არავინ იყო და...

— აბა, წამოდი...

ქალმა თებროს ხელი ჩაავლო და გარეთ გამოიყვანა:

— არც ძალლი იყო?..

— ძალლი იყო... ეძინა...

— დეგენერატი...

— ბიძაჩემი ავად არის, — თქვა თებრომ...

— სამწუხაროა, მაგრამ...

— ექიმის დასაძახებლად მოვედი...

— ექიმს სძინავს...

— ძალიან დიდი სიცხე აქვს, — თქვა თებრომ...

— ექიმს სძინავს...

— მაშ, ვერ წამოვა?..

— სძინავს-მეთქი...

— დამაბარეს მოიყვანეო...

— აკბარ! — დაუძახა ქალმა ძალს.

ბულდოგი ნელა წამოდგა, უკანა ფეხები გაჭიმა და გაიზმორა.

მერე თებრო სულ ასე თამაშობდა: მზიას ეძინა. მზიასთან სხვა თოჯინები

მოდიოდნენ სტუმრად.

— მზიას სძინავს, — ეუბნებოდა თებრო.

— მზიას სულ სძინავს, — ამბობდნენ უკმაყოფილო თოჯინები. — მაშ, როდის აიშენა ამოდენა სახლი?..

— გინდა ეს სახლი შენიც იყოს? — გაიმეორა პავლემ.

— მინდა, — თქვა თებრომ, — მინდა...

პავლე წამოდგა და თებროს თავზე დაადგა:

— გინდა ჩემი ცოლი გახდე?..

თებრომ თავი კიდევ უფრო ჩაქინდრა, თითქო მხრებში ჩაილია და ჩაიკარგა...

— ხმა გამეცი...

თებრომ არ იცოდა, უნდოდა თუ არა, მაგრამ ერთ რამეს კი გრძნობდა: აქედან წასვლა არ შეეძლო...

— სახლი მინდაო, ხომ თქვი?..

— მინდა, — თებროს თავი არ აუწევია...

პავლე დაიხარა:

— შემომხედე, თებრო...

თებრომ თავი ასწია:

— არა, არა...

— რა არა, გოგო?..

— არა...

პავლემ ორივე მკლავში ჩაავლო ხელები და ფეხზე წამოაყენა:

— რა მსუბუქი ხარ, თებრო...

ასწია და მკერდზე მიიკრა...

— არა, — გაიბრძოლა თებრომ, — გამიშვი, გამიშვი...

პავლემ ხელი არ გაუშვა, თვალეში ჩახედა და ჩუმად თქვა:

— გათავდა...

— პავლე! — დაუძახა ამ დროს ვილაცამ. — პავლე!..

პავლემ თებროს ხელი გაუშვა, სახეზე ხელი ჩამოისვა და მოტრიალდა:

— რომელი ხარ?!

— მოდი ერთი მომეხმარე, კაცო, მანქანა თხრილში ჩამივიარდა...

— მოვდივარ, თედო, მოვდივარ...

მერე თებროს მიუბრუნდა:

— სახლში შედი, მალე მოვბრუნდები...

პავლე გვიან მობრუნდა. თებრო ისევ გარეთ, ქვაზე ჩამომჯდარი დახვდა. პავლემ შორიდან ხელი დაუქნია და თებრომ დაინახა, როგორ აუჩქარა პავლემ ნაბიჯს.

— არ წახველი, თებრო?..

თებრო წამოდგა, კაბის სახელოები ჩამოქაჩა და საცოდავად მოიბუხა.

სული ძლივს მოიბრუნა და თითქმის ჩურჩულით თქვა:

— არ წაველი...

და სწორედ მაშინ გზაზე თებროს ბიძა გამოჩნდა. ხელში მარგილი ეჭირა და უკან, მარგილითვე შეიარაღებული, ორი კაცი მოჰყვებოდა.

— ვაიმე, — თებროს ფერი დაეკარგა, — ვაიმე, მოდიან...

პავლეს უკან არ მოუხედავს:

— ვინ მოდის?

— მომკლავენ. მომკლავენ...

პავლემ მოიხედა:

— ვინ მოგკლავს, გოგო, რას ამბობ...

— ძია გიორგი მოდის, ძია გიორგი მოდის...

თებრო პავლეს ხელს ჩააფრინდა და ზედ ჩამოეკიდა.

— შედი სახლში, — თქვა პავლემ.

გიორგიმ თებრო დაინახა და მარგილი მალდა ასწია:

— აი, შე უნამუსო, აი, შე უსირცხვილო...

საკვირველია, აქ როგორ მოვიდა, საიდან გაიგო პავლეს სახლი... აღბათ მუშებმა მოასწავლეს...

— მოგვეყერი ხომ თავი, თავსლავი დავგასხი, ხომ...

— შედი სახლში...

— წამოეთრიე ახლავე...

— შედი სახლში, — იყვირა პავლემ და დერეფნის ბოძს ხელი ისე შემოჰკრა, რომ კრამიტებს წკრიალი გააძინა.

გიორგი ზედ მოადგა, ამაღა შორიასლოს გაჩერდა.

— რა გაყვირებს, კაცო, — თქვა მშვიდად პავლემ, — დაწყნარდი...

— ამას ვერ უყურებთ, ამ შარაგზის ყაჩაღსა, ჭკუასაც რომ მასწავლის...

— დაწყნარდი-მეთქი...

— როგორ დავწყნარდე, ანგელოსივით ბავშვი შემიცდინე...

პავლე არც კი მოტრიალებულა, ისე ჩაავლო ხელი თებროს და ოთახში ისროლა.

თებრომ თვალი შეასწრო, გიორგიმ მარგილი ასწია და პავლეს მოუქნია...

„ვაიმე, მოჰკლეს...“

ყურებზე ხელები აიფარა და ტანტზე დაემხო...

„მოჰკლავენ... მეც მომკლავენ და იმასაც მოჰკლავენ... ორივეს მოგვკლავენ... ჯერ იმას მოჰკლავენ და მერე მეტ ზედ დამაკლავენ... მომკლან რა, ჯობია, რომ მომკლან... ჯობია რომ მომკლან, თუკი იმას მოჰკლავენ... თუკი იმას მოჰკლავენ, თავს ისედაც არ ვიცოცხლებ... არ ვიცოცხლებ... ჯერ იმას მოჰკლავენ, მერე... ჯობია, რომ მომკლან... ორივეს მოგვკლავენ...“ საფეთქლებში სისხლი მოაწვა. ყურებში დოლივით ბაგუნობდა: „მოგვკლავენ, მოგვკლავენ...“ მერე ამ სიტყვას შეეჩვია. მერე იგრძნო, რომ სიამოვნებდა კიდევ მისი გამეორება. თითქო გამსკდარ ტუჩს კბილს აპერდა, თითქო თავის თავს რაღაცისთვის სჯიდა. სჯიდა და წამდაუწუმ უმეორებდა:

„მოგვკლავენ, შე უბედურო, მოგვკლავენ...“

„რატომ უნდა მომკლან, ან პავლეს რას ერჩიან... რატომ... რატომ...“

მერე პავლე დაინახა, მკვდარი პავლე... თავგაჩენილი გულაღმა ეგდო და თვალები ღია დარჩენოდა. ეს ისეთი მკაფიო ჩვენება იყო, რომ თებრომ შეჰკვივდა. მერე უცებ ვიღაცის ხელის შეხება იგრძნო.

— ვაიმე, დედა...

— ნუ გეშინია, მე ვარ...

თებროს ისე გაუხარდა, რომ უნებურად კისერზე მოეხვია:

— პავლე...

— ჰო, ნუ გეშინია, გენაცვალე...

პავლე მძიმედ სუნთქავდა. თებრო მკერდთან მისი უხარმაზარი გულის ფეთქვას გრძნობდა. გული წისქვილივით დიდი იყო და წისქვილივით ბაგუნობდა... პავლეს თითქო ცეცხლი ეკიდა ტანზე და ამ ცეცხლს ანლა თებროს უკიდებდა. „თივის ზვინი იწვის... თივის ზვინი იწვის“, — მოესმა თებროს ბავშვობაში გაგონილი ხმა. პავლე დაინახა და ტუჩებით ზედ დააკვდა. პავლეს სისხლიანი ტუჩები ჰქონდა. თებროს რატომღაც არ ეუცხოვა სისხლი. მერე პავლემ ცეცხლწაკიდებული ხელები მოხვია: — „თივის ზვინი იწვის, იწვის“, — კიოდა ვიღაცა... პავლეს ტუჩებიდან სისხლი თებროს ძარღვებში გადმოვიდა, გადმოვიდა და უამრავ მხურვალე ნაპერწკალივით გაიფანტა: „იწვის, იწვის...“ ეს იყო ტკივილგარეული სიამე... მხოლოდ ერთი წამი, თუ მთელი სიცოცხლე... ტრიალი მინდვრის ბოლოს მაღალი ხანძარი იდგა და გუგუნებდა...

„ჩააქრეთ, ჩააქრეთ...“

„არა, არა...“

„ჩააქრეთ, ჩააქრეთ...“

„არა, არა...“

თებრომ იგრძნო, რომ სხეული მისი აღარ იყო, იგი პავლემ წითლად გავარვარებული ჯაქვით მკერდზე მიიკრა და დღეიდან ამ ქვეყანაზე პავლესთან ერთად უნდა ევლო.

პირველი განყოფილება რომ გათავდა, მარიკამ თქვა:

— მოდი, ნუ გავალთ, ასე ვისხდეთ... თანაც კლოუნები არ იქნებიან...

— არა, უნდა გავიდე, მოწვევა მინდა...

— მოესწრები... ნუთუ არ შეგიძლია შესვენებაზე დარბაზში დარჩე?

— როგორ არა, შემძლია...

— აბა, დარჩი...

— არა, უნდა მოვწიო...

— მაშინ წადი, რაღას უცდი...

მარიკამ თავი მიიბრუნა...

გოგი ადგა:

— ტყუილად ბრაზობ, ხომ იცი, არ დავრჩები...

მარიკამ ხმა არ გასცა. ფეხი ფეხზე გადაიღო და მუხლებზე პალტოს კალთა გულმოდგინედ გადაიფარა.

გოგი მოტრიალდა და კიბეს ჩაუყვა. სიგარეტების კოლოფი ამოიღო, იქვე უნდოდა მოკიდება, მაგრამ გადაიფიქრა.

— გოგი, მომიცადე...

გოგი არ გაჩერდა, კიბე ჩაათავა და დერეფანში გავიდა. მარიკამ მკლავში ხელი გამოსდო:

— მეც მომეცი სიგარეტი...

გოგიმ კოლოფი გაუწოდა, მერე ხელი გააშვებინა და ასანთი ამოიღო. ანთო თუ არა, მარიკამ სული შეუბერა და ჩააქრო:

— ახლა აანთე...

გოგიმ ხელმეორედ აანთო ასანთი და მარიკას გაუწოდა. მარიკამ სიგარეტს მოუკიდა და კვამლი ღრმად ჩაისუნთქა:

— ბრაზიანი...

დერეფანში უამრავი ხალხი ირეოდა. თუთუნის კვამლში სახეების გარჩევაც კი ჭირდა. ბუფეტთან კი ერთი ამბავი იყო ამტყდარი...

— მეც მშია, — თქვა მარიკამ.

— მაინც ვერ მივუდგებით...

— ...ფული გაქვს?

— ფული? როგორ არა...

— მომეცი...

გოგიმ ხურდა ფული ამოიღო, მარიკას მისცა.

— აბა, შენ აქ დამიცადე...

— ვერ მიხვალ-მეთქი, ხომ გითხარი...

მარიკა დახლთან მივიდა. მის წინ ზურგების ღობე იდგა.

— ბიძია, — დაუძახა მარიკამ, — მომეციო ერთი ბუტერბროდი...

მარიკას ხმა არავის გაუგია... გოგიმ გაიცინა, ახლოს მივიდა, უნდოდა ეთქვა „გამოდი, მაინც ვერაფერს გახდებო“, მაგრამ გაოცებისგან პირი დალო: გამყიდველმა მარიკას ბუტერბროდი გადმოაწოდა:

— ოცდაათი კაპიკი, ბიძიკო...

მარიკამ ფული ვიღაც მაღალსა და მოღუშულ კაცს მისცა:

— თუ შეიძლება, გადააწოდეთ...

კაცმა ერთი კი შეუბღვირა, მაგრამ ფული მაინც ჩამოართვა და გადააწოდა. მარიკა გამოტრიალდა, ბუტერბროდი ორივე ხელით ეჭირა და ისე მოჰქონდა. კედელთან გაჩერდა და გოგის ჰკითხა:

— გინდა ცოტა მოგიტეხო?

გოგიმ სიცილი ვერ შეიმავრა:

— არა, არ მინდა...

— რატომ ბრაზობ? — ჰკითხა მარიკამ.

— როდის ვბრაზობ, ვერ ხედავ, ვიციანი...

— არა, ბრაზობ... გინდა გაკოცო?

— არ მინდა, არაფერი არ მინდა...

— ახლა ნახეთ ბრაზიანი და არაფრის მაქნისი კვალერი...

მარიკამ ხელი მაღლა ასწია. მერე უცებ დაუმატა:

— მართლა, რა საცოდავი იყო ცხენების მწვრთნელი, გაპუდრული და პომადიანი... ცხენები კი რა ამაყები იყვნენ...

— ესეც მე მეხება?..

— არა, რატომღაც გამახსენდა. კაცი გარბოდა და ცხენები უკან მისდევდნენ, კაცს ვითომ ეშინოდა, მაგრამ ცხენები არაფრად ავდებდნენ... უბრალოდ, დამჯერედ ასრულებდნენ ნომერს...

ვეფხვი გალიაში იწვა. კი არ იწვა, იატაკზე ეფინა; უზარმაზარი, როგორც დაჩუტული აეროსტატი. გალიები ნახევრად ბნელ ტალანში ეწყო. ტალანის ბოლოს ნათურა ციმციმებდა და მისი ყვითელი, აკანკალებული სინათლე ბადეებში იხლართებოდა. ვეფხვმა თვალი გაახილა. ძაღვით ვიწრო თვალის ქრილში თითქოს მზის წვეთი გაბრწყინდა. გალიაზე მოკრული აჩრდილი შენიშნა. არც განძრეულა. ასე ცალი თვალით უცქირა დიდხანს... მერე იცნო...

— ცეზარ, გაიღვიძე, გაიღვიძე, — ჩურჩულებდა ქალი.

— დაანებე თავი, — მოისმა კაცის ხმა, — ისედაც გაიღვიძებს.

კაცი ბნელში იდგა და არ ჩანდა...

— ახლა გაკმევენ, ბევრ ხორცს მოგიტანენ...

— გეყოფა...

— მაცალე...

— ჩაცმის დროა, ველარ მოასწრებ...

— არკადი, — თქვა ქალმა, — უთხარით, მოშშორდეს...

არკადი კლოუნს ერქვა, ის ხის ყუთზე იჯდა და სიგარეტს ეწეოდა:

— ერთი მაგის... ვერ ხედავ, კევს ლეჰავს...

— შენი საქმე არ არის, — თქვა კაცმა.

— მართალია, არ არის ჩემი საქმე...

— კიდევ კარგი, მიხვდი...

— ჰო, მე ყველაფერს გვიან ვხვდები...

— სამაგიეროდ კარგი მასხრობა იცი...

— შეგიძლია პირდაპირ მითხრა, უნიჭო ხარ-თქო... მართლა, საკვირველია, რატომ იცინის ხალხი... განსაკუთრებით მაშინ იცინიან, როცა ვტირი და ცრემლებს შადრევანივით ვაფრქვევ...

— ეს გინდოდა? — უთხრა ქალმა კაცს. — რას ერჩი?

— მე არავის არ ვერჩი, სულ ჩუმად ვარ...

— და კევს ლეჰავ...

— ელევატორივით ცივი და ბრმა, — დაუმატა ქალმა.

— მე შენგან ეგ სიტყვები არ მეკუთვნის...

— ამიტომ გითხარი, თავი დამანებე-მეთქი...

— დაანებე თავი, — თქვა არკადიმ.

— როგორ თუ თავი დავანებო, გესმით რას ამბობთ?

— ნუ ყვირი, — თქვა ქალმა, — ხომ იცი, რომ ყვირილი არ მიყვარს...

— არც მე გიყვარვარ...

ქალმა არ უპასუხა...

— მე კი შენ ყველაფერი მოგეცი...

— მართალი ხარ, ყველაფერი მომეცი...

— ჰო, ყველაფერი, ყველაფერი... რამდენი რამე დავთმე...

— იქნებ სჯობდა, რომ...

— ზოგი შენთვის დაგეტოვებინა, — თქვა არკადიმ.

— არკადი, შენი მასხრობის საყურებლად არ მოვსულვარ...

— მე არ გეხუმრები...

არკადი ადგა. ჩია კაცი იყო. ტანზე ძალიან განიერი შავი კოსტუმი ეცვა და დიდი წითელი ყელსახვევი ეკეთა. სახე უსამველოდ გაეპუღრა და მუბლზე ორი დიდი შავი ლაქა წაესვა.

— შენ ისიც კი არ იცი, რომ მე არასოდეს არ ვმასხრობ... ისიც კი არ იცი, რომ მასხრობა არ შემიძლია... ახლა სიმართლე გითხარი, თუ ჭკუა გაქვს, მიხედები...

— არა, მე ამას ვერ მივხვდები... მაგის გულისათვის ცირკის ჯამბაზების სამასხარო გავხდი...

— მართალია, — თქვა არკადიმ, — მართალია...

— კარგი, გვეყოფა, — თქვა ქალმა, — მართლაც ჩაცმის დროა...

— მეც ეს ვთქვი, მეტი არაფერი არ მითქვამს...

ქალმა შეხედა კაცს. კარგა ხანს უყურა, მერე მიტრიალდა და გალიების გასწვრივ რკინებზე ჯოხის კაკუნით წავიდა. მიდიოდა და ხმამაღლა ამბობდა:

— ბესტიარია... ბესტიარია!...

— მე შევალ, — თქვა მარიკამ, — საცაა დაიწყება...

— ჯერ აღრეა, ზარიც კი არ ყოფილა...

— მინდა ლობეების დადგმას ვუყურო...

— წადი, მე ცოტა ხანს დავიცდი...

— ჩქარა მოდი...

მარიკას ყველაფერი ესმოდა. ხანდახან თქმაც კი არ იყო საჭირო. სხვებს არ ჰგავდა — გაპრანჭულ, სულელ გოგოებს. მათთან გოგი რატომღაც უხერხულად იყო და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქო ტელეფონით ლაპარაკობდა და მისი ხმა არ ესმოდათ.

— მე შენ მიყვარხარ, — ამბობდა გოგი.

— ალო, გისმენთ, გისმენთ...

— ძლივს გავბედე და...

— ალო, ალო, გისმენთ, გისმენთ...

გოგი ჰკიდებდა მილს და ძალიან რცხვენოდა.

გოგიმ სიგარეტი ჩააქრო... ცოტა ხანს კიდევ იდგა, მერე მიტრიალდა და დარბაზში შევიდა. „არა, მარიკა მათ არა ჰგავს...“

შორიდანვე დაინახა, რომ მარიკას გვერდით მილიციელი იჯდა. მილიციელი მარიკას რალაცას ელაპარაკებოდა და მარიკა გულიანად კისკისებდა... გოგი ახლოს მივიდა... მილიციელი გამხდარი, შავგვერემანი ბიჭი იყო.

— აი, ჩემი ქმარიც მოვიდა, — თქვა მარიკამ.

— უკაცრავად...

მილიციელი წამოდგა, ხელები გაშალა და გაიღიმა:

— უკაცრავად...

— არა უშავს, — თქვა გოგიმ, — რა მოხდა...

— ეს ჩემი ახალი ნაცნობია, სოსო, — თქვა მარიკამ.

„ყოჩაღ, სახელის თქმაც მოუსწრია...“

გოგიმ ხელი გაუწოდა:

¹ ბესტიარია — ხალგობი მხეცებისა, რომლებთანაც მერე გლადიატორებს უნდა ებრძოლათ ცირკში (ძვ. რომი).

- თქვენ ერთ ჩემს ძველ ნაცნობს მაგონებთ...
- ვისა? — დაინტერესდა იმწამსვე სოსო.
- არა, არაფერი, ისე ვთქვი...
- მე წავალ, — თქვა სოსომ, — ნახვამდის...
- თქვენ სად ზიხართ? — ჰკითხა მარიკამ.
- არსადაც არ ვზივარ, — სოსომ გაიცინა.
- მაშ, აქ დაჯექით, ერთი ადგილი მაინც თავისუფალია...
- არ შემძლია, ვმუშაობ...
- ნახვამდის, — თქვა გოგიმ...

დარბაზი ძალიან განათებული იყო. მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი კაცი რკინის ღობეს ირგვლივ უვლიდა და ხელით ამოწმებდა.

- საშინაია, — თქვა მარიკამ.
- ის მილიციელი ვილაცას მაგონებს...
- რომ იცოდე, რამდენი მაცინა...
- რატომ უთხარი, ჩემი ქმარიო?
- ისე...
- როგორ ისე, შეაშინე?
- არა... მინდოდა და ვთქვი...

— ნახე, რა ლამაზი ქალია, — თქვა მარიკამ.

ქალს ვერცხლის სირმებიანი შავი ჯუბა და შავი რეიტუზი ეცვა. მძიმედ სუნთქავდა, ეტყობა, დაღლილიყო. შოლტს იქნევდა და მკაცრი ხმით ვეფხვებს სახელებს ეძახდა. ვეფხვები ზანტად დგებოდნენ, ჯგებირებს ევლებოდნენ, ცეცხლწაიკედებულ რგოლში ხტებოდნენ, კარუსელს ატრიალებდნენ და მერე ისევ თავის ადგილას ბრუნდებოდნენ.

— საცოდავები, — თქვა მარიკამ.

ქალი ღონიერი იყო. ფიცრებსა და სავარძლებს თავისუფლად სწევდა და შორს ისროდა. გარედან არავის შეეძლო დახმარება. მხოლოდ გრძელ ჯოხებზე წამოცმულ ხორცის ნაჭრებს აწვდიდნენ ვეფხვებს.

— ძალიან ლამაზია, — თქვა გოგიმ.

ქალი იღიმებოდა. ესეც პროგრამით იყო გათვალისწინებული: ცირკის წინ უზარმაზარ აფიშაზე მომდიმარე, ლამაზი ქალი ეხატა...

მერე ვეფხვები ერთმანეთის გვერდით დაწვნენ. ქალი გაქანდა და ამ კრელ ხალიჩაზე გაიშოტა.

— აი, მესმის, — თქვა მარიკამ, — ისეთი ბიჭი უნდა იყო, ახლა ჩაახვიდე და აკოცო...

— აბა, ჩადი და აკოცე...

— შენზე არ ვამბობ, ვიცი, რაცა ხარ...

— მაშ ვის გულისხმობ?

— ექვიანობ? — მარიკას გაეღიმა.

— არა, არ ვექვიანობ...

— აღრეც გითხარი, შენი ცოლი მაინც არ გავხდები-მეთქი...

— არც მითხოვია...

— მართალია, არ გითხოვია, — თქვა მარიკამ, — ამიტომ მომწონხარ...

მღვდელს მხრებზე ნეილონის ვარდისფერი საწვიმარი მოეხურა. ჭალარა-

გარეული, ჭუჭყიანი წვერი დასველებოდა და გაჩეჩოდა, გეგონებოდა, წვერი კი არა, წვიმის პატარა ნაფლეთი ეფინა მკერდზე.

— ნეტა, სამოთხეში როცა წვიმს, ასეთი საწვიმრებით დადიან? — თქვა ბარაბამ.

— ყველაფერს ნუ ამასხარავენ... განა ჩემთვის სულ ერთი არ არის, რა ვერის საწვიმარი მაცვია?

— რა თქმა უნდა, — თქვა ბარაბამ; — უბრალოდ მაინტერესებს... ისე სამოთხეში თუ წვიმს?

— ალბათ წვიმს, წვიმაც ღვთისაა...

— ვერ წარმომიდგენია წვიმა სამოთხეში... თუმცა, — ბარაბა ცოტახანს გაჩუმდა: — აბა, მომისმინე...

სამოთხეში დილიდან წვიმდა. სანიმუშოდ მოვლილი, მოკენჭილი გზები მაინც ატალახებულყო. ათასნაირი გასართობით გატენილი ფარდულების კედლებსა და სახურავებზე წვიმას საღებავი ჩამოერეცხა და გზის გაყოფებით პაწაწინა არხებში ფერადი ნიაღვრები მოდიოდა. პინგ-პონგის მაგიდებისთვის ბრეზენტი გადაეფარებინათ, ტენისის კორტებზეც ბრეზენტი გადაეჭიმათ... ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობოდა. მაგრამ წვიმა მაინც მოდიოდა, ვერაფერი აჩერებდა. სამოთხეში სანატორიუმის წვიმიანი დღის განწყობილება სუფევდა. ყველანი კლუბებსა და საკონდიტროებში შეყუჟულიყვნენ. ქუჩებში ოდნავ ბნელოდა და ამიტომ სინათლე აენთოთ. რეკლამების წითელი და მწვანე ათინათები ქაღალდის გაპრიალებულ ჩიტებივით ისხდნენ ასფალტზე, გამვლელების მხრებზე და ფოსტალიონის ვეება კალოშებზე. ფოსტალიონს ჯოჯოხეთიდან გამურული წერილები მოჰქონდა და იქ კარდაკარ თითო ჰიქა არყის გადაკვრისაგან ცხვრი გასწითლებოდა. ფოსტალიონს სერაპიონი ერქვა და სიცოცხლეში თურმე ფოსტაში მუშაობდა. სხვის წერილებს არ ხსნიდა და სწორედ ამიტომ სამოთხეში მოხვედრილიყო. სამოთხეში ჩურჩულებდნენ, სერაპიონს ჯოჯოხეთში თრევის დროს ვიღაც შეჰყვარებიაო, და სერაპიონი ამ ჰორის შარავანდელით გალამაზებულყო.

ყველას თავისი კლუბი ჰქონდა, სადაც მეგობრებს ხვდებოდა და დომინოს ან ლოტოს თამაშობდა. კლუბში სტუმრად ხანდახან ღმერთიც მოდიოდა, რომელსაც საგანგებოდ შეკერილი შავი კოსტუმი ეცვა. გახამებულ პერანგის საყელოზე პეპელას ფრთასავით დაწინწკლული ბაბთა მიემაგრებინა და წვერი გაეპარა.

ყველაზე ბევრი ხალხი მაინც „ხელმოცარულ მონადირეთა კლუბში“ დადიოდა. თუ ერთი წუთით თქვენც შეიხედავდით, დაახლოებით ასეთ საუბარს მოისმენდით:

— ნახე, ელო, ნახე, განა ესენი მოციქულები არ არიან?

— არა, გენაცვალე, ესენი აკრობატები არიან, ტყუბი ძმები. თავიანთ პირველ სპექტაკლზე მიდიოდნენ და გზაში მანქანა დაეჯახათ...

— საერთოდ აქ კარგს ვერავის ვერ ნახავ, თითზე ჩამოსათვლელები არიან... აი, ჯოჯოხეთში გატენილია თურმე რესტორნები... ნაპოლეონი, შაპაბასი...

— ოჰ, ერთი იქ მომახვედრა, თუნდაც წამით...

— ბედნაერია სერაპიონი...

— მაინც რა მოწყენილობაა აქ, ვინ მოაგროვა ამდენი ყეყეჩი...

— ამბობენ, ერთი ცნობილი მსახიობი უნდა ჩამოვიდესო...

- ვინა ნეტავი?
- ჯერჯერობით საიდუმლოა...
- იქნებ არ კვდება, შე ქალო...
- მეორე მაგიდასთან ახალგაზრდა კაცი ჭირვეულობს:
- ამას კი არ ველოდი... სამოთხე... ჰმ...
- უკმაყოფილო ხარ, ბიძიკო? — ეკითხება ქადარა.
- დიახ, ძალიან უკმაყოფილო ვარ.
- შენც ვერ მოკალი ვერაფერი?
- არა, არ მომიკლავს... ოღონდ ერთი ჩიტი მომეკლა, ოღონდ ერთი ჩიტი მომეკლა, მერე თუნდაც...
- დამშვიდდი, დამშვიდდი...
- თუნდაც ბელურა...
- აღრე მეც მაგას ვამბობდი.... ახლა შევეჩვიე... დომინოს თამაშობ?
- არა...
- გინდა გასწავლო?
- არ მინდა, არ მიყვარს დომინოს თამაში...
- შეეჩვიე... სხვა გზა მაინც არა გაქვს... აგერ იმ მწითურ კაცს ხედავ?
- სამოთხეში ხათრითაა მოხვედრილი, როცა თამაშობს, სულ ცარიელი ქვები მოსდის. აგებს და აგებს... რა ქნას, მაინც თამაშობს...
- ფულზე თამაშობ?
- ფულზე არა...
- აბა?
- შუბლზე კოცნაზე...
- ფი...
- ამასაც შეეჩვიე, შუბლი კოცნისაგან ხატივით გაცვეთილი მაქვს...
- დიდი ხანია აქა ხართ?
- მესამე საუკუნეა...
- თქვენს დროს თოფი იყო?
- თოფი კი იყო, მაგრამ ისეთი, როგორც თქვენა გქონდათ, არა. ...იმიტომაა, რომ ვერაფერი მოვკალი...
- როგორც ვატყობ, თქვენც შეცდომითა ხართ სამოთხეში, თქვენც ხელმოცარულობა სათნოებად ჩაგიტვალეს.. ხი, ხი, ხი, ხი...
- ეგეთი ბილწი სიცილი აქ აკრძალულია.
- თამბაქოს მოწევა?
- განა ეწევი?
- აბა რა, ვქაჩავ...
- მართლაც საკვირველია, აქ როგორ მოხვდი...
- აღბათ მამაჩემის ხათრით, მამა მარკებს აგროვებდა...
- მერე რა, რომ მარკებს აგროვებდა?
- არაფერი... ისე ვთქვი...
- თვითონ აქ არის?
- არ ვიცი, რაღაც არ ჩანს...
- ცოტა იქით „ხელმოცარულ მონადირეთა კლუბის“ თავმჯდომარე ღმერთს ეკითხება:
- ბოლოს და ბოლოს გვითხარით, რატომა ვართ მაინც და მაინც ჩვენ სამოთხეში?
- იმიტომ, რომ არაფერი მოგიკლავთ...

— მაგრამ ჩვენ ხომ მონადირეები ვიყავით, გვინდოდა რამე მოგვეკლა...
 — თქვენ მხოლოდ სურვილი გქონდათ... ეგ მიპატიებია...
 „სკლეროზი აქვს საწყალს...“

— მაგისტვის ღმერთი დავსჯის, — თქვა მღვდელმა.
 ბარაბამ გადაიხარხარა:
 — ღმერთი დამსჯის! ჰა, ჰა, ჰა, ღმერთი! ჰა, ჰა, ჰა, ღმერთი, ღმერთი!..
 — მე მითქვამს...
 — შენს საცოდავ მრევლს მოუარე, უკბილო დედაბრებს...
 — მე ვილაცას მაინც ვკვირდები, შენ...
 — მე კი საფლავებსა ვთხრი...
 — ჰო, ალბათ გსიამოვნებს კიდევაც...
 — თუნდაც მასე იყოს, მერე რა?
 — ხიფათიანი კაცი ხარ, ბარაბა, ხიფათიანი...

ერთ დღით, როცა გარეთ თოვლქყაპი იდგა, ვილაცამ კარზე დაუკაკუნა. პავლე ტახტზე იწვა, წინა დღით გაციებულიყო და დღეს ტანი ვერ აეტანა. თებრომ კარი გააღო, კართან უქუდო, თმაგაჩეჩილი კაცი იდგა. მხრებზე ტყავის დაგლეჯილი პალტო მოეხურა, გალურჯებულ ხელებს იფშვინებდა და მუჭში იორთქლებდა. გამხდარი, ჩავარდნილი ლოყები მწითურ წვერს დაეფარა, წვერზე გამდნარი ფიფქები უბრწყინავდა. პალტოს ქვეშ მწვანე ხავერდის გულსჯიბებიანი ხალათი ეცვა, საკინძზე ყველა დილი ასწყვეტოდა და მეზღვურის ზოლებიანი მაისური მოუჩანდა.

— მე თქვენი მეზობელი ვარ, — თქვა კაცმა, — სტუმრად მოვედი...
 თებრომ პავლეს მოხედა.

— მობრძანდი, — დაუძახა პავლემ.

კაცი ოთახში შემოვიდა. პირდაპირ თუნუქის ღუმელისაკენ წავიდა, ჩაცუქდა და ხელები გავარვარებულ ღუმელს მიაფიცხა:

— ვცხონდი, ვცხონდი...

პავლე წამოდგა, ფეხები ძველ, ქუსლმოჭრილ კალოშებში წაჰყო და ღუმელთან მივიდა:

— გამარჯობა...

კაცმა ამოხედა, მაგრამ საღამზე არ უპასუხა, იღმებოდა და ღუმელის მიღს ხელს ურტყამდა.

— ჯერ გამარჯობა უნდა თქვა, — პავლე დაიხარა, ღუმელის კარი გამოაღო და ნაფოტი შეაგდო. — რა გქვია?

— ბარაბა...

ბარაბამ პალტო იატაკზე დააგდო. პალტოდან მაშინვე წყლის პატარა ნაკადებმა გამოყვეს თავი, თითქო გველები ბუდეზე დაეცა.

— ბარაბა მქვია, მესაფლავე ვარ...

პავლე სკამზე ჩამოჯდა. ქისა ამოიღო და თუთუნი გახეთის ნახევრი გაახვია:

— აქ როდის გადმოხვედი?

— გუშინ... ხეცს გაღმა ოთახი ვიქირავე...

— წინათ სად მუშაობდი?

— წინათ ქარხანაში ვმუშაობდი, რუსთავეში... ვერ გავძელი... შენც მესაფლავე ხარ?

— არა, — პავლემ ღრმად ჩაისუნთქა კვამლი, — არა, მიწის მუშა ვარ...

— მე კი მესაფლავე მეგონე... სასაფლაოზე ცხოვრობ...

— ჰო, ახლა სასაფლაოზე ვცხოვრობ...

— მერე და შორს რად გარბიხარ სამუშაოდ, სათხრელი მიწა ხომ აქაც ბევრია...

— *ხომ ვითხარი, მესაფლავე არა ვარ-მეთქი...*

— შენც ადექი და გახდი... განა სულ ერთი არ არის, სად ამოთხრი ორმოს?

— სულ ერთი რომ იყოს, ხომ სხვაგან არ წავიდლოდი...

— რა გქვია? — შეეკითხა ბარაბა.

— პავლე... სკამზე დაჯექი...

— ამაზე? ფეხი არა აქვს...

პავლე წამოდგა და თავისი სკამი მიაწოდა:

— აჰა...

— მაშ შენ ამბობ, სულ ერთი არ არისო... თუთუნი გაქვს?

პავლემ ქისა მისცა. ბარაბამ გაახვია და კვამლს ამოაყოლა:

— ფი, ამას როგორ ეწევი?

— რა ექნა, მეტი არა მაქვს. თუ არ მოგწონს...

ბარაბას თითქოს არც ვაუგია, თვალდახუჭული იჯდა და ნათაზს არტყამდა.

— შენი ცოლია?

თვალი არც კი გაუღია, ხელით ანიშნა თებროზე.

— ჰო, ჩემი ცოლია, თებრო...

— თებრო არაყს ხომ არ დაგვალევინებს?

— თებრო, არაყი გვაქვს? — ჰკითხა პავლემ.

— არის ცოტა...

— არა უშავს, — თქვა ბარაბამ. — მაინც კარგია...

თებრომ ლიტრიანი მოიტანა. ბოთლში ცოტა არაყი იდგა. ბარაბამ ბოთლს გამოართვა და შეანჯღრია:

— მაგარი არაყი ჩანს... ჭიქა გაქვთ?

თებროს რატიმღაც შერცხვა, განჯინასთან მივიდა და ჭიქა გადმოიღო, ტილოთი გაწმინდა და მოიტანა. პავლემ არაყი დაასხა და ბარაბას მიაწოდა:

— მიირთვი...

ბარაბამ ორივე ხელი წინ გაიშვირა, თითქოს რალაცას იგერიებდა:

— არაფრის გულსათვის, ჯერ შენ მიირთვი...

— სიმწარე გვაშოროს, — თქვა პავლემ და გადაჰკრა, ცარიელი ჭიქა ბარაბას გაუწოდა და არაყი დაუსხა.

— სიმწარე გვაშოროს, სიტკბო მოგვეცეს, — თქვა ბარაბამ და თან ისე ჩაიხითხითა, რომ თებროს მოეჩვენა, სტუმარმა თითქოს რალაც ძალიან ბილწო სიტყვა თქვა.

— წყალნარევია, — თქვა ბარაბამ, — აშკარად წყალნარევია.

პავლემ ჭიქა გამოართვა, თებროს შეხედა, მერე გაბზარული ხმით იკითხა:

— წყალნარევია?

— ჰო, წყალნარევია, მაგრამ ამან არ შეგაშინოს, მაგისტანები დამილე-
ვია!..

— არა, ეს სუფთა არაყია, — თქვა პავლემ, — ისეთმა კაცმა მომცა, რომ...

— გამამაძაღლდა ქვეყანა, — თქვა ბარაბამ, — ერთიც დაასხი...



თებროს არ ახსოვს, რამდენი არაყი დალიეს იმ დღეს პავლემ და ბარაბამ, რამდენჯერ გააგზავნა პავლემ ფარდულში არყისათვის. ისხდნენ და სვამდნენ. პავლე ხმას თითქმის არ იღებდა, ბარაბა კი ლაპარაკად გადაიქცა. ლოყები აულაქლაქდა, ცხვირი გაუწითლდა და თითქოს დაუგრძელდა კიდევაც. მძიმე, ჯარისკაცური ჩექმები გაიხნა და ლუმელის ფეხს მიაყუდა. სველ წინდებს ორთქლი ასდიოდა და ამ ორთქლსა და თუთუნის კვამლში გახვეული ბარაბა გაუთავებლად ყვებოდა რალაცას. ყვებოდა და თან ხითხითებდა. თებროსკენ არც იხედებოდა, თითქოს ოთახში პავლეს მეტი არაფერი ეგულებოდა. იგინებოდა და ლუმელის წინ დაყრილ ნაცარში აფურთხებდა. თან ამბობდა, ნაცარში ჩაფურთხება ერთი დიდი ადამიანური სიამოვნებააო. ბარაბასათვის რომ ყური დაგეგდოთ, ისე გამოდიოდა, თითქოს მას უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. მერე ომში ყოფილიყო, იქ რალაც საქმისთვის დახვრეტა მიესაჯათ, მაგრამ დახვრეტა წინა ხაზზე გაგზავნით შეეცვალათ და რალაც მანქანებით სიკვდილს გადარჩენილიყო. ომიდან მაინც დაზარალებული დაბრუნებულიყო, რადგან, როგორც თვითონ სიცილით ამბობდა, ომს მისთვის შრომის ხალისი წაერთმია. ბარაბას მოხუცი დედა ჰყოლიდა, რომელიც ძვირფასი შვილის ომიდან დაბრუნების სიხარულს გადაჰყოლოდა და რადგან ბარაბა თურმე ოჯახურ სიმყუდროვესა და ფუფუნების საგნებს ვერ იტანდა, ყველაფერი გაუყიდა და ერთ ქერივ ქალს გადაჰკიდებია. იმ ქალს, სანამ ბარაბას ფული ჰქონია, ჰყვარებია, მერე კი მიუტოვებია და ვიღაც მეზღვაურს წაჰყოლია სევასტოპოლში... იმ მეზღვაურს ბარაბასთვის სახსოვრად თავისი ტანისამოსი დაუტოვებია, რომელიც უდროოდ დაბრუნებულ ბარაბას ქერივის საწოლ ოთახში ეპოვნა. მეზღვაურის ჭრელ მანსურს ბარაბა თურმე მუდამ თან ატარებდა და ახლაც პავლეს და თებროს ღიმილით უჩვენებდა. სად არ ყოფილიყო, სად არ ეწაწალა და ახლა რატომღაც მესაფლავის ხელობა აერჩია, რადგან ეს ხელობა ყველა მისი დამჩაგვრელის მიმართ პასიურ შურისძიებად ეცნო.

— პასიურ შურისძიებად, — თქვა ბარაბამ და ხელი მალა ასწია, — გესმის თუ არა შენ, რას ნიშნავს პასიური შურისძიება?

პავლემ არაფერი უპასუხა. ბარაბას ნაამბობიდან ისედაც ცოტა რამ ესმოდა და ამ კაცს მხოლოდ მასპინძლის სიდინჯით ითმენდა.

— მე ვიცი, რომ არ გესმის, ანდა სად უნდა გესწავლა... ვიცი... ვიცი... — ამბობდა ბარაბა, სიტყვებს აბეზივით ყლაპავდა და ზედ არაყს აყოლებდა.

— აი, შენ ამბობ, რომ მიწის თხრა ყოველთვის ერთნაირი არ არისო... ხომ თქვი?

— ვთქვი... განა ერთნაირია საძირკვლის ვაკრა და საფლავის ამოთხრა?

— მართალია, ერთი შეხედვით სხვადასხვაა... ამას შენ გლეხის პრიმიტიული გონება გიკარნახებს... მე კი, განათლებას ნაზიარები კაცი, სხვანაირად ვფიქრობ... სხვანაირად ვფიქრობ...

— არც ისე ბნელი ვარ, — თქვა პავლემ, — ეგ რომ ვერ გავარჩიო...

— გეწყინა? ჰა, ჰა, ჰა... გეწყინა? კარგია, რომ გეწყინა, შეიძლება შენც რალაცას მიხვდე... აი, მე, — ბარაბამ ორივე ხელი გაშალა, — შემომხედე...

უეცრად სკამიდან გადაქანდა და პავლე რომ არ მიშველებოდა, გადავარდებოდა.

— გმადლობთ, — ბარაბა გადამეტებულად ზრდილობიანი გახდა. — გმადლობთ... არა, ჯერ არ დავლევ, სულ სმაზე ნუ გიჭირავს თვალი, ესეც შენი ჩამორჩენილობის ბრალია... იცი რას ნიშნავს ატომური ბომბი?

— ვიცი, გამიგია... გაზეთს მეც ვკითხულობ...

— ჰმ... გაზეთს... იცი რას ნიშნავს ატომური ბომბის ფილოსოფია?

პავლე დუმდა, ხელში არყით სავსე ჭიქა ეჭირა და ბარაბას შუბლშეკრული შესცქეროდა.

— ატომური ბომბის ფილოსოფია ნიშნავს იმას, რომ გაჭრილი საძირკველი და საფლავი ერთი და იგივეა. გესმის? — არაფერიც არ გესმის...

პავლე გოლიათივით კეთილი იყო. თანაც ამდენმა არაყმა მოთენთა, ლაპარაკისა და ჩხუბის ხალისი დაუქარგა. ისე ბარაბას ლაპარაკი ცოტა ართობდა. კიდევაც. თებრო კი შეშინებული უსმენდა. ასეთ თავხედ კაცს თებრო პირველად ხედავდა. სწორედ ამისი ეშინოდა: პავლესთან ყველა მორიდებით ლაპარაკობდა, შეთამამებული კაცი პავლეს არ უყვარდა, არც დიდხანს ალაპარაკებდა, ხელს მოჰკიდებდა და ბურთივით გაისროდა. ახლა კი რა ხდებოდა: პავლე იჯდა და ყურადღებით უსმენდა მთვრალის ყბედობას. თუ ეს მოჩვენებითი ყურადღება იყო?

— გინდა სამოთხეზე რამე გიამბო? — თქვა ბარაბამ. — ოღონდ იცოდე, რომ ეს ამბავი მე მოვიგონე. როდისმე დავეწერ და გამოვაქვეყნებ კიდევაც... აბა, ასე კი არ არის საქმე...

— სამოთხეზე?

— ჰო, სამოთხეზე... გუშინ მღვდელს ვუამბე და ეწყინა... ისიც კარგო ჭურია...

ერთ მშვენიერ დღეს სერაპიონმა თავის მოკვლა სცადა. იმ დღესაც წვიმდა. თუმცა გარეთ არავინ არ გამოსულა, ეს უცნაური ამბავი უცბად გავრცელდა. ყველამ „ხელმოცარულ მონადირეთა კლუბს“ მიაშურა, რადგან იქ ღმერთი ეგულეობდათ. ღმერთი მართლაც იქ დახვდათ. მაგიდასთან იჯდა და ყავის ფინჯანს დასცქეროდა. ეტყობა, რაღაცას ფიქრობდა.

— გაიგეთ რა მოხდა? — მიცვივდნენ ღმერთს. — სერაპიონი თოკიდან ჩამოხსნეს...

ღმერთმა თავი ასწია, ხალხს შეხედა და ჩუმად, ძალიან ჩუმად თქვა:

— ვიცი...

— მერე?

— მე აღრეც ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა...

— ო, ღმერთო, ღმერთო, ნუთუ მართლა ღმერთი ხარ?

— არ ვიცი, ეს კი არ ვიცი...

— რა იყო მიზეზი, ვერ გვეტყვი?

ღმერთი ფეხზე წამოდგა, ცოტა ხანს დუმდა და მერე იკითხა:

— გყვარებით როდისმე ვინმე?

— რა თქმა უნდა, რა კითხვავა, გყვარებია, აბა რა...

— ეჰ, — თქვა ღმერთმა, ხელი ჩაიქნია და გარეთ გავიდა...

— დიდი ხანია სასაფლაოზე ცხოვრობ? — ჰკითხა ბარბარამ.

— აქ წინათ სასაფლაო არ იყო...

— რას უკადრისობ, ზოგი ჭაობში ცხოვრობს...

— ჭაობი და სასაფლაო ერთია, ორივემ ჩათრევა იცის...

— შენც ადექი და წადი... სამუშაოდ მაინც სხვაგან დარბიხარ...

— ჰო, ავდგები და წაველ... აი, სახლი მენანება, ჩემი ხელით ავაშენე...

— არაფრის სინანული არ გამაგონო... ცხოვრება მოსწრებაზეა... ამხელა კაცი ხარ და არ გესმის?

პაველმ არაფერი უპასუხა, ღუმელის კარი გამოაღო და შეშა შეუკეთა...

— ისედაც ცხელა, შენ კიდევ უმატებ, — თქვა ბარაბამ.

— ჩვენ გეცხელა, ვსვამთ; აი თებროს სცივა...

— თებროს? — ბარაბამ მოიხედა. — მართლა, ასე პატარა გოგო ცოლად როგორ გამოგყავა? პირველად შენი შვილი მეგონა...

პაველ წამოდგა...

— ვხუმრობ, ვხუმრობ, — გაიცინა ბარაბამ. — ნუ გწყინს, მთვრალი ვარ...

ყველა სარკმელი ღია ჰქონდა, მაგრამ მანქანაში მაინც ცხელოდა და სუნთქვა უჭირდა. ქუჩა თითქმის ცარიელი იყო. თეთრ, თვალისმომკრებლად თეთრ მზეს დაეპყრო ყველაფერი: სახლები, ტროტუარები, ბაღები. მანქანა ნელა მიჰყავდა, არც არავინ აჩერებდა. „ამ დროს ტაქსი არავის ჰქირდება“... უნდოდა ვინმე ისეთი მგზავრი ეშოვნა, რომელიც მის უბანში წაიყვანდა. ცოტა ხანს მანქანას გააჩერებდა, შინ შეირბენდა და ისაუბრებდა. მელიქიშვილის ქუჩაზე გამოვიდა და ქვევით დაუყვა. არც ტრამვაი ჩანდა. „ქუჩაში ტრამვის რომ ვხედავ, ასე მგონია უფრო ძალიან ცხელა“... მერე ძია შიო დაინახა. ძია შიოს რკინის ჯოხი ეჭირა და ლიანდაგს წმენდდა. ძია შიოს ყველა შოფერი იცნობდა. მისი დანახვა უხაროდათ, რადგან ძია შიოს კარგი ფეხი ჰქონდა. მას რომ დაინახავდნენ, სვლას შეანელებდნენ და დაუძახებდნენ: „გამარჯობა, ძია შიო“... შიო თავს მაღლა არ სწევდა, ისედაც ხმაზე სცნობდა: „გავიმარჯოს, შვილო, გავიმარჯოს“... შიო როცა არ მუშაობდა, მაშინაც ხელში ჯოხი ეჭირა და ქუჩაში ისე დადიოდა, თითქოს ლიანდაგს წმენდდა. ძია შიოს ახლა ჩალის ქული ეხურა, ერთი ხელი ჯიბეში ეღო და მხარი უცახცახებდა.

— გამარჯობა, ძია შიო...

— გავიმარჯოს, შვილო...

„დაბერდა ძია შიო“...

უნივერსიტეტის წინ უამრავი ხალხი იდგა. „გამოცდებს აბარებენ საწყლები“... რატომღაც შეეცოდა, ამ სიტყვაში ვინ იცის საიდან ჩამოსული ბიჭები და გოგოები. თვითონაც იწვინა ერთხელ გამოცდების სიმწარე. ოღონდ მაშინ არ ცხელოდა, რადგან დაუსწრებელზე აბარებდა და გამოცდები დეკემბერში იყო დანიშნული.

— ტაქსი, ტაქსი, — მოესმა უცებ ქალის ხმა.

გოგომ მანქანა გააჩერა. მანქანასთან ორი ჰალარა ქალი მოვიდა:

— წყნეთში თუ წაგვიყვანთ?

— კი, ბატონო...

— მაღლობა ღმერთს, არც ერთ შოფერს არ უნდა წყნეთში წასვლა...

— მართალი ბრძანდებით, — გოგის გაეღიმა, — წყალი დულდება...

ქალები მანქანაში ჩასხდნენ და შუაში ბავშვი ჩაისვეს, რომელიც აქამდე ვერ შეამჩნია. ჯოგონა მაშინვე ფეხზე წამოხტა და გოგის მხარზე ხელი დაადო. გოგომ ბავშვს მოხედა:

— რა გქვია?

— ლიზიკო...

ლიზიკოს ქორფლიანი სახე და ძალიან ლურჯი თვალები ჰქონდა, ორი ლურჯი, მხიარული ლაქა.

— შენ რა გქვია? — ჰკითხა ლიზიკომ.

— გოგი...

— დაიწყო, — თქვა ქალმა.

კაცმა რომ თქვას, გამოცდები მაინც და მაინც არ გასჭირვებია, კარგად ჩააბარა და ჩარიცხეს კიდევაც. ერთი წელიც და დაამთავრებს. ერთი წელი...

— ხელზე რა განატია? — ჰკითხა ლიზიკომ.

გოგამ ხელზე დაიხედა, ხელის ზურგზე, ცერთან ახლოს სვირინგი ჰქონდა, ლურჯი მელნით ასო „ც“ ეწერა...

— ეს ცხენის ნალია, — თქვა გოგამ.

— ასეთი პატარა ნალი?

— პატარა ცხენის ნალია...

— სათამაშო ცხენის?

— ჰო, სათამაშო ცხენის...

— ის ცხენი სახლში გყავს?

— არა, გაიქცა...

— როგორ მინდოდა მენახა...

— პატარა ცხენი არ გინახავს?

— პატარა ცხენი მინახავს, მაგრამ ნამდვილი არა...

— თოჯინების თეატრში დადიხარ?

— დავდივარ. — ლიზიკომ გაიცინა. — შენ გგონია, ისინი ნამდვილები არიან?

გოგის ცოტათი შერცხვა:

— განა არ არიან ნამდვილები?

— არა, ისინი თოჯინები არიან, — ლიზიკო კისკისებდა. — შენ გეგონა, რომ ნამდვილები იყვნენ?

— ჩემი პატარა ცხენი ნამდვილი იყო...

— რა ერქვა?

— რა ერქვა? არაფერი არ ერქვა, სანამ სახელს დაეარქმევედი, მანამდე გაიქცა...

ეს სვირინგი ფერეზას წყალობა იყო. ფერეზა მათ სახლში დაბლა სარდაფში ცხოვრობდა. ცალი ფეხი არ ჰქონდა. ამბობდნენ, ზარში წააგოო. არსად არ მუშაობდა, სახლიდანაც იშვიათად გამოდიოდა. სამაგიეროდ მილიციელები დადოვნენ მასთან ხშირად. ბავშვები ვერ ხედებოდნენ, რა უნდოდათ მილიციელებს ფერეზასთან. განსაკუთრებით ხშირად დადიოდა უბნის ინსპექტორი, გამხდარი, ჩია კაცი იყო, თავი კი ეკლესიის ზარივით დიდი ჰქონდა.

— ფერეზ, — ეუბნებოდა ინსპექტორი, — მლუპავ ფერეზ... სხვა უბანში მაინც გადადი...

— რას ბრძანებ, ძია პოლიცო, — პასუხობდა ფერეზა, — ხომ ხედავ შეინა ეზივარ, ქუჩაშიაც კი არ გავდივარ.

— ფერეზ, დედას გაფიცებ, ფერეზ...

გოგი გაკვირვებული უსმენდა. ფერეზა მის თვალში ნელ-ნელა კონან დოილის გმირივით საიდუმლოებით მოცული ხდებოდა. თვითონ ვერ გრძნობდა, როგორ იწყებდა თამაშს: კიბეზე თითის წვერებზე ჩადიოდა, ეზოში აქეთ-იქით იხედებოდა, ფერეზას კარზე ჩუმად აკაკუნებდა და „შემოდო“, რომ გაიგონებდა, კიდევ ერთხელ მოიხედავდა უკან. ფერეზა მაგიდასთან იჯდა, პროთეზიანი ფეხი სკამზე გაედო და ქარგავდა. ჰო, ნამდვილად ქარგავდა. ეს იყო ერთადერთი, რაც გოგის მისთვის ვერ ეპატობინა. ქარგვა მისი წარმოდგენით შექმნილ გმირს არაფრით არ უხდებოდა და გოგი ფერეზას ამ სისუსტეს ძალაუვნებურად თვალს უხუჭავდა.

— გოგი, — ეუბნებოდა ფერეზა, — ძმურად, პაპიროსი მიყიდე...

გოგი ფულს გამოართმევდა, კარს გააღებდა და ეზოს მოათვალეობდა. მერე გამოიძურწებოდა და კედელ-კედელ ქუჩაში გამოვიდოდა. აისორ მეპაპიროსის სახელოზე მოქაჩავდა და ჩუმი ხმით ეტყოდა:

— ფერეზამ პაპიროსიო...

მეპაპიროსის ფერეზას ხსენებაზე რატომღაც ფერი ეკარგებოდა და პაპიროსის მოკითხვას აყოლებდა. ფერეზა არასოდეს თვრებოდა და მეზობლებს არ აწუხებდა. გოგის კარის მეზობელი, ფოსტის გამგე, იმასაც კი ამბობდა, რომ სანამ ფერეზა აქ ცხოვრობს, ჩვენს სახლს არ გაქურდავენო. ერთხელ გოგის ფერეზასთან სტუმარი დახვდა. სტუმარი კუზინი, ჭაღარა კაცი იყო. მას ხელში ძაფით შეკრული ნემსების კონა ეჭირა, ნემსებს მელანში აწობდა და ფერეზას ხელზე რაღაცას ახატავდა. გოგიმ დიდხანს უყურა. „აღბათ როგორ ტკივა და ხმას კი არ იღებს“... მერე იფიქრა, მეც ხომ არ დავიხატო რამეო, და თითქმის ჩურჩულით თქვა:

— ფერეზ...
ფერეზას არ გაუგონია, უცებ ხელი აიქნია და იყვირა:

— მტკივა, შე შობელძაღლო...

„ვაიი, ტკივა“, გაიფიქრა გოგიმ და შეეშინდა. აქედან წასვლა მოუნდა, მაგრამ შიშს შემატყობენო, და დარჩა.

კუზინამ ხატვა დაამთავრა და წამოდგა:

— დამალევენებ რამეს?

— ნიშადურს, — უპასუხა ფერეზამ.

„ახლა რა ვქნა... უნდა გუთხრა, რომ მეც დამახატოს რამე... თორემ იფიქრებენ, რომ მეშინია“...

— ფერეზ, — თქვა გოგიმ, — მეც მინდა...

— რა გინდა?..

გოგიმ ხელი გაუწოდა.

— გიჟი ხომ არა ხარ, დედაშენი მომკლავს...

— მოგკლავს? — გოგიმ ირონიულად ჩაიღიმა, „კარგი რა“. — დამახატე...

— არა მცალია, — თქვა კუზინამ. — საქმე მაქვს...

— ბავშვი გთხოვს, — ფერეზას ხმა გაუცივდა.

— კარგი, ფერეზ, კარგი... რა დავახატო, ლაწირაკო?

— მოდი ამას ნურაფერს დაახატავ, — თქვა ფერეზამ. — მოიცა...

მერე გოგის მოუბრუნდა:

— გოგო გყავს?

— გოგო?

— ჰო, გოგო...

გოგიმ პირი დააღო.

— მაგან გოგო რა იცის, — თქვა კუზინამ, — პროტოზოლზმა...

გოგის შერცხვა, გაწითლდა კიდეც:

— მყავს...

— ჰოდა იმის სახელის პირველი ასო მითხარი...

გოგი ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე თქვა:

— ც...

— რეპინ, აი ეგ დაწერე, — გადაწყვიტა ფერეზამ.

ცირა მათ სახლში ცხოვრობდა. ერთი მეტიჩარა, გამხმარი გოგო იყო. გოგის ზედაც არ უყურებდა, და საერთოდ ბიჭებს ახლოს არ ეკარებოდა.

ერთადერთ ბიჭთან მეგობრობდა, გურამთან. გურამს თმა ყოველთვის სანამუ-
 წოდ ჰქონდა დაეარცხნო, მუდამ გაპრიალებული და გამოწყებილი იყო. სულ
 გოგოებთან თამაშობდა და მათი ყველა საიდუმლო იცოდა. გოგი ბრაზით
 სკდებოდა, მაგრამ რას იზამდა... ცირას კლასობანას თამაში უყვარდა, მთელი
 დღე რომ ეთამაშა, არ დაიღლებოდა და პირველ მოთამაშედაც ითვლებოდა.
 ერთ დღით გოგიმ ცირა დაინახა. ცირა ეზოში ჩამოსულიყო და მეგობრებს
 ეძებდა. მეგობრები კი არ ჩანდნენ. გოგი შინ შეეარდა, მამის მაგიდის უჯრა
 გამოხსნა და იქიდან ცარცის ორი ნატეხი ამოიღო. ერთი თეთრი იყო, მეორე —
 წითელი... ეზოში ჩაირბინა და ცირასთვის ზედაც არ შეუხედავს, კლასის ხატვა
 დაიწყო... ირგვლივ თეთრი ხაზები გაავლო, მერე წითელი ცარცით რამდენიმე
 სწორ ნაწილად დაჰყო. „კლასის ხატვა ასე უნდა“.. რომ დაამთავრა, წამოდგა
 და ზევიდან დახედა: „ასე უნდა“...

— გმადლობთ, — უთხრა ცირამ.

ახლა შეამჩნია, რომ ცირას ძალიან ლურჯი თვალები ჰქონდა. უნდოდა
 ხელი გაეწოდებინა, მაგრამ ხელი ცარცით ჰქონდა მოთხუხუნული, მშრალი
 ცარცით, — თითქოს ქაღალდის ხელთათმანები ეცვა. უცბათ მათკენ მომავალი
 გურამი შენიშნა, მაშინვე ცარცის ნატეხები მიწაზე დაყარა, ცირას პაჭუა
 ცხვირზე თითი დარდნიანდულად აჰკრა და სტვენით წამოვიდა. მოდიოდა და
 ფიქრობდა: „აი, ახლა ატირდება... აი, ახლა ატირდება“.. კიბესთან რომ მივიდა,
 მოტრიალდა და ცირას შეხედა, ცირა ისევ იქ იდგა და იღიმებოდა...

— კლასობანას თამაშობ? — ჰკითხა გოგიმ ლიზიკოს.

— არა, — უპასუხა ლიზიკომ, — არ ვთამაშობ...

— არ იცი?

— როგორ არა, ჩვენი გოგოები სულ კლასობანას თამაშობენ...

— შენ რატომ არ თამაშობ?

— რა ვიცი... ისე...

ცოტა ხანს გაჩუმდა, მერე თქვა:

— მე ველოსიპედი მაქვს...

— სამთვლიანი?

— ჰო, სამთვლიანი, წითელი ველოსიპედი... მამამ მიყიდა...

გოგიმ გაიგონა, რომ ჰალარა ქალი ახლა სწორედ ამ ფრაზას ამბობდა:

— მამამ უყიდა...

— ბავშვი ცოდოა, — თქვა მეორემ.

— როგორ უნდა ვუთხრათ, არ ვიცი...

— ვის გადაეკიდა?

— რა ვიცი, ვილაც ოხერია ალბათ...

ადრეც ჰქონდა შენიშნული, მგზავრები მას არ ერიდებოდნენ, საიდუმ-
 ლოებებს ჰყებოდნენ, ერთმანეთს ჰკოცნიდნენ... გოგი მათთვის მანქანის ნაწი-
 ლი იყო, მეტი არაფერი...

— კარგად დაგეავს? — გოგის უნდოდა ლიზიკოს ქალების საუბარი არ
 მოესმინა. ქალები თამამად ლაპარაკობდნენ, ეტყობა, ლიზიკო ვერ ხედებოდა...

— უხელოდ... შენ შეგიძლია წაიყვანო უხელოდ?

— შემიძლია.

გოგიმ საჭეს ხელი გაუშვა:

— ხედავ?

— ჰო, შენც გცოდნია...

ცირას მამას მანქანა ჰყავდა. უზარმაზარი, შავი, ხმაურიანი მანქანა. მთელი დღე მიდი-მოდიოდა. ჯერ მამა მიჰყავდა სამსახურში, მერე ცირა სკოლაში. იქიდან რომ დაბრუნდებოდა, ცირას დედას წაიყვანდა ბაზარში. მერე ცირა მოჰყავდა სკოლიდან, მერე მამა სამსახურიდან. და ასე მთელი დღე. მანქანა ისე ზუსტად დადიოდა, რომ მეზობლები მის გამოჩენაზე საათს ასწორებდნენ. შოფერი ხანში შესული კაცი იყო. სათვალეს ატარებდა და მელოტი თავი კაკლის ნაქუჭივით დანაოქებული ჰქონდა. ბაზრიდან მობრუნებულს კალათები თვითონ აჰქონდა მაღლა, ჩამოვიდოდა და მანქანაში შეიკეტებოდა, გაზეთს გაშლიდა და იმ წამსვე დაიძინებდა. ისე მშვიდად ეძინა, როგორც წიწილას კვერცხში. რომ დაელაპარაკებოდი, პირველად უსათუოდ იმას ვეტყვოდა, ამ ქვეყნად ყველაზე კარგი წყალი „საირმეა“ და ძალიან მშველსო. ისე ლაპარაკი არ უყვარდა, გარს შემოხვეულ ბავშვებს არაფრად აგდებდა და მათ ცნობის-მოყვარეობით ანთებულ მზერას გულგრილად იტანდა. მანქანას განსაკუთრებით ზერძენი და-ძმა ლამბიკო და ელენიკა არ შორდებოდნენ. ისინი მანქანაში არასოდეს მსხდარან და ახლაც ვერ ეთხოვათ, ჩაგვსვიო, რადგან ეს წარმოუდგენელ რამედ ეჩვენებოდათ. მხოლოდ ერთხელ, როცა ლამბიკოს უეტრად დიდი სიციხე მისცა, იგი ამ მანქანაში ჩასვეს და საავადმყოფოში გააქანეს. უნდა გენახათ, რა ბედნიერი თვალეები ჰქონდა!..

- შენ რატომ არ გყავს მანქანა? — ჰკითხა გოგიმ მამას.
- რა ვიცი... არ მჭირდება...
- ცირას მამას რომ ჰყავს?
- მას ალბათ სჭირდება...
- შენც ხომ დადიხარ სამსახურში?
- არ მჭირდება-მეთქი, — გაბრაზდა რატომღაც მამა.

ბიჭებს მანქანა ათვალწუნებული ჰყავდათ. ხან ბურთს მოარტყამდნენ, ხან რალაცეებს ახატავდნენ და აწერდნენ. გოგიც არ აკლებდა ხელს, ალბათ ის სწყინდა, რომ მანქანაში არაფერ ეპატიებოდა. მანქანას რომ ვერაფერს უშავებდა, მთელ ჯავრს ცირაზე იყრიდა. არ ეშვებოდა, ჩანთას ართმევდა, წიგნებს უფანტავდა და სამელნეს უმსხვრევდა. საკვირველი ის იყო, რომ ცირა არ ბრაზობდა, წიგნებს ჰკრეფდა, გაწეწილ თმას ისწორებდა და, პატარა დედოფალივით მშვიდი, გზას განაგრძობდა.

„უჰ, შენი... გაჩვენებ სეირს“...

ძილის წინ კი სულ სხვანაირად ფიქრობდა. „ცირა რომ ძალიან ავად გახდეს და წამალი მე ვუშოვნო... ანდა ქუჩაში ცოფიანი ძაღლი გამოეკიდოს და მე იქვე გავჩნდე“... მერე თავის თავს კუბოში მწოლიარედ წარმოიდგენდა და ატირებულ ცირას დაინახავდა. ცირას დიდი, ლურჯი თვალეები ახლოს მოეტანა და ხმამაღლა ტიროდა:

— მაპატიე... მაპატიე...

რა უნდა ეპატიებინა, გოგიმ არ იცოდა, მაგრამ თვითონაც ცრემლი მოაწვევებოდა, თავისი თავი შეეცოდებოდა და ლოგინში სლუჯუნს ამოუშვებდა...

მამა ფრანგულის მასწავლებელთან ატარებდა, ფრანგულს გოგი ადვილად სწავლობდა და მასწავლებელთან ყოველთვის მიუხაროდა. გზაში თამაშით მიდიოდა: „აი, ამ მაღალ კაცს გავყევით, მისი სიარული მეცნობა... ეს ხომ დოქტორი სპენსერია!.. ხა, ხა, ხა, რა გულუბრყვილო ხართ... შერლოკ ჰოლმსი უცებ გაჩერდა, დაიხარა და ქვაფენილზე დაყრილ თუთუნის ფერფლს დააკვირდა... ხომ ვთქვი... რა მოხდა? არაფერი... არაფერი... გზა განვაგრძობთ... თქვენ რევოლვერი თანა გაქვთ?.. მე ის ყოველთვის თანა მაქვს... კარგია... შეიძლება

გამოგვადგეს... თქვენ ფიქრობთ, რომ... მოითმინეთ... მოითმინეთ... ხედავთ, ეტლი გააჩერა... აქ დამელოდეთ... თუმცა არა, მოწყევით“...

მასწავლებელი ახალგაზრდა ქალი იყო, ლამაზი, მაღალი. წაბლის ფერი თმა ჰქონდა. მშვიდი, გულისხმიერი ლაპარაკი იცოდა და გოგი მათთან თავს გაცილებით დიდად გრძნობდა. მასწავლებელი წიგნს გადაშლიდა და ფურცელს გრძელ თითებიან ხელს დაათარებდა:

— აბა, გოგი, ეს ლექსი მითხარი...

„ოჰ, — გაიფიქრა შერლოკ ხოლმსმა, — ეს ხომ მის ელიოტის ბეჭედი“...

ლექსი კომუნარ ბიჭზე და დედის საათზე იყო დაწერილი. საკვირველი ის იყო, რომ თუმცა მას მერე ბევრი წელი გავიდა, ყველა ცარიელი კედლის დანახვა იმ ლექსს აგონებდა. მასწავლებლის ოთახში ისეთივე სიმყუდროვე იდგა, როგორც აქვარიუმში და ამ მომხიბლავი ქალის მშვიდ ღიმილში ოქროს თევზივით შეგვეძლო გეტყუა.

რომობანას ჯერ კიდევ თამაშობდა. ესპანეთის ამბების შემდეგ ბიჭებს რესპუბლიკელთა ქუდები არ მოუშორებიათ. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, წამოიზარდნენ, სხვა გატაცებები გაუჩნდათ, მაგრამ თამაშის ჟინი მაინც წამოუვლიდათ და მთელ ეზოს იკლებდნენ.

ბავშვები ორად იყოფოდნენ და გოგისა და ლაშას გვერდით დგებოდნენ.

— ახლა იარაღი გავიყოთ, — თქვა გოგიმ.

— ეს თოფი ჩემია, — თქვა მაშინვე ზურიკომ. — ამ თოფს ვერავის ვერ მივცემ...

ზურიკოს ახალთახალი თოფი ჰქონდა, რომელიც ფუნჯებს ისროდა.

— არა, ვისაც შეხვდება, იმას ჰქონდეს...

— ეს თოფი ჩემია... უთოფოდ ვერ ვითამაშებ...

— აჰა, ხმალი, — უთხრა გოგიმ, — თოფი მეთაურს მიეცი...

— მეთაური ვინ არის?

— შენი მეთაური მე ვარ...

— იმიტომ მაძლევ ხმალს?

— არა, მაგრამ...

— არ მინდა, ვისაც თოფი აქვს, მეთაურიც ის იყოს...

— თოფის გულისთვის მეთაურად ვინ დაგნიშნავს, — თქვა მაკამ, — აი, მე ჩანთა მაქვს, სანიტარი ვიქნები...

— ვინც გინდა ის იყავი... მე თოფი მინდა მქონდეს...

— მოიტა თოფი, — უთხრა წყნარად გოგი. — ჯანდაბას, შტაბის უფროსი იყავი...

— შტაბის უფროსი შენ იყავი, თოფი მე მქონდეს...

— მოიტა თოფი...

— თოფი მამამ მიყიდა...

— მოიტა...

— რა მოხდა?

ბავშვებმა მოიხედეს, მათ წინ ძია არტემა იდგა. არტემას მეხანძრის მთლად ახალი, ვაკრიანგული ფორმა ეცვა. ეტყობა, უხაროდა და მაჯის ღილეზზე იხედებოდა. დიდი ხანი არ იყო, რაც არტემა ჯარიდან დაბრუნდა. ჯარში თხუთმეტი წელიც ემსახურა და ძეღა რატომღაც შინ გამოეშვათ. არტემა კოლის სახლში ცხოვრობდა. სიღვდრი წლოვანებით აღზაბთ არტემას ტოლი იყო და ეგონა, სიძე უსათუოდ დამინაგრავს ქალიშვილსო. არტემამ კარგად იცოდა, ვინ ვის დაჩაგრავდა, მაგრამ რა ექნა, ხმას ვერ იღებდა. კუთხეში დაბალ მაგი-

დაზე შედგმულ ურნას რომ დაინახავდა, გული გადაუტრიალდებოდა ხოლმე, ურნაში სიმამრის ფერფლი ეყარა. სიმამრი ოჯახიდან გაქცეულიყო და მოსკოვის მახლობლად რკინიგზაზე დაეწყო მუშაობა. უპატრონოდ მომკვდარიყო და მისი სიკვდილის ამბავი რომ მოუვიდათ, სიდედრმა ქალიშვილი და სიძე თან წაიყვანა, ჩვენ თუ არ დავიტყობთ, ისე როგორ შეიძლებაო. იქ რომ ჩავიდნენ, ვილაკამ ურჩია, კრემატორიუმში წაიღეთ, სახსოვრად ფერფლი მაინც დაგრჩებათო. სიდედრს ეს აზრი ძალიან მოეწონა. ის ღამე თეთრად გაათენეს, სულ კრემატორიუმში ეკერათ პირზე. დილით დახურული მანქანა მოადგა და ცხდარი კრემატორიუმში წაიღეს. ჭირისუფლები, რა თქმა უნდა, თან წაჰყვინენ. ისინი დაბალჭერიან, ცარიელ ოთახში შეიყვანეს და კედელთან მიდგმულ სკამებზე ჩამოსვეს. დაგიძახებთო, — დაუბარეს და წავიდნენ. არტემამ ყველა პლაკატი დაათვალიერა და ყველა განცხადება წაიკითხა. მერე დერეფანში გამოვიდა და კედელში გამოჭრილ პატარა ფანჯარაზე დააკაკუნა. დარაბა გაიღო და დიდცხვირა, სათვალეზიანმა კაცმა თხუნელასავით ამოხედა:

- ჰა?
- რამდენ ხანში იქნება?
- ჰო...

კაცმა საათზე დაიხედა:
 — ნახევარ საათში...

არტემა ცივად გამობრუნდა. ნახევარი საათის შემდეგ სიდედრმა ისევ გაგზავნა: „ნახე, რაც უნდა იყოს, მაინც კაცი ხარ, ცნობა იქნება საჭირო, გამოართვი...“. არტემამ კვლავ იმ ფანჯარაზე დააკაკუნა...

- აა... მზად არის...
- თხუნელამ რაღაც ქვითარი მიაწოდა:
- აქ ხელი მოაწერეთ...
- არტემამ ხელი მოაწერა.
- მიიღეთ...

ფანჯრის რაფაზე პატარა ურნა იდგა.
 — შეამოწმეთ...

არტემამ თავი ახადა, ფსკერზე ნამდვილად რაღაცა ეყარა.
 „ხურდა დამიბრუნეს“...

სიცილი ძლივს შეიმავრა... სიდედრი თუ კარგ ხასიათზე იყო, ურნას თავს ახდიდა და არტემას დაუძახებდა:

- ნახე, ნახე, როგორ დაფერფლილა საწყალი...
- „მე რა მეშველება“...

მერე ამ შიშს ხმამაღლა გამოთქვამდა, ამაზე სიდედრი აჰყვებოდა, აჰყვებოდა და ერთ წიოკობას ასტეხდა. ჩხუბის მერე არტემა ქუჩაში რჩებოდა ხოლმე. მაშინ არსად მსახურობდა და კაცმა არ იცოდა, სად ათევედა ღამეს. ხანდახან მეზობლები დაინახავდნენ, ეზოს ჭიშკარს მალულად რომ მოადგებოდა, ვინმეს შეეხვეწებოდა და ცოლს გამოიხმობდა. საცოდავი ნინაც მალულად გამოვიდოდა, რათა ყვავის ქალბატონივით გაბღენძილ დედას არ დაენახა. ქუჩაში რომელიმე მშვიდ სადარბაზო შესასვლელს ამოირჩევდნენ, კიბეზე ჩამოსხდებოდნენ და ერთმანეთს ეკურკურებოდნენ:

- აი, მე რომ...
- ჰო, გენაცვალე...
- ის, რომ...
- ჰო, ჭირიმე...



მშვიდობიან დღეებში არტემა მხიარული და ხალისიანი იყო. დილაადრიან გამოვიდოდა, აივნის მოაჯირზე სიდედრის, ცოლისა და თავის ფეხსაცმელებს შემოაწყობდა და ჯაგრისით საათობით აპრიალებდა. ამას რომ მორჩებოდა, ხელემაწეული, ოპერაციის გასაკეთებლად მიმავალ ქირურგივით, ეზოში ჩამოვიდოდა. ონკანი შუა ეზოში იდგა და ცემენტის დაბალი ყორე ჰქონდა შემოვლებული. არტემა ცალ ფეხს ყორეზე შედგამდა და ხელ-პირს გულმოდგინედ დაიბანდა. მერე ერთი-ორჯერ ჩაბუქნავდა და ისევ ხელემაწეული კიბეს აუყვებოდა. სიდედრი და ცოლი აივნიდან უყურებდნენ. არტემა არ უტყერდა, მაგრამ მათ მზერას გრძნობდა და გული სიამით უძგერდა.

- რა მოხდა? — გაიმეორა ძია არტემამ.
- ომობანას ვთამაშობთ, — უთხრა გოგიმ.
- მერე დისციპლინა?
- ჯერ არ დაგვიწყია... ზურიკო თოფს არ იძლევა...
- რატომ უნდა მოგცეს ზურიკომ თოფი?
- იმიტომ, რომ მეთაური ვარ, — თქვა გოგიმ.
- მეთაურს რევოლვერი აქვს, თოფი ჯარისკაცმა უნდა ატაროს...
- აბა, — თქვა ზურიკომ, — ხომ ვთქვი...
- მოიტა, — თქვა არტემამ, — ერთი წუთით მათხოვე...

ზურიკომ თოფი გაუწოდა. არტემამ აათვალიერ-ჩაათვალიერა, ტუჩი აბზიკა:

- მოხმარება მაინც თუ იცით?
 - ვიცი, — თქვა ზურიკომ.
 - არაფერიც არ იცი... აბა, მიყურე...
- აოტემა გასწორდა, ძირს დაშვებული თოფი თეძოზე მაგრად მიიკრა:
- სწორდი!..

გაიჭიმა და თავი მარჯვნივ მიატრიალა.

- თავისუფლა!..

და დაიწყო: თავის თავს თვითონვე უბრძანებდა, თვითონვე ასრულებდა ბრძანებებს. თოფს მხარზე იდებდა, ისევ ძირს უშვებდა, წინ გაშვერილი ეჭირა, გაჭიმული ნაბიჯით დადიოდა, წვებოდა, მიხობხავდა, დგებოდა და წელში მოხბილი გარბოდა... გოგი ჯერ გაკვირვებული უყურებდა, მერე ცოტა შეეშინდა. რატომ, თვითონაც არ იცოდა. მართლა რატომ უნდა შეშინებოდა? მაგრამ მაინც შეეშინდა, შეეშინდა და კედელს მიეკრა. არა, ეს თამაში აღარ იყო, ეს იყო სულ სხვა, ჯერ უცნობი რალაც... არტემა კი გაკვირვებულ ბავშვებს ვერც ამჩნევდა...

მალე ნამდვილი ომი დაიწყო.

მამას მაგიდაზე გაშლილ გაზეთზე ედო ხელი.

ხელი კაჯანათზე დაბმული ჩიტვიით თრთოდა. თითები თითქო უჩინარ სიმებს აწვალებდნენ. მერე გოგიმ თვალი მოჰკრა, რომ დედამ მამას ხელზე ანიშნა. მამამ ხელი მაგიდიდან აიღო, გოგის მხარზე დაადო და უთხრა:

— ომი დაიწყო, გოგი...

— გუშინ ბანაკში კოცონი დაანთეს, — მოესმა ლიზიკოს ხმა; — მეც ავედი...

გოგი გამოერკვა, ეტყობა ლიზიკო უკვე დიდი ხანია რალაცას უყვებოდა.

— კოცონი? — უაზროდ გაეპასუხა.

— ჰო, კოცონი... ცეცხლი ჯერ ჩემ სიმაღლე იყო, მერე ნელ-ნელა გაზარდა...

— რა იცი, რომ შენ სიმაღლე იყო, დაეტოლე?

— დავეტოლე... ახლოს მივედი და გავჩერდი. ჯერ მუხლებამდე მწვდებოდა, მერე მხრებამდე, მერე ჩემ სიმაღლე გახდა, ცოტა ხანს ტოლები ვიყავით... უცებ იფეთქა და ცაში გაიქცა... გინახავს დიდი ცეცხლი?..

— მინახავს...

— შენ სიმაღლე?

— ჩემზე ბევრად მაღალიც...

— ისიც ცაში წავიდა?

— ჰო, ისიც ცაში წავიდა...

— მართალია, რომ ცეცხლს ჩვენი ლაპარაკი არ ესმის?..

— მართალია, ცეცხლს ჩვენი ლაპარაკი არ ესმის...

— ბებომაც ასე მითხრა... მე კი მეგონა, რომ...

— რა ვეგონა?

— რომ მას ჩვენი ლაპარაკი ესმოდა... კოცონთან რომ ვიდექი, ვუჩუჩულებ, ნუ წახვალ-მეთქი...

— არ ვაგვიგონა?

— არა... აი, მამა რომ ჩამოვა, ჩვენს ეზოში დავანთებთ დიდ ცეცხლს...

გოგომ სარკეში თვალი მოჰკრა, რომ ქალებმა ერთმანეთს ხელით რაღაც ანიშნეს.

ეს ისეთი მკაფიო და მეტყველი ქესტი იყო, გოგის რატომღაც გული დასწყდა, რომ ლიზიკო ვერ მიხვდებოდა, მას დიდების თვალებით და ხელებით ლაპარაკი არ ესმოდა.

არ ახსოვს მაშინ საიდან ბრუნდებოდა. ძალიან გვიან იყო. ბოლო ტრამვაის ძლივს მოუსწრო და ვაგონში რომ შევიდა, შეამჩნია, იქ მხოლოდ მუნჯები ისხდნენ. ისინი სტუმრად ყოფილიყვნენ და ცოტა შექიფიანებულნიც იყვნენ, ეს აღზნებულ სახეებსა და გაცხარებულ ქესტებზე ეტყობოდათ. საკვირველი სიჩუმე იდგა. ერთი ქერა, ლამაზი გოგო სულ წინა სკამზე რატომღაც მარტო იჯდა. შეწუხებული სახე ჰქონდა. აქეთ კი ჯგუფად ისხდნენ. გოგი მათთან ახლოს დაჯდა. მუნჯები, ეტყობა, რაღაცაზე კამათობდნენ. ოღონდ ეს კი იყო, რომ ყველა ქესტი ერთი ბიჭისკენ იყო მიმართული. აცახცახებული ხელები ებრძოდნენ, ჰკუას არიგებდნენ, რაღაცას დაჟინებით ურჩევდნენ, სთხოვდნენ. ბიჭს ფერი წასვლოდა, ტუჩები მაგრად მოეკუმბა და თვალი სადღაც ერთი წერტილისათვის გაემტერებინა. ბიჭს მხარზე ხელს არტყამდნენ, სიგარეტს აწვდიდნენ, ცეცხლს სთავაზობდნენ. ბიჭი არ ინძრეოდა. მარტო ერთხელ წამოდგა, ქერა გოგოსთან მივიდა და მხარზე ხელი დაადო. გოგომ არც კი მოხედა. ბიჭი ცოტა ხანს ასე იდგა, მერე გამობრუნდა და ისევ თავის ადგილას დაჯდა. ისევ აფარფატდა ხელები, ისევ მიაწოდეს სიგარეტი, ისევ აანთეს ასანთი. ბიჭი კი არავის ყურადღებას არ აქცევდა.

და ეს ყველაფერი უხმოდ ხდებოდა. გოგი თვალს არ აცილებდა. ტრამვაი ცარიელ ქუჩაში მირახრახებდა და მისი შუქი ასფალტზე ისე ცახცახებდა, თითქო წყალზე მიცურავდა. გოგი უყურებდა და ნელ-ნელა თითქო მათ ლაპარაკს ხედებოდა.

„ადექი და უთხარი, უთხარი, რომ გიყვარს“...

„ასეც არ შეიძლება, სულ ეჩხუბები“...

„გოგო მეცოდება“...

„განა მისი ბრალია, რომ“..

„უთხარი რომ გიყვარს, უთხარი“...

„არა, ნამდვილად შენ ხარ დამნაშავე“...

„ადექი-მეთქი“...

„აკი ავდექი და არაფერი გამოვიდა“...

„უყვარხარ“...

„ჰო, უყვარხარ“...

„უყვარხარ, სულელო“...

„შენ კი“...

„წავა და დაიკარგება“...

„მერე გვიან იქნება და ინანებ“...

„რა ვქნა, მითხარით, რა ვქნა“...

ბიჭმა გოგის მოხედა:

— არა, მას ჩემი ლაპარაკი არ ესმის!..

საოცარი იყო, გოგამ ეს სიტყვები მკაფიოდ გაიგონა.

— ცეცხლი ცაში რას აკეთებს? — ჰკითხა ლიზიკომ.

— ღრუბლებს ათბობს...

— ახლა რომ ღრუბლები არ არიან?

— ახლა? დამდამობით ვარსკვლავებს ანთებს...

მათი ბინის გვერდით რაიონის ფოსტის გამგის ოჯახი ცხოვრობდა: მსუქანი, ლაბაბიანი კაცი ჯარში არ წაუყვანიათ. „მაგას ჯარში ვინ წაიყვანს, გაქცევა მაგას არ შეუძლია და არაფერი“... გამგე წესიერებისა და ზრდილობის განსახიერება იყო... მეზობლებს ღიმილითა და ქულის მოხდით ესალმებოდა, დახმარებას სთავაზობდა. დახმარებით კი არავის დახმარებია, რადგან თვითონ მეზობლები ერიდებოდნენ, არც სათხოვნელად მიდიოდნენ, არც ისე, უბრალოდ ამბის მოსაყითხად ესტუმრებოდნენ. თუმცა თვითონაც არ იცოდნენ, რატომ ერიდებოდნენ. იმ კაცზე არავის ხმამალლა ცუდი არ უთქვამს, მაგრამ ლაპარაკი რომ ჩამოვარდებოდა, ჩუმდებოდნენ. ცუდი კაცი იყო? არა, ეს არავის არ უთქვამს, მაგრამ რომ არავის არ უყვარდა, ესეც აშკარა იყო. იქნებ ინიტომ, რომ ვიღაცამ ერთხელ ჩუმად, ძალიან ჩუმად თქვა: მგონი ანონიმურ წერილებს წერსო... ეს ჩუმად ითქვა, მაგრამ ამ ჩუმმა ხმამ, როგორც მელანმა საშრობი, ისე გაქვინთა და დაფარა ის გრძნობა, რომელიც გამგის მეტად თავაზიან ქცევას უნდა გამოეწვია.

სამსახურიდან რომ დაბრუნდებოდა, პიჯაკს გაიხდიდა და აივანზე გამოვიდოდა. ეს დაკანონებული ჰქონდა. მოაჯირს დაეყრდნობოდა და ეზოს ათვალერებდა. დაბლა სართულის ფანჯრებში იხედებოდა, ფარდის იქით რა ხდებოდა, აინტერესებდა. თეთრი, გახამებულისაყელოიანი პერანგი ეცვა, მსხვილად გაკვანძული მოკლე ყელსახვევი ეკეთა და ჟილეტის ჯიბეებზე საათის ძეწკვი ჰქონდა გაბმული. ეზოს დათვალერებას რომ მორჩებოდა, შინ შევიდოდა. სუფრა უკვე გაწყობილი ხდებოდა. ცოლი, უჩუმარი, გამხდარი ქალი, მთელი დღე ფუსფუსებდა. დაქოქილ თოჯინასავით მოკლე და ჩქარი ნაბიჯებით დადიოდა. ქმარს სადილს რომ მიართმევდა, თვითონაც მაგიდასთან მიიდგამდა სკამს. ოღონდ ხელს არაფერს აკარებდა, იჯდა გულხელდაკრეფილი და ქმარს თვალეებში შესცქეროდა. იმ დროს რომ შეგეხედათ, იფიქრებდით, სძინავსო... მაგრამ არ ეძინა, დაძაბული იჯდა და ქმრის ბრძანებას ელოდებოდა. სადილის



მერე ფოსტის გამგე სავარძელში ჩაჯდებოდა, გაზეთს მოითხოვდა და ერთსაათი ზედ ყვინთავდა.

კვირაობით მეზობლებს ჩამოივლიდა. დაჯდებოდა და ათვლიერებდა. არც უცებ ჩამოვარდნილი უხერხული დუმილი აწუხებდა, ვერც მასპინძლის გაღიზიანებულ კილოს ამჩნევდა. იჯდა და ყველაფერს აუქციონზე გამოტანილი ნივთებივით სინჯავდა. ერთ მეზობელთან კი არასოდეს შესულა, მხოლოდ კართან წვივდოდა და გაჩერდებოდა. ცოტა ხანს განაბული იდგა. ის მეზობელი მუსიკოსი იყო. ოპერის ორკესტრში ვიოლინოზე უკრავდა. ჩია, ბურბუშელა კაცი მთელი დღე განუწყვეტლივ ვიოლინოზე ვარჯიშობდა, საღამოთი კი იცემდა შავ კოსტუმს და ოპერაში მიდიოდა. ეს იყო და ეს, არც სტუმარი ჰყავდა და არც წერილებს იღებდა. გამგის კართან მოსვლას მაშინვე გრძნობდა, დაკვრას უცებ წყვეტდა და კარს აღებდა. მუსიკოსი ბეცი იყო და სუსტი, ოღნავ წრიპინა ხმა ჰქონდა:

— მობრძანდით...

გამგე ირონიულად იღიმებოდა:

— უკრავთ?

— რა ბრძანეთ?

— უკრავთ?

— დიახ...

გამგე აღარაფერს ეტყოდა და გამობრუნდებოდა. მუსიკოსი დაფეთებული გამოჰყვებოდა:

— ვუკრავ... რა მოხდა... დიახ, ვუკრავ...

— არაფერი... უკრავთ?..

— რა მოხდა, ბატონო... ვუკრავ... მხოლოდ ვუკრავ...

— არაფერი-მეთქი... ჰი... ჰი...

საღამოს ჩამოხსნიდა სამართებლის გასალეს ღვედს, შვილს შარვალს ჩახდიდა და სცემდა. სცემდა გამეტებით და გულმოდგინედ. თან ხენწმოდ: „გული, ბატონო, გული“... ცოლი კარს კეტავდა და რადიოს რთავდა. გოგი თვითონ ბაეშვი იყო და რას გაუბედავდა... ბიჭი რომ ყვირილს დაიწყებდა, სახლიდან გარბოდა: „სცემს, ვაიმე, სცემს... სცემს, ვაიმე, სცემს“... ეგონა, კიბეზე ვილაც მოსდევდა, უკან მიხედვისა ეშინოდა, ქუჩაში დაფეთებული გამოვარდებოდა და ტრამეის ახტებოდა... ცდილობდა, რაც შეიძლება შორს წასულიყო, გასცლოდა, იმ საწყალი ბიჭის ხმა არ გაეგონა.

— აი იმ სახლთან გააჩერეთ, — მოესმა გოგის.

— მოვედით, — თქვა ლიზიკომ.

— ნახვამდის, ლიზიკო, — უთხრა გოგომ.

— ნახვამდის... ხვალ ხომ ამოხვალ, აი ჩვენი სახლი...

— ამოვალ, უსათუოდ ამოვალ...

— ცეცხლი დავანთოთ... დიდი ცეცხლი...

სასაფლაოზე ყველაფერი აშკარად ჩანდა: სიყვარული, წუხილი, გულგრილობა, სიძულვილი... ჳირისუფლები სხვადასხვანაირნი იყვნენ. ზოგი პირველსავე დღეს იფიწყებდა მასლობლის საფლავს. მიწას მიაყრიდა და წავიდოდა. მერე აღარ გამოჩნდებოდა. ზოგი კი ყველაფერს სტოვებდა და აქ სასაფლაოზე, ძვირფასი სამარის ახლოს იწყებდა ცხოვრებას. საფლავსაც ათასნაირად რთავდა, ალამაზებდა, საცხოვრებელ სახლს ამგვანებდა. ძაძებში ჩამალული, მთელი დღე ტიროდა და მიცვალებულს ელაპარაკებოდა, რაღაცებს უყვებო-



და, რჩევასაც სთხოვდა. საფლავის გალამაზება მისთვის ყველაზე დიდ საქმედ ქცეულიყო. სად არ შოულობდა ხეხილისა და ყვავილების ძვირფას ჯიშებს, მოჰქონდა და აქა რგავდა. ზედ დაჰკანკალებდა და ღონეს არ იშურებდა.

თებრომ ერთხელ ბექებში მოხრილი ჰქალარა კაცი დაინახა, რომელიც საფლავზე დარგულ ყვავილებს რწყავდა და თან ღიღინებდა. კაცს, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვდა, რომ სასაფლაოზე იყო, მაგრამ ყვავილების მორწყვა მისთვის უკვე ჩვეულებად გადაქცეულიყო, ეს ჩვეულება მწუხარებისაგან დამოუკიდებლად გასჩენოდა და ახლა ღიღინ-ღიღინით აკეთებდა თავის საქმეს. არა, ადამიანები ნამდვილად ერთმანეთს არ ჰგავდნენ. ზოგი საფლავი სულ მთლად მივიწყებული იყო. ასეთ საფლავებზე სიჩუმე ხმელი ბალახივით გარინდებულიყო. ეს სიჩუმე გაყინული გულების ექოს ჰგავდა. მასში უსაზღვრო ლოდინიც იყო გამჟღავნებული, გაუთავებული და დაძაბული ლოდინი, სწორედ ისეთი, როგორიც მკვდრებმა იციან.

მფრინავების საფლავებზე პროპელერიანი ბოძები იდგა. მათაც არავინ აკითხავდა, მაგრამ ის საშინელი, გამხმარი სიჩუმე მაინც ახლოს არ ეკარებოდა. თებრომ იცოდა, რატომაც ხდებოდა ეს: როცა მფრინავებს მარხავდნენ, მათ საფლავებზე ყოველთვის თოფებს ისროდნენ ხოლმე, თოფის ხმა კი ადამიანების მიერ მოგონილ ხმებს შორის ყველაზე უფრო მკვეთრი და ძლიერი იყო, იგი სამუდამოდ აფრთხობდა სიჩუმეს. თებროს მფრინავები ეცოდებოდა. მათ საფლავებზე მხოლოდ ცის პაწაწინა ნაფლეთები შრიალებდნენ. თებროს ამ ქვეყნად ყველაზე მეტად თვითმფრინავი უკვირდა. ღიღინას უცქერია ცაში გაბრწყინებულ თვითმფრინავისთვის, ღიღინას უგდია ყური მისი საიდუმლოებით სავსე გუგუნისათვის და ვერ წარმოედგინა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ასეთ ღიღინებულ, ციურ მანქანას მართავდნენ, ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად იხოცებოდნენ და სასაფლაოზე მათ გვერდით იწვნენ. ცისა და მიწის ასეთი კავშირი თებროს ვერაფრით ვერ აეხსნა და ხანდახან მიწა ცის გაგრძელება ეგონა, რომელიც ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავებს მკერდში იკრავდა და ინახავდა.

თებრო ერთხელ მფრინავის დაკრძალვასაც შეესწრო.

კუბოს რომ უშვებდნენ, ერთმა თქვა:

— ფრთხილად, არ ჩავარდეს...

— სადღა უნდა ჩავარდეს, ისედაც...

— მაინც ფრთხილად ჩაუშვით...

— ახლა მიწა მივყაროთ... ამხანაგებმა თითო ბეჭი მიწა მივყარონ...

— მე არ შემიძლია, — თქვა ერთმა, — წავალ, არ შემიძლია...

მერე კუბოზე მიწის გორბები აბრახუნდნენ. კუბოზე მიწის დაცემის ხმა არაფრის ხმას არა ჰგავს. ყოველთვის უნებურ შიშს იწვევს, გგონია, ჰერი გენგრევა თავზე. შიში ცოტა ხანს გრძელდება, ერთ წამს, ან წამზე უფრო ცოტა ხანს... გორბების ბრახუნი რატომღაც უცებ მიწყდა. მაგრამ სიჩუმე კი არ ჩამოვარდნილა. თებრო მიხვდა, რომ უფრო ძლიერმა ხმამ დაფარა ის. მერე ჯარისკაცების მწყრივი დაინახა, ჯარისკაცები ჰაერში თოფებს ისროდნენ. თოფის ხმაც იმ გორბების ხმას ჰგავდა, მაგრამ აშკარად ძლიერი იყო... მერე საფლავზე ბოძი აღმართეს და ზედ პროპელერი დაამაგრეს.

— საწყალი, — თქვა ერთმა, — აი, მიწაში წვეს...

მეორემ მკლავში ხელი გაუყარა:

— კარგი წავიდეთ...

— პროპელერს ქარი ხომ არ მოგლეჯს?

— არა, მაგრადაა მიჭედებული...

— კარგია, რომ გაახსენდათ...

— ასეა წესი, არ იცოდი?

— ვიცოდი... ვინ მოიტანა?

— გერამ მოიტანა მანქანით...

ცოტა ხანს დუმდნენ... მერე ერთმა თქვა:

— „ესე წარიქციეს, რათა აღიღოს ჯვარი მისი!“

ჩამავალი მზის სხივებით აწითლებულ ღრუბლების ფონზე პროპელერი მარტოდ დატოვებული კაცივით სევდიანი იყო.

თებრომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. საფლავს რომ მიუახლოვდა, თითქოს ასკილის ბუჩქივით მკვრივსა და აყვავებულ ცაში გაიხლართა...

ბარაბასათვის რომ ყური დაგვეგდოთ, იმსაც კი ამტკიცებდა, რომ საიქიო-შიც ისევე კვდებიან, როგორც აქ. სამოთხეში ეს სასჯელად ითვლებოდა, ჯო-ჯოხეთში კი პირიქით. ღმერთი თუ შენს სიკვდილს გადაწყვეტდა, ეს იმას ნიშ-ნავდა, რომ ტანჯვას საკმარისად თვლიდა. მიცვალებულებს უზარმაზარ ღუ-მელში სწვავდნენ და ფერფლს ზღვაში ჰყრიდნენ. ამ ზღვას „მშვიდი მკვდრე-ბის ზღვას“ ეძახდნენ. თუმცა იყო შემთხვევა, როცა სამოთხეშიც კი თხოვდნენ ღმერთს სიკვდილს. ღმერთი მაშინ საშინლად ბრაზობდა და მთხოვნელს მოკვ-დინების მაგივრად ჯოჯოხეთში აძევებდა. საიქიოში სსაფლავო არ იყო, რად-გან სიკვდილი იქ შვებად იყო მიჩნეული. ბარაბასათვის რომ ყური დაგვეგდოთ...

სერაპიონის ამბავს ღმერთმა თვალი მოუხუჭა. ღმერთი ერთხანს სულ მარ-ტო დადიოდა, ალბათ გრძნობდა, რომ ახლა ქვეყნის ჰაიპარად, შვიდ დღეში შექმნისათვის სამაგიეროს იწვნევდა. იმ ქვეყანაში ჩასვლა ყოველთვის ეზარე-ბოდა და მას თავისი შემოქმედების მიღწევად არ თვლიდა. ღმერთი მარტო დადიოდა და ამ სიმარტოვეში ისეთივე დიდებული იყო, როგორც მაშინ, ვიდ-რე ადამიანს შექმნიდა. ქვეყანამ ნელ-ნელა მოაწვდინა თავისი ხმა. ადამიანმა ისეთი რამეები გააკეთა, რაც ღმერთს სიზმარშიაც კი არ დასიზმრებია. ღმერ-თი ჯერ ყურადღებას არ აქცევდა, ადამიანის შესაძლებლობისა არ სჯეროდა. ადამიანის ხმა კი დღითიდღე იზრდებოდა. ერთ დღეს ჯორდანო ბრუნოს კოცონის ჭვარტლმა შეაწუხა, შეაწუხა და ფიზიკისა და მათემატიკის, ასტრო-ნომიისა და ბუნებისმეტყველების შესწავლას ჩაუჯდა. მთელი წელი განდევ-ლივით ცხოვრობდა, ცარცითა და მელნით მოთხუზნული დადიოდა. დაღლილ თვალებში ცისფერი ალი უკრთოდა და შუბლი ღრმა ნაოჭებით დამძიმებოდა. და აი ერთხელ, როდესაც სამოთხის ყველაზე დიდ მოედანზე უამრავი ხალხი ირეოდა, მოედანზე თმაგაჩვილი და ტანზე სამოსშემოგლიჯილი ღმერთი შემოვარდა. იგი კედლებს გამწარებით ეხეთქებოდა და დასისხლიანებულ ხე-ლებს თავში იცემდა. ღმერთმა ხალხი გაარღვია და მოედნის შუაში აღმართულ ბოძს ქვითინით მოეჭიდა.

— ბრუნავს!.. მაინც ბრუნავს! — იძახდა ის და მთელ ტანზე თითქო ცის-ფერი ცეცხლი ეკიდა. ქვის ბოძს ისე მაგრად იყო ჩაფრენილი, თითქო უეცრად ამოძრავებული დედამიწის შეჩერება უნდოდა.

ყველაზე მეტად ღმერთს კაცის სიყვარული აოცებდა. თუმცა სიყვარულის დროს ადამიანები ადამ და ევასავით შიშვლები და გულუბრაცვილონი იყვნენ. მაინც შეკუმშული ზამბარების სიჯიუტე ჰქონდათ. ადამიანს, ღმერთისგან გან-სხვავებით, ორი რამისა ეშინოდა: თავის თავთან მარტო დაჩრენის და სიძულ-

ვილის. ხსნასა და თავშესაფარს ის მეორე ადამიანის არსებაში ეძებდა. და იმ მეორე, მისთვის უცნობი სულის გაშლილ სივრცეში გრძნობდა თავს თავისუფლად. სიყვარულის დროს ის განსაკუთრებით თამამი და ძლიერი იყო, რაც ღმერთს ძალიან უკვირდა, რადგან არავინ არ არის ისეთი უმწეო, როგორც შიშველი კაცი. ღმერთი სიმარტოვით იყო დიდი, ადამიანი კი მეორე ადამიანთან კავშირით...

ბარაბასათვის რომ ყური გეგდოთ... ქადაგად იყო დავარდნილი. მთელი დღე რომ ელაპარაკნა, არ დაიღლებოდა, არც სხვა რამ საქმე გაახსენდებოდა. ხან სტეფანესთან იჯდა, ხან პავლეს მიაკითხავდა. გააბამდა, გააბამდა გაუთავებელს. ბარაბა თუმცა იკვებნიდა, რომ უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული, რატომღაც ნასწავლ კაცს არ ჰგავდა. პავლემ ისიც კი თქვა, სამოთხის აპშები ვილაცისაგან აქვს გაგონილი და დაზეპირებულიო. ისე, სულო ცოდვილო, ვემრეული მოყოლა კი იცოდა. რომ დაიწყებდა, ვეღარ მოშორდებოდი, კისერზე უხილავ თოკს გაბამდა და ნელ-ნელა ვითრევდა. თებროს მოტყუებას რა უნდოდა, მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ პავლემ ყურადღებით უსმენდა. სტეფანე ხომ მას შემდეგ, რაც ბარაბამ თქვა, სამოთხეში ატემები ჰყვავიანო, გვერდიდან აღარ შორდებოდა.

— ბარაბა, ბიჭო, ბარაბა, მესაფლავე თუ შევა სამოთხეში?

— ჰი, ჰი, ჰი, — იცინოდა ბარაბა. — მესაფლავე?

— ჰო, მესაფლავე... მითომ რაო? — იმედს არ ჰკარგავდა სტეფანე.

— რა ვიცი...

— თქვი ჰო-თქო, რა გენაღვლება, — იღიმებოდა პავლე.

— როგორ თუ რა მენაღვლება, — ცხარობდა ბარაბა. — როგორ თუ რა მენაღვლება, ტყუილად ვერ დავპირდები...

— თორემ შენც ვინმე გეკითხება...

— რა იცი, რა იცი...

და თებროს გადმოხედავდა. თებროს ეს მზერა ადრეც ეუცხოვა, მაგრამ რატომღაც არაფრად ჩაავდო. ბარაბამ რომ ასეთ შემოხედვას მოუხშირა, მაშინ შეეშინდა, შეეშინდა და საცოდავად მოიბუზა. ადრე ეგონა, მარტო პავლე ხედავდა მის ქალობას, მის ქერა მძიმე ნაწნავებს, ჩიტის ბუდესავით განაბულ მის ძეგრს. სხვები? სხვები ელაპარაკებოდნენ მხოლოდ, რალაცას თხოვდნენ, სადღაც აგზავნიდნენ, ესალმებოდნენ და უღიმოდნენ. მისი ტანი თითქო პავლეს დაყოკრილმა ხელებმა გამოძერწა და მერე პავლემ საკუთარი სული შთაბერა. პავლეს მზერა ფიცრებს შუა შემოპარულ მზის ჭიატს ჰგავდა, რომელიც ყოველთვის სიხარულით ავსებდა. ბარაბას კურდღელივით ფხიზელი თვალები ჰქონდა და თებროს მათი ეშინოდა. ეს თვალები ორი წითელი ქაჯივით წარამარა გზაზე უხედდოდნენ და უშნოდ ეკრიჭებოდნენ. გასაქანს არ აძლევდნენ, მაგრამ საწადელს კი ჯერ არ უმხელდნენ. თითქო მათ ფსკერზე იჯდა ორი. ჯავშანში შემალული, განაბული კუ, რომლებიც გაპრიალებული, უპარო თვალებით უტკერდნენ. მხოლოდ ერთხელ, აპრილში, როცა სასაფლაოზე ხეები აყვავდნენ, ბარაბამ თებროს გზაზე შეაჩერა და უთხრა:

— გაზაფხულდა, გოგო...

თებრომ გვერდი აუქცია, მაგრამ ბარაბამ ნაწნავში ხელი წაავლო და თავისკენ მიიზიდა:

— მოიცა...

თებრო გაიწია და ისეთი ტკივილი იგრძნო, რომ ცრემლი წამოსცვივდა.

ბარაბამ ხელი გაუშვა და გაქცეულ თებროს დაადევნა:

— გაზაფხულა, შე სულელო...

დედამ სამკერვალო ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. უთენია მიდიოდა და შინ გვიან ბრუნდებოდა. ოთახში ციოდა. გოგის აღვომა ეზარებოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა და დგებოდა. მაგიდაზე შავი პურის ნაჭერი იყო, ნავთქურაზე ჩაიდანი თუხთუხებდა. გოგი კარგად სწავლობდა, დედაც სულ ამას ეუბნებოდა, კი არ ეუბნებოდა, თხოვდა: „ყველაფერს გაეკეთებ, ყველაფერს მოვიკლებ, ოღონდ შენ კარგად ისწავლე და სწავლაზე გული არ აიცრუო“... გოგი სკოლაში ადრე მიდიოდა, იქ გაცილებით უფრო თბილოდა. თითქმის ყოველთვის კიბეზე კლასის დამრიგებელს ხვდებოდა, ქართულის მასწავლებელს. ჭალარა, დალეულ ქალს გახუნებული პალტო ეცვა და ხელში მოწაფის ჩანთა ეკავა. რვეულებით გატენილი. ისინი ცარიელ კლასში შევიდოდნენ და მერხებზე ჩამოსხდებოდნენ. „გოცვა?“ — ჰკითხავდა მასწავლებელი. „დიახ, — პასუხობდა გოგი, — მცოვა, პატივცემულო მასწავლებელო...“ — „დედა მუშაობს?“ — „დიახ, პატივცემულო მასწავლებელო“... — „მამა არ იწერება?“ — „არა, პატივცემულო მასწავლებელო“. — „ნუ გეშინიათ, მოგწერთ...“ — იტყოდა მასწავლებელი და გოგიმ იცოდა, რომ ახლა ის ტირილს დაიწყებდა. მასწავლებლის ერთადერთი შვილიც ფრონტზე იყო და მან არაფერი იცოდა, სად იბრძოდა, ან ცოცხალი იყო თუ არა. მასწავლებელი უხმოდ ტიროდა. ცრემლები დაპალუბით ჩამოსდიოდა და მუხლებზე დადებულ ჩანთას უსველებდა. გოგისაც უნდოდა ეტირა, ხმამალა, ძალიან ხმამალა ეტირა, მაგრამ რატომღაც რცხვენოდა და თავს იკავებდა. გაკვეთილზე კი მასწავლებელი მკაცრი და მომთხოვნი იყო. ოდნავ გაზზარული ხმით ხსნიდა გაკვეთილს და მოწაფეებს სათვალეს ზემოდან უცქერდა. დიდ პატივისცემად ითვლებოდა, თუ მასწავლებელი გაკვეთილების მერე თან წაგიყოლებდა და რვეულებს წამოგაღებინებდა. ერთხელ გოგიმაც წაიღო რვეულები. მარტის თოვლქყაში იდგა და ძალიან ციოდა. გოგის ფეხსაცმელები არ ჰქონდა და წინდებზე ქუსლგამოგლეჯილი კალოშები ეცვა. მთელი გზა ჩუმად მიდიოდნენ, მასწავლებელს გოგის ჩანთა ეჭირა, გოგის კი ორივე ხელით რვეულები მიეკრა მკერდზე. რკინის დახვეული, სველი კიბე აიარეს და მასწავლებელმა მინებჩასმულ კარს ბოქლომი მოხსნა. პატარა ბინა ჰქონდა, ერთი ბნელი ოთახი და შუშბანდი. ოთახში თუნუქის ღუმელი იდგა.

— პალტო არ გაიხადო, — უთხრა გოგის, — ჯერ ცეცხლს დავანთებ...

შუშბანდიდან ნაფოტებით საესე ვედრო შემოიტანა, ღუმელთან ჩაიმუხლა და ნაფოტები შიგ შეყარა. მერე ცეცხლი მოუკიდა და წამოდგა:

— ახლა აღულუნდება...

გოგის რვეულები ისევ მკერდზე მიკრული ეჭირა. მასწავლებელმა გაუღიმა:

— მაგიდაზე დაწყე... პალტოც გაიხადე...

მერე ფეხებზე შეხედა, ცოტა ხანს უყურა, მიტრიალდა და ღუმელზე ჩაიდანი დადგა. ოთახში ნახევრად ბნელოდა... ღუმელის კარის ქუჭრუტანებიდან გამოპარული სინათლე თავივით დაცოცავდა კედლებზე, სურათებზე, კარადის ძინაზე. მერე საათმა დარეკა, მძინარე კაცივით რამდენჯერმე ყრულ ჩაახველა და მიჩუმდა, დაიკარგა.

— ფეხზე გაიხადე, — თქვა მასწავლებელმა.

გოგის ეგონა, რომ კარგად ვერ გაიგონა:

— ბატონო?

— ფეხზე გაიხადე... ჰო, სულ გაიხადე, წინდებიც...

გოგის გაკვირვებულ სახე რომ დაინახა, დაუმატა:

— ფეხები ცხელ წყალში უნდა ჩაგაყრევი...

მერე ტაშტი შემოიტანა და გოგის წინ დაუდგა. ჩაიდანა გადმოიღო და წყალი ტაშტში ჩასხა:

— ნახე, ცხელია?

გოგიმ ფეხები წყალში ჩაჰყო:

— დიახ, ცხელია...

— კარგია, — თქვა მასწავლებელმა, — სწორედ ცხელი უნდა იყოს...

სახელოები გადაიწია, ჩაიჩოქა და დაბანვა დაუწყო.

გოგი წამოიწია:

— პატივცემულო მასწ...

— იჯექი, იჯექი...

გოგიც დაემორჩილა. იჯდა გაწითლებული, დაძაბული და ძალიან რცხვე-
ნოდა. უცბათ მასწავლებლის ჩურჩული შემოესმა:

— შეილო... დედა მოგიკვდეს, შეილო...

გოგის უნდოდა შეპასუხებოდა, მაგრამ ხმა ეუცხოვა, მიხვდა, რომ მას არ
ელაპარაკებოდნენ:

— შეგცივდა, დედა? ცივა, დედა მოგიკვდეს, შეილო... ცივა...

მასწავლებელი ტიროდა. ცრემლი გამდნარი სპილენძის წვეთივით მხურ-
ვალე იყო...

დედა დაღლილი ბრუნდებოდა. ნაცრისფერ, სველ შალს სამზარეულოში
თოკზე ჰკიდებდა და მერე გვიანობამდე სარეცხს რეცხავდა. სარეცხის რეცხვას
რომ მორჩებოდა, ახლა ცოცხს აიღებდა და ოთახის დაგვას დაიწყებდა. დედა
უცბათ გამოიცივალა, გაჭაღარავდა და გახდა.

წყალგარეული ნავთი ცუდად იწვოდა. ნავთქურა ტკაცუნობდა და ოთახში
ნავთის მძაფრი სუნი იდგა. დედა ნავთქურასთან იჯდა და წინდას ქსოვდა.
არავინ არ ჰყავდათ, რომ ცოტათი მაინც დახმარებოდათ. ზურიკოს მამაც,
ფრონტზე იყო, იმათაც უჭირდათ, გოგიმ რამდენჯერმე დააპირა სადმე რომე-
ლიმე ქარხანაში მუშაობის დაწყება. დედამ არაფრის გულისთვის არ დაანება.
ის კვირა დღესაც აღრე დგებოდა. კარადის უჯრებს გამოაღებდა და ტანსაც-
მელს არჩევდა. მერე ფუთაში ჰკრავდა და ბაზარზე გასაყიდად მიჰქონდა. ბაზ-
რიდან პური და შაქარი მოჰქონდა. შაქარს სულ გოგის უზოგავდა და თვითონ
ჩაის მარილმოყრილ პურს ატანდა. ერთ კვირა დღეს დედამ პური და შაქარი
აღარ მოიტანა, ცხვირსახოცში გამოკრული ფული ეჭირა ხელში.

— გოგი, გაკვეთილები ნასწავლი გაქვს?

— გუშინ ვისწავლე...

— წამოდი, წამომყევი, ნავთულში მივდივარ...

გოგი წაჰყვა. მთელი საათი იჯაკჯაკეს ტრამვით და როგორც იქნა, ნავთ-
ულში გავიდნენ, ტრამვიდან ჩამოვიდნენ და მაღალ სახლს მიადგნენ.

— მგონი აქ უნდა იყოს, — თქვა დედამ.

კიბეს აუყვნენ და სულ ბოლო სართულზე დედამ ერთ კარზე მორიდებით
დააკაკუნა. კარს დიდხანს არ აღებდნენ. მერე კარი გაიღო და გამხდარმა, სათ-
ვალეობიანმა ბიჭმა გამოიხედა:

— ვინ გნებავთ?

— ქალბატონი ელისაბედი შინ არის? — ჰკითხა დედამ.

ბიჭმა არ უპასუხა. კარი მიხურა და კარგა ხნის შემდეგ ისევ გამოიხედა:

— მობრძანდით...

დაბალპერიანი, თეთრად შელესილი ოთახი თითქმის ცარიელი იყო. ოთახის კუთხეში მაგიდა იდგა, მაგიდასთან ძალზე გამხდარი ქალი იჯდა. ქალს წითლად შეღებილი თმა ჰქონდა და გაზეთში გახვეულ თუთუნს სწევდა. დედა იმ ქალისავე წავიდა:

— ქალბატონო ელისაბედ...

— დაჯექი, ქალო...

დედა დაჯდა და ხელები მუხლებზე დაიწყო.

— დიდი ხანია ფრონტზეა? — ჰკითხა ელისაბედმა.

დედამ ნერწყვი გადაყლაპა და გოგის მოხედა. ისეთი სახე ჰქონდა, რომ გოგის შეეცოდა. თუმცა არაფერი ესმოდა, ხედებოდა, რომ დედა რაღაცას თხოვდა ამ ქალს. უნდოდა დედისთვის ეთქვა, აღექი, წავიდეთო, რომ სწორედ ამ დროს სათვალეებიანმა ბიჭმა ხელი მოჰკიდა. გოგი რატომღაც შეკრთა და უხეშად გაიწია.

— მოდი აქ, — უთხრა ბიჭმა და ფანჯარასთან მიიყვანა.

— აი, იმ სახლს ხედავ?

გოგიმ თავი დაუქნია:

— ვხედავ...

— არ გინდა იმ სახლში ცხოვრობდე?

გოგის ყური დედისკენ ჰქონდა. დედა რაღაცას ხმადაბლა უყვებოდა ელისაბედს. ელისაბედს ხელში კარტი ეჭირა და ჭირდა.

— დაკარგვის ამბავი დიდი ხანია მიიღეთ? — ჰკითხა ელისაბედმა.

— ურთი კვირაა. — თქვა დედამ ჩუმად.

— იმ სახლში მტრედები ჰყავთ, — სათვალეებიანმა ბიჭმა ხელები მალა ასწია, — ბევრი, ძალიან ბევრი მტრედი...

— ეს გზას ნიშნავს, — თქვა ელისაბედმა.

— ის სახლი სადამოვობით წითელი ხდება, — ბიჭმა სათვალე მოიხსნა და უშუშებს ხელი გადაუსვა; — მზე ფანჯრებს აწითლებს...

— ეს კიდევ გზა არის...

დედამ ამოიოხრა.

ახლა ელისაბედმაც დაუწია ხმას, კარტს მაგიდაზე შლიდა და რაღაცას ჩურჩულებდა.

— განაპირა აივანზე ველოსიპედი დგას, — ბიჭმა სათვალე ისევ გაიკეთა, — ხედავ?

— ვხედავ, — უპასუხა გოგიმ. — მერე რა?

— არაფერი... ველოსიპედი დგას... დიდი ხანია ასე დგას, არავინ ხელს არ ჰკიდებს...

უცებ გადმოიხარა და გოგის ყურში უჩურჩულა:

— იცი, მამაჩემი მოკვდა...

— რა?

— მამაჩემი მოკვდა... ოღონდ დედამ არ იცის...

— საკვირველია, — თქვა ელისაბედმა: ისევ გზა ამოვიდა...

„ყველაზე პატარა რუქაზეც შეიძლება შეამჩნიოთ, თუ რა დიდი მიწა. არიან აღამიანები, რომლებსთვისაც ქვეყანა მხოლოდ იმით შემოისახლდრება, რასაც ხედავენ. მაგრამ არიან სხვებიც... მათ საოცარი გრძნობა აქვთ სამყა-

როს სიდიდისა. სწორედ ასეთი გრძობა ჰბადებს დიდ საქმეებს. განა კოლუმბი დარწმუნებული არ იყო, რომ ქვეყანა გაცილებით დიდია, ვიდრე ის ნაწილი, რომელსაც იმ დროს იცნობდნენ? განა რომელიმე თანამედროვე ასტრონომის ფარული ოცნება ახალი, უცნობი ვარსკვლავის აღმოჩენა არ არის? მას სწამს, რომ ეს ვარსკვლავი ნამდვილად არსებობს. მან ისიც კი იცის, თუ რა ადგილას გამოჩნდება იგი.

განა ადამიანის არსება ჯერ კიდევ უცნობი მატერიკებით არ არის სავსე? რამდენი კვდება ისე, რომ თავის თავს ბოლომდე ვერ ამქვლავნებს. რამდენს გაჰყვირებია, როდესაც თავისი სრულიად ახალი თვისება აღმოუჩენია. რამდენი მხლადლი მომკვდარა გმირად და რამდენს, გულადსა და ძლიერს, დაუყრია ფარ-ხმალი იქ, სადაც აქამდე შეუშინებელი კაცის მოულოდნელი გამბედაობა გაბრწყინებულა. ადამიანის არსების ჯერ კიდევ უცნობი კუნძულები ორი ძლიერი ვნებით, სიყვარულითა და სიძულვილით აშკარავდებიან და უსაზღვრო სამყაროში არ არსებობს უფრო ძლიერი რამ, ვიდრე ადამიანი, როდესაც მას უყვარს ან ძულს. ადამიანის სული ქვეყნიერების პატარა რუქაა და ვინც მისი წაქითხვა იცის, გაოცებულია მისი სიდიადით...“

მამა, ეტყობა, დღიურს სწერდა. ფურცელზე თარიღიც იყო აღნიშნული: 1941...

„ნუთუ მეც შემიძლია რამე გავაკეთო, გავაკეთო დიდი და სრულიად ახალი რამ. იქნებ არც არის საჭირო ახალი რამის ვაკეთება. იქნებ საკმარისია ის, რაც ნამდვილად შეგიძლია და რასაც მთელი გულით აკეთებ. შემიძლია კი რამე? რამდენი წელი დავკარგე, აქამდე ინყინერი ვიქნებოდი, გვირაბებს გავიყვანდი... გვირაბებს... გვირაბებს... ვინ ახსენა დღეს ეს სიტყვა? გვირაბებს... თუმცა ჯერ კიდევ შეიძლება. აი, ერთი წელიც და ინყინერი ვიქნები... მაგრამ იქნებ ეს წლები დაკარგული არ არის... იქნებ ახლა რასაც ვაკეთებ, არც ესაა ნაკლები ინყინრობაზე... განა ამ საქმეს გულით არ ვაკეთებ? გვირაბებს... ვის გაჰყავდა გვირაბები? რა სხვანიარად ისმის დღეს ეს სიტყვა: გვირაბი, როცა ადა-შიანის თვალი ცისკენა მიმართული, როდესაც ადამიანი კოსმოსში დაფრინავს... მე მგონია, ფრენისათვის აუცილებელი არ არის მალა ასვლა. ფრენა ყველგან შეიძლება, მთავარია სულში გრძობდენ ცას...“

— ცა, — თქვა მან და მანქანა გააჩერა. გადმოვიდა და ცას ახედა. მალა, ძალიან მალა მოჩანდა სახურავებსა და მავთულებში გახლართული ცის პატარა ზოლი. ის იყო ლურჯი და ქვევზე გაწოლილ ტალღასავით სუნთქავდა. უეცარმა სიხარულმა აავსო: ამხელა ცა მის სულში ნამდვილად დაეტეოდა... მანქანაში ჩაჯდა და საქვს ორივე ხელით დაეყრდნო, ზედ თავი ჩამოლო და გაიღიმა, თითქო საკუთარ პაწაწინა ცას გაუღიმა. ის ფიქრი მაინც აწვლებდა: გვირაბები... სად გაიგონა დღეს ეს სიტყვა? „პატარა რომ იყო, სულ მიწას თხრიდა, სახლებს აშენებდა, გვირაბები გაჰყავდა... რომ წამოიზარდა, ნამდვილი გვირაბის გაყვანა დაიწყო. მივდიოდი და ვუყურებდი... ძალიან ბედნიერი იყო...“ რომ წამოიზარდა, ნამდვილი გვირაბის გაყვანა დაიწყო... როცა წამოიზარდა... ჰო, როცა დაკავდები. ნამდვილი საქმე უნდა გააკეთო... ნამდვილი საქმე, რომ მერე ბავშვებმა თამაშობებში გაიმეორონ... როცა წამოიზარდა... წამოიზარდა კი არა, ავერ ოცდაათი წლისა... შუადღე... იყოს შუადღე... შუადღისას ყველაფერი ნათლად მოჩანს...

უხაროდა, რომ წინ კიდევ გრძელი გზა იყო, შუადღის მზით განათებული... უხაროდა, რომ ამ გზას ბოლომდე ხედავდა...

ფანჯარასთან დიდი ხეები იდგა. ხეებს შორის აგურის კედელი მოჩანდა. წვიმაში კედელს მინავლებული ცეცხლის ფერი ჰქონდა.

— რა სხვანაირი კედელია, — თქვა გოგიმ, — თითქო განგებაა ამ ბაღში ჩადგმული...

— ჰო, ეს კედელი ძალიან მიყვარს...

— შეეჩვიე...

— არა... ის ყოველ დღე იცვლება, სხვადასხვა ფერს იღებს... თანაც თითქო რაღაც საიდუმლოს მალავს...

გოგიმ გაიცინა:

— საიდუმლოს...

— ამ კედლის იქით ვინც ცხოვრობს, ყველას ვიცნობ, მაგრამ, როცა კედელს ვუყუარებ, მგონია, რომ სულ სხვა ხალხი და სულ სხვა ცხოვრებაა მის გადღამა...

— ადამიანი ყოველ დღე სხვანაირად ცხოვრობს... ყოველ დღე რაღაცას იძენს ან კარგავს...

— არა, მე ამდენი არ მიფიქრია... ისე კი მინდა, ვისაც ვიცნობ, ყოველ დღე სხვანაირი იყოს... ახალი საღამო, ახალი ხმა, ახალი სიცილი მინდა...

მერე ლოგინზე დაგდებული წიგნი აიღო და გოგის მიუტანა:

— აბა, ეს ადგილი წაიკითხე.

გოგიმ ხმამალა წაიკითხა:

— „ადამიანად მანამდე არ იქცევი, სანამ ისეთ რამეს არ მოიპოვებ, რის გულისთვისაც თამამად მოკვდები...“

— გაიგე? — ჰკითხა მარიკამ.

— გავიგე, — უპასუხა გოგიმ.

მარიკასი ბევრი რამ არ ესმოდა. მარიკა ხშირად ისეთ რამეს ამეღანებდა, რაც გოგისთვის ახალი და უცნობი იყო. თითქო ერთმანეთისგან მინასავით გამჭვირვალე ზღუდით იყენენ დაშორებულნი. თუმცა ამ გამჭვირვალე ზღუდის იქით ყველაფერი მოჩანდა, მაინც ზღუდე იყო და ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო ზღვარი მათ არსებაში გადადიოდა და დიდდებოდა. ის, რითაც ახლა მარიკა ცხოვრობდა, გოგის თავის დროზე არ ჰქონდა განცდილი. ის წლები ველსიპედით ვავლილ გზას ჰგავდა, როცა გზა გასაველი მანძილია და მეტი არაფერი. მარიკა კი ახლა ამ გზაზე ფეხით მიდიოდა. მას მეტი დრო ჰქონდა და ყველაფერს ხედავდა: გზის პირას ამოსულ ბალახსაც, ნიშანსვეტებსაც და უფრო იქით, მშით განათებულ გორაკებსაც. რადგან ეს გზა ნამდვილად მისი გზა იყო, მისი ასაკისთვის და ცხოვრებისთვის განკუთვნილი გზა... ეს გზა მას უნდა გაეგლო ისევე აუცილებლად, როგორც თვითმფრინავს ასაფრენი მანძილი. გოგი კი ამ გზაზე თავს უცხოვდ გრძნობდა. მას თავის დროზე არ ეცალა, რომ ეს გზა გაეგლო. მაშინ თითქოს ეს გზა არც კი იყო და მხოლოდ ახლა, მარიკას დროს გაიყვანეს. ეგონა, რომ თუმცა ერთმანეთის გვერდით მიდიოდნენ, მაინც სხვადასხვა რამეს ხედავდნენ. მარიკა თამამად მიდიოდა, გოგი კი ფრთხილად. ის, რაზედაც ოცნებობდა, ასრულდა, თუმცა, სამწუხაროდ, თავისივე აზდენილ ოცნებას ჩამორჩა. მაინც უხაროდა. ისინი მხარდამხარ მიდიოდნენ, მაგრამ მათ შორის უხარმარო სივრცე იწვა, რადგან დროით გაჩენილი ზღვარი მათ არსებაში გადადიოდა და იზრდებოდა... და ამ მანძილის ვავლას რატომღაც ორივე ერიდებოდა.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა მარიკამ.

— არაფერზე, კედელს ვუყუარებ...

— გინდა, ღვინოს დაგაღვინებ...

— სიამოვნებით დავღვევ... თანაც წვიმს...

მარიკამ კარადა გამოაღო და ბროლის სურით ღვინო მოიტანა... დიდ ჭიქაში დაუსხა და ახლოს მიუჩოჩა:

-- დალიე...

გოგიმ ჭიქას სინათლეზე გახედა:

— კრიალებს...

— ძია ლევანმა დაწურა... მცხეთაში ვენახი გვაქვს...

მარიკა მამინაცვალს „ძიას“ ეძახდა.

— გაგვიმარჯოს, — თქვა გოგიმ და ჭიქა ერთბაშად გამოცალა. მარიკამ კიდევ დაუსხა:

— ახლა მე მადლეგრძელე...

— აუცილებელია?

— ღვინის საზღაურად...

— გაიზარდე დიდი გოგო, დედას დაუჯერე...

— არა, ეგ არ მომწონს... სხვა რამე თქვი...

— არ გინდა დამჯერე გოგო გამოხვიდე?

— დედას მე არ დავუჯერებ, — თქვა მარიკამ ჩუმად, — დედა არ მიყვარს...

— როგორ თუ არ გიყვარს... ეს აღარ გამრგია...

— ჰო, არ მიყვარს... პატივს ვცემ... მაგრამ რომ დავუჯერო, უნდა მიყვარდეს...

— კი მაგრამ, რატომ არ გიყვარს?

— ძალიან გთხოვ, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ...

— არა, მაინტერესებს, მითხარი...

— ვერ ხვდები?

— ვერა...

— მართლა ვერ ხვდები?

— ვერა-მეთქი, რა ვქნა...

— მაშინ არ ვეტყვი... ძალიან გთხოვ, ნულა მკითხავ...

— კარგი, აღარ გკითხავ... მაშინ ჩემი დამჯერე გოგო იყავი...

— შენ დავიჯერებ, — თქვა მარიკამ, — მინდა, რომ ვილაცას დავუჯერო...

ისე არ შეიძლება...

— მარტო ამიტომ დამიჯერებ?

— არა... დიდი ხარ...

გოგიმ გაიცინა:

— ჰო, დიდი ვარ... მეტი არაფერი?

— ვერ ვიტყვი...

გოგი ადგა:

— მარიკა...

მარიკაც წამოდგა და გოგისთან ახლოს მივიდა. მარიკა მაღალი იყო, თითქმის გოგის სიმაღლე. თმა მხრებზე ჰქონდა ჩამოშლილი და მკერდი უღელავდა. გოგიმ ორივე ხელი მოხვია წელზე და მაგრად მიიკრა. მარიკა ხმას არ იღებდა. მძიმედ სუნთქავდა და თვალებში შესცქეროდა. მისი თვალები იყო ღრმა, ძალიან ღრმა, მაგრამ სიღრმის გრძნობას კი არ იწვევდა, პირიქით, მიუწვედომელი, სპეტაკი ბურუსით გაფერმკრთალებული სიმაღლე გამოსჭვიოდა იქიდან. კიდევ უფრო მაგრად მიიკრა მკერდზე და აკოცა. მარიკამ ხელები კისერზე

შემოხვია და თვალები დახუჭა, უცებ სიმაღლე დაიკარგა და თითქო მათი სხე-
 ულები მკვრივი და ბუნდოვანი ფერებით ამღვრეულ ტბაში ჩაეშვა. წყლის
 ზედაპირზე გაჩენილი რკალები საოცარი სისწრაფით გაიზარდა და მთელი მათი
 ცნობიერება გაავსო.

საფერფლე იატაკზე იდო. გოგი გადაიხარა და დამწვარი ასანთი შიგ ჩა-
 აგდო.

— მეც მომეცი სიგარეტი, — უთხრა მარიკამ.

— აკი აღარ ეწეოდი?

— მერე რა... მომეცი...

გოგიმ ახლა სიგარეტების კოლოფი აიღო იატაკიდან და მარიკას გაუწოდა.

— ეგ არ მინდა, — თქვა მარიკამ, — შენი სიგარეტი მომეცი... ერთად

მთეწიოთ...

ცოტა ხანს ჩუმად იწვნენ. მერე მარიკამ უთხრა:

— გინდა ამაღამ აქ დარჩი... ჩვენები ქალაქგარეთ არიან წასულები...

— დილით ადრე უნდა ავდგე... ხვალ ვმუშაობ...

— რა კარგია! — თქვა მარიკამ: — მე გაგაღვიძებ.

— აბა ადექი და წყალი მომიტანე...

— ვერ ავდგები, — თქვა მარიკამ, — წადი და დალიე... წყალი სამზარეუ-
 ლოში... მერე სინათლე ჩააქრე...

— აი, მესმის, არავითარი უფროს-უმცროსობა...

— მე გოგო ვარ, — თქვა მარიკამ.

— სწორედ გოგომ უნდა მრიტანოს წყალი...

— გოგოს უნდა პატივი სცე...

— კარგი, კარგი, მივდივარ...

გოგიმ წყალი დალია, ოთახში შემობრუნდა და სინათლე ჩააქრო. ფანჯა-
 რასთან მივიდა და ფარდა გადასწია. ბაღში, ნათურის ქვეშ წვიმა თბობას აბლა-
 ბულდასავით ბზინავდა.

ტაქსების სადგომთან მივიდა თუ არა, მანქანების გრძელი რიგი დაინახა.
 ცხელოდა. მანქანიდან გადმოსული შოფრები სახლის ჩრდილში იდგნენ. გოგიც
 მათ შეუერთდა.

— გამარჯობათ...

შოფრებმა სალამზე უბასუხეს. გოგი კიბეზე ჩამოჯდა:

— ტაქსი არავის უნდა...

— ცხელა...

— დავიზარე მანქანაში, — თქვა ვალომ.

— შენს ქონს დააბრალებ, — გაუცინა გივიმ.

— არა, მართლა ცხელა, — თქვა გოგიმ, — ძალიან ცხელა...

— ვხუმრობ, — გივიმ ვალოს ღიბზე ხელი დაარტყა, — რა ამის ბრაღია...

ესენი უბრალო, გულღია ბიჭები იყვნენ. შრომისმოყვარულნი და გამტანნი.
 რამე თუ გაგიჭირდებოდა, არ მიგატოვებდნენ, ლხინში კი თავს არ შეგაწყენდ-
 ნენ. თავის დროზე ღვინის სმაც უყვარდათ, დინჯად, მამაპაპურად. გოგიმ მათ-
 ვან ბევრი რამ ისწავლა. როცა მათ უყურებდა, რატომღაც უხაროდა, რომ
 პურს მათსავით თავისი შრომით ჰამდა, მათსავით გამურული ხელები ჰქონდა.

— კანტორაში თუ იყავი? — ჰკითხა ალექსიმ. — გექებდნენ.

— არ ვყოფილვარ... ხომ არ იცი, რაზე მეძახიან?

— არ ვიცი... ილო პაპა გეძახის...

ილო პაპა პარტორგანიზაციის მდივანი იყო და ბიჭები ამ ნაადრევად გა-
თეთრებულ კაცს პაპას ეძახდნენ.

— წავედი, — თქვა გოგომ, — კარგად იყავით...

მანქანა გარაჟში არ შეუყვანია, ქუჩაში გააჩერა და დარაჯს ჰკითხა:

— ილო პაპა სად არის?

— შემკეთებელ საამქროშია, ახლახან წავიდა.

ილო პაპა ფეხებზე იცნო. მანქანის ქვეშ გადგინო ბრეზენტზე გაწოლილი-
ყო და რალაცას აკეთებდა. გოგომ ჩაიმუხლა და მანქანის ქვეშ შეიხედა:

— ილო პაპა, თქვენ მეძახდით?

— გოგი ხარ? დამიცადე, ახლავე მოვრჩები...

კანტორაში შევიდა და სკამზე ჩამოჯდა. ილო პაპას მაგიდასთან, კედელზე, ჟურნალიდან ამოჭრილი ულანოვას სურათი იყო გაკრული. პაპა ილოს სამივე ბიჭი ამ გარაჟში ტაქსის შოფრად მუშაობდა. ისინი დათვის ბელბივით გავდ-
ნენ ერთმანეთს და მუშაობის დროს მამასავით ჯიუტები იყვნენ. პაპა ილოს დააგვიანდა. გოგომ მაგიდიდან ახალი გაზეთი აიღო და კითხვა დაიწყო. მერე გაზეთი გვერდზე გადადო, ადგა და ფანჯარასთან შევიდა. ეზოში ილო პაპას შვილი ნოდარი მანქანას რეცხავდა. ნოდარი ყოველთვის თვითონ რეცხავდა მანქანას. ნოდარი გოგის მეგობარი იყო. ისინი ტოლები იყვნენ და თავიდანვე კარგად გაუგეს ერთმანეთს. ნოდარი გოგოების მუსუსი იყო და მათი გულის მოსაგებად უამრავი ფანდი იცოდა. თუმცა ცოლ-შვილი ჰყავდა, მაინც თავისას არ იშლიდა და მოთმინებიდან გამოსული პაპა ილო ხანდახან როგორც პატარას, ისე წაუთაქებდა ხოლმე. ნოდარი პირობას დადებდა, ცოტა ხანს მამა აბრამის ბატკანივით ეჭირა თავი, მერე ისევ ააფრენდა და ვიღაც საცოდავი გოგოს წე-
რილებს ბიჭებს სერიოზული სახით უკითხავდა. ნოდარს პერანგი გაეხადა, მზით დამწვარი, გაოფლილი ტანი უბრწყინავდა და წყლის ნაკადს ხანდახან მკერდს უშვერდა. გოგის ერთი ძველი ამბავი გაახსენდა. მაშინ ჯერ კიდევ კარ-
გად არ იცნობდნენ ერთმანეთს. ორივე მანქანების მრეცხავად მუშაობდა. პირ-
ველი ხელფასი რომ აიღეს, ნოდარმა გოგი და გივი რესტორანში დაპატიჟა. იქ ცოტა დალიეს და საბურთალოსკენ გასწიეს.

ოთახში პაპა ილო შემოვიდა:

— უკაცრავად, გალოდინე...

— არა უშავს, — თქვა გოგომ, — რაზე მიბარებდით, პაპა ილო?..

პაპა ილო მაგიდას მიუჯდა:

— აი, ეს მომწონს, პირდაპირ საქმე...

გოგომ სკოლა დაამთავრა თუ არა, მუშაობა დაიწყო. დედა ხშირად ავად-
მყოფობდა, ისედაც, როდემდის უნდა ყოფილიყო დედის კისერზე. ცოტა ხანს მანქანის მრეცხავად მუშაობდა, მერე საშოფრო კურსები დაამთავრა. ერთ ხანს სატვირთო მანქანა დაჰყავდა. მანქანა ომის გზებზე ნათრევი იყო და ჩუჩებში თუნუქის ცარიელი კასრით დარაახრახებდა. ერთ დღით კი დაუძახეს და ტაქსზე დასტეს. იმ დღეს მუშაობა გვიან დაამთავრა. მანქანა თავის ადგილას დააყენა და გარაჟის სასაბილოში შევიდა. სასაბილო საესე იყო, შოფრები ლუდს სვამდნენ და მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილები ერთმანეთს რალაცეებს უყვებოდნენ. გოგომ თუთუნის კვამლით დაბინდულ ოთახში ერთი ნაცნობი სახეც კი ვერ დაინახა. დახლთან მივიდა, ცოტა ძიხვი დაჰკრეცინა და ერთი ტოლია ლუდიც დაასხმევინა პატარა, ციბრუტივით ბზრიალა ქალს.



— აი, ამ ლაწირაკზე გეუბნებოდი, — მოესმა უეცრად. გოგი შეკრთა, გულმა უაზრა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ.

— მე მანქანა წამართვეს და ამ მარმალადს მისცეს...

გოგი მოტრიალდა. მაგიდასთან ორნი ისხდნენ. ერთი ზურავით იჯდა და მის სახეს ვერ ხედავდა. მეორე კი პირდაპირ მას უტყუვრდა. ის მსუქანი, ზონზოროხა კაცი იყო და ლაპარაკის დროს სახე პარკში ჩასხმულ ფელამუშვივით უთახთახებდა.

გოგის გამოხედვა ვითომ არც კი შეუმჩნევია, ისევ თავისი გააგრძელა:

— შენა სვამო. ვა, ვირიშვილო, ვსვამ, სხვისას ხომ არა ვსვამ? — თან ხელებს შლიდა. — ჩემს ადგილას ეს უნდა დასვან, ესეც სამართალია?..

— გაანებე თავი, — თქვა მეორემ, — ბავშვია...

— ერთი მაგის, — თქვა მსუქანმა და თან ძალზე უხამსი გინება დააყოლა.

გოგი ახლოს მივიდა, ლუღით სავსე ტოლჩა მაგიდაზე დაანარცხა:

— რა თქვი?

მსუქანი ფეხზე წამოდგა და ბენზინით აქოთებულ ხელი ცხვირთან მიუტანა:

— მოგკლავ, ლაწირაკო...

გოგის მოეჩვენა, რომ იმ კაცის ნიჩაბივით ფართო ხელისგულზე იდგა, თოჯინასავით პატარა და უმწეო. ეს ჩვენება რომ გაეჭრო, ხელზე ხელი აჰკრა. აქნეული ხელი მსუქანს სახეში მოხვდა.

— ოხ შენი...

გოგის ორივე ხელი მხრებში ჩაავლო, წაიყვანა და კედელზე მაგრა მიახეტქა, მერე დათვივით ჩატორა და ალბათ გასრესას უპირებდა, მთელი სიძიმით მიაწვა. გოგის თავბრუ დაეხვა. თითქო სისხლი ერთ უზარმაზარ ბურთად შეიკრა და ყელში გაეჭედა. „მაინც არ ვიყვირებ... მაინც არ ვიყვირებ...“. თუმცა ყვირილი არც კი შეეძლო. უცებ სასწაული მოხდა, მსუქანი კაცი ნელ-ნელა შოუშვა, უცნაურად დაიმანჭა და ტუჩები გაუთეთრდა. გოგის ხელები გაუშვა და მძიმედ მიტრიალდა. მის უკან პაპა ილო იდგა, რომელსაც კისერში წაევლო მისთვის ხელი.

— გამიშვი, მოკვდი...

— რატომ, ბავშვებთან რომ მაგარი ხარ?

— გამიშვი, ხელი, გამიშვი...

ილო პაპამ ხელი გაუშვა:

— აბა, შენი ბურღდა არ ვნახო აქ...

— ხვალ შეჯიბრებაზე უნდა გამოხვიდე, — თქვა ილო პაპამ. — მსუბუქი მანქანების მძღოლების რესპუბლიკური შეჯიბრებაა... დილის ცხრა საათზე დილოში მოხვალ...

— ილო პაპა, მე და შეჯიბრება?

— ჰო, შენ და შეჯიბრება... ხვალ ხომ არ მუშაობ?..

— არა... მაგრამ...

— დღეს ცოტა ადრე დაბრუნდი, კარგად უნდა გამოიძინო...

— იქნებ ჯობდეს, რომ სხვა ვინმე...

— ძალიან გთხოვ, ჰკუთას ნუ მასწავლი, — თქვა ილო პაპამ. მერე დაუმატა:

— გავიგე, ბიჭები წყნეთში არ მიდიან...

— წყალი დუღდება...

— თუ იქიდან ცარიელად წამოსვლას ერიდებიან... ასე არ შეიძლება... ვინც ნახო, უთხარი...



— ილო პაპა, ვითომ რამე გამოვა დილოში?
 — გამოვა, ნუ ვეშინია... იმედი რომ არ მქონდეს, არ გეტყოდი...

ფანჯარიდან შემოსული, მოქანავე შუქი ხან მარიკას სახეს ანათებდა, ხან მის შიშველ მხარს. მარიკას ეძინა. ძილში ოდნავ გასაგონად ფშვინავდა. გოგო იწვა და სიგარეტს წევდა.

მარიკასი მას ბევრი რამ არ ესმოდა. არც იმდენით უფროსი იყო, რომ ეს ასაკისათვის დაებრალებინა. მარიკას შეეძლო ყველაფერი თვითონ გადაეწყვიტა. აფრაშეგებული პატარა ხომალდით ლაღად დაცურავდა და თავისი აფრების იმედი ჰქონდა. გაზაფხულზე აფეთქებული ხის ლამაზი მოურიდებლობით აესებდა სივრცეს და ღრმად სწამდა, რომ ეს სივრცე მისი იყო. მარიკას თამამი ფიქრები ზოგჯერ მოულოდნელი სიახლით ელავდნენ. გოგის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ბავშვობაში წასაყითს წიგნებს ახლა კითხულობდა.

ფანჯარა ღია იყო, მაგრამ ოთახში მაინც ცხელოდა. წვიმამ უცბათ გადაიღო. ფოთლებიდან ჩამოცვენილი წვეთების ხმა მკაფიოდ ისმოდა და გოგი ფიქრს უხეზურად იმ ხმას აყოლებდა: „შა...რი...კას ვუ...ყვარ...ვარ“. მა...რი...კას... ვუ...ყვარ...ვარ“. სიგარეტი ჩააქრო და მარიკას ზეწარი გაუსწორა. დიდხანს იწვა მერე თვალდახუჭული და თითქოს წვიმის წვეთებს ითვლიდა.

— გო...გი...

დაუძახა მარიკამ ძალიან შორიდან. გოგი მარიკას ვერ ხედავდა. ირგვლივ საკვირველი, მოლურჯო სიბნელე იდგა. ამ სიბნელეში მაინც შეიძლებოდა გაგერჩია მიწის ოღროხოლო, მოშიშველებული ზედაპირი, რომელიც ძალიან უცნობი იყო, მაგრამ გოგის ნამდვილად სადღაც ჰქონდა ნახული. ცოტათი მთვარის ზედაპირსაც ჩამოგავდა, ცოტათი...

— არა...ეს...მიწა...არ...არის... — თქვა გოგომ.

მერე დაინახა, რომ მინის მუზარადი ეხურა, სწორედ ისეთი, კოსმონავტებს რომ ახურავთ.

— მა...რი...კა...

დაიძახა გოგომ.

„მა...რი...კას... ვუ...ყვარ...ვარ...“

სიბნელეში ვერცხლისწყალივით დაიფანტა სიტყვების მბრწყინავი ბურთულები.

მერე მხარზე ხელის შეხება იგრძნო. მოტრიალდა და მარიკა დაინახა. მარიკასაც ისეთი მუზარადი ეხურა.

— წამო...რა...გაჩვენო...

თქვა მარიკამ.

გოგი ახლოს მივიდა: „ნუთუ ეს მარიკაა?“

მუზარადის გამოზნექილი მინის სიღრმიდან ორი ძალიან ლურჯი თვალს უცქერდა.

„ცირა...“ ცოტა ხანს დაკვირვებით უყურებდა. მიხვდა, რამ ცდებოდა.

ეს ნამდვილად მარიკა იყო. მარიკამ ხელი მოჰკიდა:

— წამო...

ისინი ნელა მიდიოდნენ, კი არ მიდიოდნენ, მიფრინავდნენ, რადგან ძალიან მსუბუქები იყვნენ.

— მიფრინავთ, — თქვა მარიკამ.

— მიფრინავთ, — გაიმეორა გოგომ.

მერე მარიკამ ანიშნა, გაეჩერდეთო და გაჩერდნენ.

— ხედავ? — მარიკამ ხელი გაიშვირა.

სიბნელეში მდინარე ბრწყინავდა, ალბათ იმიტომ, რომ მასზე უამრავი, სხვადასხვა ფერის ნათურა ენთო.

— ეს მდინარე არ არის, — თქვა გოგიმ, — ეს ქუჩაა...

— არა, — თქვა მარიკამ, — არ შეიძლება, რომ ქუჩა იყოს.

— რატომ? — ჰკითხა გოგიმ.

— იმიტომ, რომ ჩვენ ახლა ცაში ვართ.

— ეს... მიწა... არ... არის... — თქვა გოგიმ.

ნამდვილად კი თურმე კარუსელი ყოფილა. ჩასხდნენ და დატრიალდნენ. დიდხანს იტრიალეს და დაილაღნენ.

— გვეყოფა, — თქვა მარიკამ.

— გვეყოფა, — თქვა ვილცამ, რომელიც სიბნელეში არ ჩანდა. მერე გოგი მიხვდა, რომ ეს სიტყვა მან თქვა. ის ბალახებში იწვა და ამიტომ არ ჩანდა.

— აქ ბალახს რა უნდა? — გაუკვირდა მარიკას. — ეს ხომ ცაა.

ბალახი ძალიან მაღალი და სურნელოვანი იყო.

— მოდი, — დაუძახა გოგიმ, — მოდი ჩემთან...

— არა... მანდ... ვერ... მოვალ... მანდ... მიწა...

— აქაც ცაა... მოდი...

მარიკა მივიდა და გოგის გვერდით ბალახში გაწვა.

— რა მაღალი ბალახია: — თქვა მარიკამ.

გოგიმ მარიკას ხელი მოხვია:

— მოდი, მოდი ჩემთან...

მავრამ ვერაფრით ვერ აკოცა. რაღაცა უშლიდათ. რა?.. რა?.. ჰო, მუზარადები... მინის მუზარადები... მათი მოხსნა რომ არ შეიძლება? მარიკამ მუზარადი მოიხსნა. მარიკასათვის სულ ერთია, ის ყველგან თავისუფლად სუნთქავს.

— მეც მოვიხსნი, — თქვა გოგიმ.

— არა, — თქვა მარიკამ, — შენთვის ასე უცბათ არ შეიძლება, უნდა შეგჩვიო...

მარიკამ თავი გაიქნია და თმა გაიშალა.

— ოჰ, — თქვა მან, — რა მაღალი ბალახია...

მარიკა იყო ლამაზი... ასეთი ლამაზი არასოდეს ყოფილა.

— ერთი ამისი... მოვიხსნი...

— ნუ... გთხოვ...

— არა, უნდა მოვიხსნა... არა, უნდა მოვიხსნა...

— გოგი! — დაუძახა მარიკამ შორიდან, ძალიან შორიდან. — გოგი!...

გოგიმ თვალი გაახილა. დიდხანს ვერაფერს ხედავდა. მერე მარიკა დაინახა. მას ხალათი შემოეცვა და საწოლზე ჩამომჯდარიყო.

— ძლივს სუნთქავდი, — გაიცინა მარიკამ, — მეგონა, დაიხრჩობოდი...

— რაღაც დამესიზმრა...

— ეს ღამე სიზმრების ღამეა, მეც ვნახე უცნაური სიზმარი. ვითომ მე და შენ მყვინთავები ვიყავით...

— და ბალახში ვიწექით...

— ბალახში?

— მაღალ, ძალიან სურნელოვან ბალახში...

— არა, იქ ბალახი არ ყოფილა... იქ იყვნენ დიდი, ძალიან დიდი თევზები...

— არც კარუსელი ყოფილა?

— არა, კარუსელი არ იყო, იყო ჩაძირული გემი... შენ იმ გემის კაპიტანი იყავი და ახლა მასთან ერთად ზღვის ფსკერზე ცხოვრობდი...

— პირში უზარმაზარი ჩიბუხი მქონდა გარკობილი, ვიჯექი გემბანზე და კრილოსანს ვმარცვლავდი...

— ნუ იცინი.

— აკი მყვინთავეები ვიყავით?

— ჰო, მყვინთავეებიც ვიყავით... ყველაზე ცუდი ის იყო, რომ შენ არ გყვარდი... ეტროლი, მაგრამ ჩემი ცრემლები წყალში არ ჩანდა...

— მე კი ჩიბუხს არხეინად ვაბოლებდი...

— სიგარეტი მოწიე, — მარიკამ სიგარეტების კოლოფი და ასანთი მიაწოლა: — მოწიე...

გოგომ სიგარეტს მოუკიდა. ცოტა ხანს ჩუმად იწვა. მერე ჰკითხა:

— მარიკა, გინდა ხელი მოვაწეროთ?

— რამ გადაგრიო, — უთხრა მარიკამ. — ესეც დაგესიზმრა?

— ჰო, ეგეც დამესიზმრა...

— თუ მიფრთხილდები?...

— რა თქვი?

— ჩემს სახელს უფრთხილდები... დიდბუნებოვანი ხარ...

— მარიკა, მე არ ვხუმრობ...

— არც მე გეხუმრები...

— მარიკა...

— მეგონა, უფრო ძალიან გიყვარდი... მე ამაზე არასოდეს მიფიქრია...

— მე კი მგონია, რომ ასე სჯობს...

მარიკამ გაიცინა:

— იცი ხელს რატომ აწერენ? რომ გაყრის საბაზი ჰქონდეთ... ჩვენ უფრო ბედნიერები ვართ, არაფერი ხელს არ გვიშლის... ისე იცოდე, ამ დამის მე არ ნრცხვინია...

— განა მე ეს ვთქვი?

— არა, მაგრამ შენ რაღაცის გერიდება. ჩემი გერიდება... ნურაფერზე ნუ ფიქრობ. შეგიძლია ყველაფერი პირდაპირ მითხრა, მე არაფრის არ მეშინია...

— არც მე... ისე სხვანაირი გოგო კი ხარ, მარიკა...

— არა, მე ჩვეულებრივი გოგო ვარ... მაგრამ თუკი მიყვარს, სხვაზე არაფერზე არ ვფიქრობ...

— მე კი ვფიქრობ და თვითონვე მიკვირს, საიდან, სულის რომელი კუნჭულიდან მოძვრება ეს ფიქრი... შეიძლება იმიტომ, რომ მე უფრო სხვანაირი ბავშვობა მქონდა. ექვსი წლისა ვიყავი, როდესაც ერთხელ შუალამისას უცრად გამეღვიძა. მამა კარებთან იდგა. ჩვენს აივანზე ვილატეები დადიოდნენ. „ჩვენთან არ არიან“, — თქვა ღელამ. მამა ხმას არ იღებდა. „დაწეკი“, — თქვა ღელამ. მერე მანქანის ხმა მომესმა. მე რატომღაც მეგონა, რომ ჩვენ სოროში ვისხედით. სოროს თავზე კი ბანჯგვლიანი კაცი იდგა. მანქანა დაიძრა, მაგრამ უცებ დაამუხრუჭა. „მობრუნდნენ“, — თქვა მამამ. „ღმერთო ჩემო, — თქვა ღელამ, — რატომ, რისი გულისთვის...“

— მერე? — ჰკითხა ძალიან ჩუმად მარიკამ.

— მერე... მერე არაფერი... მერე ომი დაიწყო... მამა დაიღუპა... ბავშვობა... იქნებ ბავშვი სულაც არ ვყოფილვარ... შენ... შენ ეს არ გინახავს... ღმერთმა დაგიფაროს...

მერე ჰკითხა:

— გინახავს ცალ ფეხზე მდგარი ყანჩა?

— არა... თუმცა როგორ არა, სურათზე მინახავს...

— დიდხანს მეგონა, რომ ცალ ფეხზე ვიდექი... კიდევ კარგი, რომ მუშაობა დავიწყე. შოფრებმა ბევრი რამე მასწავლეს... პირველად მათი მკაცრი ხელები სულზე იარებივით მეტყობოდა. მერე იარები შემინორცდა და ვიგრძენი, რომ მაგრად ვიდექი მიწაზე... შენ კი თავიდანვე თამამად მოდიხარ...

— არა, მე ყანჩას არ ვგავარ, — თქვა მარიკამ. — მე ვგავარ გაბუტულ ბელურას...

— შენ გავხარ თეთრ, ძალიან თეთრ აფრას, — თქვა გოგიმ. — გაბედულ აფრას, შენი ზღვა ახალია და მშვიდი...

მარიკამ გაიმეორა:

— შენ გავხარ თეთრ,
 ძალიან თეთრ აფრას,
 შენი ზღვა
 ახალია და მშვიდი...

გოგი, შენ ლექსებს სწერ...

— არა, სამწუხაროდ, არ ვწერ... ისე კი ძალიან მინდა, რომ ვწერდე...

— ამიტომ იფიქრე მარტო ჩემზე და ლექსებზე. ნუ ფიქრობ, თითქოს შენ ჩემს მიმართ რაიმე ვალდებულება გაქვს... როგორი სულელები ხართ კაცები... როგორი მშობრები... ისიც კი არ შეგიძლია, ისე გიყვარდე, რომ სხვებზე არ იფიქრო... მაგრამ ნუ გგონია, რომ როდისმე მოგცილდები... არაფერს არ გთხოვ, ისედაც კარგადა ვარ...

მერე ღიმილით დაუმატა:

— სულელი ყანჩა...

მარიკას სიყვარულს ის პირველად ცოტათი შიშითაც კი უტყვირდა. სიყვარული, რომელიც მან თვითონ შექმნა, უნებური შიშითა და ეჭვით ავსებდა, როგორც რომელიმე მეცნიერს თავისივე გამოგონილი იარაღი. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ უყვარდა და ამავე დროს ფიქრობდა...

— კაცს ფრენა უნდა შეეძლოს, — თქვა მარიკამ, — თუ ბიჭი ხარ, სულ უნდა დაფრინავდე...

— თუ ბიჭი ხარ, — გაიმეორა გოგიმ...

— ჰო, თუ ბიჭი ხარ... გინდა პირდაპირ გითხრა? შენ ცოტა სითამამე გაქვია... რამეს რომ შეეჩვევი, მერე მოცილება გეშინია...

— შენც ხომ შეგეჩვევ?

— მაგაზე ლაპარაკს ვიკრძალავ... ეგ ცაშია გადაწყვეტილი. სიზმარი არ გახსოვს? იცი, რაზედაც გელაპარაკები...

— ვიცი... უნდა ავიკიდო ჩანთა, დავიჭირო ხელში წერაყინი და მთებში მადნების საძებნელად წავიდე...

— ხუმრობ?

გოგიმ გაიცინა:

— ხუმრობას როგორ გავბედავ...

— ნუთუ ვერ გრძნობ, როგორი დროა... ახლა ერთ ადგილას გაჩერება არ შეიძლება. სულ უნდა რალაცას ეძებდე, რალაც უნდა გაწვალებდეს...

— მესმის, პატივცემულო მასწავლებლო, — თქვა გოგიმ.



— შენ კი ასეთი ლამაზი გოგოს გვერდით წეხბარ და სულელურ სიხმრებს ხედავ...

— უკაცრავად, პატივცემულო მასწავლებლო...

— მადნები აუცილებელი არ არის... როგორ ვითხრა, არ ვიცი... აი, თუნდაც... თუნდაც... არ ვიცი, ისე რაღაცას უნდა ეძებდე, რაღაცა არ უნდა მოგწოდეს, რაღაცას უნდა ებრძოდე, რაღაცის გულისათვის უნდა მოკვდე...

— მარიკა, ბოლოს და ბოლოს გაგებრზღებდი... თითქო შენ იყო ოცდაათი წლის, მე კი....

— შეიძლება ასეც არის, — თქვა მარიკამ, — შეიძლება უფრო დიდიც ვი ვარ...

— ჩემი ჰქვიანი გოგო...

— ნუ მეფერები. ჯობია მომისმინო და გაიგო... აი, მე ინსტიტუტს რომ დავამთავრებ, სადმე მთაში წავალ მასწავლებლად. სვან ბავშვებს რემბოს ლექსებს ვასწავლი... ერთი წუთითაც არ გაეჩერდები შენთან. ღმერთო ჩემო, როდის გავა ხუთი წელი...

— ხუთი წლის მერე ოცდათხუთმეტი წლის ვიქნები... წინათ ოცდაათი წლის კაცი ძალიან დიდი მეგონა. ახლა კი...

— არც ახლა ხარ პატარა, — თქვა მარიკამ.

— ჰო, არც ახლა ვარ პატარა... კიდეც ოცდაათი წელი...

— მეტი არა?

— ეს წლები სულ სხვა წლებია. ახლა თითო წელი ბავშვობის სამ-ოთხ წელიწადს უდრის...

— თანაც ატომური ყუმბარა, — თქვა მარიკამ.

— თანაც ატომური ყუმბარა... მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ომი არ იქნება...

— მეც დარწმუნებული ვარ, — თქვა მარიკამ, — მაგრამ ხომ ვფიქრობთ...

— აი, ეს ფიქრია ყველაზე ძნელი... ნუ გეშინია, არაფერი არ იქნება...

— არ მეშინია, — თქვა მარიკამ, — მაგრამ ვფიქრობ...

— უკრავენ, — თქვა გოგომ.

— იმ კედელს იქით უკრავენ. იქ ერთი პიანისტი ცხოვრობს, დილანდუე ასე უკრავს... ნუ გეშინია, — მარიკამ გაიღიმა, — აი, ჩვენ არ გეძინავს... აიცი იმ პიანისტს სძინავს...

გოგომ მხარზე ხელი მოხვია. ცოტა ხანს ჩუმად იდგნენ, მერე მარიკამ თქვა:

შენ გაეხარ თეთრ,
ძალიან თეთრ აფრას,
შენი ზღვა
ახალია და მშვიდი...

პავლე გვიან ბრუნდებოდა. მთელი დღის ნაშრომსა და ნაჯაფს დაღლილი არც კი ეტყობოდა. ახლა ეზოში მოტრიალდებოდა, ხეხილს დახედავდა, პატარა ბოსტანში წყლის ღარებს თოხით გამოწმენდდა, მერე მობრუნდებოდა და ღარიბულ სუფრას მიუჯდებოდა. თებროს უსათუოდ გვერდით მოისვამდა, უიმი-სოდ პურს არ გასტეხდა. ისეთი მაღა ჰქონდა, მაძლარ კაცსაც ხასიათზე მოიყვანდა. ლობიოს ჯამში პურს ჩაამტკრევდა, ზედ წითელ წიწკას მოათმუნებდა და ხის ვეება კოვზით შეექცეოდა.

— მუშა კაცი ვარ და ჰამაც მიყვარს, — იტყოდა სიცილით და ხვეწნით.

რალაცას ანიშნებდა. თებრო მაშინვე წამოდგებოდა და ღვინით საესე ხელადას მოუტანდა. პავლე ხელადას მალლა ასწევდა, გადმოაპირქვაებდა და პირს შეუშვებდა. ღვინო ყელში რაკრაკით ჩადიოდა და პავლეს სახე ნელ-ნელა უწითლდებოდა. ხელადას მაგიდაზე დადგამდა და — აგაშენა ღმერთმარო, იტყოდა. თებრო ღმილით შეჰყურებდა, თვალეში შესციციწებდა. უხაროდა, პავლე რომ ასეთი ღონიერი იყო, ასეთი მალა რომ ჰქონდა.

მაშინ გაზაფხული იდგა. ატმები ზარმაცად ჰყვავოდნენ. ნუთუ მართლა ამდენმა ხანმა გაიარა... „ცოდო ხარ, გოგო, ცოდო...“. „ძია სტეფანე, შენ მაინც გახსოვს, რა კარგი კაცი იყო პავლე... ძია სტეფანე, შენ მაინც გინახავს პავლე...“. მზეზე გამთბარი წყალივით თბილი და სასიამოვნო ჩრდილები მიწაზე, ქვებზე და მხრებზე ფათურობდნენ და მოთენთილი სხეულები ბუნების ზრდასა და აყვავებას მინებებოდნენ. „ადამიანის გული კვირტივითაა, გაზაფხულზე გასკდება და აყვავდება...“ — „ყოველ გაზაფხულს?“ — „ჰო, ყოველ გაზაფხულს, ისევე, როგორც ხე ახალი ფოთლით, ადამიანიც ახალი სურვილებით იმოსება“. პავლე ჩუმიად ლაპარაკობდა. მისი სიტყვები ზარებოვით მძიმე და ხალისიანი იყო. წყნეთის გზაზე ავტობუსები მიცოცავდნენ, მათ მალლა, ფერდობებზე ატმები ზარმაცად ჰყვავოდნენ, ნებიერი ბავშვების სიჯიუტით ეურჩებოდნენ მოწოლილ გორაკებსა და ღრუბლებს და მთრთოლვარე, ხელისგულებს შორის ანთებული ასანთივით მკრთალ სინათლეს აფენდნენ. „კი მაგრამ, ჩემი ფიქრი რომ მუდამ ერთია?“ — „არა, თებრო, ფიქრი არასოდეს ერთი არ არის, ის ყოველ გაზაფხულს რალაცას იმატებს. ასე რომ არ იყოს, მაშინ ერთმანეთი აქამდე შეგვეძულდებოდა...“. მდინარესავით გრძელი და მხარგაშლილი გაზაფხულის საღამოები ერთმანეთს კარგი სიზმრებოვით მოყვებოდნენ. თებროს ეგონა, რომ ამ სიზმრებს თვითონ კი არ ხედავდა, არამედ ვილაცის, სხვის სიზმარში ცხოვრობდა, ვილაცის კარგსა და კეთილ სიზმარში. ხანდახან უნებური შიში შეაკრთობდა: რომ გაიღვიძოს, ხომ გავქრებო... მაგრამ გაზაფხულის დღე მდინარესავით გრძელი და გაუთავებელი იყო. თებროს ცოტათი კიდეც უჰკვირდა, როცა ღამდებოდა, — გაზაფხული თითქო მარტო დღეების დრო იყო.

ჰო, მაშინ გაზაფხული იდგა... პავლეს, როგორც ყველა გამარჯე კაცს, გაზაფხული ძალიან უყვარდა. გაზაფხულის რიყრაჟზე გაღვიძება უცნაური სიხარულით ავსებდა და ეგონა, რომ მის სულშიაც ისევე თენდებოდა, როგორც გაბაცებულ სიბნელიდან თავამოყოფილ მთებზე, როცა საწოლიდან დგებოდა, თითქო ატმის აყვავებული, მთელი ღამე ძირს დაფენილი რტოები მალლა აჰქონდა. კამეჩის თვალისვით მბრწყინავ ცისკრის ვარსკვლავს უღიმოდა და მისთვის დილის ნიავი ისეთი თბილი და სიცოცხლით სავსე იყო, როგორც გლახისთვის ღობეზე მომდგარი საქონლის სუნთქვა. „გაიღვიძე, თებრო გათენდა...“ მზე ჯერ კიდევ არ ჩანდა. იგი მთების იქით იდგა, მამლის ყვილივით ამაყი და მარტოხელა. „არა, — ამბობდა თებრო; — ჩემი ფიქრი არასოდეს იცვლება. იგი მარტო შენ გეკუთვნის...“ — „განა ცაში მოშრიალე ფოთოლი მიწას არ ეკუთვნის?“ — „ცაში მოშრიალე ფოთოლი?“ — „ჰო, ცაში მოშრიალე ფოთოლი...“. რა მალალი იყო ცა!.. მერე პავლე ნიჩაბს აიღებდა და წვაიდოდა. ჩქარი ნაბიჯებით მიდიოდა, თითქო დილის მახარობელი იყო. ასეთი ჩქარი ნაბიჯებით გაიარა მთელი თავისი ცხოვრება.

პავლე სოფელში დაიბადა. სოფელი ბორჯომის ხეობაში, მალლა ტყეში იყო გაშენებული. მამა მეტყევე იყო. ჰადარა, მუდამ მომღიმარე კაცი. მალაყელიანი ჩექმები ეცვა და მხარზე ორლულიანი თოფი ეკიდა. პავლეს ახსოვს, როგორ უხაროდა მამას, პავლე თუ ტყეში წაჰყვებოდა. ჯერ მელიების მახეებს

ჩამოუვლიდნენ, მერე ფიჭვნარში ავიდოდნენ და ტყისმჭრელებს მიაკითხავდნენ. მამას იქ ყველა იცნობდა. მას ჩანთით რაღაც წიგნები აქჷონდა და მუშებს ურიგებდა. დასასვენებლად ჩამომსხდარ მუშებს შორის ჩაჯდებოდა და ქვეყნის ამბებს გატაცებით უყვებოდა. დაბრუნებულებს დედა რატომღაც ყოველთვის შეშინებული ხვდებოდა. მამას რაღაცას ეჩურჩულებოდა. მამა იცინოდა: „აბა, რა გგონია, აბა, რა გგონია...“. მათი სახლის ცოტა ქვემოთ ერთმანეთზე ახორხილი მორები ეწყო. მორები მთიდან ხარებით ჩამოჰქონდათ, მერე აქედან მდინარეზე აცურებდნენ. მორებზე პავლეს ბევრჯერ უთამაშია. ცოტა მოზრდილი ბიჭები მორებზე გოგოების სახელებს ჰკრიდნენ. მორებს ერთ ადგილას დიდხანს გდებისაგან ტალახის ფერი დასდებოდათ და პავლეს წარმოდგენაში მალალ კლდეებად იყვნენ ქცეულნი.

მაშინაც გაზაფხული იდგა. ადიდებული მდინარე ლამის სახლის კედლებს აწყდებოდა და პავლეს ძილშიაც კი ესმოდა მისი გუგუნი. ალიონზე ვილაცის ძახილმა წამოაგდო, მამას ეძახდნენ. „გამოდი, გამოდი, შენი...“. მამამ თოფი ჩამოხსნა კედლიდან. „თოფი არ გინდა, — იკივლა დედამ, — არ გინდა, მოგკლავენ...“. მამამ თოფი იატაკზე დააგდო და კარი გამოაღო. გარეთ ტალახის ფერი, წვიმიანი დილა იდგა. პავლე მამას გაჰყვა და აივანთან ცხენოსანი გვარდიელი დაინახა. გვარდიელს ხელში მაუზური ეჭირა. ცხენს აღვირს ძლივს უმაგრებდა და დორბლმორეული ყვიროდა: „ახლა მაინც ამოვალ შენს ოხტში, შენი...“. მამა კიბეზე ჩაივია და გვარდიელმა ცხენი ზედ მიაგდო. მამა წაიქცა, მერე წამოდგა და მორებისაკენ გაიქცა. „ნუ მირბიხარ, — გამყინავი ხმით დაუძახა დედამ, — გაჩერდი, გაჩერდი!...“. გვარდიელმა გადაიხარხარა: „მირბის, თავისი ჰკუთთ მირბის...“. მერე ცხენს დასჰყივლა და მამას გამოეკიდა. მამას უკვე მორებთან მიერბინა. ახლა ზევით მიფოფხავდა, სლიბ მორებზე ხელი უსხტებოდა, მაგრამ მაინც ადიოდა. გვარდიელის ცხენი ერთ ადგილას ტრიალებდა. „აბა, სადამდე ირბენ, აბა, სადამდე ირბენ“, — იძახდა გვარდიელი. პავლე გაშტერებული იდგა. მთელი ტანი უცახცახებდა. ეს სიცივის ცახცახი არ იყო, არც შიში იყო, სიძულვილი და ბრაზი აცახცახებდა, ყურები უწიოდა: „გაიქეცი, გაიქეცი!“ მამა განზე გამოწვდილ მორს მოეჭიდა, ნელ-ნელა აიწია და ფეხზე წამოდგა. ახლა ცოტალა დარჩა, მერე იქით გადავიდოდა და გვარდიელი ველარ დაეწეოდა. პავლეს სროლის ხმა არც კი გაუგია. დაინახა, რომ მამა წაიქცა. არა, ფეხი კი არ დაუცდა, ერთბაშად მოწყვეტილად გადმოვარდა უკან. პავლე როცა გამოერკვა, დაინახა, რომ გვარდიელი იქ აღარ იყო. მორებთან დედა წაქცეულიყო და ხმამალა, გაბმით კიოდა. პავლე გაიქცა და მორებზე ავარდა. მამას თვალეები ღია ჰქონდა. „სისხლი, სისხლი, სისხლი არ ჩანს... იქნებ არ არის მკვდარი... იქნებ არ არის მკვდარი...“. პავლემ მამას პერანგი გაუხსნა და მაშინვე თვალეები დახუჭა: მამას მკერდი მთლად ალისფერი ჰქონდა. პავლემ მამას მკერდზე ხელი დაადო, მერე ხელისგულზე დაიხედა: არა, ეს სისხლი არ იყო, ეს იყო წითელი დროშა.

პავლემ დროშა შიშველ ტანზე შემოიხვია და ზევიდან ხალათი ჩაიცვა. ასე ატარებდა დიდხანს, სანამ აჯანყებულთა რაზმებმა მენშევიკები სოფლიდან არ განდევნეს. რაზმელებს პავლე სოფლის თავში დახვდათ. მას ხელში წითელი დროშა ეჭირა. მეწინავე ცხენოსანი გადმოიხარა, ბიჭი აიტაცა და ცხენზე შემოისვა.

ბარაბა ბოლო დროს მათთან აღარ მოდიოდა. ახლა სტეფანესთან დაიწყო სიარული. თავისი უცნაური ამბებით სტეფანე მონუსხული ჰყავდა. სტეფანეს

ერთი ბოთლი არაყი ყოველთვის გამზადებული ჰქონდა და ბარაბას გამოჩენას მოუთმენლად ელოდებოდა. ბარაბაც თავპატიყს არ იღებდა და არაყს რომ გამოცლიდა, ტახტზე გაიშხლართებოდა და ასე წამოწოლილი ჰყვებოდა.

ღმერთს ყველაზე მეტად ის ადამიანები აინტერესებდა, რომლებიც თუმცა ახლა საიქიოში ცხოვრობდნენ, იქ, მიწაზე, უკვდავის სახელი ჰქონდათ მოპოვებული. საიქიოშიც მათ დიდი პატივისცემით ექცეოდნენ. საწყენი ის იყო, რომ ისინი ღმერთს არაფრად ავდებდნენ. ერთმა მხარზე ხელიც კი დაადო, რათა დარწმუნებულიყო, ნამდვილია თუ არაო. ღმერთმა მისი ხელი უხეშად მოიცვალა:

— უფროს-უმცროსი იცოდე...

— განა შენ ჩემზე უფროსი ხარ?

— შე ვარ პირველი... ჩემამდე არაფერი არ იყო...

— ვინ შეგქმნა შენ?

ღმერთი ცოტა ხანს გაჩუმდა. მერე ჰკითხა:

— ვინ შეგქმნა?

— ჰო... ვინ შეგქმნა...

— თვითონ შეგქმენი ჩემი თავი...

— დარწმუნებული ხარ?

— დარწმუნებული ვარ...

— ვიკამათოთ, — უთხრა კაცმა.

ღმერთი გადაირია:

— რას ჰქვია ვიკამათოთ?

— აბა როგორ გინდა... ისე კი არ არის, შენ რომ გგონია...

— შენ რომ გგონია, ისეა?

— შეიძლება, მაგრამ არ ვჯიუტობ. ამიტომ გითხარი, ვიკამათოთ-მეთქი...

ღმერთმა სიტყვა კამათი პირველად გაიგო. „ვერ უყურებ ამ მამაძალს, ვიკამათოთ...“

— შენ ხშირად კამათობ?

— როცა ცოცხალი ვიყავი, ვკამათობდი...

— ახლა?

— განა ახლა ცოცხალი ვარ? დიდი ხანია არ მიკამათია...

ღმერთს შერცხვა: „განა მართლა ცოცხალია, რას ვეჩხუბები...“

— აქ არ მოგწონს? სამოთხეში ყველა კი არ ხვდება... იქ ბნელ ჩამონგრეულ მიწურში ცხოვრობდი, ქუჩაში რომ გამოხვიდოდი, ბავშვები ყოყინით დაგდევენ...

კაცმა გაიღიმა:

— ჰო, ჩამონგრეულ მიწურში ვცხოვრობდი, ქუჩაში რომ გამოვიდოდი, ბავშვები ყოყინით დამდევენ...

— მერე, კარგი იყო?

— მათ არაფერი ესმოდათ... როცა გაიზარდნენ, მიწურიდან ჩემი დაწერილი წიგნები ამოიტანეს და წაიკითხეს... მერე თავიანთ შვილებს ჩემს სახელს არქმევდნენ...

— შენს ცხოვრებას ცხოვრება ერქვა? იჯექი მიწურში და წერდი...

— იმ ქუჩაზე ერთი ჭორფლიანი, გამხდარი გოგო ცხოვრობდა. ის არასოდეს დამცინოდა. მოვიდოდა და ჩემს მტერიან სარკმელზე თავის სახელს აწერ-



და. თუმცა ამას შენ ვერ მიხვდები, შენ ხომ არასოდეს გიცხოვრია... მართალია, რომ გითხრა, ის გოგო შენი მოგზავნილი მეგონა...

ღმერთმა თავი ჩალუნა:

— არა... პირველად მესმის...

— აი, ხომ ხედავ. გამოდის, რომ ის გოგო შენ არ შეგიქმნია, მან თავისი თავი თვითონ გამოიგონა...

— გამოდის, რომ...

„მართლა, მე ხომ არასოდეს მიცხოვრია...“

— ასე უბრალოდ ნუ ამბობ, რომ გიყვარვარ, — თქვა მარიკამ, — ნუთუ ვერ გრძნობ, რომ სიტყვებს იქით მთელი ქვეყნები დგას. მე იმ ქვეყნებში ვცხოვრობ. თუ გინდა, სულ ნუ მეტყვი, რომ გიყვარვარ...

— მარიკა, მიყვარხარ, — თქვა გოგიმ.

ისინი აეროდრომზე იყვნენ. გოგის თავისუფალი დღე ჰქონდა. მარიკამ დაიყენა, გინდა თუ არა აეროდრომზე წავიდეთო. ჩასხდნენ ავტობუსში და წამოვიდნენ.

— ადამიანი უნდა ფრინავდეს, — თქვა მარიკამ, — უსათუოდ მფრინავი უნდა შევიყვარო... ხანდახან მესიზმრება, რომ სადღაც მივეფრინავ, მაგრამ თვითმფრინავით კი არა, მე თვითონ, ჩემივე ფრთებით...

მარიკა ახლა რატომღაც თავის მეზობელ პატარა გოგოს სოფიკოს აგონებდა. გამხდარი, ბალახის ლერივით მსუბუქი სოფიკო მეცხრე კლასში სწავლობდა. ადრე ბავშვებთან თითქმის არასოდეს თამაშობდა. სულ სახლში იჯდა და წიგნებს კითხულობდა. ქუჩაში ლამაზად მოდიოდა, მზესუმზირასავით მაღალი და თავაწეული. მკერდი წინ ჰქონდა წამოწეული და თითქოს მთლიანად დაძაბული იყო, როგორც ჯებირის მიახლოებული ცხენი. ის თითქოს თავის საკუთარ ფიქრებს უსმენდა და ღიმილი, რომელიც მისი ტუჩის კუთხეებში გამუდმებით ციმციმებდა, ისევ იმ ფიქრებს ეკუთვნოდა. ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მაგრამ თავისი თავის უცნაურ სახეცვლილებას ხვდებოდა და ყურადღებით აკვირდებოდა. მის არსებაში მისივე მსგავსი, მაგრამ ამავე დროს სრულიად განსხვავებული ადამიანი, ყვავილივით ნელა იზღებოდა და ფიქრებში ისე ეშვებოდა, როგორც მოწმენდილი ციდან ალისფერი პარაშუტი. გოგის სოფიკოს დანახვა რატომღაც ასეთ წარმოდგენას აღუძრავდა: თითქოს სადღაც სიციხით გათანგულ ტრიალ მინდორში პატარა საჩრდილობელი დგას და ფეხშიშველა სოფიკოს ჭიქით წყალი მოაქვს.

ერთხელ სოფიკომ გოგი ჭიშკართან გააჩერა:

— ძია გოგი...

სოფიკო რომ ძიას დაუძახებდა, გოგის გული გადაუქანდებოდა ხოლმე.

— თუ გცალიათ, სკოლაში წამომყევით...

— სკოლაში? რატომ?

— მშობელთა კრებაზე... დედას არ მინდა ვუთხრა... ავად არის...

„ძია გოგი მშობელთა კრებაზე...“ ეს იუმორისტული მოთხრობის სათაურით უღერდა. თურმე სოფიკო ამდგარა და ერთი თავისი ამხანაგის კლასიდან გაძევება მოუთხოვია. უთქვამს, რომ მასთან ერთად ერთ კლასში ჯდომა არ შეუძლია. „რატომ, ის ბიჭი ცუდად იქცეოდა?“ — „არა, პირიქით, სანიმუშო მოწაფეა...“ „რამე გითხრა?“ — „არა, არაფერი არ უთქვამს... საერთოდ არაფერს არ ლაპარაკობს. დილით ადრე მოდის, დაფას მორიგის მაგივრად სწმენდს,

მერე ზის და მასწავლებელს გაშტერებული შეჰყურებს. არავის არ კარნახობს. როცა რამეს იხუმრებენ, არ იცინის, დასვენებაზე კარაქიან პურს ჭამს...“ — „მერე, მეტი არაფერი?“ — „მეტი არაფერი... ლოქოს თვალები აქვს...“

მერხი ძალიან პატარა იყო. რამდენი ხანი გავიდა, რა უცბათ გაირბინა დრომ. ჯერ ბიჭის დედა ლაპარაკობდა. გაწიწმატებული, გაანჩხლებული ქალი: „ახლანდელი გოგობი... გაწკეპვლა... სკოლიდან გარიცხვა...“. მასწავლებელი თავჩაღუნული უსმენდა. გოგიმ თვითონ არ იცოდა, რატომ ეცოდებოდა ეს ჭაღარა ქალი. მერე სიტყვა ერთ ცნობილ პროფესორს მისცეს. მასწავლებელმა მისი გვარი დაუფარავი სიხარულით გამოაცხადა: არც ასეა საქმე, ასეთი ცნობილი პიროვნებაც გვესწრებაო. პატარა ქალს ისე უხაროდა, იფიქრებდით, კრება მარტო ამის გულისათვის მოიწვიაო.

პროფესორი აღვა: „ის...მე...მასხადამე...უნდა ვიფიქროთ... ბავშვების აღზრდა...ისა... საყურადღებოა...უმინსკი...როგორც ვთქვით...“ თთახში ზრდილობიანი სიხუმრე იღვა. პროფესორი დაჯდა და მერხზე თითის კაკუნს დაიწყო... მასწავლებელმა მშობლებს გადახედა: „მინც რას ნიშნავს განათლებული კაცი...“

გოგი ბიჭს უყურებდა. ბიჭი წინა მერხზე დედის გვერდით იჯდა. ხანდახან მოიხედავდა. მას ბავშვისთვის შეუფერებელი თვინიერი და კმაყოფილი თვალები ჰქონდა. მერე მასწავლებელმა გოგი დაასახელა. იგი აღვა:

- ლოქოს თვალები აქვს...
- რა ბრძანეთ? — მასწავლებელმა თავი მაღლა ასწია.
- მე მინდოდა მეთქვა, რომ სოფიკო კარგი გოგოა... ბიჭის დედა წამოვარდა:
- აი, ხედავთ, ხედავთ, მშობელიც კი ამართლებს...
- გოგიმ დაინახა, რომ მასწავლებელი უღიმოდა.
- სოფიკო ძალიან კარგი გოგოა...

— ნახე რა ლამაზია, — თქვა მარიკამ.

აეროდრომზე „ტუ-104“ იღვა; უზარმაზარი, მზეზე ბრწყინავდა. რომ არ გცოდნოდა, ვერაფრით ვერ წარმოიდგენდი, რომ მას აფრენა შეეძლო. თვითმფრინავი უცებ ამოძრავდა და ბეტონის ბილიკზე ნელა გასრიალდა.

— მანქანას გამოაბეს...

მანქანა თვითმფრინავთან შედარებით პატარა ხოჭოს ჰგავდა. მანქანა გუგუნებდა, კვამლს უშვებდა, წვალობდა, თვითმფრინავი კი დინჯად და უხმოდ მიჰყვებოდა.

— ერთხელ, შუალამისას, ვნახე ქუჩაში სპილო მოჰყავდათ. ქუჩა ცარიელი იყო. სპილო ტრამეაის ხაზზე მოაბოტებდა. სპილოს კაცი მოუძღვებოდა.

— მართლა სპილოსა ჰგავს...

— მფრინავი სპილო...

ცირკის მკვეთრად განათებულ ასპარეზზე სპილო გამოვიდა: დარბაზი თითქო უცბად დაპატარავდა. მარიკა და გოგი მაღლა, სულ ბოლო რიგში ისხდნენ. წარმოდგენა ბავშვებისთვის იყო. ცირკის წინ შემთხვევით გაიარეს და უცებ გადაწყვიტეს შესვლა.

- დედამიწა სპილოზე დგას, — თქვა მარიკამ.
- დედამიწაზე კიდევ სპილო დგას და იმ სპილოზე ცა...
- ცაზე კიდევ სპილო და სპილოზე მზე...

— შეზე... —

— გეყოფა, გეყოფა... ნახე, რა საცოდავია...

სპილოს საცოდავისა არაფერი ეტყობოდა. იდგა მოედნის შუაში და ხორ-
თუმს აქნევდა... მარიკამ ასე იცოდა: ისეთ ვინმეს ან რამეს შეიცოდებდა, რომ
გაგიკვირდებოდა.

„ქალის თვალი სხივივითაა. ისეთ ჭუჭყურთანაში შექვრება, რომელშიაც
სხვა ვერაფერი ვერ შეაღწევს...“

ახლა სპილოს მწვრთნელი გამოვიდა. მკერდსა და ზურგზე ორი უზარმა-
ზარი ოქროსფერი ვარსკვლავი ჰქონდა მიკერებული. სახეზე პუდრი წაესვა და
პომადა, ეტყობა, მეტი მოსვლოდა. მარიკამ ახლა ის კაცი შეიცოდა:

— ნახე, ნახე რას ჰგავს...

კაცმა სალტო გააკეთა და ხელები გაშალა. ბავშვები აღტაცებული ყიფი-
ნით შეეგებნენ.

— მე მგონი ამხელა სპილოს არ ეკადრება სალტო, ვარსკვლავები, პო-
მადა...

— რომელიღაც კლოუნის გავლენას განიცდის. ეტყობა სპილო აღარ აინ-
ტერესებს...

კაცი სპილოს მიუბრუნდა და ტაში შემოჰკრა. სპილო მძიმედ დაიძრა და
კასრზე ცალი ფეხით შედგა. ხორთუმი მალა ასწია და თავი რამდენჯერმე
დაიქნია. ბავშვებმა გაიცინეს.

— გესალმებათ! — იყვირა კაცმა.

— სულელი, — თქვა მარიკამ. — ამას ხომ ისედაც ვხედავთ...

— კრიტაში ნუ უდგახარ, ვერ ხედავ, წვალობს...

— რაც ასწავლა, წყალში უყრის...

კაცს ცხელოდა. ოფლში არეული გრიმი სახეზე ტალახივით ეცხო.

„კასრიდან რომ არ ჩამოვიდეს?“

კაცი მივიდა და ფეხზე ხელი დაარტყა. სპილო თავის ქნევას განაგრძობდა.

„შეაყარე კედელს ცერცვი...“

— ბავშვებო, თქვენი მეგობარი ბენიამინი ახლა იცეკვებს...

ქანდარის მოაჯირს დაყრდნობილი გაშტერებული ღირიყორი უცებ ბზიკ-
ნაკებნივით მიტრიალდა და ხელები აიქნია. ორკესტრმა დასჭექა.

— მარტო ასეთ ღონიერ სპილოს შეუძლია ამ სიგრძე სახელის ტარება, —
თქვა მარიკამ.

სპილო კასრიდან ჩამოვიდა.

„შენ გენაცვალე“, — გაიფიქრა კაცმა.

სკამიდან პატარა გარმონი აიღო, გვერდზე გადგა და დაკვრა დაიწყო.

— ახლა ორკესტრს აბითურებს, — თქვა გოგომ.

— შენც დაიწყე?..

— შენი ხათრით, — თქვა გოგომ.

— ამას რას ვხედავ, — თქვა მარიკამ, — ღმერთო!..

სპილო ადგილზე ტრიალებდა, მუსიკის რიტმს თავს აყოლებდა და ხორ-
თუმით ნახერხს ხვეტდა. მარიკა წინ გადაიხარა:

— აი, ეს მესმის...

ცოტა ხანს ჩუმად უყურებდა, მერე გოგის მიუბრუნდა და ჰკითხა:

— არასოდეს მოგჩვენებია, რომ ცეკვავ?

— როგორ არა, როცა მთვრალი ვარ...

— სიმთვრალეში არ გეუბნები... ისე...

— ისე მგონებია, რომ ვცურავ, — თქვა სიცილით გოგამ.
— ხმა აღარ გამცე, — მარიკა მიტრიალდა, — აღარ გელაპარაკები...
„ახლა უნდა გავაჩერო“, — გაიფიქრა კაციმა.
ღირიფორს ხელით აჩვენა — გაჩერდიო. ორკესტრი გაჩუმდა. სპილომ
ცოტა ხანს კიდევ იტრიალა და მერე უცბათ ერთ ადგილას გაქვევდა.
„ვაიმე, ეწყინა“, — შეეშინდა კაცს.
— დგახარ შენთვის და გგონია, რომ ცეკვავ...
— აკი არ მელაპარაკებოდი?
— ჩემთვის ვლაპარაკობ... და შენთან ერთად ყველაფერი ცეკვავს, ქუჩა,
ცა...

ახლა დოლის შემადრწუნებელი, განუწყვეტელი ბაგუნა გაისმა. კაცი ნა-
ხერხზე დაწვა, სპილო მივიდა და თავზე დაადგა. დარბაზი გაინაბა.
„დღეს მაინც გამწყვლტს“, — იფიქრა კაცმა...
„თუმცა რატომ უნდა გამწყვლიტოს?“
„არა, არასოდეს აღარ ვაწვალვებ...“
„განა მე თვითონ არ ვწვალვობ?“
დოლი ბაგუნობდა.
„ღირიფორი განგებ მიწყობს, იცის რომ დოლის ხმას ვერ ვიტან...“
დოლი ბაგუნობდა...

„კი მაგრამ, ყოველ დღე უნდა მეშინოდეს?“
„რომ არ მეშინოდეს, არ გამწყვლტს...“
„ძაღლის თუ არ გეშინია, არ გიკებენს...“
„ბოდიში, ბოდიში, ძაღლი ისე გამახსენდა, შენ ხარ ჩემი ყველაზე საყვარ-
ელი სპილო...“

დოლი ბაგუნობდა...
„ღმერთო ჩემო, როგორ ცხელა...“
„აი, ახლა...“
„აი, ახლა...“
„აი, ახლა...“
„ღმერთო ჩემო, როგორ ბნელა...“
„გამწყვლიტოს მაგის...“

სპილო ნელა ადგა. კაცი წამოხტა, ისევ სალტო გააკეთა და ხელები
გაშალა. ტაშის ხმა დიდხანს არ დამცხრალა.

— რომ აფრინდება, მაკოცე, — თქვა მარიკამ, — არაფერი ისე ლამაზი არ
არის, როგორც თვითმფრინავის აფრენა...
თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე მიჰქროდა.
— მე თვითმფრინავს ვუყუარებ, შენ მაკოცე...
— მერე, — თქვა გოგამ, — მერე გაკოცებ...
— ჩქარა... აფრინდა... ჩქარა...
გოგის, რატომღაც, ძალიან შორეული, ბევშვობის დროს ხსოვნაში ჩარჩე-
ნილი დედის სიტყვები მოესმა: „აფრინდა, აფრინდა, ქორი აფრინდა“...
მარიკა მკერდზე მიიკრა და აკოცა...
— წავიდა, — თქვა მარიკამ, — გაფრინდა...
— წარმოგიდგენია, რა ლამაზი იქნება კოსმოსური ხომალდის აფრენა...
მარიკას თმა გაწეწოდა და ტუჩები უთრთოდა. ვიღაცა ლიპიანმა კაცმა
ჩამოუარათ და გოგის თვალი ჩაუკრა. გოგამ მისკენ გაიწვია:

— რა იყო, ძეხვო?
კაცი დაიბნა:
— არაფერი, გენაცვალე, არაფერი...
მირიალდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა, თან უკან ინედებოდა: „გეჟია!..“
— რა დაგიშავა? — ჰკითხა მარიკამ.
— არაფერი...
— მაინც?
— თვალი ჩამიკრა...
— მე მოვეწონე?
— ალბათ...
— მერე მაგიტომ შეაშინე? პირიქით, უნდა გაგხარებოდა... სულელი ხარ...
სხვები მაძინევენ, შენ კი არასოდეს არაფერს მეუბნები. ასე არ შეიძლება, გოგოს უსათუოდ ქათინაური უნდა უთხრა... თუნდაც უმინშენელო... დაიმახსოვრე...

აეროპორტის რესტორანში ცოტა ხალხი იყო. მომტანი ქალი თეფშებს ალაგებდა. რადიო მინაზებულები ხმით აცხადებდა: „მოსკოვის მიმართულებით ძიშავალი მგზავრების საყურადღებოდ...“. მომტანმა ქალმა მაგიდას ტილო გადაუსვა:

— მეტს არაფერს მიირთმევთ?
გოგომ მარიკას შეხედა. მარიკა სურაში ყვავილებს ასწორებდა.
— მარიკა, გინდა რამე?
— ცოტა დავლიოთ, თუ მოვასწრებთ...
— მიბრძანდებით სადმე? — ჰკითხა მომტანმა ქალმა.
— დიას, — უბასუხა მარიკამ. — მურმანსკში...
— აქედან პირდაპირი რეისი არ არის... გადაჯდომა მოგიხდებათ...
— ვიცით...
— მურმანსკში ალბათ საქმეზე მიდინართ?
— არა, — თქვა მარიკამ, — ისე... თაფლის თვე იქ უნდა გვატაროთ...
— გასაგებია, — თქვა მომტანმა ქალმა და შეცვლილი ხმით დაუმატა: —
რას დალევთ?

— ჩემს ქმარს ჰკითხეთ... რას დალევ, ჭირიმე, — გაიბრანჭა მარიკა და გოგის ლოყაზე ხელი მოუთათუნა...

გოგომ თავი ვერ შეიკავა და გადაიხარხარა:

— ამას ყურს ნუ უგდებთ... კონიაკი მოგვიტანეთ...

მომტანი ქალი წავიდა:

— მურმანსკი... თაფლის თვე...

„ტაშკენტის მიმართულებით მიშავალი მგზავრების საყურადღებოდ...“

— მართლა სიამოვნებით წავიდოდი სადმე, — თქვა მარიკამ.

— მურმანსკში?

— არ ვიცი, მურმანსკი რატომ გამახსენდა... თუმცა არა, ვიცი... თუ როდისმე ხელს მოვაწერთ, უსათუოდ მურმანსკში წავიდეთ. იქიდან ვერტმფრებით ჩრდილოეთის რომელიმე კუნძულზე გავფრინდეთ...

მომტანმა ქალმა კონიაკი და ჭიქები მაგიდაზე დააწყო.

— ყავაც მოგვიტანეთ, თუ შეიძლება...

— ყავა არა გვაქვს...

— ჩემს ქმარს კი ყავა უყვარს, — ისევ გაიპრანჭა მარიკა.

მომტანმა ქალმა სიბრაზე ვერ დაფარა:

— კიდეც რა უყვარს თქვენს ქმარს?

მარიკამ ხელები მკერდზე მიიდო, თვალები მალლა აღაპყრო და თქვა:

— ჩემი ქმარი მუსიკისთვის გიყვდება...

მომტახი ქალი წავიდა.

— აი, ხომ ხედავ, — თქვა მარიკამ, — შენ კი ჩემი ცოლად შერთვა გინდა... იცოდე, ასეთი ცოლი ვიქნები...

„გრძელდება ჩაჯდომა თელავის მიმართულებით მიმავალ თვითმფრინავში...“

გოგიმ კონიაკი დაასხა.

— მე რატომ დამისხი, ხომ იცი, არ ვსვამ...

— შენ არა თქვი, დავლიოთო... არც მე მინდოდა კონიაკი...

— ჩემი ხათრით დალიე... დალიე თელავის მიმართულებით მიმავალი მგზავრების სადღეგრძელო... ანდა ამ საცოდავი დიქტორის სადღეგრძელო. უსურვა, რომ სწორი ქართულით ელაპარაკოს...

გ ავიმ ჭიქა აიღო. მარიკამ ხმა გაინახა:

— მოქალაქე მგზავრებო, ჩემი ქმარი თქვენს სადღეგრძელოს სვამს...

— სიტყვა „ქმარი“ შემაჯავრე, — გაიცინა გოგიმ.

— აბა, როგორ გგონია... მეერ არ ვიცი რა იქნება, ჯერ კი ასე ვფიქრობ: უნდა იყოს მხოლოდ კაცი და ქალი. თავისი ქცევით ისეთივე ბუნებრივი, როგორც წვიმა და მდინარე, ქარი და ზღვა... აბა ერთი წუთით წარმოიდგინე, რომ ერთ დილას გაიღვიძო და იგრძნო, რომ აღარ გიყვარვარ... მეერ ხომ ტვირთივით უნდა მათრიო...

— კი მაგრამ, მარიკა, როდისმე ხომ უნდა...

— მაგისი ნუ გეშინია... ნურც იმისი გეშინია, თუ რას ამბობენ ჩვენზე... მე შენგან შევილიც მეყოლება...

— მარიკა...

— ჰო, მეყოლება... აბა ვინმემ გაბედოს და რამე თქვას... დალიე, რას მიყურებ...

გოგიმ კონიაკი დალია:

— დღეს შეიძლება... ავტონისპექტორი არ მიყურებს...

— იცი, მომწონს, რომ შოფერი ხარ... რაღაცნაირად კარგი ბიჭი ხარ...

— ისე ლაპარაკობ, თითქოს კონიაკი დაგელიოს...

— მე გამუდმებით მთვრალი ვარ, გამუდმებით... არ კი ვიცი რით... ალბათ წლებით. გამიგონია, კარგი მსმელი ცოტას რომ დალევს, უცებ დათვრება და შერე სმის დროს ფხიზლდებაო... მეც ალბათ ჩემი ცოტა წლებითა ვარ მთვრალი... გავიზრდები და გამივლის... როგორ არ მინდა, რომ ამ სიმთვრალემ გამიაროს...

გოგიმ მარიკას შეხედა, რაღაცა უნდოდა ეთქვა, ვერაფრით ხმა ვერ ამოიღო.

მარიკამ გაუღიმა:

— ერთიც დალიე...

„ერთი... ორი... სამი... ტექნიკური შემოწმება...“

დარბაზში მალალი გოგოები შემოვიდნენ. ისეთი მოღუნებული მოძრაობა: ჰქონდათ, მაშინვე შეატყობდი, კალათბურთელები რომ იყვნენ. მათ მეზობლად მაგიდას შემოუსხდნენ და ჩანთები იატაკზე დააწყვეს. სპორტული დარბაზების



გასახდელ ოთახებში და თამაშების დროს გრძელ, დაბალ სკამებზე ჯდომას მათზე კვალი დაემჩნია, ისინი ბიჭებივით თავისუფლად ისხდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ.

— როგორ უნდათ, რომ ბიჭებს ჰგავდნენ, — თქვა მარიკამ. — არა და რა ლამაზი გოგოები არიან...

კალათბურთელი გოგოები რომელიღაც თამაშს არჩევდნენ. ლაპარაკის დროს ხშირად იშველებდნენ ყესტებს, რომლებიც სპორტულ მოძრაობებს გამოხატავდნენ.

„ერთი... ორი... სამი... ტექნიკური შემოწმება“, — გაიმეორა რადიომ.

გოგოებმა ხმამაღლა გაიცინეს:

— დალი, ტექნიკური შემოწმება!..

— ნუნუ, ტექნიკური შემოწმება!..

ერთი წამოდგა:

— მაგას თავი დაანებეთ, — მერე ხელით ჰაერში წრე შემოხაზა: — ბურთი წავიდა და პირდაპირ კალათში ჩაეშვა...

— გინდა, უცბათ გავაჩუმო? — თქვა მარიკამ.

მან გოგის ხელი გულთან მიიღო და თითქმის ჩურჩულით თქვა:

— გოგი... გოგი...

გოგომ გაკვირვებით შეხვდა. მარიკამ თვალით ანიშნა, იქით მიიხედო. გოგომ მიიხედა: გოგოები მათკენ გადმოხრილიყვნენ და გადიდებული თვალებით უცქერდნენ. მათ მაგიდაზე დაძაბული სიჩუმე იდგა და გოგოები მძიმედ სუნთქავდნენ.

— ხედავ? — ჰკითხა ჩურჩულით მარიკამ. მერე ჩურჩულითვე გააგრძელა. — მათ ახლა ჩვენი ამბის გაგება ათას თამაშს ურჩევნიათ...

გოგომ ხელი გამოართვა და კონიაკი დაისხა:

— მოდი, კალათბურთელ გოგოებს გაუმარჯოს...

გოგოები უცებ მიტრიალდნენ და ისევ ახმაურდნენ.

„სონტუში მიმავალო მგზავრებო...“

— რა გამახსენა! რა გამახსენა! — შეიცხადა მარიკამ.

— რა?

— ნეტავი არ ეთქვა, ნეტავი არ ეთქვა...

გოგი მოთმინებით უცდიდა.

— რომ არსებობს ამ ქვეყნად ზღვა... თოლიები... ლურჯი, ძალიან ლურჯი ცა... თეთრი ნაპირი და მწვანე მთები... ზღვასთან მოსული მთები...

— სად წავიდეთ, მურმანსკში თუ ზღვაზე? — ჰკითხა გოგომ.

— გოგი, მე აღარ ვხუმრობ... გოგი, ამ ქვეყნად არის ძალიან ლურჯი ცა... როგორ გამიხარდა, თითქოს რაღაცა ვიპოვე...

მე ახლა შუაგულ მზეში მივდივარ. არაფერს არ ვფიქრობ. ვიცი, რომ პირდაპირ ზღვისკენ მივდივარ. სილაში ფეხი მეფლობა. ამით ვგრძნობ, რომ ზღვა ახლოა. ხეებიც ჩამომრჩნენ. ზღვას ხეები არ უყვარს, ზღვას უყვარს ცარიელი მიწა. ჩემი ჩრდილი გარბის წინ, ძალიან გრძელი და სასაცილო. უცებ მგონია, რომ სულ მარტო ვარ. ვაგონის კუბეში ვდგავარ და მატარებლის მოძრაობისაგან ვჭანაობ. კარზე ჩამოკიდებულ სარკეში საკუთარ თავს ვხედავ. იგი რატომღაც იცინის და დაბნეული მოწაფის სიჯიუტით იმეორებს:

— სამჯერ სამი არის თერთმეტი...

— სამჯერ სამი არის თერთმეტი...

— სამჯერ სამი არის თერთმეტი...

— არა, ეს ვაგონის კუბე არ არის, აქეთ-იქით რომ მახეთქებს, ზღვაა, რომელ-
შიაც ყელამდე ვდგავარ და ვყვირი:

— მარიკა!

— მარიკა!

— მარიკა!

დასასვენებელი სახლის აივანზე მე და ცოტნე ვზვიართ. აივანი ზღვას გა-
დაპყურებს. ზღვა მზეზე თუნუქივით ბრწყინავს. ჰორიზონტზე თეთრი გემი
ბოლავს. „გემი საათის ისარივით ნელა დადის“, — ვფიქრობ მე. ცოტნე დუმს.
ეტყობა, რაღაცა უნდა მითხრას და ვერ კი გადაუწყვეტია. მე და ცოტნე ერთ
ოთახში ვცხოვრობთ. ცოტნე ქურნალისტია, რომელიღაც გაზეთის რედაქცია-
ში მუშაობს. ცურვა არ იცის და ძალიან ცხვენია. ორი კვირაა, რაც აქ არის და
მზე სრულებით არ მოჰკიდებია. ვეუბნები, ცურვას გასწავლი-მეთქი. სიხარუ-
ლით მთანხმდება, მაგრამ ერთი პირობით, თუ უთენია ვამეცადინებ, როცა
პლაჟზე კაციშვილი არ არის. მე პირობა, რა თქმა უნდა. მახსოვს, მაგრამ ცოტ-
ნეს დილით ვერაფრით ვერ ვადვიებ.

— გუშინ ქარიანი დღე იყო, — ამბობს ცოტნე.

— მაგარი ქარი იყო...

— ზღვა ღელავდა... ძალიან ღელავდა...

— ამისთანა ღელვა დიდი ხანია არ მინახავს...

— გუშინ საუზმის მერე პლაჟზე ჩავედი... ისე...

— მერე?

— პლაჟი ცარიელი იყო... ასეთ ღელვაში ვინ გამოვიდოდა... ცოტა გავია-
რე და უცებ ვილაცის კივილი მომესმა: „ცოტნე, ცოტნე!“. აშკარად მე მეძახდ-
ნენ. მივიხედე, მოვიხედე, ნაპირზე არავინ არ იყო. „ცოტნე!“ — ეს უკვე გან-
წირულის კივილი იყო. უცებ ლენა დავინახე, ჩვენი დერეფნის ბოლოს რომ
უხოვრობს, ქერათმიანი... ის ნაპირთან ახლოს ტალღებს ებრძოდა, ვერაფრით
ვერ ამოდიოდა ზღვიდან. მაშინვე ზღვასთან მივირბინე, მაგრამ უეცრად რაღა-
ცამ თოკივით მომქაჩა და ერთ ადგილზე გამაქვავა: ცურვა რომ არ იცი? ლენა
კიოდა, მეძახდა, ხელებს ჩემსკენ იშვერდა. ის იყო საშინლად მარტო... ეს
იყო სიმარტოვე, სასოწარკვეთილი სიმარტოვე... ეს მერე ვიფიქრე, მაშინ აზ-
როვნების უნარი დაკარგული მქონდა. ვერც უკან გამოვიქეცი, რომ ვინმესთვის
დამეძახა... ლენასი მრცხვენოდა. საკვირველია, თუმცა ვერაფერს ვშველოდი,
გაქცევა მაინც მრცხვენოდა... მეგონა, გაქცეულს რომ დამინახავდა, დაიხრჩო-
ბოდა... არა და ჩემს თვალწინ იხრჩობოდა... მერჩვენა, მოვმკვდარყავი... ასე
ვიყავით ერთმანეთს შეჩერებულნი... „ცოტნე! ცოტნე! ცოტნე!“ — კიოდა
ლენა. კი არ კიოდა, თითქოს ქვებს მესროდა. ქვები ჩემს ცარიელ სხეულს
ავსებდნენ და მის კივილზე რატომღაც ვპასუხობდი: „ქვები... ქვები...“ მერე
ვილაცა მოვარდა, წყალში გადახტა და ლენა ამოიყვანა. ლენა სილაზე დააწვი-
ნეს. მთელი ტანი გალურჯებოდა. მიყურებდა და ცრემლები ლაპალუპით ჩამოს-
დიოდა. წუხელ კინალამ თავი მოვიკაილი...

— შეველა შენ ნამდვილად არ შეგეძლო, — ვთქვი ჩუმად...

— მე მაინც უსათუოდ უნდა შევსულიყავი ზღვაში... ის მარტო აღარ იქ-
ნებოდა... ვანა ამ დროს სიკვდილის უნდა შემშინებოდა? ის მარტო აღარ იქნე-
ბოდა... ნუთუ არ გესმის, მარტო აღარ იქნებოდა...

— მესმის, — ვთქვი მე.



— შველა მე ნამდვილად არ შემეძლო, მაგრამ მისი იმედის გაცრუების უფლებაც არ მქონდა... იქ იყო ზღვა, მიწა, ცა, მაგრამ ადამიანები იქ არ იყვნენ. ერთადერთი ადამიანი მე ვიყავი... ადამიანი... გესმის?!

— მესმის, — ვთქვი მე...

— არც ერთს არაფერი არ გვესმის, — თქვა ცოტნემ და გაჩუმდა.

გემი ნელ-ნელა დიდდებოდა. ზღვა აღარ ბრწყინავდა. მას ახლა ზუსტად ისეთივე ფერი ჰქონდა, როგორც ცას...

აივანზე მარიკა გამოვიდა. ყვავილებიანი ჩითის უსახელო კაბა ეცვა და იმავე ნაჭრის თავსაფრით თმა ჰქონდა წაკრული.

— გემს ხელავთ? — გვეკითხა მან.

— ეს გემი არ არის, — ვთქვი მე.

მარიკამ შემომხედა. მიხვდა, რომ მისი მიბაძვით ვიხუმრე.

— მართალია, — თქვა მან, — ეს გემი კი არა, ღრუბელი-დიზელია...

— მას ბათუმში ვარსკვლავები მიაქვს ფორთოხლებზე გასაცვლელად...

— დაიწყეს, — თქვა ცოტნემ, — თქვენი თავი არა მაქვს, წავალ, დავწვები...

— საცოდავი... ცურვა არ იცის...

— მერე რა, რომ ცურვა არ იცის... რა მოხდა მერე...

— არაფერი... არაფერიც არ მოხდა. ისე ვთქვი...

მარიკა მოაჯირზე შემოგდა. გრძელი, მზით დამწვარი ფეხები ჰქონდა და ძალიან თამამი მუხლისთავეები.

მე ახლოს მივედი:

— რომ გადავარდე?

მარიკა ზღვას უყურებდა.

— გოგი, გიყვარს ზღვა?

— ძალიან, — ვუპასუხე მე.

— ჩემსავით მაინც არ გეყვარება...

— მარიკა...

მარიკამ შემომხედა.

— მარიკა...

ცოტა ხანს მიყურა, მერე მიტრიალდა და გააგრძელა:

— შენ არ გეცოდება ზღვა წვიმაში?

— მეცოდება? პირიქით, მიყვარს, როცა ზღვაზე წვიმს...

— მე კი მგონია, რისი მოშორებაც უნდა ისევ უკან უბრუნდება და წვალბოს...

— ზღვა ცეცხლს ჰგავს, — ვთქვი მე, — ადამიანის ფიქრი ესმის...

— ნუთუ ესმის, რას ვფიქრობ ახლა...

— გესმოდა, წუხელ როგორ ღელავდა? — მკითხა მარიკამ.

მარიკას სიახლოვე უკვე თავბრუს მახვევდა. გაოგნებული ვიდექი. როცა რამეს ვიტყვოდი, თითქოს მაგნიტოფონზე ჩაწერილ ჩემს ხმას ვუსმენდი. ჩემი ხმა გაუბედავი იყო, გაბზარული. რაღაცა მინდოდა მეთქვა. სათქმელი გულში მკაფიოდ ხშიანდებოდა. სიტყვები ისე ხელშესახებად ელაგა ჩემს არსებაში, როგორც რაიმე საგნები. თუნდაც აფრიანი ნავეები, ნიჩბები ან ერთმანეთში ჩახერგილი ღუზები. რატომღაც მეგონა, რომ ის სიტყვები კი არ უნდა წარმომეთქვა, არამედ ხელში უნდა დამეჭირა და მალლა ამეწია, როგორც დროშა ან პლაკატი. მეგონა, რომ გულში საგნებივით დალაგებულ სიტყვებს მარიკა

ხედავდა და მათ თვალს არიდებდა. რადგან უთქმელი სიტყვები საცოდავები იყვნენ. მინდოდა ისეთი რამ მეტქვა, რომ მარიკას გახარებოდა.

— წუხელ არ მეძინა, — ვთქვი მე.

— ზღვას უსმენდი?

— არა... ცოტნე დილაზე არ მოსულა...

— აჰა, გასაგებია, — მარიკამ გაიცინა, — ყოჩად, ცოტნე...

— არა, — ვთქვი მე, — ცოტნე მარტო იყო... სულ მარტო...

— საოცარია, — თქვა მარიკამ, — როცა ღელვას ვუსმენ, მგონია, რომ ამ

ქვეყნად სულ მარტო ვარ...

— მარიკა...

— გოგი, — თქვა ძალიან ჩუმად მარიკამ, — თქვი...

— ყოფილხარ როდისმე დემონსტრაციაზე?

— როგორ არა, ბევრჯერ...

— დროშა თუ გქერია?

— არა, დროშა არ მქერია...

— მიდინარ და გგონია, რომ ქარს მიჰყავხარ...

მარიკა მოაჯირიდან ჩამოხტა. ის ახლა ძალიან ახლოს იდგა, როგორც სიზმარში.

— გგონია, რომ შენი გული ფრიალებს ქარში...

მარიკამ მხარზე დამადო ხელი.

— გოგი, — თქვა მარიკამ, — მე თითქოს არავინა მყავს... მამამ აღრე დამტოვა. მერე ღედა სხვას გაჰყვა... ჩემი თავის მეტი არავინა მყავს...

მარიკამ ყველაფერი თქვა, ის ჩემს სიტყვებს ნამდვილად ხედავდა. თურმე უთქმელი სიტყვების დანახვაც შეიძლება. ეს ისე გამიხარდა, როგორც ბავშვობის დროს პირველად შენიშნული ცისა და ზღვის მსგავსება.

— ზოგი ზღვასთან რომ მივა, იზნევა, — ვთქვი, მე, — ზოგი კი სულ ბითურდება...

ჩვენ ბათუმის ნავსადგურში კატერს ვუცდიდით. პირდაპირ სკამზე ორი შვეთავსაფრიანი დედაბერი იჯდა. ჩვენს წინ მაღალი კაცი რკინის მოაჯირს იდაყვებით ჩამოყრდნობოდა და გვიყურებდა. მთლიანად ოქროს კბილები ჰქონდა. ცალ ხელში ქარვის მუნშტუკი ეჭირა და თითებით აწვალებდა.

— გინახავს, ბიჭებს წყალში ხურდა ფულს რომ უყრიან?

— როგორ არა, — ვთქვი მე, — რა კარგი რამ გავახსენდა...

— იმ დღეს სწორედ ამ ადგილას თეთრად გამოწყვებილი ცოლ-ქმარი იდგა. ქმარი ბიჭებს ფულს უყრიდა. ბიჭები რომ ფულს ამოეჩანდნენ, ცოლს ისე გადახედავდა, თითქოს თვითონ ამოეტანოს ფსკერიდან ფული. ცოლი მხარზე ლოყით ეფერებოდა. ხურდა ფულით პირგამოტენილი ბიჭები ხელეზს უქნევდნენ.

— ხურდით პირგამოტენილი ბიჭვითა ვარ მეც, ასე მგონია, შენი თავი ვიღაცა ბითურებს წავართვი...

— მე ხურდა ფული გამოვდივარ, — მარიკამ პატარა ბუტია გოგონასავით ქვედა ტუჩის გამობურთვა იცის...

— ხურდა ფული კი არა, შენა ხარ ეს ნავსადგური, თოლიები, ზღვა, რომლებსაც თამაშით გართული დოყლაპიები ვერ ამჩნევენ... ის ბიჭები კი ყველაფერს ხედავენ, გრძნობენ და ამ ცასა და ზღაში თოლიებივით თავისუფლად ცხოვრობენ...

— ბევრი რამე დაგავიწყდა, — ამბობს მარია სერიოზული სახით. — მე ვარ ცა, გემები, აი, ის მოტივტივე შუქურა და მთვლემარე დედაბერი...

— ჰო, შენ ის დედაბერიცა ხარ... დედაბერივით ჭკვიანი გოგო...

— მე არ მინდა დედაბერივით ჭკვიანი ვიყო, ჭკვიანი გოგოები ბიჭებს არ უყვართ...

— ბიჭებს მეტიჩარა გოგოები არ უყვართ. ერთ გოგოს ვიცნობდი, რამეს რომ ვიტყოდი, პირში მომეარდებოდა: არა, გენაცვალე, მარსელ პრუსტი მაგას არ ამბობსო. თან დაუფარავი სიბრალულით მიცქერდა... საშინლად ბრაზობდა, როცა სხვა გოგოებს ვეარსიყებოდი. სექსუალურ შოფერს მეძახდა...

— შენთან არასოდეს ლიტერატურაზე არ ვილაპარაკებ, — თქვა მარიკამ...

— შენ მეტიჩარა არა ხარ, — ვთქვი მე, — რაც მთავარია, ლამაზი გოგო ხარ, რაც არ უნდა თქვა, ყველაფერი ლამაზად გამოვა...

ისეთი ბედნიერი ვიყავი, მეგონა ყველაფერი მეჩვენებოდა. ამ გრძნობას ერთმანეთზე მიხერგილი, წათვლემილი გემები და ხანტად მოფარფატე თოლიები ამძაფრებდნენ. მხოლოდ შავებში ჩაცმულ დედაბრებს რომ ვხვდავდი, ვხვდებოდი, რომ რაც მიხაროდა, სინამდვილე იყო. მარიკას სიახლოვე დაფარული რწმენით მავსებდა. ასეთი რწმენა შეუძლია მოგცეს საქემ ან გუთანმა, რომლითაც რალაცას იმორჩილებ. ეს ფარული რწმენა კი მახარებდა და ყველაფერი მომწონდა, გუშინდელი დღე კი სხვანაირი იყო. გუშინ მარტო ვიყავი და პირველად ვიგრძენი, რომ მიყვარდა. ბათუმში ნათესაებთან ვიყავი წამოსული. კატერიდან რომ გადმოვედი, გაწვიმდა. გავიქეცი და ნავსადგურის ახლოს, პატარა კაფეში შევედი. კაფეში თევზის, თუთუნისა და სველი ტანისამოსის სუნი იდგა. შავკაბიან, ჭალარა ბერძნის ქალს ყავა პატარა, თეთრი ფინჯნებით მოჰქონდა. ყავა რომ მომიტანა, ფინჯნის გვერდით წყლით სავსე ჭიქაც დამიდგა. წყალი ერთბაშად გამოვცალე, ძალიან მწყუროდა. ჩემს მაგიდასთან ჩია მოხუცი იჯდა. ბრეზენტის საწვინარი ეცვა და საწვინარზე ორთქლი ასლიოდა. ფინჯანი დაეპირქვაებინა და მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი იჯდა. პირი მაგრად ჰქონდა მოკუმული, თითქო ხარაზივით ტუჩებით ლურსმნები ეჭირა.

— ყავა დალიე, — მითხრა მან, — წყალს კი ნუ სვამ...

ყავის ფინჯანი ავიღე:

— ცხელია...

— გაწუწული ხარ, მოგიხდება...

ყავა მოვსვი და ფინჯანი ისევ მაგიდაზე დავდგი.

— როგორ დაუშვა, — ვთქვი მე.

— ბათუმში ასე იცის... არაყი დალიე...

ბერძენ ქალს დავუძახე:

— ორი არაყი მოგვიტანე...

— მე არ მინდა, უკვე დავლიე...

— ერთიც, ჩემთან ერთად...

ქალმა არაყი მოიტანა და მოხუცს უთხრა:

— გეყოფა, სახლში წადი...

— ჩემი რძალია, — თქვა მოხუცმა. — ახლა სხვაზეა გათხოვილი...

ჭიქა ახლოს მივუჩოჩე და ვთქვი:

— გაგვიმარჯოს...

— გაგვიმარჯოს...

დალია და დააცემინა:

- ჯანდაბა, — უთხრა თავის თავს.
- კიდევ დავლიოთ, — არაყი მესიამოვნა. — თითოც...
- რძალი მომკლავს...

მერე სიცილით დაუმატა:

— თუმცა ის ჩემი რძალი აღარ არის, ახლა ის ჩემი შვილია, მისი ქმარი კი — სიძე...

- მათთან ცხოვრობ? — ვკითხე მე.
- მათთან ვცხოვრობ... სხვა არავინ არა მყავს...

არაყი ახლა ბოთლით მოვატანინე:

- თუ დალევაა, დალევა იყოს... დიდი ხანია არ დამილევიდა...
- ჩემი შვილიც იშვიათად სვამდა... წინათ არც მე ვსვამდი...
- შენს შვილს რა დაემართა?

მოხუცი გაჩუმდა. სკამის კიდეზე ქანაობდა, როგორც ბავშვებსა და მოხუცებს სჩვევიათ. მერე არაყი დაისხა და აცახცახებული ხელით ჭიქა პირთან მიიტანა:

- ჩემი შვილი ზღვაში დაიღუპა...
- და არაყი გადაჰკრა, თითქო ეს მწარე სიტყვები გულში ჩაიბრუნა:
- ახლაც ზღვაში წევს...

საოცარი სიტყვებით წარმომიდგა ზღვის ფსკერზე გაწოლილი ადამიანი, დიდი თეთრთვალემა თევზებით გარშემორტყმული. უნებურად თევზებს ხელი ავუქნიე.

— ზღვა ჩემი შვილის საფლავია, — თქვა ჩუმად მოხუცმა, — მივდივარ ხოლმე და ვტირი... როგორც ყველა საფლავი, ისიც ჩემთვის ძალიან პატარაა... მოხუცმა ტირილი დაიწყო:

- წარმოგიდგენია, პატარა ზღვა!..
- შენი შვილის შესანდობარი იყოს.

მოხუცმა ქალს ხელი დაუქნია:

- მოდი აქ, გესმის რას სვამს?

ქალმა გაბრაზებით შემწედა:

- არაფერი არ მესმის... ვმუშაობ...
- ყავის ცარიელი ფინჯნები აიღო და წავიდა.

— ზღვასთან ეგ და მაგისი ქმარიც მომყვებიან ხოლმე... ჩემთან ერთად ტირიან...

- ქმარიც ტირის?

— ჰო, ტირის... იმიტომაც ვჩერდები მათთან... სახეზე ხელები აქვს აფარებული და ტირის...

გადავიწიე და მოხუცს მხარზე ხელი დავადე. მოხუცი თვალეხში შემომამტერდა. ვიგრძენი, რომ რაიმე სანუგეშოს გაგონება უნდოდა. მე კი ავდექი და ხეპრესავით ვუთხარი:

- ძნელია, ძალიან ძნელია...

იმ წამსვე მარიკას სიტყვები შემომესმა: „იცოდე, ბევრს არ ეყვარები. შენ კიდევ ბევრი რამე უნდა ისწავლო. უნდა ისწავლო კონცერტებზე ისეთი სახის მიღება, თითქოს მუსიკა გესმის. უნდა ისწავლო ქალების ხელებზე კოცნა. უნდა ისწავლო სატირალში ჭირისუფალს როგორ უნდა უთხრა: ყველანი სიკვდილის შვილები ვართ...“

— ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, — ვთქვი უფრო ხმაბლდა და რატომღაც შემრცხვა.

— ეჰ, — თქვა მოხუცმა, — შენც ამას ამბობ...

წამოდგა და კედელზე მიყუდებული ჯოხი აიღო:

— წაველი... გმადლობთ...

— დაიცა, — შევებვებე, — ცოტა ხანს კიდევ დაიცადე...

— არა, — თქვა მოხუცმა, — უნდა წავიდე...

კარებში რომ გადიოდა, დამიძახა:

— აკი აღრე თქვი, ძნელიაო?

აქედან მინდოდა დამეყვირა, რომ ძნელია, საშინლად ძნელია, რომ მე ამ ბოთლივით სულელი ვარ და მეტი არაფერი, რომ მე არასოდეს ზღვასთან არ მიტირია, რომ მე ზღვა სულ სხვა რაღაც მგონია და აქამდე არ ვიცოდი, რომ ზღვა თურმე ადამიანის მწუხარების ტოლი ყოფილა...

მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე. დიდხანს ვიჯექი ასე გაშტერებული. მერე უცბათ შევამჩნიე, რომ ხელში არყით სავსე ჭიქა მეჭირა. ასე არასოდეს მომლომებია მაგარი რამე დამელია. თითქო რაც აქამდე დავლიე, წყალი იყო, მწარე, გამოსაფხიზლებელი წყალი.

კაფედან რომ გამოვედი, ისევ წვიმდა. ქუჩას ცარიელი იყო. ქუჩას ერთ მხარეს ნავსადგურის მაღალი, ქვის კედელი მიჰყვებოდა. კედელზე ჩამოძვინძილი აფიშები იყო გაკრული. ერთ აფიშაზე თოკზე მოსიარულე ქალი ეხატა. ქალს ცალი მხარი ჩამოფხრეწილი ჰქონდა. წვიმას ფერები ჩამოერეცხა და ქალს ქოლგასავით გაშლილი კაბა ვასვროდა. ანლოს მივედი და წელში მოვიხარე:

— ვიზიარებ თქვენს მწუხარებას...

მინდოდა ხელზე მეკონა, მაგრამ სველი ქალღი ტუჩებზე ამეკრო. გადავაფურთხე და ვიყვირე:

— აკი ვთქვი, აკი ვთქვი...

კედელს მხრით მივეყრდენი. კედლის სისველემ პერანგში გაეონა და მიხვდი, რომ მეც კედელივით სველი ვიყავი.

— წვიმს? — ვკითხე კედელს.

გამიკვირდა, რომ კედელი ხმას არ მცემდა. თავი ჩავლუნე და გვერდით გადავივი. კედელი გრძელი და სველი იყო.

— მარტო ვარ, სულ მარტო, — შევაცოდე თავი კედელს.

კედელი დუმიდა. მერე დავინახე, რომ ისიც მარტო იყო. მივედი და ზედ მივეკარი:

— ახლა, ახლაც მარტო ხარ?

შას ჩიმი არ ესმოდა, ისევ მარტო იყო. უეცრად რაღაცა გამახსენდა. ვიცოდი, რაც იყო, მაგრამ სახელის ხსენება არ მინდოდა. სულ სხვა სიტყვების წამოძახება დავიწყე, თითქო არ მინდოდა დამეფრთხო ის, რაც გამახსენდა.

— კედელი... წვიმა... ცირკი...

— ცირკი... კედელი... წვიმა..

— წვიმა... ცირკი... კედელი...

უცებ ვიგრძენი, როგორ დავცარიელდი... აღარაფერი აღარ მქონდა: არც გული, არც ფიქრები, არაფერი... თითქოს ყველაფერმა ადგილი დაუთმო მას, რაც უეცრად გამახსენდა.

— მიყვარს — ვუთხარი კედელს, — მიყვარს...

მიხვდი, რომ მიყვარდა და ამიტომ ვიყავი მარტო. ისიც მიხვდი, რომ



სანამ ამ კედლის გვერდით ვივლიდი, უფრო მარტო ვიქნებოდი. რახან კედელს საიდუმლო უკვე გავანდე, გადავწყვიტე, ბარემ სახელიც მეთქვა:

— მარია, — ვთქვი დამარცვლით. თითქო კი არ ვამბობდი, ამ სახელს კედელზე ვწერდი. მერე ცოტა მოშორებით ეს სახელი კედელზე ნამდვილად დაწერილი დავინახე.

გული გადამიტრიალდა და მისკენ ნელ-ნელა წავედი. მერე მივხვდი, რომ მომეჩვენა. იქ მარიკას ნაცვლად წითელი საღებავით „ვერონიკა“ ეწერა.

ვიდექი და ამ სახელს ხმამაღლა ვკითხულობდი:

— ვერონიკა!..

— ვერონიკა!..

— ვერონიკა!..

მერე თითქოს სულ სხვა ვილაღ ვიყავი. მეზღვაურის ტანისამოსი მეცვა და წითელი საღებავით კედელზე „ვერონიკას“ ვწერდი. მერე ზღვის ფსკერზე გაშობილი ვიწეკი და მიინც ამ კედელს ვხედავდი. მერე უცბად გავიქეცი, მიინდოდა კედელს გავტეოდი. ვიცოდი, რომ სანამ კედლის გვერდით ვივლიდი, სულ მარტო ვიქნებოდი. კედელი გრძელი იყო. ბევრი ვირბინე და უკან ჩამოვიტოვე. მიინც გავგზობოდი: „ნუთუ მართლა პატარაა ზღვა... ნუთუ მართლა პატარაა ზღვა...“

ნავსადგურში გავედი და მოაჯირს აქოშინებული გადავემხე: ზღვა ძალიან სავსე იყო, თითქოს წუხელ გაზრდილიყო და, როგორც ამოსული რძე, ნაპირზე გადმოდიოდა.

ცხლოდა. დედაბრები აღგენ და ბილეთების გასაყიდ ჯიხურთან ჩრდილში ჩაცუცქდნენ.

— კატერი იგვიანებს, — თქვა მარიკამ.

— იგვიანებს, — გაეპასუხა მაღალი კაცი, რომელიც აქამდე ისეთი მოწყენილი სახით იდგა, რომლითაც წვიმის გადაღებას უტყდიან.

მარიკამ თავი დაუქნია და გაუღიმა:

— დიხ...
ახმახი ახლოს მოვიდა და ასანთი მთხოვა.

— გახვეულ თუთუნს ეწევით? რამდენი ხანია არ მინახავს, — უთხრა მარიკამ.

— ამას სულ სხვა გემო აქვს... ხომ არ მოსწევ? — მკითხა და ხის სათუთუნე გამომიწოდა.

— სიამოვნებთ.

ორი თითით ამოვიღე თუთუნი და გაზეთის ნახევში გავახვეე:

— კარგად ვერ ვახვევ, შეუჩვეველი ვარ...

მერე მოუუკიდე და ნაფაზი დავარტყი. თუთუნი ძალიან მაგარი იყო, ოღნავ თავბრუ დამახვია.

— ამისთანა თუთუნს მთელ აქარაში ვერ ნახავ, — თქვა ახმახმა.

— გადასარევი თუთუნია...

— აბა რა, — გაუხარდა ახმახს.

— გინდა? — ვკითხე მარიკას.

— არა... მრცხვენია...

— მაგარი კია, — ვთქვი მე.

— თუთუნი მაგარი უნდა იყოს, — მიპასუხა ახმახმა, — აბა ისე რად გინდა.



ცოტა ხანს ჩუმად ვწევდით. თუთუნს ერთი კარგი თვისება აქვს: შეუძლებელია უცნობ კაცს დაგაახლოვოს.

— ნეტავ რატომ იგვიანებს? — იკითხა მარიკამ.

— ნუ გეშინიათ, ამ გზაზე არაფერი დაემართება, — გაიცინა ახმახმა, მერე ხუმრობით დაუმატა: — ალბათ ლოცმანს შემოჰყავს.

— უკაცრავად, თქვენ რა გჭკიათ? — შეეკითხა მარიკა.

— შუქრი... გვიან გაგვახსენდა.

ჩვენი ვუთხარით ჩვენი სახელები.

— შუქრი, — უთხრა მარიკამ, — ძალიან გთხოვთ, ნუ მაწყენინებთ...

— გაწყენინებთ?..

შუქრიმ გაკვირვებით შემოგვხედა.

— კატერს ნუ დაცინით... ის კატერი მე მყავარს...

გამეცინა, შუქრი კი ნამდვილად შეწუხდა:

— დაცინვა არც კი მიფიქრია, რას ამბობთ...

— ის კატერი ძალიან კარგი კატერია... ისე მოწყენილი დადის, თითქოს რაღაცაზე ფიქრობს...

— ფიქრობს კი არა...

შუქრიმ გამოიღმა. მე მხრები ავიჩიჩე.

— ნამდვილად ფიქრობს... ნაპირს რომ უახლოვდება, გგონია, რომ ძალიან შორიდან მოდის...

— ქობულეთი თუ შორია! — შუქრიმ ხელები გაშალა.

— საქმეც ეგ არი, რომ ახლოა. ქობულეთი-ბათუმი... ბათუმი-ქობულეთი... და ასე, ამდენი წელი... არადა ზღვაში დადის, ამხელა ზღვაში...

— მეც ასე ვარ, — თქვა შუქრიმ, — ქობულეთი-ბათუმი... ბათუმი-ქობულეთი, არადა ამხელა მიწაზე ვცხოვრობ...

მარიკა ახლოს მივიდა და ხელზე ხელი მოჰკიდა:

— ჰო, შუქრი, ჰო... მესმის...

შუქრიმ თავი ჩაღუნა.

— ნახეთ, რამდენი თოლიაა, — ვთქვი მე.

მარიკამ შემომხედა. მიყურებდა და მიდიმოდა. უეცრად მომეჩვენა, რომ მის თვალბშიც თოლიან გაიფრინა...

თოლიები დაფარფატებდნენ ნაპირზე აღმართულ ქვანახშირის გორებს, წეროებივით გარინდებულ ამწეებს და მზის აბლაბუდაში მოქანავე გემებს.

— თოლია ახლოს თუ გინახავთ? — გვკითხა შუქრიმ. — ძალიან უშნოა.

— გემებიც შორიდან უფრო ლამაზები არიან, — თქვა მარიკამ, — ზღვაც შორიდან არის ლამაზი. მაგრამ ისეთი არასოდეს არ არის ზღვა, ვიდრე მაშინ, როდესაც მასზე ფიქრობ...

— წავალ, დედას მივხედავ, — თქვა უეცრად შუქრიმ და ხელი ჩრდილში მჯდომი ქალებისაკენ გაიშვირა.

პავლე შინ ბრუნდებოდა. ტრამვაიდან ჩამოვიდა თუ არა, ბარაბას შეეჩეხა. ბარაბამ რატომღაც თავის არიდება სცადა, მაგრამ პავლემ მკლავში ჩაავლო ხელი:

— გამარჯობა, ბარაბა.

ბარაბამ ცალკბად გაუღიმა:

— გაგიმარჯოს...

— სამუშაოდ?

- არა, მოვრჩი...
- ჩვენთან რატომ აღარ მოდიხარ?
- რა ვიცი...
- წინათ მოდიოდი ხოლმე...
- რა ვიცი...
- წამო, თითო ლუდი დავლიოთ.

ბარაბა უხალისოდ დაეთანხმა. ფარდულთან მივიდნენ და დახურულ და-
 რაბაზე დააბრაზუნეს:

- სძინავს თომას...
- ამ დროს ყოველთვის სძინავს...
- თითქოს ფარდული მაგის საკუთრება იყოს, როცა უნდა გააღებს...
- მუშტარი მაინც ბევრი ჰყავს, რა ენაღვლება...

პავლემ დარაბას მუშტი დაარტყა:

- თომა, ჰა, თომა!

ფარდულის ცისფრად შედებილი კარი ჭრიალით გაიღო:

- რომელი ხარ?

თომას პერანგი გაეხადა. ბანჯგვლიან ტანზე დალაქული ბადე ეცვა.

- შეიძლება ძილში გაიპარო, — უთხრა ბარაბამ.

— ჭუჭრუტანებში ვერ გავეტყვი, — გაიცინა თომამ და მკერდი მოიფ-
 ხანა — დალევა გინდათ?

- ლუდი გაქვს? — ჰკითხა პავლემ.

- მაქვს, ახალთახალი. არაყიც მაქვს, ყინულში ჩაცივებული.

- ახსენი ჯოჯოხეთის კარი, — თქვა ბარაბამ.

— იცოდე, ნისიად აღარ დავალევიანებ. ამ პატიოსან კაცს კი რამდენიც
 უნდა...

- მე ვბატიყებ, — თქვა პავლემ.

- მაშინ აქ შემოდით, გარეთ სიციხეა...

ფარდულში შევიდნენ და ლიმონათის ბოთლების ჩასაწყობ ხის ყუთებზე
 ჩამოსხდნენ.

- გრილა, — თქვა პავლემ.

— თავს უფრთხილდება, — ბარაბამ თომას მუცელზე ხელი დაარტყა. —
 ბიძია თომას ქოხი...

- მართლა ქოხივით აქვს ღიბი, — გაეცინა პავლესაც.

- ეს ღიბი მომკლავს, — თქვა თომამ.

ის გაბოლილ თევზს კანს აცლიდა და ნაფცქვენებს გარეთ ისროდა. მერე
 კასრში ხელი ჩაიბანა და წინსაფარზე გაიმშრალა:

- მწვანელიც გინდათ?

- მააშ, — გაუგრძელა ბარაბამ.

თომამ ყუთი გადააბრუნა, ზედ გაზეთი გაშალა და თევზი და მწვანელი
 დააწყო. ლუდი ჩამოასხა და წინ დაუდგა, თავისი ტოლჩა კი სულმოუთქმელად
 გამოცალა:

- მაამოს...

- არაყს დალევ? — ჰკითხა ბარაბას პავლემ.

- მაგასაც კითხვა უნდა? — ბარაბას მაგივრად უპასუხა თომამ.

- დავლევ... უარი ვერ ვისწავლე...

- მაშ ჯერ არაყი დავლიოთ...

თომამ ბოთლი მოიტანა.

- მათხოვე, — უთხრა ბარაბამ. ბოთლი გამოართვა და ძირზე ხელი და-
არტყა: — წავიდა...
- თომამ არაყი ჩაის ჭიქებში დაასხა:
- მე ვერ დავლევ...
— მამ რილასთვის დაისხი? — ჰკითხა ბარაბამ.
— ისე...
— თუ ისე, მოიტა აქ.
ბარაბამ თომას ჭიქა აიღო და ლუდით სავსე ტოლჩაში ჩაიცილა:
— ისე არ ვიცი მე...
— არაყი ყველას გვეყოფა, — თქვა პავლემ და თომას ჭიქა ისევ შეავსო:
— დალიე, რატომ არ სვამ?
— ვსვამ, მაგრამ გაპრანჭვას არ მაცლის და რა ვქნა...
— აბა, გაგვიმარჯოს, — თქვა პავლემ.
ბარაბამ ლუდის ტოლჩა მიუჭახუნა.
— თუ არაყს სვამ, არაყი დალიე, — უთხრა თომამ.
— სულ ერთია... თავს მიხედე...
პავლეს უცბათ ხასიათი გაუფუჭდა: „ამასთან რამ წამომიყვანა?“
— კარგი არაყია, — თქვა თომამ.
— მართალია, ცოტა წყალი აქვს დასხმული.
ბარაბა თევზს ჭამდა.
— წყალს არასოდეს არ ვასხამ...
— თევზიც ქოთს, — თქვა ისევ ბარაბამ.
— სხვასაც ნუ აზიზღებ, — უთხრა თომამ.
— ვაზიზღებ, თორემ ბალერინები მყვანან...
— ბალერინები რა შუაშია, პურსა ვჭამთ...
— პურს კი არ ვჭამთ, ვსკდებთ...
პავლე ჩუმად იჯდა. არაყთან ერთად ბრაზიც ეკიდებოდა. სახეში ვერ
უყუყურებდა ბარაბას, თან თავისი გაბრაზებისაც ეშინოდა. ბოთლი აიღო და ჭი-
ქები ისევ შეავსო:
- კარგი არაყია, — თქვა მან, მერე დაუმატა. — თევზიც კარგია...
— აი, ხომ ვთქვი, ამისათვის სულ ერთია...
პავლემ წაუყრუა:
— თომა, გაგვიმარჯოს...
— გმადლობთ...
ბარაბამ არაყი ისევ ლუდში ჩაისხა და უხმოდ დალია.
— გმადლობთ, ბარაბა, — უთხრა თომამ.
— გაიზარდე...
— აღდგარძლე, — უთხრა პავლემ.
— ერთი მაგის...
— აღდგარძლე, — გაუმეორა პავლემ ჩუმად.
ბარაბამ პავლეს შეხედა და არაყი დაისხა:
— იცოცხლე, — უთხრა თომას.
— ასე, — თქვა პავლემ, — სუფრის წესი ასეთია...
— მე წესი არ მომეთხოვება, მესაფლავე ვარ...
— მესაფლავეც კაცია და თავისი საქმე აქვს, შენ კი...
— რა მე?
— შენ ლაჩარი ხარ...

— ვინ? — ბარაბა ფეხზე წამოხტა.
 — ლაჩარი... ამიტომ გძულს ყველა. თუმცა სიძულვილიც არ შეგიძლია, მხოლოდ ხიზნით...

— შენ რა იცი, მე ვინ ვარ, მე ნასწავლი კაცი ვარ...
 — შეიძლება ნასწავლიც იყო, მაგრამ ახლა კაცი არა ხარ, დეზერტირი ხარ...

— შენ ვის ასწავლი ჭკუას. შენ რომ რამე გცოდნოდა, მიწის მუშა კი არ იქნებოდი.

— ჰო, მე მიწის მუშა ვარ და სხვა არაფერი არ მინდა, რომ ვიყო. ჩემი საქმე მიყვარს... შენ ამას ვერ გაიგებ... დაჯექი...

ბარაბა უცბად დაემორჩილა. დაჯდა და არაფერი ბოთლით მოიყვუდა, თომა მხლები გაშალა:

— რას შვრები?

— დალიოს, — თქვა პავლემ, — ახალი მოიტანე.

ბარაბა ტიროდა:

— მართალია, ლაჩარი ვარ... ლაჩარი ვარ... ლაჩარზე უარესიცა ვარ... თქვენ ამას ვერ გაიგებთ... ვერც ვერაფერს გაიგებთ... მეტსაც გეტყვით, უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი, ამხანაგებს ვაბეზლებდი... კი არ ვაბეზლებდი, ცილს ვწამებდი. ხომ იცით, რა დროც იყო... იმიტომ, რომ მეშინოდა... მეშინოდა, თორემ ცუდი კაცი არ ვყოფილვარ... მერე ომში წამიყვანეს... იქაც მეშინოდა... იქ კიდევ უფრო მეშინოდა... ამხანაგებს პურს ვპარავდი და ჩუმაღ ვჭამდი...

— გველი რომ ძველ კანს მოიშორებს და ახლითაც რომ ვერ შეიმოსება... გველი ხარ, ბარაბა, ტიტველი გველი...

— მაგრამ მე ყველა სასჯელი მოხდილი მაქვს, — ბარაბა ერთი წუთით გაჩერდა, თვალები გაუბრწყინდა, — ყველა სასჯელი მოხდილი მაქვს...

— ტიტველი გველი...

— ყველა სასჯელი მოხდილი მაქვს, — გაიმეორა ბარაბამ, — კიდევ შემოიძლია კაცი გავხდე... აი, ნახეთ, მოთხრობებსაც გამოვაჭვეყნებ...

— ვერა, — თქვა პავლემ, — შენ კაცი ვეღარ გახდები... შენ რომ ამხანაგებს ლუპავდი, მაშინ რაც შენში რამე კარგი იყო, იმასაც სამარეს უთხრიდი... არც არაფრის დაწერა არ შეგიძლია... რასაც შენ ღმერთზე ყვები, არც ისაა შენი. ის ვიღაცაც სხვას, კარგ კაცს ეკუთვნის, რომელიც შენი ხელით მოკალი... იმიტომ რომ ლაჩარი ხარ და დეზერტირი... უნივერსიტეტი დაამთავრე, რა გინდა, სასაფლაოზე რა გინდა?.. მაგრამ დეზერტირი ხარ და ლაჩარი...

— შენ? შენ რაღას მიაღწიე? თხუნელასავით მიწას თხრი...

— მე სწავლის დრო არ მქონდა, — თქვა პავლემ ჩუმაღ, — ვომობდი და ვმუშაობდი... მაგრამ მე იმას მივადწიე, რომ მუშა ვარ, რაც შენ ვერასოდეს ვერ გახდები...

— მუშა ხარ, მუშა, თხუნელა... ქალი ვერ დააორსულე...

პავლემ ხელუკუღმა გაუქნია და კინაღამ კედელი გაანგრეინა.

— დაკარგული კაცია, — თქვა თომამ.

პავლე თავჩაღუნული იჯდა და ხმას არ იღებდა.

— კიდევ კარგი, წავიდა...

პავლემ არც ახლა გასცა ხმა.

— მამა აბრამის ბატყანი არც მე ვარ, მაგრამ მასეთი... ერთხელ მისმა

სიცილმა გამაღვიძა. კარი გაეღო, თავზე დამდგომოდა და იცინოდა, მე დამცი-
ნოდა... ცუდად გავხდი, გეფიცები ცოლ-შვილს, ცუდად გავხდი... ვინ დასცი-
ნის მძინარე კაცს? სატანა დავეუძახე მაშინ. მართლაც სატანის რაღაცა აქვს...

პავლე წამოდგა:

— სატანა კი არა და... ერთი მხდალი, ზნედაცემული კაცია...

— სატანაც მხდალია, რომ იცოდე...

პავლემ ხელი ჩაიჭინა:

— ეჰ... წაველი, თომა... უკაცრავად...

თებროს ყველაფერი ჰქონდა. ასე ეგონა, ცა და მიწა მისი გულისთვის
იცვლიდნენ ფერსა და ხასიათს, ხეებიც მისი ხათრით ჰყვავოდნენ. წვიმაც ეხა-
ლისებოდა, თოვლიც და ქარიც. თუმცა წვიმა, თოვლი და ქარი სასაფლაოზე
სულ სხვანაირი იყო. ქარი სიმარტოვის ფიქრსა ჰგავდა, წვიმა სიმარტოვის
ტრემლს, თოვლი კი თვითონ სიმარტოვეს. თოვლი სასაფლაოზე უფრო ჩუმი
და თეთრი იყო, ისეთი თეთრი, რომ ოდნავ ლურჯი გადაჰკრავდა. ბექობებსა
და მინდორზე ბრწყინავდა და თითქოს ეძინა. თოვლში სასაფლაოზე ამოსვლას
ერიდებოდნენ და დიდხანს გაუკვალავი რჩებოდა. ის არ ჰგავდა ბეთანიის
ტყეების შაშვის ჭახჭახივით ფხიზელ თოვლს. არც ქალაქის თოვლსა ჰგავდა.
ქალაქის თოვლი ტრიალ მინდვრიდან სახლში შემოვარდნილი კურდღელივით
დამფრთხალი იყო. ის ნახევრად გადმოთოვლილი სახურავებიდან კურდღელი-
ვით წითელი თვალებით იცქირებოდა. აქ კი თოვლი გაყინულ სიჩუმესავით
ზვიადი იყო. ქარი კი თითქოს უამრავ უხილავ კარს ეხეთქებოდა, ანჯღრევდა,
ვილაციების გარღვიძება უნდოდა, მაგრამ ამაოდ. მერე ხევში ჩავარდებოდა,
მთვარიანში დაჯდებოდა და მგელივით ყმუოდა. არც ეს ყმული აღვიძებდა
ვინმეს. ქარი საცოდავი იყო. წვიმა ისე მოდიოდა, თითქო მარტო აქ მოდიოდა.
სასაფლაოზე ის თავიდან ფეხებამდე ჩანდა, წინ არაფერი ელობებოდა, არა-
ფერი უშლიდა. აქ წვიმა გაცილებით მაღალი იყო.

იმ დღესაც პავლე შემოვიდა თუ არა, გაწვიმდა. თებრომ მაშინვე შეატყო,
პავლეს დაელია. პავლემ წყნარი სიმთვრალე იცოდა, მაგრამ ახლა შეწუხებული
ჩანდა. ბორგავდა, წყლით სავსე კოკას მალიმალ იყუდებდა, წყალი კისერში
ედრებოდა, ეტყობოდა, სიამოვნებდა. არც ისეთი მთვრალი იყო, მაგრამ
მაინც ცეცხლი ეკიდა. მან ვერც მაგიდასთან მჯდომი მღვდელი შენიშნა, რო-
მელიც თიხის ჯამიდან წვეინსა ხვრებდა. თებრო სამადლოდ აჰმევედა მღვდელს,
ეცოდებოდა ეს მარტოხელა ბერიკაცი. პავლე ტახტზე ჩამოჯდა, თავი ხელებ-
ში ჩარგო და გაყურდა.

— გმადლობთ, შვილო, — თქვა მღვდელმა და ჯამი იქით გააჩოჩა.

პავლემ თავი ასწია, ცოტა ხანს დაკვირვებით უცქირა მღვდელს და მერე
ჩუმად უთხრა:

— გამარჯობა...

წვიმდა. წვიმის ხმა თითქოს ძალიან შორიდან მოდიოდა. მღვდელმა ქისა
ამოიღო, მუხლზე დაიდო და თუთუნი თხელ სიფრიფანა ქალალში გაახვია.
მერე ქისა მაგიდაზე დადო, მუხლებზე დაპნეული თუთუნი ფრთხილად მოჰკ-
რიფა და ქისაში ჩაჰყარა. თებრომ ასანთი აუნთო. მღვდელს ცისფერი, აცრემ-
ლებული თვალები ჰქონდა, ეტყობა, ქუთუთოები ტკიოდა.

— ამ დღით ბარაბა ვნახე, — თქვა მღვდელმა.

თებრო შეკრთა. დიდი ხანია ბარაბას სახელი არ გაუგონია. არც თვითონ
ახსენებდა, გულშიაც კი არ ამბობდა ამ სახელს. ბარაბა მისთვის აღარ არსე-

ბობდა, იმ დღის მერე ხომ მისი გაცნობის დღეც დასწყევლა. ბარაბა თუმცა ახლოს აღარ ეკარებოდა, გრძნობდა, რომ შორიდან ზევრავდა. ერთხელ გზაზე მიმავლს სუნთქვა შეეკრა, ფეხი ველარ გადადგა, თავს ძალა დაატანა და გზა განავრძო, მაგრამ ისე ეგონა, თითქო უპაერო გვირაბში მიდიოდა. გვერდზე გაიხედა და საფლავის ქვაზე ჩამომჯდარი ბარაბა დაინახა. ბარაბა პაპიროსს სწევდა და მას უყურებდა. „თებრო!“ — დაუძახა ბარაბამ. თებრომ ხმა არ გასცა და გაიქცა.

— არ მომესალმა, — თქვა მღვდელმა, — გვერდი ისე ამიარა, თითქო არც კი დაუენახივარ...

მღვდელი ბარაბაზე რაღაცას ყვებოდა, თებროს არაფერი არ ესმოდა. მას ეშინოდა, თვითონ არ იცოდა, რისი. უცნაური იყო, რომ შიში უხაროდა, რადგან იგი ჯავშანივით ერტყა. დიდხანს იჯდა შიშის ბნელ ორმოში, იქ არც წვიმის ხმა ჩამოდიოდა. მერე მღვდლის შეცვლილმა ხმამ გამოაფხიზლა:

— „მიუფო მთავარმან მან და რქვა მათ: ვინ გნებავს ორთა ამათგანი და მიგიტეო თქვენ? ხოლო მათ ჰრქვეს: „ბარაბა...“

თებრო აღდა:

- წავალ, პურს მოვიტან...
- მოიცა, გადაიღოს, — უთხრა პავლემ.
- არც ისე წვიმს... გავიქცევი, აქვეა...

თებრომ პავლეს საწვიმარი წამოისხა. საწვიმარი ნუგეშით დიდი და თბილი იყო. ძალიან არც წვიმდა. თებრო ნელა წავიდა. შიში გაუქრა, თითქო წვიმამ მოსტაცა და უთვალავი წიწილეზივით მწივანა წვეთებად გააბნია. შიში პატარა დასავით საიმედო იყო, რომელთან ერთადაც ბავშვობაში ლოგინში წევხარ. გარეთ ქარი ბუხუნებს, პატარა და შიშით ცახცახებს, მაგრამ რატომ-ღაც გჯერა, რომ, სანამ ერთადა ხართ, არაფერი არ მოხდება. ახლა იმედად ეს საწვიმარი ჰქონდა. ჩალის ქოხივით თბილი საწვიმარი. გაზაფხულის ნათელი წვიმა მოახლოვებულ ბინდს ფერს უკარგავდა. ბინდი წვიმაში ნაცრისფრად ჟონავდა და მის ელვარე მძივებს ერთმანეთზე მიყოლებით, ჯიუტად სწყვეტდა. თებრო რატომღაც მოკლეს არ გადავიდა და სასაფლაოსკენ მიმავალ ბლიკს დაადგა. სასაფლაოს ბინდი ღრუბელივით უახლოვდებოდა, ზედ ნელ-ნელა იშლებოდა და ფარავდა, ადვილად ერეოდა. ბილიკი უკვე ატალახებულყო და თებროს ფეხი უტყურდებოდა. ბილიკის ახლოს ბალახები თიხისაგან წითლად მოსკრილიყვნენ. წვიმაში არეულ ბინდში თებრომ პროპელური დაინახა. ბოძი, რომელზედაც დამაგრებული იყო, არ ჩანდა და პროპელური ცაში ეკიდა. მფრინავის საფლავთან წამით გაჩერდა. მფრინავიც მარტო იყო, ცას თითქო ახლა მისთვის არ ეცალა, მას მძიმე პროპელური ეჭირა. ნაბიჯი გადადგა თუ ახლა, ვიღაცამ საწვიმარი შემოაგლიჯა, ხელები მოხვია და მალლა აიტაცა. თებროს არ შეშინებია, თითქო ამას ელოდა და შიში წინასწარ განიცადა. გაიბრძოლა, მაგრამ ამაოდ:

— გამიშვი... გამიშვი...

ვერაფერს ხედავდა, მაგრამ იცოდა, ვინც იყო. ბარაბა სახეზე და ყელში კოცნიდა. სველი, უხეში წვერით კაწრაედა და ჩახლეჩილი ხმით ბუტბუტებდა:

— აღარ შემიძლია... აღარ შემიძლია... თებრო... თებრო...

მერე ბალახებში ჩააწვინა და თებროს ეგონა, თითქოს ქაობში ჩაიძირა. ქაობის წყალი პირში ჩაუვიდა და ეს ბინძური წყალი ბარაბას სახეში მიფურთხა. ბარაბამ საკინძე ჩამოახნია და მკერდზე დააკვდა:

— აღარ შემიძლია... მიყვარხარ... მიყვარხარ...



ჭაობმა ახლა მთლიანად დაფარა. სიბნელე გულში ჩაუდგა. კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, ჭაობიდან თავი ამოყო და ახლოს, ძალიან ახლოს ბარაბას მხარი დაინახა. გამწარებულმა კბილები ჩაასო და თვალი დახუჭა: „გველები... ვეველები...“

— გამიშვი, ძაღლო, გამიშვი! — შემოესმა ბარაბას ხმა.

თებრომ თვალი გაახილა, ჭაობი გამქრალიყო. მის ირგვლივ წითელი თიხით გასვრილი ბალახი იდგა. ბარაბა წამოვარდა, რაღაცას ყვიროდა. თებრო არ უსმენდა. „ალბათ ასეთია სიკვდილი...“ ხელში ბალახის ღერი მოჰყვა, მოსწია, მაგრამ ვერ მოგლიჯა. მერე იგრძნო, რომ გაიღიმა, თავის სიკვდილს გაუღიმა. ბარაბა დასწვდა და ფეხზე წამოაყენა, ცალი ხელი მხარში მაგრად ჩაავლო, მეორეთი კი სილა გაარტყა. თებროს ეგონა, რომ ცაში ეკიდა: „პროპელერი... პროპელერი...“

ბარაბა ურტყამდა და ყვიროდა:

— ძაღლო!.. ძაღლო!..

მერე ხელი გაუშვა და გვერდზე ვადგა. თებრო ბალახში ჩაიკეცა. მერე დაინახა, რომ ბარაბა ტიროდა, მერე ბარაბას ცრემლებს გაუღიმა, ეგონა, რომ იმ ცრემლებს ეცოდებოდათ. მერე ცრემლები წვიმად იქცა და იგრძნო, რომ წვიმდა და ცოცხალი იყო.

— წადი, ბარაბა, — თქვა ძალიან წყნარად.

პავლე მთელი ღამე ქალაქში დაბრუნდა და ბარაბას ეძებდა. თებრო იატაკზე იჯდა და ტიროდა. პავლე ალიონზე დაბრუნდა, თებროს ზედ არ შეხედა, გულზე დაკრეფილი კედელთან დადგა და ასე უცდიდა გათენებას. ნელა თენდებოდა...

პირველი მესაფლავე: ყველაზე დიდი თავადები მეზღეები, მიწისმთხრელები და მესაფლავეები არიან, ამათ აღჴმის ხელობა უჭირავთ.

მეორე მესაფლავე: მერე, განა ადამი თავადი იყო?

პირველი მესაფლავე: თავდაპირველად ის განჩნდა და თავადი არ იქნებოდა? თავადიც ის იყო, მთაც იმას ეჭირა ხელში და ბარიც.

მეორე მესაფლავე: სტყუი.

პირველი მესაფლავე: ურჯულო ხომ არა ხარ. საღმრთო წერილი არ იცი? იქა სწერია, ადამი მიწისა თხრიდაო. რით ვათხრიდა, თუ ბარი ხელში არა სჭეროდა? კიდევ ერთ რასმე გკითხავ. თუ რიგიან პასუხს ვერ მეტყვი, მაშინ გატყდი, რომ...

მეორე მესაფლავე: სთქვი:

პირველი მესაფლავე: ვინ აშენებს კალატოზზედაც, მენავეზედაც და ღურგალზედაც უფრო მაგარ შენობას.

მეორე მესაფლავე: სასრჩოლებას დამდგმელი. ეს შენობა ათას თავის მდგმურს ამოიჭამს.

პირველი მესაფლავე: ეგ კარგად მოგივიდა, ბარაქალა. მართლა რომ სასრჩობელა კარგი რამ არის. მაგრამ ვისთვის არის კარგი? იმისთვის. ვინც ცულს ჩადის; და აი, შენც ცულს ჩადიხარ, რომ ამბობ, სასრჩობელა საყდარზე მაგარიო. მაშ სასრჩობელა შენთვისაც კარგი იქნება. ჯერ იფიქრე ხოლმე და ისე სთქვი.

მეორე მესაფლავე: შენა მკითხავ, კალატოზზე, მენავეზე და ღურგალზე უფრო მაგარ შენობას ვინ აშენებსო?

პირველი მესაფლავე: ჰო, მითხარ და გაათავე.

მეორე მესაფლავე: ახლავ გეტყვი.

პირველი მესაფლავე: აბა?

მეორე მესაფლავე: ვერა, ვერ გეტყვი.

პირველი მესაფლავე: ფიქრით თავს ნუ იხეთქ; შენ ზარმაც ვირს ცემით ნაბიჯს ვერ მოამატებინებ, და თუ კვლავ ეგევ გკითხოს ვინმემ, უბასუხე. — მესაფლავე-თქო“...

მეორე მესაფლავე: განა ცუდს არ ჩავდივარ, რომ ყველაზე მაგარ შენობას ვაშენებ?

პირველი მესაფლავე: ვინმემ ხომ უნდა ააშენოს. აი, ჩვენც ვაშენებთ.

მეორე მესაფლავე: ბარაბა, შენთვის ყველაფერი სულ ერთია. ახლაც საფლავს თხრი და მინც სულ ერთია.

პირველი მესაფლავე: სულ ერთია... გუშინ მითხრეს, რომ დეზერტირი ვარ...

მეორე მესაფლავე: არავინ არ გიყვარს და იმიტომ...

პირველი მესაფლავე: იმიტომ რომ მეშინია, მხდალი ვარ... გუშინ ესეც მითხრეს...

მეორე მესაფლავე: როცა ვინმე გიყვარს, სიკვდილიც ადვილია...

როცა კაცი ვინმეს გულისათვის კვდება, იცოდე, ჩვენი აშენებული მაგარი შენობა არარაობა ხდება...

პირველი მესაფლავე: ეგ საკენკი ბავშვებს დაუყარე. მე ამ ქვეყნად შენზე ბევრი რამ მინახავს. გინდა მოგიყვე, როგორ მოიკლა თავი ღმერთმა?

მეორე მესაფლავე: არა, არ მინდა...

თებრო მირბოდა: „ვაიმე, ვერ მივუსწრებ... ვაიმე, ვერ მივუსწრებ...“
 რისთვის უნდა მიესწრო, არ იცოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ უბედურება უნდა მომხდარიყო. პავლეს ფეხდაფეხ გამოჰყვა, მაგრამ რას დაეწეოდა. თებრო ცოტა ხანს კიდევ ხედავდა მის ტანს, მორევში მოყოლილი მორივით გააფთრებულ ტანს, მერე პავლემ აღმართი აირბინა და გაუჩინარდა, არა. უეცრად გაქრა. თითქო უფსკრულში ჩავარდა. თებრო აღმართზე არბოდა. ტალახში ფეხი ეფლობოდა, თითქო მიწა უკან ეწეოდა. მხრებზე ტყვიასავით მძიმე ტვირთი ეკიდა. ვიღაცა იძახდა: „ეს პავლეა, მკვდარი პავლე...“. თებროს მისი არ ჯეროდა, მაგრამ მძიმე ტვირთის ეშინოდა: „იქნებ მართალია?“ — „ყველაზე მძიმე მკვდარი აღამიანია“, — იძახდა ვიღაცა. „არა, მივუსწრებ, მივუსწრებ...“. ცუდი ის იყო, რომ ის ვიღაცა გორაკის იქითა მხრიდან იძახდა და ალბათ თებროზე მეტს ხედავდა და მეტი იცოდა. „ბრმა ხარ, ბრმა, ვერაფერსაც ვერ ხედავ“, — პასუხობდა აქედან. „ნეტავი ბრმა ვიყო“, — არ ცხრებოდა ხმა. უცებ საშინელი სიცხადით მიხვდა, რომ საზარელ რალაცას ნახავდა. „რა იქნებოდა, რომ ბრმა ვყოფილიყავი...“. მერე თვალდახუჭული მირბოდა: „ბრმა ვარ... ბრმა ვარ... ბრმა ვარ...“ — უმეორებდა ვიღაცას ჯიბრით. თვალი რომ გაახილა, თავგაჩეხილი პავლე დაინახა, პავლეს თვალები ღია ჰქონდა. ბარაბა ბარს იქნევდა:

— არ მომეკარო, არ მომეკარო.

სტეფანესაც ბარი ეჭირა, ის ბარაბასაკენ მიდიოდა და ტირილგარეული ხმით ეუბნებოდა:

— გველო... გველო... კაცი მოკალი, გველო...

ბარაბამ უცებ ბარი გადაადგო:

— მე არ მომიკლავს, შენ მოკალი, აქ არავინ არ ყოფილა, არავის დაუნახავს... შენ მოკალი... შენ მოკალი...

მერე სიცილი დაიწყო, სტეფანეს გარშემო ურბენდა და თითს უშვერდა:

— შენ მოკალი, შენ მოკალი...

სტეფანემ ბარი მოუქნია, ბარაბამ აიციდინა და იყვირა:

— ხალხო, კაცი მოკლეს!

მერე გაიქცა. მირბოდა და იძახდა:

— კაცი მოკლეს!.. მე არ მომიკლავს!.. კაცი მოკლეს!.. მე არ მომიკლავს!..

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ათი წუთი, ათი დღე, ათი საუკუნე... ამბობენ, ბარაბა დღე-დღეზე გამოვავო. თითქო პავლე მარტო ათი წლით მოკლა. „პავლე, შე საცოდავო...“. თუმცა არ ებრალებოდა, რადგან პავლე და სიბრაღული ორი სხვადასხვა რამ იყო. როგორც მოურჩენელი ჭრილობა, ტკიოდა და ყოველ დამე პატიებას თხოვდა, რადგან ფიქრობდა, მე რომ ქვეყნად არ გავჩენილიყავი, ბედნიერი იქნებოდაო. პავლე სანამ ცოცხალი იყო, არც კი ფიქრობდა, უყვარდა თუ არა, რადგან მთლიანად მას ეკუთვნოდა. ადრე თითქო მოდილებულ მდინარეს თვალდახუჭული მიპყვებოდა და უხაროდა. ახლა ეს მდინარე მის თვალწინ დაშრა და მისი კალაპოტი თებროს გზად იქცა. დამშრალი მდინარის კალაპოტი ღრმა იყო და აქედან სხვა არაფერი არ ჩანდა. არც თვითონ უნდოდა სხვა რამის დანახვა. ამ გზაზე მას მარტო უნდა ევლო და ალბათ ბოლოს და ბოლოს იქ მივიდოდა, სადაც მდინარე ჩაილია. პავლეს საფლავზეც სიჩუმე ხმელი ბალახივით იდგა. თებროს სიჩუმეს ქვეთინით ებრძოდა, ტირილით უნდოდა განედევნა, მაგრამ ვერაფერს აკლებდა. სიჩუმე დღითიდღე იზრდებოდა და თითქო იმაზე მეტყველებდა, რომ პავლე მიწაში ნელ-ნელა ქრებოდა და მიწას ერთვოდა ისე, რომ თებროს ნუგეშად პატიებას არ უტრევებდა. საფლავზე დამხოზილი ტიროდა და სჯეროდა, რომ სიჩუმე ამ ქვეყნად მიწიდან ამოდიოდა. თებროს ხანდახან სიზმარში პავლეს საფლავთან ჩამწკრივებულ ჯარისკაცებს ხედავდა. მათ თოფები პაერში აეშვირაო და სროლას აპირებდნენ, მაგრამ რატომღაც თოფის ხმა არ ისმოდა. არა და არა...

— ისროლეთ, ისროლეთ, — უყვიროდა თებროს. — ისიც ჯარისკაცი იყო...

ჯარისკაცები ამოდ აწვებოდნენ სასხლეტს და ბოლოს თებროს ხედებოდა, რომ თოფებში ტყვიები არ იყო. ტყვიები თებროს გულში ეწყო და მათ ვერაფრით გულიდან ვერ იღებდა. გაწამებული თვალს რომ გაახელებდა, გული ყრულ ტკიოდა. მერე ფულის შეგროვება დაიწყო, ყულაბა იყიდა და რასაც იშოვიდა, შიგ ყრიდა. „თოფი, თოფი უნდა ვიყიდო“. კარგად არ იცოდა, რად უნდოდა თოფი, მაგრამ ოცნებაში თავისი ნაყიდი თოფის ხმა ესმოდა, ის ხმა პავლეს საფლავზე სიჩუმეს აფრთხობდა.

ვიდაცამ ხელი აუწია და კინაღამ მანქანას ჩაუვარდა. გოგამ დაამუხრუჭა. კაცი აჩქარებული წამოვიდა. მელოტი თავი უბზინავდა და საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელივით გაჭიმული მოდიოდა. უკანა კარი გააღო, ჩაჯდა და ბრძანებასავით მოკლედ ესროლა:

— ლერმონტოვის ქუჩა.

„ნაბიჯით იარ!“ — გაიფიქრა გოგამ.

თვითონაც ლერმონტოვის ქუჩაზე ცხოვრობდა. ახლა უსათუოდ შეივრბებდა სახლში და ისაუბმებდა.

— ცხელა, — თქვა კაცმა.

„წინმკლავი!“...

გოგიმ არ უპასუხა.

— ცხელა, — გაიმეორა კაცმა.

„ყურადღება!“

— იწვის ქვეყანა, — თქვა გოგიმ.

— მართალი ხარ, ცეცხლი უყიდა... —

— ცეცხლი ღამდამობით ვარსკვლავებს ანთებს, — თქვა გოგიმ.

— რა ბრძანეთ?

გოგიმ სარკეში დაინახა, კაცი წინ გადმოიხარა და კეფაში ჩააშტერდა.

— ვარსკვლავებს ანთებს, — გაიმეორა გოგიმ.

კაცმა ცხვირსახოცი ამოიღო და თავზე გადაისვა:

— ცხელა...

— სანაპიროდან წავიდე? — ჰკითხა გოგიმ.

— რუსთაველით...

„სირბილით იარ!“

— სანაპიროდან მოკლეა, — თქვა გოგიმ.

— რუსთაველით-მეთქი...

„სირბილით, სირბილით!“

კაცი გადაწვა და გაზეთი ამოიღო.

„სულ ერთი არ არის, საიდან წავა, მაინც გაზეთს კითხულობს.“

— იტალიაში წყალდიდობა ყოფილა, — თქვა კაცმა.

„განმკლავი!“

— წყალდიდობა არაფერი, საპარაში თოვლი მოსულა, — თქვა გოგიმ.

— მართლა?

„თავისუფლად!“

კაცი ისევ წინ გადმოიხარა.

— და წყნარ ოკეანეში ახალი მატერიკი აღმოუჩენიათ...

კაცი დაიღრჩვა.

„შეიძლება თავში ჩამათაროს...“

— და თოვლის კაცის ანდერძი უპოვნიათ...

— გააჩერე, — თქვა კაცმა.

„სდექ!“

— რატომ, ჯერ ლერმონტოვის ქუჩა შორსაა.

— გააჩერე, აქ უნდა ჩამოვიდე...

„სდექ! სდექ! სდექ! ამხანაგო დირექტორო, თქვენ მოუპარეთ ამ ბავშვებს,

მე მეტი აღარ შემიძლია...“

გოგიმ მანქანა ქუჩაში გააჩერა. გადმოვიდა და ებოში შევიდა. ეზო ცარიელი იყო. ასფალტზე ცარციტ კლასი იყო დახატული. გოგი ონკანთან მივიდა, წყალი მოუშვა და ხელები შეუშვირა. ახლა მიხვდა, რომ დიდი ხანია წყლას მოშვება უნდოდა. „მგონი, მთელი დღე ამაზე ვფიქრობდი...“. წყალი ჰეშვში დაიგუბა და სახეზე შეისხა. მერე წინ გადაიხარა, თავისი თავი საცურაო აუზის კომპურაზე მდგარი წარმოიდგინა. „ახლა გადმოხტება...“ — მოესმა დიქტორის ხმაც. კიდევ უფრო დაიხარა და კისერზე წყალი გადაივლო: „ჩაყვინთა...“.



თავი ასწია: „სალტო არ გამომივიდა“. „მეორე ცდა“, — გამოაცხადებდა ტორმა. ისევ შეუშვებია კისერი წყალს. ცოტა ხანს ასე ინებებდა. მერე გაწუწული გამობრუნდა, კლასს ასკინკილით შემოუბრინა და კიბისაკენ გაემართა. უცებ იგრძნო, რომ ვიღაცა უყურებდა. აიხედა და აივანზე გადმომდგარი დედა დანახა. გოგმი გაუღიმა, ხელი დაუქნია და კიბეს აუყვა. დედა კიბის თავში ელოდებოდა:

— დაგცხა?

— ძალიან დამცხა.

— შემოდი, ოთახში გრილა.

ოთახში შევიდნენ და დედამ პირსახოცი მიაწოდა:

— აბა, გაიმშრალე.

გოგმი ხელ-პირი გაიმშრალა:

— თმა იყოს, გრილა.

დედამ კარადა გამოაღო და მაგიდაზე თეფში და დანა-ჩანგალი დააწყო. გოგმი საწოლზე დაგდებული წიგნი აიღო და ზეზეულად კითხვა დაიწყო.

— ყველი გინდა? — ჰკითხა დედამ.

გოგის კითხვა არ შეუწყვეტია, ისე დაუქნია თავი.

— მოდი, ჰამე, — უთხრა დედამ. — ისედაც ბევრს კითხულობ, ლამეც არ გძინავს...

გოგი მაგიდას მიუჯდა, წიგნი თეფშის გვერდით დაიდო. ჰამდა და თან კითხულობდა.

— მამის ჩვეულება გამოგყვა... იმანაც ასე იცოდა...

გოგმი ჰქიჯებდა ხელით აჩვენა, წყალი დამისხიო.

— ერთი როდის დაამთავრებ ინსტიტუტს. მაშინ კითხვის დროც გექნება...

გოგმი წყალი დალია, ჰქიჯა დადგა და თქვა:

— არ მექნება...

დედამ არ უპასუხა. ის ისედაც ჩიოდა, რომ გოგმი ძალიან ბევრი დრო დაკარგავდა. გოგი იმ დროს დაკარგულად არ თვლიდა, მან ბევრი ისეთი რამ ისწავლა, რაც წიგნში არ ეწერა. მაგრამ დედას ვერ დააჯერებდა. დედამ ერთი რამ იცოდა მხოლოდ, რომ შვილმა მისი გულისთვის ძალზე მნიშვნელოვანი რამ დათმო. ახლა იჯდა და გოგის შეჰყურებდა.

— იცი, დღეს გული აღარ მტკივა, — თქვა უცებ მან.

გოგმი შეხედა, დედა ყოველ დღე ასე ატყუებდა. ცოტა ხანს უყურა მის გამხდარ, დანაოქებულ სახეს, გამობერილ ქუთუთოებს, მის ნაადრევად დამკჳნარ ხელებს და მერე ისევ წიგნში ჩარგო თავი. რადგან თვალზე ცრემლი მოადგა.

— ძალიან იღლები, — თქვა დედამ, — თანაც სწავლა...

— სრულებითაც არ ვიღლები... პირიქით, მეხალისება...

— ზაფხულში მაინც ძნელია, ზაფხულში უნდა ისვენებდე...

— დავისვენებ... ერთად წავიდეთ სადმე...

გოგმი წიგნი გვერდზე გადადო:

— მოდი, ლიკანში წავიდეთ...

— შენ წადი, — თქვა დედამ. — მე ისედაც სულ ვისვენებ, რა საქმე მაქვს... ჰამე, რატომ არ ჰამე?

— აღარ მინდა...

— დადლილი ხარ და იმიტომ...

— არა ვარ დადლილი... ჩვენთან მართლაც გრილა...
— ჩვენი მეზობელი იყო, ნაბიჯით ვაგასწრო, ფოსტის ვამგე.
— რა უნდოდა?
— რა ვიცი...
— მაინც?
— როგორ გითხრა, — დედა წამოდგა და სუფრის ალაგება დაიწყო, —
თქვა, რომ...
— რა თქვა?..
— ღამე შუქს რატომ არ აქრობთო...
— რა იმის საქმეა?
დედამ მხრები აიჩეჩა:
— ღამე კაცს უნდა ეძინოსო...
— შენ რა უთხარი?
— გოგი კითხულობს-მეთქი... რა უნდა მეთქვა!
— უნდა ვაგეგდო...
— როგორ უნდა ვაგეგდო, რას ამბობ?!
— უნდა ვაგეგდო, მეტი არაფერი...
— როგორ მეკადრებინა...
— კი მაგრამ, ჩვენი შუქი იმას რას უშლის?
— არაფერს... გოგიზე ვზრუნავო, თქვა...
— მადლობა ვერ უთხარი?
— ხმა ვერ ამოვიღე... მართლა უნდა მეთქვა მადლობა?
— უნდა გეთქვა, რომ მისი პატივისცემით ყელამდე ვართ, უნდა გეთქვა,
რომ მისი მზრუნველობა ყელში ამომივიდა, ყელში...
— ეგ არაფერი, — თქვა დედამ. — მისი შვილები მეცოდებიან, სცემს.
უფროსი სახლიდან გაიქცა, ახლა უმცროსს სცემს...
— ზრდის...
— ჰო, ასე ამბობს, რომ ახლანდელი ახალგაზრდები გზას აცდენილები
არიან და ჩემი შვილები სწორ გზაზე უნდა დავაყენო...
— რადიოს რთავენ?
— არ გესმის?
რადიოს ხმა მკაფიოდ ისმოდა, დიქტორი გაზეთის მოწინავეს კითხულობ-
და.
გოგი ადგა:
— წავალ, უკვე დროა...
— ცოლი დგას და უყურებს, — თქვა დედამ.
— ამალამ ადრე დავბრუნდები, — თქვა გოგიმ.
— ახლა ფანჯრებსაც აღარ ხურავენ, — თქვა დედამ. — მართო რადიოს
რთავენ.
— ამდენი წელი ერთი და იგივე, — თქვა გოგიმ.
— საწყალი ბავშვი, ეზოში სათამაშოდ აღარ ჩადის... ვეუბნები, რეზო,
ჩადი, ითამაშე-მეთქი, ესეთი საცოდავი თვალებით მიყურებს...
— აღარ შემიძლია, — თქვა გოგიმ, — როდისმე ხომ უნდა გათავდეს...
კარი გამოაღო და აივანზე გავარდა.
— გოგი, მოიცა...
დედის ხმა აღარ გაუგია, მივიდა და მეზობლის კარი შეაღო. მსუქანი კაცი

სავარძელში იჯდა, ბავშვის თავი ფეხებს შუა მოექცია და შიშველ ქვედატანზე ქამარს ურტყამდა.

— აღარ შემოძლია.

კაცმა თავი ასწია:

— რა გნებავთ?

გოგი მივარდა, ბავშვი იქით გასწია, კაცს ორივე ხელი საკინძვში ჩაავლო და ამ სიმძიმე კაცი მალლა აიტაცა:

— აი, რა მნებავს, აი, რა მნებავს!

„ორჯერ ორი არის ხუთი...“

„სამჯერ სამი არის თერთმეტი...“

უეცრად გამრავლების ტაბულა სულ მთლად დაიშალა. თუ აქამდე ის მწკრივებად დაწყობილ ჭიანჭველების რაზმებს ჰგავდა, ახლა უამრავ ფერად რგოლებად აირია და ერთმანეთში გადაიხლართა. მსუქანი კაცი კედელთან მიიყვანა და თავი მაგრად მიარტყმევინა, ერთხელ, მეორეჯერ, მესამეჯერ...

— გოგი, რას შერები, გოგი!

ღედის ხმამ გამოაფხიზლა, მოიხედა და დედა დანახა, მერე ისიც დანახა, რომ მსუქანი კაცის ცოლი მივიდა და დედას ხელი მოხვია. კაცს ხელი გაუშვა და გარეთ გამოვარდა: „რას მიზამენ!“ კიბე ჩაირბინა და წყლის ხმამ წამით შეაჩერა. ონკანი მოშვებული იყო და წყალი თქრილით მოდიოდა, „ნუთუ მთელი დღე ამაზე ვფიქრობდი?“ მერე მანქანასთან მიიბრინა, ჩაჯდა და უცებ მოწყვეტით, მთელი სისწრაფით გააქანა: „რას მიზამენ? რაც უნდათ, ის მიყონ...“ სხვას არაფერს არ ფიქრობდა, გრძნობდა, რომ ხელები უცახცახებდა. მერე ვილაცამ გააჩერა, ზედ არც კი შეუხედავს.

— წყნეთში წამიყვანეთ, — მოესმა ქალის ხმა.

„წყნეთში... კარგია... შორს...“

მერე მანქანა უცებ გააჩერა, გადმოვიდა და ტელეფონის ჯიხურში შევიდა. ნომერი რომ აკრიფა, მაშინ მიხვდა, რომ მარიკასთან რეკავდა. ყურმილს არავინ იღებდა. „მარიკა ხომ თბილისში არ არის...“

მაინც იდგა, თითქოს რაღაცას უცდიდა. მერე მარიკას ხმა გაიგონა:

— გოგი... გოგი...

მარიკას მეტი არაფერი არ უთქვამს...

მერე ცოტა დამშვიდდა და თავისთავზე გაბრაზდა: „როგორ შემეშინდა! პირველი ჩემი გაბედული ნაბიჯის შემეშინდა... რატომ შემეშინდა, რატომ? მეც ვიტყვი, კაცი ვარო. ჩემი ტოლები კოსმოსში მიფრინავენ და იქ, უცნობ სამყაროში მშვიდად იძინებენ. მე კი... რა გავაკეთე... თითქმის არაფერი... ის, რაც აქამდე უნდა გამეკეთებინა, და ჩემს ადვილას სხვა გაცილებით ადრე ვაკეთებდა... არც კი აღელდებოდა, რადგან ეცოდინებოდა, რომ მართალია. მე კი ნერვები დამაწყდა და მაშინვე, რას მიზამენ-მეთქი, ვფიქრე. რას მიზამენ და არაფერს... მე თვითონ მივალ და ვეტყვი, კაცი ვცემე-მეთქი, ყელში ამომივიდა, აღარ შემეძლო-მეთქი... დედა გადაირევა... ის რა იყო, მეზობლის ცოლმა ხელი რომ მოხვია? იმ ქალის გულისთვისაც, რომ იცოდეთ, იმ ქალის გულისთვისაც გავარტყი... კიდევ იმ ბავშვის გულისთვისაც... უფროსი შვილის გულისთვისაც... კიდევ? რადიოს გულისთვისაც... რითაც ბავშვის ტირილს ფარავდა... კიდევ?.. რა ვიცი, რა ვიცი... დედას გული ატკივდება...“

ათი წუთი... ათი დღე... ათი წელი... ათი საუკუნე... მწუხარებას თავისი კალენდარი აქვს. აღამიანები ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ დრო მათთვის სხვადასხვანაირად გადის. სტეფანესათვის წელიწადი ატმის ყვავილობით იწყებოდა და ყვავილობასავე თუკებ თავდებოდა. მერე თითქოს უტდიდა, სხვებისთვისაც როდის გათავდებოდა წელიწადი. რაც უფრო ბერდებოდა, წლებიც მოკლდებოდნენ, ყვავილობაც ცოტა ხანს გრძელდებოდა და თავფლის სანთელივით ხელში უჭრებოდა.

— თებრო, ატამი ჰყვავის, გოგო! — დაუძახებდა თებროს და მარტოხელა მოხუცს ისე ეგონა, თითქოს შვილს ეძახდა.

თებრო ეცოდებოდა, ეცოდებოდა, როგორც ყვავილდაცვენელი ატმის ხე და გვერდიდან არ შორდებოდა. მამასავით თავზე დასტრიალებდა და მზრუნველობას არ აკლებდა. დღეები კი მიდიოდნენ:

- ათი წუთი...
- ათი დღე...
- ათი წელი...
- ათი საუკუნე...

თოვლით, ქარით, წვიმით, ფოთოლცვენით, შორიდან მოსული ტრამვაის წყარუნით და ქარხნების საყვირებით სავსე დღეები ერთმანეთს ჰგავდნენ. ატმის ყვავილივით მორცხვი რიყრაყი ახდენილი სიზმარივით მუდამ საკვირველი იყო. მათ თითქოს მიწასთან ერთად ეძინათ და ცასთან ერთად იღვიძებდნენ. თებროს ეგონა, რომ დღეები კი არ ქრებოდნენ, არამედ სადღაც მიუწვდომელ მხარეში მკაცრი თანამიმდევრობით ლავდებოდნენ და ისეთივე სევდიანები იყვნენ, როგორც მიტოვებული სახლები. სიზმრებში სულ იმ ცარიელ სახლებში ცხოვრობდა, თუმცა იქ ხმის გამკემი არავინ არ ჰყავდა, სამაგიეროდ კედლები ლაპარაკობდნენ. სიზმარში ფანჯარასთან ჯდებოდა და პავლეს ელოდებოდა. პავლეს ნაცვლად ყოველთვის ვიღაც ბანჯგვლანი მხეცი მოდიოდა, რომელიც სახლის კედლებს მუშტებს ურტყამდა და თებროს ჩახლეჩილი ხმით ეძახდა: „მოდი, მოდი...“. შიშისაგან ელდანაცემი თებრო თვალს ახელდა და სიბნელეში ტიროდა. შიში ცხადშიაც მოჰყვებოდა და მერე ხვდებოდა, რატომაც ეშინოდა: ბარაბაზე ფიქრობდა.

ერთ დღეს ბარაბა მართლაც გამოჩნდა. თებრო სასაფლაოს ქიშკართან იდგა და წყნეთის ავტობუსის მომლოდინე დედაკაცებს უყურებდა. დედაკაციები აკაციის ჩრდილში ისხდნენ და ცარიელი მაწვნის ქილებით სავსე კალათები ფეხებთან დაეწყით.

- „რა ახლოა წყნეთი, თებრო...“
- „მერე მე რა?“
- „განა არ გინდა ახვიდე?“
- „ახვიდე?“
- „ჰო, ახვიდე... განა არ გინდა?“
- „მინდა...“
- „აქამდის რომ არ გინდოდა?“
- „აქამდე არაფერი არ მინდოდა...“
- „დღეს რა დაგემაართა, თებრო, გეშინია?“
- „მეშინია? რისი?“
- „არ იცი?“
- „არ ვიცი...“
- „აქამდეც უნდა ასულიყავი, თებრო“.

„სტეფანეც ამას მეუბნება, აქამდე უნდა ასულიყავიო...“

„მართალია სტეფანე, რა გინდა, მარტო რომ ხარ?“

„შენ ხომ მინც იცი, რატომაცა ვარ აქ...“

„განა რამეს უშველი, პავლე მკვდარია...“

„აქ რომ ვარ, მგონია დაბრუნდება...“

„ცოდო ხარ, გოგო, ცოდო...“

„ცოდო ვინც მკვდარია, ის არის...“

„შენ უფრო ცოდო ხარ... სასაფლაოზე რა გინდა, ადი, სოფელში იცხოვრე...“

„ვიცხოვრო?“

„პო, იცხოვრე... განა არ გინდა, რომ იცხოვრო?“

„მინდა?“

„ძალიან გინდა... წლები მიდიან, თებრო...“

„განა რამდენი ხანი გავიდა?“

„ათი წელი...“

„ეს ბევრია?“

„ბევრია. ეს თითქმის ერთი ცხოვრებაა...“

„მეც ხომ ვცხოვრობდი. მაშ ეს რა იყო?“

„ტირილი...“

— გამარჯობა, თებრო, — მოესმა უცებ.

თითქო მიტოვებულმა სახლებმა ცარიელი ქვევრებივით დაიგუგუნეს:
„მოდი, მოდი!“

თებრო მოტრიალდა, მის წინ ბარაბა იდგა. ბარაბა არ გამოცვლილიყო, ოღონდ თვალების უბეები შესიებოდა და ერთი ღამის უძინარ კაცს ჰგავდა. თებრომ უკან დაიხია და უეცრად შეკავებული ცრემლივით გადმოხეთქა ამდენ ხანს გულში ნატარებმა სიძულვილმა, რომელიც ფოთოლივით შეუშინველად გაზრდილიყო:

— მოხვედი ხომ, შენი ფეხით მოხვედი... სასაფლაოზე შენი ფეხით მოხვედი, სიკვდილი მოგინდა, ბარაბა, სიკვდილი...

— სასჯელი მოვიხადე, — თქვა ბარაბამ, — ათი წელი...

— სიკვდილი მოგინდა ხომ, მოგინდა ხომ, — იმეორებდა თებრო, მაგრამ გრძნობდა, რომ უმწეო იყო და არაფერი შეეძლო.

— მოველი, რომ...

— გაჩუმდი...

— მათქმევინე. მეც ათი წელი ვიწვალე, განა...

— გაჩუმდი...

— ახლა მოველი, ცოლად მინდა შეგირთო...

თებრო ამას კი აღარ მოელოდა, ეს უკვე მეტისმეტე იყო.

— ტყვია, ტყვია, — თქვა მან.

— მაცალე, მათქმევინე...

— ტყვია... ტყვია...

„ერთი პაწაწინა ტყვია უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე ჩემი ამოდენა წუხილი, ცრემლი და წყევლა. რა შეუძლია ჩემს ათი წლის სიმარტოვეს, იგი ვერ მოგკლავს, ვერ დაგასახიჩრებს. ღმერთო, გადამიქციე ცრემლი და წყევლა პაწაწინა ტყვიად. გადამაქციე ტყვიად, ღმერთო...“

ბარაბას თვალები გაუდიდდა, თითქოს თებროს ფეხს მიხვდა. მერე ნელ-ნელა უკან დაიხია, უყურებდა და ნაბიჯს უკან დგამდა.

— ღმერთო, ღმერთო, — ჩურჩულებდა თებრო, თან მიწას ფეხს ურტყამდა, თითქოს ღმერთს მიწაში ეძინა და მისი გაღვიძება უნდოდა.

— თებრო, მაცალე, მათქმევიწინე, ქალო...

— ღმერთო, ღმერთო, — თებრო ბარბასაკენ წავიდა. ბარბამ კიდევ გადადგა ნაბიჯი უკან და ხელები წინ გაიშვირა, თითქოს თებროს შეჩერება უნდოდა:

— თებრო...

თებრომ ხელი აუქნია, ბარბა ქვეს წამოედო და გადავარდა. თებრო თავზე დაადგა და ხმამაღლა დაიძახა:

— პავლე! პავლე!

ისეთი ხმა ჰქონდა თითქოს ცოცხალ კაცს ეძახდა:

— პავლე! პავლე!

ბარბა გახოხდა, გაცურდა, მერე წამოხტა და გაიქცა.

— ტყუილად მირბინარ, ბარბა, ნახე, როგორ გარბის, ნახე როგორ გარბის, პავლე, პავლე!

ბარბა გაჩერდა:

— არ გავრბივარ, შენი...

მერე თებროსაკენ წამოვიდა, ხელებზე ჩამოკიდებული დედაკაცები აქეთ-იქით მიჰფანტა და თებროს ყელში სწვდა.

გოგამ მანქანა გააჩერა და მათკენ გაიქცა. ბარბას მივარდა და დაუყვირა:

— ხელი გაუშვი!

ბარბამ არც კი მოხედა.

— ხელი გაუშვი-მეთქი!

გოგამ მხარში ჩაავლო ხელი და თავისკენ მოატრიალა:

— არ გესმის?

— მომწყდი თავიდან, — დაუღრინა ბარბამ.

— გაუშვი...

ბარბამ თებროს ხელი გაუშვა და გოგის მიუბრუნდა:

— რა გინდა?

— არაფერი... ხელი გაუშვი...

ბარბამ უცებ მუცელში წიხლი ჩაართვა. გოგის თვალთ დაუბნელდა. ვიღაცამ მის წინ ასაკეცი კარივით ჩამოხურა ყველაფერი, მერე იგრძნო, რომ დაეცა, დაეცა და თავი ქვეს დაარტყა. სიბნელეში დიდხანს იწვა და ვერაფერს გრძნობდა. თითქოს მისი ტანი ორმოს ნაპირას ესვენა, თავი კი ორმოს ფსკერზე იყო დავარდნილი. მერე ნელ-ნელა გრძნობა დაუბრუნდა. თითქო წვალებით იღვიძებდა, მთელი დღის ამბები ერთმანეთის მიყოლებით გაახსენდა. მერე თითქოს დიდი დრო იყო გასული და გოგის თავისი ნაოცნებარი გვირაბი გაჰყავდა, მხოლოდ ერთი სიფრიფანა კედელია იყო დარჩენილი და გოგამ იმ კედელს წერაქვი ჩამოჰკრა. კედელი ჩამოინგრა და გოგამ თვალი გაახილა. ცოტა ხანს ასე იწვა, რატომღაც ეგონა, რომ ხვალინდელი დღე იყო და ახლა დიღმის შეჯიბრებაზე გამარჯვებული ისვენებდა. მერე ცხადად იგრძნო, რომ ხვალ უსათუოდ გაიმარჯვებდა. ამ სიხარულმა ფეხზე წამოაყენა. უცებ ის კაცი დაინახა, რომელმაც წიხლი ჩაართვა. ადგილიდან აიწია და თავური დაარტყა. კაცმა სახეზე ხელები აიფარა და კედელს მიეყუდა.

— წადი აქედან, — უთხრა გოგამ, — წადი...

კაცი უხმოდ გატრილდა და წავიდა. ფეხებს ისე მიათრევდა, თითქოს ზედ წისქვილის ქვები ეკიდა. გოგამ მიიხედ-მოიხედა, ქალს ეძებდა. ქალი ქვაზე იჯდა და ტიროდა. ზოგი ახლოს მივიდა:

- ნუ ტირი... დაწყნარდი...
- ქალმა ამოხედა:
- გმადლობთ...
- შინ წადი, — უთხრა გოგიმ, — თუ გინდა, გაგაცილებ...
- შინ არ მინდა, — თქვა ქალმა. — არ მინდა...
- სად ცხოვრობ? — ჰკითხა გოგიმ.
- აქ...
- სად აქ, სასაფლაოზე?
- ჰო...
- ვინმე გყავს?
- არა... არავინ არ მყავს...
- მაშ აქ რას აკეთებ?
- ვმუშაობ, წყალი მომაქვს...
- სადმე სხვაგან გემუშავა...
- სად?
- სადმე... თუნდაც ფაბრიკაში...
- ფაბრიკაში ვინ მიმიღებს... არაფერი არ ვიცი...
- მიგიღებენ, — თქვა გოგიმ, — მიგიღებენ...
- არა, — თქვა ქალმა, — არა...
- გეუბნები მიგიღებენ-მეთქი. სცადე როდისმე?
- არ მიცდია...
- ახლა სცადე...
- ახლა?
- ჰო, ახლა, თუნდაც ამ წუთას წავიდეთ, მე წავიყვან...
- ქალი ფეხზე წამოდგა:
- წამიყვან?
- წავიყვან... უსათუოდ მიგიღებენ... წამოხვალ?
- არა, — თქვა ქალმა.
- რატომ? აქ დარჩენა გინდა?
- არა...
- წამოდი, დამიჯერე...
- ქალი ცოტა ხანს დუმდა, მერე თქვა:
- წამოვალ...
- წავიდეთ, — თქვა გოგიმ, — მანქანაცა მყავს...
- წამოვალ, წამოვალ, — თქვა ქალმა და ატირდა.
- რაღაზე ტირი. თუ რამის წამოღება გინდა, მოიტანე, დაგიცილი...
- მე არაფერი არა მაქვს...
- სახლი მაინც დაკეტე, დღეიდან სხვაგან იცხოვრებ...
- მე არაფერი არა მაქვს... თუმცა...
- წადი, მე აქ დაგიცილი...
- თებრო სახლისაკენ წავიდა.
- „გინდა წასვლა, თებრო?“
- „მინდა, ძალიან მინდა...“
- „მერე სახლში რიღასთვის მიდიხარ, რა დაგრჩენია?“
- „პაულებს სურათი მინდა წამოვიღო...“
- „მაშ სულ მიდიხარ, თებრო?“
- „ჰო, სულ მივდივარ...“

გოგი მანქანასთან მივიდა:

- უკაცრავად, წყნეთში ვერ წაგიყვანთ.
- არა უშავს, შვილო, — თქვა კლარა ქალმა, — ავტობუსით წავალ...
- უკაცრავად...

გოგის რაღაცა უხაროდა. სიხარული ძარღვებში უვლიდა და ფარული სიამაყის გრძნობით ავსებდა, როგორც ტანზე შემოხვეული დროშა. თუმცა დროშას ვერ ხედავდა, მაინც იცოდა, რომ ის მისივე სისხლის ფერი იყო. დროშას ადამიანის სხეულის მხურვალეობა ჰქონდა, თითქოს მანამდე მრავალს ასე ტანზე შემოხვეული ეტარებინოს. ასეთი სიხარული გოგის აქამდე არასოდეს უგრძობია. აქამდე ყველაფერი თითქოს რატომღაც მის იქით, შორს ხდებოდა. ახლა ცხოვრების შუაგულში იგრძნო თავი და უცებ მიხვდა, რომ სიჭაბუკე გათავდა და უზარმაზარი, ჯერ უცნობი ტალღა მკერდზე მოაწვა...



ღერო სუღაბერიძე

ოფში ღაღუაუღი გიღირის ეფოფი

ჰიჰიეო ბენღელიანის
ეზოში ჰყვივის მამალი.
მწვანე მოღს თოვღის ფიფქივით
წყყრია იასამანი.
ცისკრის ვარსკვღავი მიჰქრება,
თვღს გაახეღენ იანი.
ღადის ეზოში წითელი
მამალი ღეზეზიანი.
პატარა სახღის ერღოზე
შეღგება, ღიღი გული აქეს.

ღა გაიღვიღებს გარემო,
ღა გაიღვიღებს გურიი.
მამა ვენახში შევეა ღა
ღეღა ცეცხღს ეძებს ბუზარში.
აყრიაღღება ანაზღად
ჩამწყღარი ძარღვი მუზაში.
ჰყვივის წითელი მამალი,
მზეს უზმობს გრიაღ-გრიაღით.
მუხისა?.. არა, ღაეცა
მოღს ჩრღიღი ბენღელიანის.

აღზევანს ავა მარიღზე ხარი

გერონტი ჰიჰომეს

შენი ცხოვრება,
ჩუმი ღა წყნარი,
ჰარიზხღის უხუღის გავხმაურა.
აღზევანს ავა მარიღზე ხარი
ღა სიკვღიღთანაღ მივე ხარულაღ.

აქ ისევ ისმის გაღობა შაშვის,
ნისკარტით სიტყვა უჰირავს შენი.
შაღრევეანს აფრქვევს ციური ბავში,
ეჩურჩღუღება მას ლანღი ბრძენის.

ელიმიღები ახღაღ ჰიჩაჩღს,
ღეღს მალი-მალ ცრემღი ერევეა,
კვღავ მჰაკაცურაღ არ გავიანჩხღღეს,
შეჩვეულია შენს მოფერებას.

სიტყვათა კონას შესსენი უღო,
ღა მიყარე მამუღის ლამპარს.
ვაგღაზ,
ჩაუქებს არ ეჰართუღოს
შენებრ ჰართვეღი ღა ბრძენი პაპაღ.

ჰემმარიტების მაჩინს ღა უჩინს
შეახე ხელი,
ნახე სანთღები.
მოღიხარ ისევ მაჩაბღის ჰუჩით,
პატარა ბაღში შემობრძანღები.

სუროს ნიავი შეარხვეს წყნარი,
შაშვიღ აქ არის, არ გაპარულა.
აღზევანს ავა მარიღზე ხარი
ღა სიკვღიღთანაღ მივე ხარულაღ.



ილია ხოშბაიია

ჩვენი ძახილი

მრევსალმებით საბჭოთა ხალხი
დღეს ყველა ქვეყნის ხალხთა გმირობას,
მტერს შემართებულს დაუმსხვრევს
მახვილს
მშვიდობისათვის კაცობრიობა.

დაე მუდამყამს, ვამბობ, ო ნეტავ,
ჩვენს გასახარად სტვენდეს გუგული,
და არ ვიხილოთ ჩვენი პლანეტა
ატომის ცეცხლით გადაბუგული.

აღბათ სიცოცხლეს აღარ აპირებს,
განადგურდება ხელს ვინც შეახებს,

დიდ მაღაროებს, ქარხნებს, ფაბრიკებს
დღლაბით ნაშენ სრა-სასახლეებს.

ახალ ომისთვის ისწრაფის ისევ
ეს უზადრუკი სუსტი გონებით,
წინ ხომ რისხვია საით მიიწევს
ჭკუანაკლები პენტაგონელი.

ხმები გაისმის ძლიერი მეტად
ჰქუხს კიდიოთ-კიდე არ გვინდა ომი,
აწ გამიზნული ყველას საელეტად
თვით ხალხმა უნდა მოსპოს ატომი.

ისევ ისათა

გაზაფხულია, რა ლამაზად
ხე იფოთლება,
ხასხასა ჯეჯილს დაეპკურა
დილის ცვარნამი,
გადაეკეტა სამუდამოდ
გზა შეშფოთებას,
ვხედავ, რომ გაქრა საბოლოოდ
გულის ვარამი.
რიყრაჟს ფრთოსნები მოელვარეს
ეგებებიან,
ასე უჩუმრად სკდება კვირტი
თითო-ოროლა,
მოქუხს მდინარე, ზვირთნი ნაპირს
ეხეთქებიან,
ახალ სიმღერას შეწყრიალებს
ცისკარს ტოროლა.

ჩვენთან არიან, წინ მიგვიძღვით,
ვლოცავთ ბრძენ მამებს,
ხალხთა გაზაფხულს რომ ელიან
მთელ მსოფლიოსი,
აღბათ ამისთვის ათენებდნენ

თეთრად ღამეებს,
ქეშმარტების ძიებაში
ფილოსოფოსნი.

გაზაფხულია. მზის სხივების
ციალით ვთბებით,
და მისი ძალა ხომ ყოველთვის
აღნობდა მყინვარს,
ჩვენს გასახარად თვალუწვდენი
ამწვანდა მთები,
წინ აღვუდგებით შესამუსრად
ატომის გრგვინვას.

არ დაგვივიწყა. მოისწრაფვის
კვლავ შორეთიდან,
ვხედავ, მერცხალი მოფრენილა,
ბუდეს იკეთებს,
ჩამოგვეცალე ბოროტებავ,
ჩვენს ნათელ გზიდან,
შენ მოგვიტანე გაზაფხულო
სავსე სიკეთე.





გუგამ გუგარითაი

პატარა სამყაროს დიდი მწერალი

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პროზაიკოსი ლეო ქიაჩელი ერთ-ერთ თავის წერილში ასეთ კითხვას სვამს: „რატომ არის მიინცდამაინც დიდი მწერალი დავით კლდიაშვილი, როცა მთელი მისი ნაწერების კრებული ორ წიგნსაც კი კარგად ვერ ავსებს, ხოლო შინაარსით ძლივს იტევს ავტორის დროინდელი გალატაკებული და ნახევრად მშვიერი ზემო იმერეთის ისეთი სოფლების ცხოვრების ამბებს, რომლებიც არც ერთ რუკაზე სულ პატარა წერტილებითაც კი არ არიან აღნიშნული?“ ქიაჩელი იქვე თვით პასუხობს ამ კითხვას: „საქმეც ეს არის. როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაში ზომის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონდა. მთავარი ყოფილა ხასიათი და ღირსება, რასაც ასე ბრწყინვალედ ამტკიცებს დავით კლდიაშვილის შემოქმედება“.

ამ ორ ფრაზაშია უბრალო გასაღები ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი მოკრძალებული და თავმდაბალი კლასიკოსის შემოქმედებისა, ასე ორი სიტყვითაა გახსნილი ჩვენი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერლის პოპულარობის მთელი საიდუმლოება. ჩვენ შემთხვევით არ მიგვიცია ამ წერილისათვის სათაური: პატარა სამყაროს დიდი მწერალი. დავით კლდიაშვილის შთაგონება, მისი თვალი და გონება მხოლოდ ზემო იმერეთის გალატაკებული, დაბეჩავებული, სულიერად და ფიზიკურად გატეხილი აზნაურების ყოფისაყენაა მიმართული და ამა ამაზე პატარა სამყარო რაღა შეიძლება იყოს. მაგრამ ამ მკაცრად ლოკალიზებულ სამყაროსა და ერთფეროვან მასალას როდი შეუზღუდავს მწერალი, გამოემქდანებინა თავისი დიდი გული და მაღალი ნიჭიერება, რომელთა გამოც ჩვენ თამამად მივიჩნევთ მას ერთერთ უბრწყინვალეს მწერლად მთელს ქართულ ლიტერატურაში და უყოყმანოდ ვახსენებთ მის თხზულებებს მსოფლიო ლიტერატურის შედევრებთან ერთად.

პატარა სამყარომ არ შეუშალა ზელი დავით კლდიაშვილს თავის მოთხრობებში ჩაექსოვა ღრმა და ფაქიზი ჰუმანიზმი, რომლის წყალობითაც ზემო იმერული აზნაურების კერძო ტრაგედია ზოგად ადამიანურ გრძნობათა და განცდათა სიმალემდგა აყვანილი.

დროგადასული და ფერდაკარგული ფეოდალურ-აზნაურული წოდების ტრაგიკომიკური ყოფა წარმოსახული მხატვრულად თითქმის ყოველი ერის ლიტერატურამ შემოუნახა მემკვიდრეობას. ჯერ კიდევ სერვანტესის შედევრამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე თვით ესპანურ, იტალიურ, თუ სხვა ქვეყნების ლიტერატურებში აღიძვნება ამ პრობლემასა თუ თემაზე აგებული ნაწარმოებები. როგორც ჩანს, კომიკური სიტუაციები საერთოდ ყოფილა დამახასიათებელი ფეოდალურ-აზნაურული ინსტიტუტის რღვევის პროცესთან. არც ერთ წოდებასა თუ კლასს ისე შინაგანდ გამოფიტულს, სიცოცხლისა და ბრძოლის უნარდაკარგულს, დაკნინებულსა და დაბეჩავებულს არ დაუტოვებია სამოქმედო ასპარეზი, როგორც ეს თავად-აზნაურობას მოუხედა. ამასთანავე, არც ერთ წოდებასა თუ კლასს არ ჰქონია ისეთი ამპარტუნული სული, როგორც თავად-აზნაურობას. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ისტორიული განვითარების გარდუვალობით მათ ვერ შეინარჩუნეს და დაკარგეს თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა, მაგრამ სამაგიეროდ შეინარჩუნეს და არ დაკარგეს თავისი ამპარტუნობა, ისინი ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. პროცესი თავად-აზნაურობის დეგრადირებისა რამდენიმე ათეულ წელს კი არა, რამდენიმე საუკუნესაც კი გრძელდებოდა. ეს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ უკვე ამ პროცესის დასაწყისისთანავე სერვანტესმა შექმნა თავისი უკვდავრომანი, რომელიც სახესა სიმხიარულთ, მაგ-



რამ მოხუცდავად ამისა, მაინც სამგლოვიარო საგალობელს წარმოადგენდა თავად-აზნაურობისათვის. შემდეგ, როდესაც ეს პროცესი სხვა ქვეყნებსაც მოედო, იქაც გამოჩნდნენ მეტნაკლები ნიჭისა და ღირსების ეროვნული სერვანტესები, რომელთაც იუმორითა თუ სატირით გააცილეს თავად-აზნაურობის სასაცილო ფიტული. ქართველი სერვანტესობა კი დავით კლდიაშვილს ზედა წილად.

თუ დავით კლდიაშვილის ჰაბუკობის ხანას გავეცნობით და მის სწავლასა და სამსახურს გავიხსენებთ, ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ ასეთი მოთგარაფის მქონე ადამიანი ვახდა ქართული სოფელი ყოფის უზადლო მხატვარი. მაგრამ ეს „ღვთით მომადლებული“ ნიჭისა და მწერლის პირადი შინაგანი სწრაფვის და ინტერესების წყალობით მოხდა, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო მის ოფიციალურ საქმიანობასთან. თორემ სად მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი, რომელმაც სამ ათეულ წელზე მეტი შესწირა ამ ყოვლად უსარგებლო საქმეს და სად. ქართული სოფლის მოსიყვარულე და მოქირანახულე მწერალი, რომლისათვისაც იმერული ოდის მკვიდრთა გარდა თითქოს არავინ არსებობდა ამ ქვეყანაზე.

დიდხანს და დაბეჯითებით წერთინდნენ დავით კლდიაშვილს, რომ მისგან უთვისტომო, მეფის არმიის გონებჩალუნე და ერთგული მსახური აღუზარდათ, მაგრამ ზავშეობაში იმერეთის მზთა და, განსაკუთრებით კი, იმერეთის სოფლის მკვიდრთა მიერ გამთბარი გული ვერაფრით გაუციევს. დავითი მართალია ღარიბი აზნაურის ოჯახიდან იყო, მაგრამ არც ისე ხელმოკლე ყოფილა მამამისი, რომ ოჯახი ვერ გამოეკეცა. კლდიაშვილების ოჯახს დიდი ამაგი დასდო გლეხმა დათიკო გიორგაძემ, რომელიც დავითის ბაბუამ მამობილად მოჰკიდა თავის შვილს სიკვილის წინ. დავითის მამა სამსონ კლდიაშვილი მოხელედ მუშაობდა ქუთაისში. ზავშეის პირველი აღმზრდელი იყო დედამისი, შემდგომეული იმერული აზნაურის ნიკო ლოლობერიძის ქალიშვილი კესარია. მემუარებში დავითი დიდი სიყვარულით იხსენიებს გადიას, რომელმაც თავისი ცხოვრება კლდიაშვილების ოჯახს შევლია. მაგრამ ყველაზე დიდი კვალი, როგორც ჩანს, პატარა დავითის მეხსიერებას მათი ოჯახის ნაყმემა სიმონ აშოლტამ დააჩნია. თავის მემუარებში მწერალი განსაკუთრებით თბილად იხსენიებს მათ ოჯახს შემოთავისებულ მოხუც აშოლტაის, „რომელმაც აუარებელი ლექსი იცოდა, ზღაპრის შრომიანი მომყოლი იყო, იცოდა ათასი სხვადასხვა არაკი, ნათქვამები, ძველი ამბები; იცოდა ვახტანგ მეფის კანონების მრავალი მუხლი და შესაფერ ლაპარაკში მოჰყავდა ხოლმე“. იჯდა

ეს მრავალკირანხული, თავისებურად განწყულული, განათლებული კაცი ყალიონით ბუხრის პირას და პატარა დავითს ქართული სიტყვისა და აზრის სიყვარულს უღვივებდა. „ყოველივის, ზავშეობაშიც და მაშინაც, როცა წამოვიზარდე, მიყვარდა მისი ლექსის თქმა, არაკის და ამბების მოსმენა“ — იგონებდა მცოცვანი მწერალი. ამათ გარდა ბევრი მოყვარე, მეზობელი თუ მოსამსახურე ჰყავდა კლდიაშვილების ოჯახს, რომლებთან ურთიერთობაშიც ყალიბდებოდა მომავალი მწერლის ხასიათი და შეგნება. ღრმა მოხუცებულობაშიც კარგად ასხოვდა მწერალს თავისი ერთგობი გამზრდელის, ღარიბი გლეხის ლევან გიორგაძის ქალიშვილის ევას მიერ ოსტატურად ნაამბობი ზღაპრები. ხალხური სიბრძნე იყო ის წყარო, რომელსაც პირველად დაეწაფა პატარა დავითი. და იმავე ხალხურმა სიბრძნემ ასაზრდოვე იგი მიიღო თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. მაგრამ მართლაც ამას როდის უმადლოდა მწერალი თავის თანასოფელელებს. მათვე ასწავლეს და შთაუნერგეს ჰაბუკ მშობლიური ენის სიყვარულზე არანაკლებ ძვირფასი გრძნობა — ადამიანის სიყვარული. იმავე მემუარებში დავით კლდიაშვილი წერს: „მან შეაყვარა ჩემი თავი ჩვენს მეზობლებს და ტკბილ სიყვარულში გამატარებინა ჩემი ზავშეობა. მე რომ ეზოფდან ფეხს გადავდგამდი — სახლში პირდაპირ დატვირთული ებრუნდებოდით ხოლმე მე და ჩვენსა გოგოდ მდგომი ელისაბედი: — არ იქნებოდა, რომ ჩემს დამნახველს ან ქოჩორა ვარიკა, ან ვაშლი, ბია, ჩურჩხელა, ტკბილი კვერი და ამგვარები არ ეჩუქა. ან სიყვარულიანობის წყალობით ჩემი გული ადამიანის სიყვარულს ეჩვეოდა და სწავლობდა“.

აი სწორედ ეს დიდი სიყვარული მშობლიური ენისა, კუთხისა და რაც მთავარია, ადამიანისა, რომელიც დავით კლდიაშვილს ზავშეობიდან ჩაუნერგავს, იყო ის ძალა, რომელმაც მწერალი ათასი განსაცდელსა და ცდუნებაში პატიოსნად, ალაღმართლად გამოატარა და რომელმაც წარმოშვა ის დიდებული მხატვრული მემკვიდრეობა, დღეს რომ ქართული კულტურის სავანტურს ასერიგად ამშვენებს.

ცხრა წლის დავითი 1872 წელს სხვა ორმოც ქართველ ზავშეობა ერთად კიევის სამხედრო სასწავლებელში ევროფოტოღებულ „მილიტარის სამხედრო გიმნაზიაში“ გაამწესეს. მართალია ზოგიერთ აღმზრდელს, მათ შორის მიხაილ ესიკარსკის კლდიაშვილი მადლიერებითა და სიყვარულით იხსენიებს თავის მემუარებში, მაგრამ გიმნაზიის მსევეურთა სულისკვეთებას კურატორებმა გამოხატავდნენ, რომელნიც არარუს მოსწავლეებს „ტატარჩუებს“ ეძახდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ



მათში ყოველივე ეროვნული აღმოფხვრათ და რუსეთის იმპერიის მორჩილ მსახურთა მონური სული ჩაენერგათ. პირველ რიგში შეტევა მშობლიურ ენაზე მიიტანეს, ისე დაქაქსეს ბავშვები, რომ იძულებული გახადეს მხოლოდ რუსულად ელაპარაკათ. სამი წელიწადი დაჰყო ასეთ მდგომარეობაში დავით კლდიაშვილმა და როდესაც არდადეგებზე მშობლიურ მხარეს მიაშურა, ქუთაისიდან სიმონეთში თარჯიმნად ბიძაშვილი წაიყვანა, რადგან მან ქართული აღარ იცოდა, ხოლო დედამისს კი რუსული არ გაეგებოდა.

ბერს არ ეყო წარგზავნილთაგან ნებისყოფა ან სიყვარული მშობლიური ენისა და მხოლოდ რამდენიმე არ დაიფიქვა საბოლოოდ ქართული. მათ შორის პირველ რიგში დავით კლდიაშვილი შეაძრწუნა ველიკორუსული პოლიტიკის სამიზნობებამ. აქ, სოფელში იგრძნო დავითმა, თუ რა გადაგარებების გზაზე იყო შეტყუებული, და განწირული ადამიანის გაშმაგებით შეუდგა დაკარგულის აღდგენას. ამ მწაზე ვაკვეთილით გამოფხიზლებული და ღრმად ჩაფიქრებული ახალგაზრდის შეცდენას კვლავც ბერის ეცადნენ, მაგრამ ამაოდ. კიევი იღბრუნებული დავითი დაუმეგობრდა უფროს თანამემამულეებს, სასულიერო აკადემიის სტუდენტებს, რომელთა შორის ნიკო ლომოურიც იყო, და ამის შემდეგ გადაგარების სამიზნობა მას აღარ ელოდა, მით უმეტეს, რომ სასთუმალთან გახეთ „ივერიის“ ნიშნები ელვა. მოსკოვში სამხედრო სასწავლებელში სწავლის გაგრძელების შემდეგ დავით კლდიაშვილი ბათუმში დასახლდა და ოცდაექვსი წელი დაჰყო აქ სამხედრო სამსახურში.

მართალია მეფის რუსეთის არმიის ოფიცრის სამოსელი ეცვა დავით კლდიაშვილს, მაგრამ მუნდირის ქვეშ დიდი ჰუმანიტისა და კეთილშობილი ადამიანის გული სცემდა. თუმცა ფეჟეტური და მყვირალა ფაქტებით არ იყო საესე დავით კლდიაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მაგრამ ვინც მის მშფოთვარე ცხოვრებას გაისვენებს ბათუმში, ხოლო შემდეგ ქუთაისში, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდა იგი ოფიციალურ წრეებს და ესარჩლებოდა მშრომელებს, როგორ ფხიზლად იდგა ეროვნული ინტერესების სადარჯლოზე. იმდენად, რომ დუღეშიც კი გამოიწვია თავასული შავრაზმელი რედაქტორი „ჩერნიმოროსკი ვესტნიკისა“, ვინც პალმე ანტიქართული გამოხდომებისათვის, თუ როგორ იღვწოდა იგი ქართული კულტურის პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის, აშკარა გახდებდა, რომ დავით კლდიაშვილმა მართალია შედარებით ჩუმად, მაგრამ საესეებით პირნათლად მოიხდა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. აი აქ კლდიაშვილის შეგ-

ნებული ცხოვრების და მოღვაწეობის დროს იჩინა თავი მწერლის ბავშვობაში იმერეთის პატარა სოფელ სიმონეთში ჩანერგილმა სიყვარულმა ადამიანისადმი. ასე გაღვივდა ის კეთილი თესლი, რომელიც ჩაუნერგეს მას სოფლის მამვარალმა მშრომელებმა. მაგრამ ყველაზე ძლიერად და შთამბეჭდავად ეს კეთილი საწყისები კლდიაშვილის სულისა, მისი უსაზღვრო სიყვარული ადამიანისადმი ისევე მის შემოქმედებაში აისახა და ყველასათვის თვალნათლივი გახდა.

დავით კლდიაშვილმა ადრე სცადა თავისი კალმის ძალა. გიმნაზიის მეორე კლასის მოსწავლე იყო, როდესაც პირველი მოთხრობა დაწერა. იგი რუსულად იყო დაწერილი, რადგან დავითს ქართული დაიწვეებული ჰქონდა. „რამ დამაწერია, სრულიად აღარ მახსოვს, — იგონებდა მწერალი. — მახსოვს კი, რომ მოთხრობის გმირი სისხლში ცურავდა, მარჯვნივ და მარცხნივ ჰკლავდა ყოველ შემხდურს“ აღმზრდელს დაუწუნებია მოთხრობა და სიცილით უთქვამს: „ძალიან გეტყობა ზიელობა! ამდენი სისხლის ღვრა გაგივინა?! დაანებე თავი, სისულელო!“ დავითმა შეიმინა აღმზრდელის ჩრევა, წერა მიატოვა და კითხვას დაეწადა. ერთიორი ლექსიც გამოუთქვამს შემდეგ დავითს, ხელნაწერ ჟურნალში მონაწილეობდა, თუმცა ყოველივე ეს შორს იყო მწერლობისაგან და ჰბაუკურ ვარჯიშს წარმოადგენდა. მაგრამ უკვე ამ წლებში იგრძნობოდა დავით კლდიაშვილის მისწრაფება შემოქმედებითი შრომისაკენ. იგი ინტენსიურად თარჯიმნად ქართულად გერმანულიდან და ფრანგულიდან, აგრეთვე ქართულიდან რუსულად. პირველი წარმატება მხოლოდ 1885 წელს ხვდა წილად, როდესაც ჟურნალ „თეატრი“¹ დიბეჭდა მისი თარჯიმანი. ამას გარდა დავითი პატარა კორესპონდენციებსაც აგზავნიდა ბათუმიდან თბილისის ჟურნალ-გაზეთებში. ყოველივე ამან თანდთან მოაწვივა მწერლობისადმი კლდიაშვილის შინაგანი ღტოლა და ერთ დღეს მან თავის ახლო მეგობრებს გრიგოლ ვოლსკისა და ალექსანდრე აბაზაძეს საკუთარი მოთხრობა წაუკითხა. ვოლსკიმ შეაწვევინა კითხვა და მეგობრული სიცილით კითხა: „დათაკო!... შენ კორესპონდენციას წერ თუ მოთხრობას?“ ეს შენიშვნა ორი წლის შრომად დაუჯდა დავითს და პირველი დაწუნებული ჩანაფიქრიდან ორი მოთხრობა შეიქმნა: „შერისხვა“ და „მსხვერპლი“.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც დავით კლდიაშვილს ნაწერი დაუწუნეს. ყოველ მის ნაწარმოებს, მოყოლებული პირველი მოთხრობიდან შემუარებამდე, ქართველი საზოგადოებრიობა და სალიტერატურო კრიტიკა დიდი სითბოთი და გულისხმიერებით

ხედებოდა. კიტა აბაშიძე, ილია გომართელი, ილია ნაკაშიძე, ალექსანდრე ჭყონია და სხვები მაღალ შეფასებას აძლევდნენ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებს. განსაკუთრებით აღფრთოვანებულ შეფასებას აძლევდა მის შემოქმედებას ალექსანდრე წულუკიძე, რომელმაც არა მარტო სწორად შეაფასა კლდიაშვილის მოთხრობების მთელი ღირსება, არამედ კიდევ კარკვია მწერლის ადგილი და როლი ქართული კრიტიკული რევოლუციის განვითარებაში. ამიტომაც იყო, რომ თავისი მემუარებში დავით კლდიაშვილმა ასეთი მაღლიერებით აღსავეს სიტყვებით დამთავრა: „ეს სიბოძო, ეს სიყვარულიანობა თან ახლდა ჩემს ლიტერატურულ შრომას, არასოდეს არ დაკლებდა იგი და ამიტომაც ჩემი გავლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად გველივ გზად მიმანჩნია“.

1894 წელს ეჭრნალ „მოამბეში“ დაიბეკდა დავით კლდიაშვილის პირველი მოთხრობები: „შერისხვა“, „მსხვერპლი“, „სოლომან მორბეულაძე“, „წრფელი გული“. მას შემდეგ სისტემატურად აქვეყნებდა მწერალი მოთხრობებს სხვადასხვა ქართულ ეჭრნალეებში და გაზეთებში. პირველივე მოთხრობები ქართული სოფლის ყოფა-ცხოვრებას უძღვნა მწერალმა და ამ თემისათვის არ უღალატნია მას მთელი თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე. თუმცა თემატური ცვლილებანი არ განუცდია კლდიაშვილის შემოქმედებას, სამაგეროდ თანდათანობით შეიცვალა მწერლის პიღგომა ასასახავი ობიექტისადმი, და საბოლოოდ მან იბოვა ის კუთხე თვალთახედვისა, ვამოიშუშავა მანერა წერისა, ჩამოიყალიბა საკუთარი სტილი, რომელმაც მას სახელი და დიდება მოუტანა.

მართალია ეჭრნალ „მოამბის“ რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია დიდის მოწინებით შეეგება დავით კლდიაშვილის პირველსავე მოთხრობებს „შერისხვასა“ და „მსხვერპლს“ და გულმოდგინედ თხოვდა მწერალს სხვა ნაწარმოებებზე დროზე მიეწოდებინა რედაქციისათვის, მაგრამ ეს მაინც არ იყო კლდიაშვილის შემოქმედებითი სახისა და ხასიათის განმსაზღვრელი ნაწარმოებები. ამ ხაზს რომ გაყოლოდა დავით კლდიაშვილი და არ მოექებნა დიდ შემოქმედებით დღიღისა და წვაში საკუთარი, ხელშეუხებელი ყამირი თავისი მოთხრობებისათვის, რომ არ მიეგნო აზნაურული ყოფის მპატრუული წარმოსახვისათვის, და რაც მთავარია, რომ არ გამოეშუშავებინა ის საკუთარი თვალთახედვა, რაშიც გამომეღაგნდა მწერლის დიდი, შეიძლება ითქვას უსაზღვრო და უმაგალითო ჰუმანიზმი, მაშინ იგი დარჩებოდა ერთ ნიჭიერ და საინტერესო ქართველ მწერლად, ვეღარ ამდლ-

დებოდა ლიტერატურის კლასიკოსის შეუწდენ სიმძღემდე.

„შერისხვაცა“ და „მსხვერპლიც“, აგრეთვე კიდევ რამდენიმე მოთხრობა ხალხოსნების უკვე გატკეპნილ გზას ავტორებდა ქართულ ლიტერატურაში. იმაში, რომ მწერლის პირველი ნაწარმოებები სწორედ ასეთი ხასიათისა იყო, გასაკვირი და მოულოდნელი არაფერია. თუ გავითვალისწინებთ, რომ დავით კლდიაშვილის ინტერესები ქართული სოფლის მძიმე ცხოვრებას დასტრიალებდა თავს და იმასაც გავიხსენებთ, რომ მისი შეგნებისა და შემოქმედებითი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში უბირველესი დავალი ნიყო ლომოტურს მიუძღვის, გასაგები გახდება ხალხოსნური ტენდენციების ასე მძლავრი გამომქლავნება კლდიაშვილის პირველ მოთხრობებში. ერთვულ ნიადაგს მოკლებული დავით კლდიაშვილი, რომელიც კიევის გიმნაზიაში ქართული სულის შენარჩუნებას ცდილობდა, თავის ხსნას ნიყო ლომოტურთან ურთიერთობაში ხედვდა და რა გასაკვირია, რომ ამ განათლებულსა და სათნო აღმზიანს, რომელსაც დიდ პატივს სტეძდნენ რუსი სტუდენტებიც, დიდი გავლენა მოეხდინოს უმცროს თანამემამულეზე. დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში იხსენებს, თუ რა აუწერელი სიხარული მოგვარა მას მოთხრობამ „ალი“, რომელიც ნიყო ლომოტურმა თავის ტბილი ხმით წაუყოთხა კიევი მოსწავლე ქართველებს. ამ მოთხრობას ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია გიმნაზიელ დავითზე, რომ უთარგმნია კიდევ იგი რუსულად და მოსკოვის ეჭრნალ „რუსკი ვესტნიკის“ რედაქციაში მიუტანია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „რუსკი ვესტნიკში“ ლომოტურის მოთხრობის თარგმანი არ დაუბეჭდეს კლდიაშვილს იმ მოტივით, რომ მეტად დაუგვრებელი ამბავიაო მოთხრობილი. ალექსანდრე ჭყონიაც თავის ბარათში, რომლითაც მაღლობას უხდიდა კლდიაშვილს მოთხრობისათვის „მსხვერპლი“, წერდა — „აწერილი სურათი მეტად შეგზნელია და მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. ნუთუ მართლა ასეთი სიბნელით არის მოცული სოფლის ცხოვრებაო; „საქიროა უფრო შენელება სურათის“. მართალი ლომოტური და კლდიაშვილი იყვნენ, რომელთაც დიდი გავლის ტვიღლითა და ჰემმარტი აღმანური ვანციდით მიუკერძოებლად წარისახავს თავის მოთხრობებში ქართული სოფლის მთელი სიბნელი. იქვე, თავის მემუარებში აღინიშნავს დავით კლდიაშვილი, რომ „ეს რჩევა მიუღებელი დარჩა ჩემგან; ის კი არა, ენანობლი, რომ ბევრი რამ გამომჩნა აჩქარების გამო“.

ზნელი, მძიმე, შემადრწუნებელი, მაგრამ მართალი სურათები ქართული სოფლის ცხოვ-



რებისა და გვირვინთელის კლდისაშვილი თავის პირველ მოთხრობებში. მწერალს სხვაზე მეტად უკლავდა გულს ქართველი გლეხის ასეთი გამოუყვანი მდგომარეობა, მაგრამ თუ ყოველივე ეს მხატვრული სიტყვის ძალით ყველასათვის საცნაური გახადა, მხოლოდ იმიტომ, რომ შემქმნელისდაგვირვინთელის ეშველა განწირული ქართველი გლეხობისათვის. უმეცრება, სიბნელე, რელიგიური ფანტოზები ქართველი გლეხისა, რომელსაც გულს უღრღინდა ლუკმაპურის ძებნაში საუკუნეებით გამოჯდარი შიშით და სიხარბე მიწისა, ცრუმორწმუნეობრივი ტრადიციები, კერძო მესაკუთრული ინსტიტუტები, სოფლის ყოფაცხოვრებას მძიმე სუდარასავით გადაფარებული პატრიარქალური წყვედიად, — ყველა-ფერი ეს თვალნათლივ წარმოისახა დავით კლდისაშვილის ხალხოსნური პოზიციებიდან შექმნილ მოთხრობებში. აქ მკითხველი არ წაყუდება რთულ სიუჟეტურ განვითარებას ან ჩახლართულ სიტუაციებს. მოქმედება მეტად სადად, შეიძლება ითქვას მარტივად ვითარდება. არც გმირების ხასიათების ფსიქოლოგიურ მოტივირებას ცდილობს ავტორი. იგი უბრალოდ გვიყვება ამბავს და თვით ამბავია შემძირველი, მასში ცხადად ჩანს მთელი ის ქუქუყიანი ქაფი, რომელიც გლეხების ცხოვრების მდინარებს ზედაპირზე მოუგდია, წმინდა და ადამიანური კი სადაც დაუღწევს და დაუსამარება.

ცრუმორწმუნეობის დამღუბველი მოქმედების შემძირველი სურათი დავითმა მწერალმა მოთხრობებში „მსხვერპლი“ და „შერისხვა“.

აღსანიშნავია, რომ მოთხრობაში „მსხვერპლი“ ჩვენ პირველად ვხვდებით „გაბრკილი აზნაურების“ სახეს, რომელმაც შემდეგ წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს დავით კლდისაშვილის შემოქმედებაში. დავით კარულდამე, რომელიც გამხდარა საბაბი მარინეს უბედურებისა, უკვე მიგვანიშნებს გაღატაკებული აზნაურების ხასიათის იმ მხარეს, რომელიც მთელი ხისრული წარმოგვიდგება მორბელობების, სამანიშვილების, მიმინოშვილების თუ სხვათა გაცნობისას.

„შერისხვისა“ და „მსხვერპლის“ შემდეგ დავით კლდისაშვილი დაბეჭდა „სოლომან მორბელობა“, რომლითაც იწყებს მოთხრობების ცნობილ წიგნს „შემოდგომის აზნაურების“ შესახებ. მაგრამ ამის პარალელურად, მწერალი კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს გლეხობის ღუხუჩო ცხოვრებას და ვერ ელევა ხალხოსნურ მოტივებს. ამის დადასტურებაა მოთხრობები „მრევლი“, „ამიქლა“, პიესა „უბედურება“. აქაც კვლავ ის შემძირველი სურათები გლეხობის განწირული ყოფისა, კვლავ ის უმეცრება და სიბნელე სოფლის მოსახლეობისა

გადაიშლება მკითხველის თვალწინ, რომლის მოწყვნიც ჩვენ პირველ მოთხრობებში ვხვდებით.

მწერლის შეგნებაში ხალხოსნური იდეების რწმენის შერყევას მიგვანიშნებს მოთხრობა „მრევლი“, რომელიც 1898 წელს დაიბეჭდა ეურნალ „მოამბეში“. მოთხრობის გმირი ზოსიმე მღვდელი დიდი გულმოდგინებით ემზადებოდა სემინარიაში თავისი საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის, ეგონა მართლაც შეებას მოუტანდა ხალხს და ხალხიც დააფასებდა მის ამავს, მაგრამ პირველად ნაბიჯებში, ცხოვრების მწარე გამოცდილებამ მაღე დაუნერგა ოცნებები. ხალხი უნდობლად ეკიდებოდა ზოსიმეს, ლუკმის მიზიარებს ხედავდა მასში, არც უმაღლედენ ამას, აგონებდნენ კიდევ. ზოსიმე სასტიკად შეურაცხყოფილი ბრუნდებოდა სახლში. ერთხელ სთხოვეს, ავადმყოფი ეზიარებინა, ზოსიმე შეაკრთო ავადმყოფის ოჯახის სიღარიბემ და სიღატაკემ. ლოცვანის წაკითხვისა და ზიარების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდოდა გაბრუნება, მაგრამ იოლად დაჰყვა მასპინძლის თხოვნას და მოწმიტული მღვდელი მაღე მადიანად ილუკებოდა. ზოსიმემ ერთი კი იწყინა, მაგრამ ხელი აღარ შეუშლა თანხლებ პეტრეს, რომელიც ამ გაპარტახებულ ოჯახში მღვდლის გასამრჯელოდ პურებს აწყობდა ხურჯინში. პეტრიამ ასე მარტივად, მაგრამ სწორად ასხა ზოსიმეს სიმორცხვე: — „ჯერ კიდევ ეხამუშება... ყმაწვილია მერე, პურს კი არა, გაბრკილი ძვალსაც ჩეილაგებს ხეირჯანში და სახლი წიკვას დაუწყებს...“ მართალია ჯერ კიდევ ვანიცდის ეს ხალხის გასანათლებლად და შემუედ ჩამოსული ზოსიმე მღვდელი თვის უმწიკვობას, მაგრამ თანდათან რწმუნდება იმაში, რომ პეტრიასი არ იყვის, უნდა აჰყვეს ცხოვრების წესს და შემწიკვობის მაგივრად ზედმეტ ტერითად დააწებს გაბრკილობას. ან ცოკლის ნაწარმოებებს ასრულებს პიესა „უბედურება“, რომელშიც უკიდურესი სიმამართაა წარმოდგენილი ცხოვრების ამოება, გლეხთა უუწყვეტო მდგომარეობა, რის გამოც გაბოროტებულ სოფლებში ერთმანეთსაც აღარ ინდობენ.

ზემოთ დასახლებულ მოთხრობებში დავით კლდისაშვილი მართალია ხალხოსნურ ტენდენციებს ამჟღავნებს და აშკარად ვანიცდის ნაყოლომოურის, სოფრომ მაგლობლიშვილის თუ სხვათა გავლენას, მაგრამ მაინც ეს ნაწარმოებები ჰემმარტივი შემოქმედებითი წვითა და სინამდვილის უშუალო განცდითაა შექმნილი. არც ერთ მათგანში არ შეიძინევა მიმბაძველობის ეკით. ასე რომ, მართალია, ამ მოთხრობებს არ განუსაზღვრავთ დავით კლდისაშვილის დიდი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე და მისი წვლილი ქართული ეროვნული ლიტერატურის საგანძურში, მაგრამ მათ დიდი მნიშვნე-



ლობა ენიჭებოდათ თავისი დროისათვის და ავტორის მაღალნიჭიერებაზე მეტყველებდნენ. მხოლოდ ერთხელ უღალატა შთაგონებამ დავით კლდიაშვილს, ამ უღარესად ეროვნულსა და ქართულ სინამდვილეზე აღზრდილ მწერალს, როდესაც მოთხრობა არა ცხოვრების, არამედ ლიტერატურული გავლენითა და კარნახით დაწერა. ეს არის მოთხრობა „წრფელი გული“, რომლის ხელოვნურ, მიმბაძველყო წარმოშობაზე სამართლიანად მიუთითა თავის დროზე გერონტი ქიქოძემ (იხ. გერონტი ქიქოძის ნარკვევები, 1941 წელი, გვ. 99). მართლაც ამ ერთი მოთხრობის გარდა დავით კლდიაშვილს პატარა ესკიზიც კი არ შეუქმნია ლიტერატურული იდეებისა და ასოციაციების უშუალო ზეგავლენით. თუმცა სერგო კლდიაშვილი იხსენებს, რომ შამშისმა ამ მოთხრობის გმირის ბაბო გარაყანიძის პორტრეტი სინამდვილიდან დახატაო, მაგრამ ეს კიდევ არ გამოიჩინავს ამ ნაწარმოების ლიტერატურული ზეგავლენით შექმნას. ბაბო გარაყანიძისა და მისი მეგობრების რაღაც სენტიმენტალური განცდები და დაოკებული ვნებათა დღევნები ქართული ცხოვრების რეალისტ მხატვრისათვის სრულიად უცხო სამყაროა, თუმცა ასეთი ფაქტის უშუალო შემსწრე შეიძლება ყოფილიყო. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამ ისტორიის მოთხრობის ფურცლებზე ვაღატანა მას ხელოვნურმა გარემომამ უკარნახა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მოთხრობას ეპიგრაფად ჰქონდა ფრანგი რომანისტის პოლ ბურჟეს სიტყვები რომანიდან „სიკრუე“. „წრფელი გული“ დავით კლდიაშვილის ერთადერთი მოთხრობაა ლიტერატურული ასოციაციებით შექმნილი და ჩვენ იშვიათად გვეჩულებდა მწერალი, რომელსაც ასე მცირე ხარკი მიეტანოს უშუალო გავლენებისათვის.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მოთხრობებსა და პიესებს, რომლებშიც მწერალმა ქართული თავდაზნაურობის დგრაღირების უკანასკნელი პერიოდი წარმოსახა მხატვრულად. „სოლომან მორბელაძე“, „სამანიშვილის დედონაცვალი“, „ქაშუშაძის გაჭირება“, „როსტომ მანველიძე“, „დარისპანის ვასპირი“ — აი ის შედევრები ქართული ლიტერატურისა, რომელთაც დამსახურებულად უკედნავს მათი ავტორი. ამ ნაწარმოებებში ჩვენ წარმოგვიდგება უკვე არა ხალხოსური ტენდენციების მატარებელი მწერალი, არამედ გიგანტი ქართული კრიტიკული რეალიზმისა, რომელიც დამსახურებულად აგრძელებს გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლისა და მეცხარამეტ სალუქინის სხვა კლასიკოსების ბრწყინვალე ტრადიციებს.

ერთი შეხედვით შეიძლება ძნელი შესამჩნე-

ვიც იყოს დავით კლდიაშვილის ასეთი ორგანული კავშირი მის წინამორბედ რეალისტ კლასიკოსებთან. შეიძლება მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ მხატვარი მხოლოდ ცხოვრების ზედამირზე ამოტივტივებულ მოვლენებს წარმოსახავს და ამ მოვლენათა სიღრმეში ჩაწვდომას არ ცდილობს. დავით კლდიაშვილი ეს ძირითადი ნაწარმოებები ისეთ შთაბეჭდილებასაც ტოვებენ, თითქოს მწერალი წერის იმპრესიონისტულ მანერას მიმართავდეს, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება ზერელეა, სინამდვილეში დავით კლდიაშვილი მყარად დგას კრიტიკულ რეალიზმში. პოზიციებზე. მის მოთხრობებს თუ თავდაპირველად შეუძლიათ ჩვენი შეცდომაში შეყვანა, ეს იმის ბრალია, რომ მწერალი გენიალური შეფარებით ხატავს მოვლენებს, არსად ამქვანებს შიშველ ტენდენციურობას. იგი თითქოს მიუყვარებულად გვიხატავს ცხოვრებისეულ მოვლენებს, მაგრამ ჩაკვირებულ მკითხველს არ გამოუპარება ის დიდი განმარტოვებელი მნიშვნელობა, რომელიც მწერლის მიერ შექმნილ სახეებს ენიჭებათ.

თავადაზნაურული წოდების თანდათანობითი დაცემის მხატვრული წარმოსახვის საქმეში დავით კლდიაშვილს ჰყავდა თავისი დიდი წინამორბედები: გიორგი ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი. ამ პრობლემების საბოლოო გადაწყვეტა ქართულ ლიტერატურაში დავით კლდიაშვილის შემოქმედების ხვედრი ვახდა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ძლიერ და უფლდამბოსლო კალს მწვავე სატირული ფორმით ასახავდა ლიტერატურაში, დავით კლდიაშვილს ამ ბასრი მახვილის მომარჯვება არ დასჭირებია. მორბელაძეები, ქაშუშაძეები, სამანიშვილები როგორცა და დედამიწა ისე განსხვავდებიან ილიასეული მეტაბოლიზმისაგან. კლდიაშვილის ეპოქაში აზნაურობა სულს დაფავდა, მას ბრძოლის უნარი დაკარგული ჰქონდა, ცარიელი ამპარტავნობადა შერჩენოდა და მწერალმაც სატირის ნაცვლად იუმორს მიმართა.

დავით კლდიაშვილს შეეძლო თბილი იუმორით მოთხრობა გადატყუებულ და ცხოვრების გზაზე შემოზამთრებულ იმერულ აზნაურებზე, რომელნიც მისუსტებულნი და ნებისყოფა გამოლეულნი საცოდავად მიითვლიდნენ არსებობის უკანასკნელ დღეებს. ვინაიდან მათ უკვე აღარ შესწევდათ სოციალური ბორტომოქმედების უნარი, ხოლო მათი საკმაოდ დიდი ნაწილი სინამდვილეში გლეხის გაჭირვებული ყოფის მოაზიარე ვახდა, მწერალი ერთგვარი სედალიანი ლიმლითაც კი მოგვითხრობს მათი ცხოვრების კომიკურ, თუმცაღა მწარე დღეებზე. ყოველივე შემოთქმულის გარდა, დავით კლდიაშვილის ამ



ცრემლნარევი იუმორის საფუძველს ისიც წარმოადგენდა, რომ თვითონ მწერალი სწორედ ასეთი საზოგადოებრივი ფენიდან იყო გამოშვლილი და მისი მოთხოვნების პროტოტიპები მისივე ახლო აღმამიანები იყვნენ. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მწერლისათვის ბოლომდე ერთგული ყოფილიყო მათი ყოფის რეალისტური წარმოსახვისას, არ აუტელებია იგი თავისი კერძო სიმპათიების გამო ცხოვრებისეული სიმართლისათვის ელაღატა. როდესაც საუბარი ჩამოვარდება მწერლის პირადი სიმპათიებისა და შემოქმედებაში ობიექტურად გამოხატულ თვალსაზრისის ურთიერთ წინააღმდეგობრივობაზე, მაგალითად უსათუოდ ბალზაკი მოჰყავთ, თუ ამ ლეგიტიმისტმა მწერალმა პირადი მიყვარების მიუხედავად როგორი ისტორიული სიმართლით წარმოსახა ძველი ფრანგული არისტოკრატის რღვევისა და განადგურების პროცესი ახალ ისტორიულ ვითარებაში, როდესაც ისახებოდა და მტკიცდებოდა ახალი საზოგადოებრივი ფორმაცია, უფრო პროგრესული და საინტერესო, ვიდრე წარმავალი სამყარო. განა ამის კლასიკურ ნიმუშს არ წარმოადგენს ჩვენთვის დავით კლდიაშვილის ცხოვრება და მისი შემოქმედება? ბალზაკი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე და მწერალია, ამიტომაც მისი მოღვაწეობის ეს მხარე ყველასათვის თანაბრად საინტერესო მაგალითი უნდა იყოს, მაგრამ ეს არ უნდა გვაიწყებდეს ჩვენი ეროვნული კულტურის კორიფების ცხოვრებისა და შემოქმედებითი შრომის ამ მხრივაც სამაგალითო გამოცდილებაში. დავით კლდიაშვილი, მიუხედავად თავისი აშკარა სიმპათიების გაუბედურებული და დაჩაჩანაკებული აზნაურების მიმართ, არ მოერიდა თავის შემოქმედებაში მათი ტრაგიკომიკური ყოფა გამოეაშკარაებინა.

აზნაურული წოდების დიდი ცხოვრებისეული დრამა დავისა და მწერალმა დაუშრეტელი იუმორით, მაგრამ მას არც თავისი თავისთვის და არც სხვისათვის არ მიუცია უფლება, ეს კომიკური სიტუაციები ღვარძლიან დაცინვაში გადაეზარდა. ამიტომაცაა, რომ თავის ამ საუკეთესო ნაწარმოებებში, რომლებშიც აზნაურული ყოფაცხოვრება გამოხატული, დავით კლდიაშვილი არ სცილდება ლალი, მსუბუქი იუმორის ფარგლებს. თითქოს ერთფეროვანი და ამდენად ერთგვარად მოსაწყენი უნდა იყოს დავით კლდიაშვილის მოთხოვნების ციკლი, რომელიც შემოდგომის აზნაურების ყოფაცხოვრებას ეხება, რადგან ყველა ნაწარმოები ერთი მანერითაა დაწერილი და ქართული საზოგადოების ერთი მცირერიცხოვანი ფენის ცხოვრებას ეხება. მაგრამ დავით კლდიაშვილის დიდი და ძალდაუტანებელი მწერლური ინიციატივით

სწორედ იმაშიც იჩენს თავს, რომ რეალისტურად არ იმეორებს ერთხელ უკვე ნათქვამს და ასეთ შეზღუდულ მდგომარეობაში ახერხებს შექმნას გმირების მრავალფეროვანი გალერეა. ძნელად, რომ რომელიმე სხვა მწერალს მოეცეს თავის შემოქმედებაში ასეთი სიუჟეტ ფერებისა, ასეთი კოლორიტილი, ღრმად ინდივიდუალიზირებული ტიპური სახეები, რომელნიც იმდენად ცოცხლად არიან გამოკვეთილი, რომ თვაწლინ წარმოუდგებიან მკითხველს, რაინდ მცირე ფანტაზიის მქონე იყოს იგი.

„სოლომან მორბელაძე“ იყო ის პირველი მოთხრობა, რომელმაც დასაბამი მისცა ციკლს „შემოდგომის აზნაურებს“. ეს პატარა მოთხრობა, თავისი დახვეწილობით, მხატვრული სრულყოფით და, რაც მთავარია, ტიპური ხასიათების დასრულებულად გამოკვეთის თვალსაზრისით გაუტოლდება კლასიკური ლიტერატურის შეგდევნებს.

სოლომან მორბელაძე იმ ვალატაქეული აზნაურობის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელსაც ნიდაგი გამოსცლია ფეხქვეშ, საარსებო წყარო დაუქარავს და ახლა ლუკმა-პურის შოვნა ვამხდარა მისი ცხოვრების მთელი მიზანი. ამ მხრივ იგი არ გამოირჩევა საერთოდ იმერული აზნაურებისაგან. მათთან ერთად ერთ ტაფაში იწვის. მაგრამ ლუკმა-პურის შოვნის რამდენიმე განსხვავებული გზა და საშუალება აირჩია აზნაურობამ. ზოგი თავისი ამპარტაუნული სტულისა და სრული უქნარობის წყალობით ევრაფერს საქმიანობს და თავს სხვასთან სტუმრობით ირჩენს. ზოგს, ყველაზე უფრო რეალისტებსა და წინდახედულებს ამ წოდებიდან, თონისათვის მოუკიდნია ხეობა და შრომა მიუჩნევია ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ საშუალებად. ნაწილი კი იოლი ვარჯით ცდილობს თავს გატანას, ამ უკანასკნელთ არც თავისი წოდებრივი ღირსების შელაგვა სურთ იმით, რომ ფიზიკურ შრომას მოკიდონ ხელი, არა და, იმდენი კი ესმით, რომ რაღაცით მაინც უნდა გაისარჯონ და ეძებენ იოლი შემოსავლას წყარო. თუმცა ზოგჯერ ეს სინამდვილეში არც ისე იოლია, როგორც მათ ერთი შეხედვით წარმოუდგენიათ. როდესაც ჩვენ სოლომანის გაწამანისა შევყურებთ, ვერწმუნდებით, რომ არც თუ ისე იოლი საქმისათვის მოუკიდნა ახალი და ეგებ ყანაში ნაკლები ჯაფა დასჯგომოდა ამ საწყაალსა და დამშეულ აზნაურს, მაგრამ მას მაინც მაშვლობა ურჩენია, მისი აზრით, ეს უფრო შეეფერება მის სიღარბისთვის და გვირავილობას; დადის კარდაჯარ სოლომანი, ურიგებს ერთმანეთს დამშეული აზნაურების ქალ-ვაყებს, რომელთა შრომლებს მხოლოდ ისა აქვთ საფიქრებელი, თუ როგორ მოატყუონ



მომავლი მოყვრები ქორწინების წინ. მოთხრობაში სოლომანის ერთი ასეთი მაშვლობის ისტორიაა გადმოცემული. სოლომანი თავისი დათაფლული ვნით ცდილობს საქმე ბოლომდე მიიყვანოს, მთარგმოს აზნაურები ქაიხოსრო ქათამაძე და ბესარიონ საქარაძე, დითანხმოს ისინი შეიღების ქორწინებაზე. ამით სოლომანს იმედი აქვს რამდენიმე თუმანანი იზოვოს, რომელიც იქვე უნდა მისცეს ვალში სხვას. დახეტება სოლომანი ხან ერთთან, ხან მეორესთან, ერთის მოტყუებასაც ცდილობს და მეორისასაც, მაგრამ საბოლოოდ ყველაზე მოტყუებულ და იმედგაცრუებულ მამაც თვითონ რჩება. ქაიხოსრო ქათამაძეს თავისი ვაჟისათვის მ.კ.ტი მზითევი სურს, ხოლო ბესარიონ საქარაძე სულ იმის ცდაშია, როგორ შეატყუოს ნაკლები მზითევი ქალი ქათამაძეს და ამ დიდი ვაწამაწის მთელი სიმძიმე სოლომანის ზურგზე გადადის, რომელსაც მთელი მისი თავგამოღებისათვის ვასამრჯელოდ მხოლოდ ხარის ტყავი და ხურდა ფული შეერჩება. სულ ეს ერთი მაშვლობის ისტორიაა მოთხრობილი ნაწარმოებში, მაგრამ იგი სავსეა ისეთი სიტუაციებით, რომლებშიც მთელი თვალნათლივით ჩანს გმირების ხსიათები, მათი ბუნება. დავით კლდიაშვილის მოთხრობები საერთოდ გამოირჩევა მოქმედების დინამიურობით, მარტივ და მსუბუქი სცენების სიუხვით, რომლებშიც ადამიანთა რთული ურთიერთობები იხსნება. ასეა „სოლომან“ რთული ურთიერთობები იხსნება. ასეა „სოლომან“ ფსიქოლოგიური თხრობის საშუალებით კი არ გვეცნობით, არამედ ამ განცდების უშუალო მოწმენი გზებით ჩვენს თვალწინ ვათამაშებულ სცენებში. ქორწილის სცენა საკმარისია იმისათვის, რომ სასული წარადიდგნა შეგვიქმნას გმირებზე. სასაცილოა, მაგრამ ღრმად ნიშნდობლივია დავა მოყვრებს შორის იმ ათ თუმანზე, რომლის გამოც კინაღამ ჩაიშალა ქორწილი. აქეთ ქაიხოსრო ჯიუტობს და ქორწილის ჩაშლით იმუქრება, იქით ბესარიონი თვალთმაქცობს, დარბის სოლომანი საქორწილოდ შეკრებულ ხალხში, ხან ერთთან, ხან მეორესთან და ვასამრჯელოს დაკარგვის შიში გულს უღრღნის. მკითხველი კი პირველი მორეული უტყერის მთელ ამ ორომტრიალს, რომელიც ადამიანის დაქინებისა და დაბეჩივების მაუწყებელია. თუ საქმეში გართული სოლომანი მოთხრობის დასაწყისში იმედითაა სავსე და ცხოვრებაც უფრო ლაღი და ლამაზი ეჩვენება, სამაგიეროდ მოქმედების დასასრულს ჩვენი გამოცდილებით ერთხელ კიდევ ჩაფიქრებული, იგი სევდიან თვალბრტყვით უყურებს ცხოვრებასაც და იმ ადამიანურ კომედიასაც, რომელიც იქ თამაშდება. მოთხრობის ფინალში ჩვენ ვეღარ ვხედავთ მუდამ საოხუნჯოდ მომა-

რთულ სოლომანს, აქ იგი ღრმად დამწუხრებულ რეალისტად გვევლინება, რომელიც მკაცრად, მაგრამ სამართლიანად აფასებს თავისი წრის სულიერსა და ფიზიკურ დავრდობილობას. „—ღმერთმა დასწყევლოს, ღმერთმა, — თავისთვის ლაპარაკობდა სისოწარკვეთილებაში მყოფი უიღბლო მამავალი. — ღმერთმა დასწყევლოს ამნაირი გაძალღებული ცხოვრებაც!... შვიერ, გადატყუებულ კაცს რაფა უნდა ენდო კაცი?! პატრონსებაც დაფიქრებულ აქვს და სვინდისიც. ცოდვითაც აღარ მიაჩნია, თუ კი რამე წაგლიტა, წაგაფცქენა, მოგატყუა, გაგაცუცურაჲა? ყველაფერი დაფიქრებული აქვს ამ ოხერი, გაფშოყებული კუჭის გამოისობით... დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშველო, გაძალღებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ აღარ აქვთ? ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირატეობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალდან? მოვიტყუეთ, მომატყუეს, და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ“. ნაღვლიან ფიქრებში წასული სოლომანი, რომელიც უფულოდ ბრუნდებოდა თავისი ვარიგებულ საქმიდან, რომელმაც ის იყო ასეთი დაცინვა და მოტყუება ვადაიტანა, ქაიხოსრო ქათამაძეს ან ბესარიონ საქარაძეს კი არ ემდურის, მათზე კი არ არის ვაბოროტებული, არამედ ცხოვრების უკუღმართობაზე, რომლის მსხვერპლადაც მიაჩნია ისინიც და თავისი თავიც.

სოლომანი მოტყუებულ მართალია თვითონაც იმ კუდაბზიკა აზნაურებს ეკუთვნის, რომელთაც სიამაყის ვარდა არაფერი გააჩნიათ და ნამდვილ შრომას თაკილობენ, მაგრამ მას უკვე კარვად ესმის ცხოვრების მდინარება საით მიემართება, ამიტომაც პლატონივით შვილის სასწავლებელზე მიზარბუხე კი არ ოცნებობს, ცდილობს იგი მინც ცხოვრებას უფრო შეუფუბული აღზარდოს. „—ჩემს შვილს, ჩემო პლატონ, უშველებელი კალამი უპირავს ხელში...— ეუბნება სოლომანი — ისე მშვენივრად ურტყავს მიწას, რომ მოგვეწონება, რომ უყურო... არ ეკადრება, მართალია, თხი, აზნაურშვილს, მარა მეტი გზა არაა, თვითონაც იცი!“ პლატონმა თუ არ იცის, ყოველ შემოხვევას სოლომანს კარვად შეუგნია, რომ შრომას ვეღარსად გაეცევი ცხოვრების ამ ახალ პირობებში და თვითონაც დაძლედა ალბათ კუდაბზიკობას, მამველობას მისი შვილივით თოხს არჩევდა, ცხოვრების გრძელ გზას რომ ახლა იწყებდეს.

სოლომანის შვილი ერთადერთი როლია „შემოდგომის აზნაურთა“ მეგვედრეთა შორის, რომელსაც ოჯახის გამოკვების ყველაზე საიმედო გზად შრომა მიუჩნევია და არაფრად ჩაუგდია ვაცვეთილი სახელი აზნაურისა. ამავე გზას დასდგომია პლატონ სამანიშვილიც. საერ-



თოდ საინტერესოა აღნიშნოს, რომ დავით კლდიაშვილის მოთხრობებში უმცროსი თაობის აზნაურიშვილები თავიანთი მამებისაგან განსხვავებით უფრო საღად უყურებენ ცხოვრებას და წოდებრივი კუდაბზიკობაც ნაკლებად გამოპყობილიათ.

სამანიშვილების. ცხოვრება კიდევ უფრო შემაძრწუნებელია, ვიდრე მორბელასისა. თავის ვრცელ მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ დავით კლდიაშვილმა დიდი ადამიანური ტრავედია დაგვიხატა. გალატაკებული აზნაურების სამანიშვილებისათვის შვილის შექმნა ყველაზე დიდ უბედურებად გამხდარა, რადგან იგი მოზიარედ ჩაუდგება მათ ისედაც მცირე მამულში. პლატონ სამანიშვილის ცხოვრება ახლა იმ ერთ მტკაველ მიწასთანაა დაკავშირებული, რომელიც როგორც ერთადერთ ვაჟს მას ერგებოდა მემკვიდრეობით. მიწის მოზიარე ნინუავედა პლატონის ისედაც დამშულო ოჯახის კიდევ უფრო შევიწროებას, საარსებო ლუკმის პირიდან გამოკლას. სამანიშვილების ეს შიში, რომ ოჯახში ბავშვი არ დაიბადოს, ნათლად მტკიცელებს „შემოდგომის აზნაურობის“ მთელ განწირულებაზე. სამანიშვილების ოჯახი მართალია ღარიბი იყო, მაგრამ მანაც ღმერთს არ ემდურდნენ, ერთი ის აღარდებდნენ მხოლოდ, რომ პლატონის მეუღლემ ოთხი შვილი შესძინა ოჯახს. უბედურება იქიდან დაიწყო, როდესაც ბეკინას მეუღლე გარდაიცვალა. მამამ მეორე ცოლის თხოვა გადაწყვიტა და ამან განსაზღვრა სამანიშვილების ბედი. რაკილა მამამისს გადაწყვეტილება ვერ შეეცდევინა, პლატონმა მამულობა თვითონ იყისრა იმ მიზნით, რომ სადედინაცვლოდ ორნაქმარევი და უშვილო ქალი შეერჩია. ეს მისი აზრით საკმაო გარანტია იქნებოდა იმისა, რომ მამამისს შვილი არ ეყოლებოდა და მას კი მიწის მოზიარე არ გამოუჩნდებოდა. ასე იწყება პლატონ სამანიშვილის მოგზაურობა სადედინაცვლო საძებნელად, რომელიც შეუდარებელი, განსაკუთრებული იუმორითაა დაწერილი. არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს მოგზაურობა, და საერთოდ მთელი მოთხრობა ბრწყინვალე ნიმუშია კომიკურისა და გაუტოლდება ყოველი ეპოქისა და ყოველი ლიტერატურის მიერ შექმნილ კომედიური ხასიათის ნაწარმოებებს. იმერულ რომსინანტზე ამხედრებული პლატონ სამანიშვილი დადის სოფელ-სოფელ და ეძებს ორნაქმარევე ქვრივს სადედინაცვლოდ. ამ მოგზაურობის დროს მწერალი გვაცნობს სხვადასხვა გმირებს, რომლებიც ხელს უწყობენ თუ უშლიან პლატონს თავისი უცნაური გადაწყვეტილების განხორციელებაში. თუმცა ყველასათვის როდია უცნაური ეს განზრახვა პლატონისა, იმდენად საერთო ყოფილა ეს შიში ლუკმის მოზიარის

ვაიზნისა შემოდგომის აზნაურებში, რომ ზოგი ადვილად უხვდება დედინაცვლის მძიებელს გულის ნადებს. მკითხველი პლატონთან ერთად მოგზაურობს ამ ზემო იმერეთის სოფლებში, ხან გალატაკებული აზნაურის ოჯახში შეიხედავს და იქ დატრიალებული სცენების მოწმე ხდება, ხან საღდაც ქორწილში მოხვდება, როდესაც პლატონის წყალობით მოქალაქეობაში მინიშნულია გადაყვრება, ხან კი პლატონთან ერთად სადედინაცვლოს მუშტრის თვლით ზომავს. ამ მოგზაურობასთან ერთად მთავრდება მკითხველის გულამოგადარი სიცილიც, მერე კი იწყება სამანიშვილოთათვის საბედისწერო ღინალი მოთხრობისა. იმდენად უმტყუნა პლატონს, ორნაქმარევა უშვილო ქალმა განსაცდელს ვერ გადაარჩინა. ჯერ კიდევ ისუგეშებდა თავს პლატონი, ეგებ მკვდარი დაიბადოსო ბავშვი, ან ეგებ ქალი მანაც შეეძინოსო, მაგრამ სწორედ მისი მიწის მოზიარედ ვაჟი ვანდა და ამან დაანგრია სამანიშვილების ოჯახი. საინტერესოა თვით დავით კლდიაშვილის მოგონება, თუ როგორ დაიწერა „სამანიშვილის დედინაცვალი“. მწერალს თავდაპირველად დაწერილი ჰქონია პლატონის სიზმარი, რომელიც თავისთავად ერთი საუკეთესო ნაწილია მოთხრობისა და შეიძლება ისევეც გაგზავნა „მომამის“ რედაქციაში, რომ მის მეგობარს კონდრატე მხეიძეს არ ერჩია მისთვის სიზმრის მოთხრობად გაკეთება.

მომდევნო მოთხრობა „შემოდგომის აზნაურებზე“ არის ქამუშაძის გაკირვება. ერთგვარი ლოგიკური კავშირი არსებობს ამ ციკლის მოთხრობებს შორის, თითქოს ერთიმეორეს აგრძელებენ ისინი. „სოლომან მორბელაქში“ მხოლოდ მოხსენებული იყო ის ამბავი, რომ სოლომანის შვილს თოხი ეჭირა ხელში, „სამანიშვილის დედინაცვალში“ პლატონი აშკარად წარმოადგენდა მშრომელ ადამიანად, მაგრამ ამ მოთხრობაშიაც აქცენტი სხვა საკითხებზე გადატანილი. რაც შეეხება ქამუშაძის გაკირვებას, ეს ვრცელი მოთხრობა მთლიანად მშრომელი აზნაურის ოტია ქამუშაძის ყოფა-ცხოვრებისადმი მიძღვნილი.

მართალია არც ქამუშაძეებს აქლით აზნაურული ამპარტავნობა და სარდიონ ქველიძის ჯიზზე, რომელმაც სიძედ დაიწუნა, ოტია ქალაქელ ქალს ითხოვს, რითაც ძალზე ამაოებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ოტია მანაც მშრომელი ადამიანი და სონია მალე შეამჩნევს, რომ მისი აზნაურიშვილი ქმარი ფაქტიურად არაფრით განსხვავდება გლეხისაგან. მწერალი ქალაქიდან ჩამოსული სონიას თვლით აჩვენებს მკითხველს, თუ რა უბედურე ყოფაში არიან იმერული აზნაურები. ზოგი მთვანია, ვისაც შრომა არ შეუძლია, სიმშლიისაგან სიკვდილის



პირასაც კი მისულა. ოტია ქამუშაძე თავდაპირველად ცდილობდა ცოლს არ შეემჩნია მთელი უბედურება სოფლის მცხოვრებლებისა, განსაკუთრებით კი მისი ოჯახის სიღარიბე, მაგრამ ეს უიმედო სურვილი იყო. სონია მოწამე გახდა მთელი იმ სიღატაკისა, სიბნელისა, განწირულებისა, რომელიც სოფლად დაბუდებულყოფი და შეშფოთებული ქალი კვლავ ქალაქისაკენ გაიწევს, გაიწევს და თან ქმარსაც ვაიყოლებს. ქამუშაძეები გაყდიან თავის ეზოსა და სახლ-კარს და ქალაქად დასახლდებიან. თუმცა არც იქ არის დალხენილი ცხოვრება, მაგრამ თითქოს პერსპექტივები მეტია და ეს ამედგებთ ცოლ-ქმარს.

ასე მიემართებოდა იმერელი აზნაურების ცხოვრების გზა, ერთნი, უფროსი წარმომადგენლები თავისი წოდებისა ამპარტავნობის ამბარაღარჩნენ, ისინი როსტომ მანველიძესავით გარდასული დიდებითა და სამადლოდ მიგდებული ლუკმით სულდგმულობდნენ. განწირულთ არაფრის თავი არა ჰქონდათ და მშვიდად, უხალისოდ ელოდნენ ერთადერთ საშველს — აღსასრულს. მეორენი, ოტია ქამუშაძეები საკუთარი ბედის გამოჰედვას თვითონვე შეუდგნენ, მათ არაფრათ მიიხნიეს აზნაურული თავმოყვარეობის შეღავა და სულაც მიატოვეს სოფელი, ქალაქში წაიღიდნენ, სადაც მუშაობი ზამთარ-ზაფხულს სჭირდებოდათ. რა ბედი ეწვიათ ქამუშაძეებს ქალაქში, ამაზე დავით კლდიაშვილის მოთხრობა, სამწუხაროდ, დუმს. მწერალს განზრახული ჰქონდა ქამუშაძეების ცხოვრების ისტორია გაეგრძელებინა, ნაწილი კიდეც ჰქონია დაწერილი, მაგრამ ხელნაწერი დაკარგულა და მწერალს განზრახვა აღარ შეუსრულებია.

დავით კლდიაშვილის კალამს გარდა მოთხრობებისა სამი პიესაც ეყუთვნის. ერთი „უბედურება“ ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ. ხოლო „ირინეს ბედნიერება“ და „ღარისპანის გასაჰირი“ თემატურად აზნაურთა ყოფაცხოვრებაზე შექმნილი ნაწარმოებების ხაზს აგრძელებს. „ირინეს ბედნიერებაში“ ჩვენ ვხვდებით მოთხრობებიდან ნაცნობ ხასიათებსა და სიტუაციებს. კვლავ ეს გაუთავებელი ამპარტავნობა და თავაშვებულება აზნაურებისა, რომელიც ასე დაუნდობლად ამსხვრევს ირინეს ბედნიერებას. კლდიაშვილის დრამატურგიული ნაწერებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ღარის-

პანის გასაჰირი“, რომელშიც მწერალი მისთვის ჩვეული ლაღი იუმორით გვიყვება თავისი გმირის ღარისპანის სევდიან გასაჰირს, რომელსაც სამი ქალიშვილი სახლში უზის და ვერც ერთი კი ვერ გაუთხოვებია. დაატარებს ღარისპანი სოფელ-სოფელ, კარდაკარ თავის უფროს ქალს კაროენას, ეგებ უმზითოვდ ვინმეს შეატყუოს, მაგრამ სასიძოვების გატურება ასე იოლი საქმე როდია. ისინი ჯერ მზითევს კითხულობენ და მერე ქალს. ისევე როგორც დავით კლდიაშვილის მოთხრობებს, არც პიესებს დაპკლებია ყურადღება და მოწონება. ისინი დიდს წარმატებით იდგმებოდნენ ქართულ სცენაზე.

დავით კლდიაშვილმა თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელ წლებში კიდევ ერთი მოთხრობა გამოაქვეყნა და, რაც მთავარია, დაწერა მემუარები „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომელშიც არა მარტო მწერლის ბიოგრაფიაა გადმოცემული, არამედ რევოლუციამდელი საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უაღრესად საინტერესო მასალებიცაა თავმოყრილი. დავით კლდიაშვილის „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება, ქართული მემორარული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშებია.

ქართველი ხალხი მუდამ დიდ სიყვარულს იხენდა ქართული მწერლობის შესანიშნავი კლასიკოსის დავით კლდიაშვილის მიმართ, მისი შემოქმედება ყოველთვის იყო ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. იშვიათად, რომ რომელიმე მწერალს ისე მძლავრად განეცადოს და ეგრძნოს ხალხის ერთსულოვანი მაღლიერება და სიყვარული, როგორც ეს იგრძნო და განიცადა თავისი ცხოვრების მანძილზე დავით კლდიაშვილმა. ეს გრძნობა თანდათან კიდევ უფრო იზრდება და ღრმავდება ქართველ ერში, რომელიც სამართლიანად ამაყობს იმ ბრწყინვალე კლასიკური მემკვიდრეობით, რომელიც მწერალმა თავის ხალხს დაუტოვა. წეღს საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით აღნიშნავს მწერლის დაბადების ასი წლისთავს. დავით კლდიაშვილის საუკეთესო ნაწარმოებები საუკუნეებით იცოცხლებს და მასთან ერთად დავიწყებას არ მიეცემა ქართული სიტყვის ამ ბრწყინვალე ოსტატის, შესანიშნავი მოქალაქისა და მამულიშვილის სახელიც.



დავით შულიაშვილი

უცნობი დოკუმენტი დავით კლდიაშვილის
ბიოგრაფიისათვის

(კიევის არქივიდან)

ჩვენი სასიქადულო მწერალი დავით კლდია-
შვილი რვა წლის განმავლობაში სწავლობდა
ქ. კიევის ვლადიმერის სამხედრო გიმნაზიაში,
მაგრამ თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების
გზაზე“ ამ პერიოდზე ძალზე ძუნწ ცნობებს
გვაწვდის.

მიუხედავად იმისა, რომ მემუარებში იგი
ვრცლად ეხება თავის ცხოვრებისა და მოღვა-
წეობის მნიშვნელოვან ეპიზოდებს, ცალკეულ
საყურადღებო მოვლენებსა და ფაქტებს, —
მდიდარ და საინტერესო სათავგადასავლო ამ-
ბებს, ცნობილ მწერლებთან და საზოგადო
მოღვაწეებთან შეხვედრებს, წარსული ცხოვ-
რების სურათებს, თავის თვალთ ნანახსა და
განცდილს — ბავშვობის დროიდან თვით მოხუ-
ცებამდე; რატომღაც თავის მემუარებში ცოტას
წერს კიევში სწავლის პერიოდზე.

ჩვენს მიერ მიკვლეული საარქივო მასალები,
რომელიც კიევის საოლქო არქივში აღმოჩნდა,
შუქსა ჰყენს დავით კლდიაშვილის კიევში
სწავლის პერიოდს და ნაწილობრივ აესებს მის
ბიოგრაფიას.

დავით კლდიაშვილი ათი წლისა იყო, როდეს-
აც სხვა ქართველ ბავშვებთან ერთად რუსეთ-
ში გაიგზავნა სამხედრო გიმნაზიაში სასწავლებ-
ლად.

თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“
მწერალი ვაღმოგვცემს, რომ იმ დროს „ყოველ
წლებით მთავრობას მიჰყავდა თბილისისა და
ქუთაისის გუბერნიებიდან ორმოც-ორმოცი
თავდაზნაურების ბავშვი სამხედრო სასწავ-
ლებელში. კორპუსებში მიჰყავდა ისინი იმ მიზ-
ნით, რომ გაერუსებინა და კიდევაც მიზანს
აღწევდა ხილმე, რადგან რუსეთში, სამშობლოს
მოწყვეტილი ბავშვი იგივეება ენას, ზნეს და
ბრუნდებოდა ქართული გვარით, თორემ ერთი-
ანად, თავიდან ფეხებამდე გარუსებული“.

დ. კლდიაშვილი კიევის სამხედრო გიმნაზიაში
სწავლის პერიოდზე წერს: მე ორი წლის გან-
მავლობაში ძლიერ სუსტად ვიყავი, მაგრამ
იღბლად გადავარჩი სიკვდილსო.

სანამ უშუალოდ კიევის საარქივო დოკუმენ-
ტებს ვავეცნობოდეთ, საჭიროდ მიგვაჩინა აღ-
ვნიშნოთ, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებ-
ში თვითმპყრობელური მეფის ხელისუფლება
ცდილობდა სახელმწიფო ხარჯზე, საქართველო-
დან აღსაზრდელად წაეყვანათ მცირე ასა-
კოვანი, ბავშვები, რომლებიც მიიღებდნენ სამ-
ხედრო წვრთნას, დაიფიქვებდნენ მშობლიურ
ენას და თვითმპყრობელური რუსეთის ერთ-
გული ჯარისკაცები იქნებოდნენ.

რუსეთში აღსაზრდელად წაყვანილ ბავშვებს
არადადებვის დროსაც კი არ უშვებდნენ სამ-
შობლოში, რათა მშობლიური ენა ვადავიწყე-
ბოდათ. დ. კლდიაშვილი წერს: „სამი წელი-
წადი ვიყავი ისე, რომ მშობლები არ მინახავს,
სამი წლის შემდეგ ვახატულზე მომივიდა
ფული და ეგზამენების შემდეგ გამოვწიე სახ-
ლისაყენ კანიატულზედ. ქართული უკვე და-
ვიწყებული მქონდა. ორი კვირა ქუთაისში
დავარჩი და, რადგან დედაჩემმა რუსული არ
იცოდა და მე ქართული, — ამიტომ წავიყვანე
თარჯიმანი, — ჩემი თანატოლი ბიძაშვილი და
წავედი სოფელში დედასთან“. იმ დროს, რო-
დესაც დავითი თავის დედას ელაპარაკებოდა
თარჯიმანის საშუალებით, იქვე მყოფ მეზო-
ბელს უოხუნჯია: თქვე დალოცვილებო, ბავშვს
დასამუნჯებლად რაღა რუსეთში აგზავნიდით,
აქ დაამწყვდევდით ოთახში და დამუნჯდებო-
დაო.

სხვათაშორის, იმ დროის ქართულ პრესაში
ეკითხულობთ: „წარმოიდგინეთ ჩვენი აქაური
ყმაწვილი 8 ან 9 წლის ჩვილი, ნიჭიერი, რო-
მელსაც დედისაგან მოშორება უჭირს, უნდა
გაიგზავნოს რუსეთში, სადაც არც ამისთანა



შავა არის, არც ხალხი, არც ჩვეულება“. კორესპონდენტი შემდეგ მწუხარებით დაასვენის: „რვა წლის ბავშვმა რა იცის თავისი საპირიოებისა? აპკლეჯენ თუ არა დედის გულიდან, რომელიც ამდენი ხანი ათბობდა ბავშვსა, და რომელიც კიდევ ისე საპირით რვა წლის ბავშვისათვის, წაიყვანენ, ვინ იცის საით? კაცი არ არის, რომ დაჩვეულ ენაზედ თავისი სურვილი და წუხილი გააგვიზინოს; ყველანი იმისათვის უცხონი არიან და ყველასათვის თვითონაც უცხობა, არის მარტო მრავალთა შორის... ერთი სიტყვით, თითქმის იმისი სიცოცხლე დამოკიდებულია სხვაზე — იმათ გამზრდელზე... ისიც ვიცი რა მზრუნველები და გამზრდელები ჰყვანან ყმაწვილებს კორპუსებში და სხვა სახელმწიფო სასწავლებლებში“¹.

და მართლაც, როდესაც გავეცანით საქართველოდან წაყვანილ ქართველი ბავშვების აღზრდისა და სწავლების პირობებს მეფის რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში, იგი ძალზე აუტანელი ყოფილა ქართველი ბავშვებისათვის; ოცდაათი-ორმოცი ბავშვიდან სწავლას ამთავრებდა სამი-ოთხი ბავშვი, დანარჩენნი, უფრო ხშირად, დაავადყოფილები უზრუნველდნენ თავიანთ მშობლებს, რადგან ჩრდილოეთის შავსა და მკაცრ სამხედრო რეჟიმს ვერ იტანდნენ.

რუსეთის სამხედრო სამოსწავლო მთავარ სამმართველოს განკარგულებით საქართველოდან დავით კლდიაშვილთან ერთად 42 ბავშვი წაუყვანილ სამხედრო გიმნაზიაში სასწავლებლად. ბავშვები ჩაუყვანილთ კიევში, ხოლო აქ ისინი

გადურჩევით და მხოლოდ 25 ბავშვი დაუტოვებიათ კიევის სამხედრო გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში, დანარჩენი კი სხვადასხვა ქალაქებში გაუმწესებიათ სამხედრო პროცინაზიებში სასწავლებლად.

იმ ოცდახუთი ბავშვიდან, რომლებიც კიევის სამხედრო გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში ჩაურციხავთ (მათ შორის დავითიც), — 1872—1873 სასწავლო წლის ბოლოს კიდევ ხელაღა გადაუსინჯავთ მათი სწავლისა და უნარის მიხედვით და მთელი შემადგენლობა სამ კატეგორიად დაუყვით.

კიევის საოლქო არქივის ვლადიმერის სამხედრო გიმნაზიის ფონდში დაცულია დოკუმენტები იმ დროისა, როდესაც დავით კლდიაშვილი იქ სწავლობდა.

როგორც არქივში დაცული საქმის მიხედვით ირვევია ათი წლის დავით კლდიაშვილი, სხვა ქართველ ბავშვებთან ერთად ჩაურციხავთ კიე-

ვის ვლადიმერის სამხედრო გიმნაზიის მოსამზადებელ ჯგუფში 1872 წლის სექტემბერში. მოსამზადებელ ჯგუფში, სადაც დავითი სწავლობს, სიის მიხედვით 36 მოსწავლეა, მათ შორის საქართველოდან წაყვანილი ბავშვებიდან: პავლე ბეთაბეგიშვილი, დიმიტრი მაყაშვილი, ზაქარია მეიფარიანი, გრიგოლ ნათაძე, იოსებ რატიშვილი და თომა თუმანიშვილი. დანარჩენი თურამეტი მოსწავლე კი სხვადასხვა მოსამზადებელ ჯგუფებში მოხვდნენ.

კიევის საოლქო არქივის ამჟვე ფონდში დაცულ ვლადიმერის სამხედრო გიმნაზიის პედაგოგიური კომიტეტის 1873 წლის 6 ივნისის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „...მიმდინარე 1872—1873 სასწავლო წლის სამხედრო სასწავლო დაწესებულებების მთავარ სამმართველოს ბრძანებით გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში მიღებული იქნენ საქართველოდან 25 აღსაზრდელი; აქედან მარტო სამმა დაიჭირა მისაღები გამოცდა გიმნაზიისათვის, დანარჩენი 22 ბავშვი აღმოჩნდა ძლიერ სუსტი, ამთავან ზოგიერთმა, არა თუ რუსული კითხვა, ძნელად ლაპარაკობენ და არ ესმით რუსული მეტყველება. ყველა ქართველი, ვინც ცუდად ლაპარაკობდა რუსულად, პირველი რეპეტიციის შემდეგ ოქტომბრის თვეში, განთავისუფლებული იყვნენ ფრანგული ენისა და გეოგრაფიის საგნის სწავლებიდან. ამ საგნების ნაცვლად ჰქონდათ გაძლიერებული სწავლა რუსულ ენაში.

ამჟამად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, შეიძლება ქართველები გაყოფილი იქნენ სამ კატეგორიად:

- 1) რომლებიც სწავლას ასწრებენ და გადაიან 1 კლასში,
- 2) რომლებიც ვერ ასწრებენ, მაგრამ იმედს იძლევიან, თუ დატოვებული იქნებიან მეორე წელს მოსამზადებელ კლასში,
- 3) ვინც კურსზე გადაყვანის იმედს არ იძლევიან, იმ შემთხვევაშიც კი, დატოვებულნი რომ იქნან მოსამზადებელ კლასში მეორე წელსაც.

დავით კლდიაშვილი მოხვედრილა პირველ კატეგორიაში. ოქმში აღნიშნულია, რომ „პირველ კატეგორიაში შეიძლება ჩავთვალოთ მარტო 8 აღსაზრდელი:

ჯავრიშვილი, ხერხეულიძე, ძვინტი, ბექთაბეგიშვილი, კონიაშვილი, კლდიაშვილი, შერვაშიძე, რატიშვილი.

მეორე კატეგორიაში 8 აღსაზრდელი:

ჯანდიერი, ფაქვინიშვილი, თაყაიშვილი, ნატროშვილი, ბაქრაძე, თუმანიშვილი, კვინიხიძე, შერვაშიძე II.

¹ უფრ. „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1, გვ. 136—137.

მესამე კატეგორიაში 9 აღსაზრდელი: აბაშიძე, ნაცელიშვილი, ზალდასტანიშვილი, თუმანიშვილი, ამილახვარი, მეიფარიშვილი, ვაჩნაძე, წინამძღვრიშვილი, ქუმსიაშვილი.

პირველი კატეგორიის აღსაზრდელები მიზანშეწონილი გადაყვანილი იქნან პირველ კლასში.

მეორე კატეგორიის აღსაზრდელები დატოვებული უნდა იქნან იმავე (მოსამზადებელ) კლასში.

მესამე კატეგორიის აღსაზრდელები, რომლებიც 12 წლის შესრულდნენ, გადაყვანილი იქნან სამხედრო პროგიმნაზიებში, ისინი კი, რომლებიც არ არიან 12 წლისანი, დატოვებული იქნან მოსამზადებელ კლასში, იმ პირობით, რომ თუ დამაკმაყოფილებელი წარმატება არ ექნებათ, მერმის გადაყვანილი იქნებიან სამხედრო პროგიმნაზიაში.

მართლაც 1873—1874 სასწავლო წლიდან დავით კლდიაშვილი ჩარიცხული იქნა მეორე მოზრდილთა ჯგუფში, გიმნაზიის პირველ კლასში.

დავითს ბეჯითად დაუწყია სწავლა, რასაც ამტკიცებს ამავე წლის გიმნაზიის საბჭოს ოქმი, რომლითაც დავითს მადლობა აქვს გამოცხადებული. მაგრამ ამავე წლის 30 ოქტომბრის თარიღით საკლასო ეურნალში მიწერილია დავით კლდიაშვილის ვასწერო — „გაკეთილს ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო. იმყოფება ლაზარეთში“.

როგორც „ლაზარეთის“ საქმის ფურცლიდან ირკვევა დავით კლდიაშვილი ავად ყოფილა 1873 წლის 30 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე 27 დღის განმავლობაში, შემდეგ ავადმყოფობას ისევ შეუქცევია და ხელახლა „ლაზარეთში“ იმყოფება იმავე წლის 4 დეკემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით 19 დღე. აღსანიშნავია, რომ დავითთან ერთად „ლაზარეთში“ იმყოფებიან ქართველი ბავშვები — ამილახვარი და შერვაშიძე. შერვაშიძე გარდაცვლილა და იქვე დაუხაფლავებიათ.

დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში წერს: „მე ორი წლის განმავლობაში ძლიერ სუსტად ვიყავი, მაგრამ იღბლად გადავერჩინი სიკვდილს... ქართველებიდან ჩამოდენიმი ავად ვახლა და გარდაიცვალა“.

დავით კლდიაშვილი მიუხედავად ავადმყოფობისა, სასწავლო საგნებს მაინც საშუალო და კარგ ნიშნებზე აბარებს.

იმ დროს კიევის სამხედრო გიმნაზიაში შემოღებული ყოფილა თორმეტ „ბალიანი“ ნიშნები. დავით კლდიაშვილს 1877—1878 სასწავლო წელს მიუღია შეფასება:

ლეთისმეტყველებაში 8, რუსულ ენაში — 7, ფრანგულ ენაში — 11, გერმანულ ენაში — 8, ალგებრაში — 6, გეომეტრიაში — 9, ბუნებისმეტყველებაში — 8, ისტორიაში — 10.

დავით კლდიაშვილს კიევის ელადიმერის სამხედრო 7 კლასიანი გიმნაზია დაუმთავრებია 1880 წ. ივლისში შემდეგი ნიშნებით:

ლეთისმეტყველება — 10, რუსული ენა — 7, ფრანგული ენა — 7, გერმანული ენა — 7, არითმეტიკა — 8, ალგებრა — 8, გეომეტრია — 8, ტრიგონომეტრია — 8, ანალიტიკ. გეომეტრია — 8, გეომეტრიული ხაზვა — 7, ფიზიკა — 7, კოსმოგრაფია — 7, ისტორია — 11, გეოგრაფია — 9, ბუნებისმეტყველება 8, ხატვა — 12.

გიმნაზიის კომიტეტის დადგენილებით დავით კლდიაშვილს მიენიჭა 1 თანრიგი.

კიევიში სწავლის პერიოდი დავითისათვის მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან სწორედ იმ პერიოდში კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდნენ ნიკო ლომოური, ივანე გაფრინდაშვილი, გ. სამაგლიშვილი (კირიონი), მიხეილ ილურიძე (ცნობილი პედაგოგი) და სხვა, რომლებიც ზმირად ნახულობდნენ დავითს და თავიანთ მზრუნველ ხელს არ აკლებდნენ.

დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში სიამოვნებით იგონებს ნიკო ლომოურთან შეხვედრებს „...ტკბილმა, ალერსიანმა ლაპარაკის კილომ, ლომოურის დამახასიათებელი თვისება რომ იყო, პირდაპირ მომხიბლა და შემაყვარა უზომოდ ეს ადამიანი... ზმირად მკვლავლოდი აკადემიაში და აქ თავის ოთახში ლომოური გვიკითხავდა თავის ახლად დაწერილ ლე'სტებს... დავითს ჯერ კიდევ კიევიში შეუყვარებია ქართული მწერლობა და ისტორია, აქვე უცდია თავისი კალამი, შეუღღგენია საქართველოს მოკლე ისტორია, უწერია პატარა-პატარა კორესპონდენციები გაზეთ „ივერიაში“ დასასტამბლად.



ნოღარ ნაკაშიძე

150 წლის წინათ

1812 წლის 12 სექტემბერს (ძველი სტილით) ვლადიმირის გუბერნიის სოფელ სიმში ვარდაიევა სამამულო ომის გმირი, მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი.

ორმოცდაშვიდი წელი იცოცხლა ბაგრატიონმა, აქედან ოცდაათი სამხედრო სამსახურში გაატარა და სამხედრო იერარქიის უმაღლეს საფეხურს ისე მიადწია, რომ, როგორც ლეიტენანტი ამბობდა, ბოლომდე დარჩა „მებრძოლი, უბრალო, უგავწენო და უინტრიგო გმირთაგმირი“.

პეტრე ბაგრატიონი დაიბადა 1765 წელს, 17 წლამდე იზრდებოდა სამხრეთ რუსეთში, ქალაქ ყიზლარში, რუსეთის არმიის პოლკოვნიკ ივანე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის ოჯახში. ივანეს მამა, ალექსანდრე, იყო შვილი ვახტანგ VI-ის ძმის, ქართლის მეფე იესესი (1725—1727 წწ.). ქართლსა და კახეთში ვერცხლეთიშურაზის გამეფების შემდეგ ალექსანდრე, როგორც ჩანს, იძულებული გამხდარა რუსეთისათვის შეფარებინა თავი. მამის გზას დაადგა ივანეც, რომელიც ყიზლარში დაახლოებით 1762 წლის შემდეგ დასახლებულა.

1782 წლის დამდეგს პეტრე ბაგრატიონი ჩაირიცხა კავკასიის მუშკეტერთა პოლკში სერჯანტის ჩინით. ამ დღიდან მოკიდებული ბოროტების დღემდე 150-მდე ბრძოლასა და ლაშქრობაში მიიღო მან მონაწილეობა, ბრძოლით შემოიარა ჩრდილო კავკასია, თურქეთი, იტალია, შვეიცარია, ავსტრია, პრუსია, პოლონეთი, ფინეთი, შვედეთი, მოლდავეთი და რუსეთი, მიიღო ყველა ჩინი, სერჯანტიდან ინფანტერიის გენერალმდე და დამისახურა დიდი მხედართმთავრის სახელი. განსაკუთრებით ისახელა თავი ბაგრატიონმა მაშინდელი ვერპოის საუკეთესო არმიის—საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ ომებში.

1799 წელს საფრანგეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიქმნა კოალიცია: ავსტრიამ, ინგლისმა და რუსეთმა იტალიიდან ფრანგების

გასადევნად შეკრიბეს 108-ათასიანი არმია (აქედან 22 ათასი რუსი), ჩაუყენეს მას სათავეში 69 წლის მოხუცი ფელდმარშალი ალექსანდრე სუვოროვი, რომელიც 3 აპრილს ჩავიდა ქ. ვერონაში. აქ კვლავ შეხვდა იგი თავის ძველ მოწაფესა და თანამებრძოლს, ამჯეროდ უსტიუვის ევერთა პოლკის ქეთაურს, გენერალ-მაიორ პეტრე ბაგრატიონს. სუვოროვმა მას დაუყოვნებლივ ჩააბარა ავანგარდი და მ. შტრილს დაიწყო შეტევა. 10 აპრილს ბაგრატიონმა აიღო ციხე-სიმაგრე ბრეშია, 12 აპრილს ბერგამო, 15 აპრილს მოხდა ცნობილი ბრძოლა მდინარე ალსთან, ხოლო 17 აპრილს სუვოროვი მილანში შევიდა. ამას მოჰყვა ბრძოლები მდინარე ტრონესთან, მდინარე ტრებიათან, ქალაქ ნოვისთან, სადაც სუვოროვმა დაამარცხა ფრანგების საუკეთესო გენერლები მაკდონალდი, ეუბერი და მორო, და ფრანგები ჩრდილო იტალიიდან განდევნა; ავსტრია-ინგლისის გეგმით სუვოროვი საჭირო აღარ იყო იტალიაში, ამიტომ იგი აიძულეს გადასულიყო ალუბიო შვეიცარიაში და მიხმარებოდა იქ მღვარა რიმსკი-კორსაკოვის კორპუსს. ამასთან; მას აღუთქვეს ყოველმხრივი ხელშეწყობა, მაგრამ სუვოროვმა ვერ მიიღო ვერც სურსათი, ვერც ზუსტი მარშრუტი და საკუთარ თავსა და არმიას მინდობილი, 10 სექტემბრის წვიმიან დილას შეუდგა ალუბის პირველ ფერდობებს, ავანგარდს კვლავ ბაგრატიონი მიუძღოდა.

სუსხსა და ქარბუქში, მოწინააღმდეგესთან გამუდმებულ ბრძოლაში, ნახევრად შვიგირა და ტრეველა არმიამ გადალახა სენგოტარდის, როსშტოკის, ბრაველის, გლარისისა და პანიქსის ქედები და 26 სექტემბერს ჩავიდა შვეიცარიაში, ქალაქ ილანცში.

იტალიის კომპანია სუვოროვის გენიის გვირგვინი იყო. დღია პეტრე ბაგრატიონის დამსახურება ამ გამარჯვებაში, სუვოროვმა მას, როგორც თავის მარჯვენა ხელს, საკუთარი დაშნა აჩუქა, ხოლო კლაუზევიცმა ამ კანაწიის



საუკეთესო გენერალი უწოდა სუვოროვის შემდეგ.

1805 წელს საფრანგეთის აგრესიის ასალაგმვად შეიქმნა მესამე კოალიცია, რომლის აქტიური წევრები კვლავ ავსტრია და რუსეთი იყვნენ.

10 ავგისტოს რუსეთის არმიამ კუტუზოვის სარდლობით ავსტრიის საზღვარი გადალახა და გაემართა ავსტრიელთა არმიისთან შესაერთებლად, რომელიც ქ. ულშში იდგა გენერალ მაკის სარდლობით. ნაპოლეონი, რომელიც ბულონში იყო და ინგლისის დასაპყრობად ემზადებოდა, დაუყოვნებლივ გამოეშურა მოკავშირეების შეერთების ხელის შესაშლელად. 8 ოქტომბერს მან აიძულა მაკი დანებებულიყო, რის შემდეგ კუტუზოვს მოუბრუნდა. რუსეთის არმიას ელოდა ოთხჯერ ჭარბი მოწინააღმდეგის ვარსემორტყმა. კუტუზოვმა სწრაფად დაიწყო უკან დახევა, რათა რუსეთიდან მომავალ ბუქსგვედენის კორპუსს შეერთებოდა. ფრანგებმა აიღეს ვენის ხიდი და გზა მოუჭრეს მას. მაშინ კუტუზოვმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — შეეწირა მსხვერპლად არმიის ნაწილი, შეჩერებინა მოწინააღმდეგე მანამდე, სანამ არმია გაზის ამ მონაკვეთს არ გაივლიდა. ამ ამოცანის შესრულება კუტუზოვმა დაავალა არმიის არიერგარდის სარდალს პეტრე ბაგრატიონს.

ბაგრატიონმა, რომლის რაზმი 6 ათასამდე კაცს და 12 ქვემეხს ითვლიდა, ბრწყინვალედ შესრულა დავალება. 4 ნოემბერს დაიწყო შენგაბენის ბრძოლა. ბაგრატიონს უტევდა მიურატის, სულტისა და ლანის 80-ათასიანი კორპუსი. გვიან ღამით ბაგრატიონმა გაარღვია ალყა და 7 ნოემბერს შეუერთდა კუტუზოვის არმიას. ბრძოლის ველზე დარჩა 2.402 კაცი და მთელი არტილერია. ამ უმავალთო ბრძოლისათვის ბაგრატიონს მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. მოკავშირე იმპერატორებმა იგი უმაღლესი ორდენებით დააჯილდოვეს.

1808 — 1809 წწ. ბაგრატიონი მონაწილეობს შვედებთან ომში, აქ მისი მეთაურობით ჩატარა ცნობილი ლაშქრობა ყინულზე. როდესაც ბაგრატიონის 15-ათასიანმა კორპუსმა ყინვასა და ქარბუქში გადალახა ბოტინის ყურე, აიღო ალანდის კუნძულები, რომელსაც 10 ათასი მეომარი იცავდა, მიაღწა შვედეთის ქალაქ გროსელჰამს და აიღო იგი. შვედები დაუყოვნებლივ დათანხმდნენ საზავო პირობებზე, ხოლო ბაგრატიონს მიენიჭა ინფანტერიის გენერლის წოდება და დანიშნული იქნა თურქეთის წინააღმდეგ მოქმედა ე. წ. მოლდავეთის არმიის მთავარსარდალად, სადაც გაემგზავრა კიდევაც 1809 წლის 1 ივლისს.

ბაგრატიონმა ჩაიბარა უნებისყოფო მოხუცი ფელდმარშლის პროზოროვსკის მემკვიდრეობა—

არაორგანიზებული, სუსტად მომარაგებული არმია. ამავე დროს მის წინაშე იდგა ამოცანა— დაუყოვნებლივ დაეწყო შეტევა დუნაის მარჯვენა ნაპირზე და აეძულებინა თურქეთი. ზავი დაედო. ასეთი იყო იმპერატორის მოთხოვნა.

ბაგრატიონი ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმეს. 14 ავგისტოს მან დაიწყო შეტევა, აიღო ციხე-სიმაგრეები მაჩინი, გირსოვი, კუსტენჯი, იზმაილი, ბრაილოვი, ხოლო რასევატთან სასტიკად დაამარცხა თურქეთის არმია. ამასობაში დადგა ზამთარი და თავი იჩინა არმიის მოუმზადებლობამ, რამაც ბაგრატიონი აიძულა დაეტოვებინა ციხეებში გარნიზონები და ზამთრის განმავლობაში მოემგზავდებინა არმია ვადამწყვეტი შეტევისათვის.

ბაგრატიონმა შეადგინა საომარი მოქმედება გეგმა, რომლის შესახებ ამ ომის ისტორიკოს ა. პეტროვი წერს: „თუ შევადარებთ ამ გეგმას ყველა სხვა, მანამდე სისრულეში მოყვანილ გეგმას, არ შეიძლება სრული უპირატესობა არ მივანიჭოთ მის ფართო პირობონტს, მოსაზრებათა სისწორესა და მოქმედების სითამამეს. თავად ბაგრატიონის გეგმა, მკირე შესწორებებით, შეიძლება გამოგვეყენებინა უკანასკნელი ომის (1878—1879 წწ.) დროსაც“. მაგრამ აღუქმანდრე პირველი უქმაყოფილო იყო ომის გაუიანურებით, რაც იუკადრისა ამაყმა ბაგრატიონმა და გადადგა მთავარსარდალის პოსტიდან.

1812 წლის 12 (24) ივნისს, ომის გამოუცხადებლად, ნაპოლეონის 440-ათასიანმა არმიამ დაიწყო მდინარე ნემანის — რუსეთის იმპერიის დასავლეთ საზღვრის — ვადმოლახა (სულ ომის განმავლობაში, რუსეთში შემოვიდა მოწინააღმდეგის 610 ათასი მებრძოლი).

ამ უზარმაზარ არმიას, რომელსაც მოუძღოდნენ ბრწყინვალე სარდლები და რომელთაც სათავეში ედგა გენიალური მხედართმთავარი, წინ ედგა 220 ათასი რუსი ჯარისკაცი.

ყოველი ომის წინ ნაპოლეონს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდა მოწინააღმდეგის სარდლები და არმიის ხელმძღვანელობის ორგანიზაცია. ამ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, ნაპოლეონი დამაკმაყოფილებელ სურათს ხედავდა: ერთადერთი კარგი გენერალი, ამბობდა იგი, ბაგრატიონია, მაგრამ ის არ ასრულებს ვადამწყვეტ როლს; მასზე ნაკლებნი იყვნენ ბენიგსენი, კუტუზოვი, რომელიც დამარცხდა აუსტერლიცთან, მაინც წინდახედული ციხეირი ზელაღია, მაგრამ ისიც ჩამოშორებულია საქმეს.

რაც შეეხება მთელი საკითხს, აქ ნაპოლეონი უფრო ოპტიმისტურ დასკვნას აკეთებდა და საკმაოდ საფუძვლიანადაც: რუსეთის არმია ომის დაწყებისას გაყოფილი იყო სამ ნაწილად— დასავლეთის პირველი არმია სამხედრო მინისტრის ბარკლეი დეტოლის სარდლობით განლა-

გებულები იყო ჩრდილოეთ ბელორუსიაში, მეორე არმია პეტრე ბაგრატიონის სარდლობით იდგა სამხრეთით, ველკოვისკის რაიონში, ხოლო მესამე, ტორმასოვისა, 200 კმ-ით იყო დაშორებული ბაგრატიონს. საომარი ოპერაციების გეგმის მიხედვით, რომლის ავტორი იყო პრუსიელი „თეორეტიკოსი“ გენერალი ფული და რომელსაც მხარს უჭერდა პრუსიელი სკოლის თავიანთისმცემელი ალექსანდრე I, პირველი არმია დაიხვედა წინასწარ გამაგრებული ბანაკისკენ და იქ გაუმართავდა ბრძოლას მტერს, მეორე არმია იმორქმებდა მოწინააღმდეგის ფლანგებსა და ზურგში, ხოლო მესამე დაიკავდა ბაგრატიონის ფლანგს. ამ გეგმის ავტორები გამოეპირონ ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი — რომ მათ წინ იდგა ნაპოლეონი, რომელიც არასოდეს არ სჩადიოდა იმას, რასაც მოწინააღმდეგე მოელოდა; არასოდეს არ უწევდა ანგარიშს მოწინააღმდეგის სურვილს და შესანიშნავად ესმოდა რა სურდა თვითონ. ასეუ მოხდა. უნიჭო სტრატეგები არ ფიქრობდნენ, რომ ნაპოლეონს შეეძლო ორად გაეყო თავისი უზარმაზარი არმია და ცალკე გაენადგურებინა რუსეთის არმიები. გენერალმა პაულმაიმ, რომელიც გამოირჩეოდა თავისი მორტირებლობით, პირდაპირ განუცხადა იმპერატორს ალექსანდრეს: „რაც შეეხება, ხელმწიფეო, იმ კაცს, რომელმაც გირჩიათ აქ დაბანაკება, მისთვის, ჩემი აზრით, არსებობს ორი ადგილი: ყვითელი სახლი ან სახარბოელა“. ამ გეგმის უაზრობა იმდენად ნათელი იყო, რომ ბარკლემი დაუყოვნებლივ დაიხია ვიტცესკის მიმართულებით, რათა შეერთებოდა ბაგრატიონს და ერთობლივი მოქმედებით შეეჩერებინათ ფრანგების წინსვლა. 17 ივნისს ბაგრატიონმა ცდილობდა დაეჭირებინა მტერი, მაგრამ ბაგრატიონმა ოსტატური მანევრებითა და კონტრდატყვებით (ბრძოლები მირთან, რომანოვსა და სალტანოვასთან) გამოიყვანა არმია მრისხანე დაეუს მარწუხებიდან და 22 ივნისს, სმოლენსკთან შეუერთდა ბარკლემს. იმ, რას წერდა ამ დაშკრობის მონაწილე, მე-2 არმიის 26-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალი პასკევიჩი: „ჩვენი არმიის ღირსსახვოარი უკანდახვეა რიცხობრივად უსაზღვროდ ძლიერი ნაპოლეონის წინაშე რუსეთის ჯარის უპირატესობის უშავალითო დასაბუთება. მე-2 არმია ყველაფრით უნდა უმადლოდეს თავის მთავარსარდალს ბაგრატიონს, მან შესძლო შთაენერგა ჩვენთვის უძლეველობის სული“.

ორი არმიის შეერთებით დამთავრდა ომის

პირველი ეტაპი, ქვეყნის სიღრმეში დახვეტილი მიღწეული იქნა ორი მიზანი: ჯერ ერთი, შეერთდა ერთმანეთს მოწყვეტილი ორი არმია და, მეორე ნაპოლეონის უზარმაზარი ძალები იძულებული იყვნენ მოდებოდნენ არანაკლებ უზარმაზარ ტერიტორიას. თუ ომის დასაწყისში ძალთა თანაფარდობა 3:1 იყო ფრანგების სასარგებლოდ, სმოლენსკთან ეს შეფარდება 5:4-მდე დავიდა. უკვე შეიძლებოდა და საჭიროც იყო მტერთან გენერალურ ბრძოლაზე ფიქრად, ამას მოითხოვდა არმია, ამას მოითხოვდა რუსეთის საზოგადოებრიობა, ამას მოითხოვდა ვითარება. მაგრამ ბარკლემი და-ტოლმი, რომელიც, ექვს ვარსება, ქვეყანი და კეთილდინდობისიერი გენერალი იყო, ალღო ვერ აღუღო შექმნილ ვითარებას, ყოველ შემთხვევაში მან ვერ გაბედა ნაპოლეონთან შეხების პასუხისმგებლობა ეტერითი ისტორიული საბუთებით, კერძოდ, მისივე წერილებით მტერიცხდა, რომ ის გრანობდა გენერალური ბრძოლის აუცილებლობას, მაგრამ არ ეყო გამბედაობა ბოლომდე მიეყვანა საქმე. ასე მოხდა სმოლენსკთან, მდ. უესთან; ბარკლემის დილით გადაწყვეტილი ჰქონდა მტერთან შეხება, შუადღისას უკვე ყოყმანი დაიწყო, ხოლო საღამოს საერთოდ უარი თქვა ბრძოლაზე. იგივე გამეორდა სიფ. ფედორსკისა და ცარევი-ზაიმშიჩისთან.

ბუნებრივი იყო, რომ სუვოროვის საუკეთესო მოწაფე ბაგრატიონი ვერ ფარავდა უკმაყოფილებას. მის აღშფოთებას იზიარებდნენ რუსეთის არმიის საუკეთესო სარდლები — რაევსკი, დონხტოვი, ენობოლოვი, კუტაისოვი, პლატოვი და სხვები.

18 აგვისტოს არმიაში ჩავიდა 67 წლის ცალთვალა მოხუცი მიხეილ ილარიონის ძე გოლუნიშჩევი-კუტუხოვი და ჩაიბარა არმია. კუტუხოვის დანიშვნა მთავარსარდალად შემთხვევითი არ იყო. რუსეთის საზოგადოებრიობას, არმიასა და ხალხს სწამდათ მისი, მან არაერთგზის დაამტკიცა, რომ დიდი მასშტაბის სამხედრო სტრატეგი იყო. 1812 წლის კამპანია კუტუხოვის სამხედრო ხელოვნების შესანიშნავი მაგალითია.

იმპერატორს არ უყვარდა კუტუხოვი, რადგან ის ხმაილა ამხილებდა არმიაში პრუსიული სისტემის დანერგვას და პარადომიანას, რომლის თაყვანისმცემლებიც იყვნენ ალექსანდრე და მისი ფაეორიტი არაქვეყვე. გარდა ამისა, კუტუხოვი არ ცნობდა — განსაკუთრებით აუსტრალიციის შემდეგ — ალექსანდრეს სამხედრო ნიჭს, რაც სასტიკად შეურაცხყოფდა იმპერატორს: „საზოგადოებამ მოისურვა მისი დანიშვნა, მე დავნიშნე: რაც შემიხება პირადად მე, ხელები დამიბანია“, — წერდა ალექსანდრე თავის დას.



არმიის განწყობილება მკვეთრად შეიცვალა. ჯარისკაცები ვერ შეყაროთ უკანდახვევის ბრძანებამაც, მათ სწამდათ, რომ მოსკოვს უმორად არ დათმობდნენ. 22 აგვისტოს რუსეთის არმია დაბანაკდა ბოროდინოს მიდამოებში, რათა გავმართათ ბრძოლა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდნენ რუსებიც და ფრანგებიც: რუსების რვა კილომეტრის სიგრძის პოზიცია სოფ. მასლოვოსთან იწყებოდა, მიჰყვებოდა მდინარე კოლონის მარჯვენა, გაბატონებულ ნაპირს, გაივლიდა სოფლებს: გორკის, ბოროდინოსა და სემისნოვსკის და ებჯინებოდა მწველვასა და დაცივისათვის მოუხერხებელ უტიციის ტყეს. ცენტრსა და მარცხენა ფლანგზე იყო ორი ბორცვი — კურგანაია, შემდგომ რაევსკის ბატარეის სახელით ცნობილი, და სემიონოვსკის, რომელზედაც აღმართული იქნა სამი მიწყაყრილი (ფლუმი).

პოზიციის სისუსტე მდგომარეობდა შემდეგში: თუ მარჯვენა ფლანგი უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი დამრკოლებებით, მარცხენა ფრთა დაუცველი რჩებოდა. კუტუზოვი იმპერატორს სწერდა: „ამ პოზიციის სუსტი ადგილი მარცხენა ფლანგია და მე შევეცდები ეს ხელოვნებით გამოვასწორო“.

24 აგვისტოს რუსეთის არმია, 120 ათასი კაცი და 640 ზარბაზანი, განლაგდა ამ პოზიციაზე... იმავე დღეს გამოჩნდნენ ფრანგებიც. ნაპოლეონი დაიწყებდა, რომ რუსები, როგორც იქნა, შეჩერდნენ და თვითონაც შეუდგა მზადებას. მან ბრძანა, აეღოთ სოფლები ფონკინა, ალექსინკა, დორონინო, შევარდინოს რედუტი, რომლებიც ხელს უშლიდნენ მისი ძალების გაშლას.

დღის 2 საათზე დაიწყო ე. წ. შევარდინოს ბრძოლა, რომელმაც მალე გააფთრებული ხასიათი მიიღო. რედუტი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში, ბოლოს, საღამოს 10 საათზე, კუტუზოვმა ბრძანა მისი დატოვება. ამ ხნის განმავლობაში რუსებმაც მოასწარეს ძირითად პოზიციებზე განლაგება.

25 აგვისტოს საღამოს ნაპოლეონის მთელი არმია — 130 ათასი კაცი 587 ზარბაზნით — რუსების ცენტრისა და მარცხენა ფლანგის წინ იდგა. ნაპოლეონმა შეკრიბა სარდლები და დაუსახა მათ შემდეგი გეგმა: პონიატოვსკის უნდა აეღო სოფ. უტიცა და შემოეეღო რუსების მარცხენა ფლანგისთვის, დაეუს სამ დივიზიას, ამავე დროს ნეის, ჟიუნოსა და მიურატს კავალერიის სამი კორპუსით უნდა შეეციათ სემიონოვსკის სიმაღლისათვის, დაეუს ორ დივიზიას, ბოგარნის კორპუსსა და გრუშის საკავალერიო კორპუსს უნდა დაეჭირათ სოფ. ბოროდინო და შემ-

დეგ მიბრუნებოდნენ ცენტრს. გვარდია რჩებოდა რეზერვში. შეტევას მარცხენა ფლანგზე მოამზადებდა 102 ზარბაზანი.

რუსეთის არმია განლაგებული იყო შემდეგნაირად: მარჯვენა ფლანგი რაევსკის ბატარეამდე ეჭირათ 1-ლი არმიის ჯარებს — 3 ქვეითსა და 3 საკავალერიო კორპუსს; ბატარეის მარცხენა ბაგრატიონის არმიამ დაიკავა პოზიცია — აქ 2 ქვეითი და ერთი საკავალერიო კორპუსები იდგნენ. გარდა ამისა, ატამან პლატონის კაზაკების 9 პოლკი ბარკლას ჰყავდა რეზერვად, ხოლო კარპოვის 6 პოლკი — ბაგრატიონს. საერთო რეზერვში კუტუზოვს ჰყავდა ორი ქვეითი კორპუსი და კირასირების ორი დივიზია. მოგვიანებით მთავარსარდალმა უტიციის ტყეში ჩააყენა ტუჩუკოვის მე-3 სარეზერვო კორპუსი და მოსკოვის 7-ათასიანი სახალხო რაზმი.

მარცხენა ფრთის სისუსტე იმდენად აშკარა იყო, არც ნაპოლეონს, არც კუტუზოვს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ძირითადი ბრძოლა აქ უნდა მომხდარიყო. ეს იმიტად მტიცილებოდა, რომ მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ ნაპოლეონმა მიმართა თავისი საუკეთესო შენაერთები მარშლებით და რომ მარცხენა ფლანგის დამცველებს სათავეში ედგა „გაუფელი გენერალი“ — პერტე ივანეს ძე ბაგრატიონი.

26 აგვისტოს (7 სექტემბრის) დილის ექვსის ნახევარზე შევარდინოს რედუტის მხრიდან გაისმა ზარბაზნის გასროლა. გავიდა რამდენიმე წუთი და... ბოროდინოს ველი გამაყრუებელი საარტილერიო ცეცხლმა შეძრა. 6 საათზე გენერალ დალზონის დივიზიამ შეუტია სოფ. ბოროდინოს, რომელიც ბარკლას ზონაში შედიოდა და სისხლისმღერელი ბრძოლის შემდეგ აიღო იგი. მაგრამ ეს იყო ნაპოლეონის მოჩვენებითი მანევრი. დალზონის შეტევასთან ერთად დაეუბ დაიწყო შეტევა ბაგრატიონის წინააღმდეგ. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა აიღეს ფლუმები. მაგრამ ენერჯიული კონტრ-შეტევის შედეგად ფრანგები უკუფლებული იქნენ. დაჭრილი დაუე ხელით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან, გენერლები კომპანი და დესეს მძიმედ დაიჭრნენ.

7 საათზე გაიშალა ნეის კორპუსი და შეტევაზე გადავიდა, ნახევარი საათის შემდეგ კ დაიწყო მზადება ჟუნოს კორპუსსა. ბაგრატიონისათვის საბოლოოდ ცხად გახდა, რომ ნაპოლეონმა სწორად განსჭირბა რუსების სუსტი ადგილი. მან დაუყოვნებლივ გამოითხოვა ტუჩუკოვისაგან კონოვნიცინის დივიზია, ხოლო რაევსკისაგან — ნახევარი მისი ბატალიონებისა. იმავედროულად კუტუზოვმაც დაძრა მამუელი ძალა მისკენ. ეს გადაადგილებანი ჯერ არ დამთავრებულიყო, როცა ნეიმ დაიკავა ერთი



ფლში, მაგრამ ნევეროვსკიმ უკუაგლო იგი. ამ ბრძოლაში განადგურდა ვორონოვის გრენადერთა დივიზია — 4.000 კაციდან ცოცხალი დარჩა 300 („იი არ დამარცხდა, განადგურდა!“ — შეუსწორა ვორონოვმა ერთ-ერთ ადიუტანტს).

9 საათზე ფრანგები კვლავ შევირდნენ ფლესებზე, მაგრამ ბაგრატიონმა კვლავ დაიბრუნა სიმაგრეები, რათა 10 საათზე ისევ დაეკარგა აქ მას მოუსწორა კონოვინცინმა და კირასირთა პოლკებმა, რომელთაც ფლანგიდან შეუტრეს და უკუაგდეს ფრანგები. უკვე 11 საათი იყო, ნაპოლენის ველარ ფარავდა თავის უქმყოფილებას. იგი უქმეხად ისტუმრებდა დამამარე ძალის მთხოვნელი მარშლების ადიუტანტებს და კატეგორიულად მოითხოვდა ამოცანის შესრულებას. მან ბრძანა ბაგრატიონის წინააღმდეგ მოქმედი ზარბაზნების რიცხვი გაეზარდათ 400-მდე. 1,5 კმ ველი იცხრალებოდა 700 ზარბაზნის ცეცხლით. მიუხარტმა შეტევებზე გადმოიყვანა უკანასკნელი რეზერვი — ფრანის დივიზია. ამ დივიზიის ერთი პოკლი შეტევაზე გადმოვიდა მწყობრი რიგებით, გაუსროლულად. რუსების გამანადგურებელი ცეცხლი ცელავდა მათ რეგებს.

„ბრავო! ბრავო!“ — შესძახა ფრანგების მამაკობით აღტაცებულმა ბაგრატიონმა და გასცა ბრძანება ხიშტით შეხედროდნენ მათ. და ა, მოწინააღმდეგენი გააფთრებით ეძგერნენ ერთმანეთს, აირივნენ და დაიწყო უმოწყალო ჩხეხვა; არტილერია უკვე ველარ არჩევდა მოწინააღმდეგეს და ფინთისს ამ შემადარწუნებელ მასს უშენდა.

ბრძოლის ამ კულმინაციურ მომენტში ბაგრატიონს ყუშბარის ნამსხვრევი მოხვდა მუხლს ზემოთ. იგი ცოტა ხანს ცდილობდა არ შეეჩინა ჭრილობა, მაგრამ სისხლის დაკარგვამ დაასუსტა და ნელა გადმოესვენა ცხენიდან ამაღის ოფიცრების ხელეშზე. როდესაც კუტუზოვის მოახსენებდა ბაგრატიონის დაჭრა, საერთოდ ინერტულმა და მშვიდმა მთავარსარდალმა ვერ შეიკავა თავი მწუხარე შეძახილისაგან. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ბაგრატიონის მწყობრიდან გამოხვდა გამარჯვების სასწორის გადახრას ნიშნავდა. ასეც მოხდა. ამ იეროშის შედეგად ფრანგები დამკვიდრდნენ ფლესებზე. საქმე ის არ იყო ამბობს ავად. ე. ტარლე, რომ ჯარს მისებრ არავინ უყვარდა; ჯარს სწამდა მისი უძლიერელობა და მისი მწყობრიდან გამოსვლასთან ერთად გაჭრა გამარჯვების რწმენა. ამასვე ადასტურებენ ომის მონაწილენი — ეროლოვი გლიენკა, სენ-პარი და სხვანი.

ბაგრატიონის შემოქმედვალ კუტუზოვმა დონტუროვი გაგზავნა, მაგრამ ვიდრე ის მივიდოდა, კონოვინცინმა გადმოიყვანა ჯარი სემიონოვსკის ზეზე და მოახერხა შეეჩერებინა ფრანგების

შემდგომი წინსვლა შეტევის გასავითარებლად. თუმცა ამ შეტევის შედეგად — რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ნეის კორპუსი, ფრიანის დივიზია, ლატური-მობურისა და ნანსუტის საკავალერიო კორპუსები — რუსების მარცხენა ფლანგი მოშლილი იქნა, ფრანგებს აღარ ეყოთ ძალა ბოლომდე მიეყვანათ საქმე. ნეი და მიურატი განუწყვეტლოვ აგზავნიდნენ ნაპოლენთან ადიუტანტებს და დახმარებას თხოვდნენ, მაგრამ ნაპოლენი არ ეზებოდა გვარდას და დაუზნებით მოითხოვდა ამოცანის შესრულებას საკუთარი ძალებით.

ამვე დროს, დაახლოებით 10 საათზე, ბრუსიეს დივიზიამ დაიწყო რაევსკის ბატარეის იერიში, მაგრამ უკუგდებულ იქნა. 11 საათზე მან დაიხმარა მორანის დივიზია, გაანახლა შეტევა და სძლია ბატარეა. ამ მომენტში აქ აღმოჩნდა 1-ლი არმიის შტაბის უფროსი ეროლოვი, რომელმაც მიაბრუნა შეტევაზელი ჯარისკაცები, გაუძღვა წინ და შეტევებზე გადაიყვანა. ზოვიერთი დამსწრის ცნობით, ეროლოვმა იერიშის წინ ამოიღო მუჭით გიორგის ჯერები და ჯარსაკცთა მისაზიდად ბატარეისაკენ ისროლა, რუსებმა კვლავ დაიპყრეს ბატარეა.

ნაპოლენი უკვე აპირებდა „ახალგაზრდა გვარდიის“ ბრძოლაში ჩაბმას, როცა მასთან მიიჭრა ადიუტანტი ყვიროლით: „რუსები, თქვენო უდიდებულესობავ! რუსებმა ზურგსუკან მოგვიარეს!“. როცა პოზიციის ცენტრი ფრანგების მძლავრი იერიშით შედრკა, კუტუზოვმა გადაწყვიტა უფაროვის ცხენოსნებისა და პლატოვის კახავეგის გაგზავნა მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგის შემოსაყვლად, რათა მტრის ყურადღება გადაეტანა ცენტრიდან. ეს მანეერი ბრწყინვალე აღმოჩნდა. მართალია, უფაროვმა და პლატოვმა ვერ მიაღწიეს რაიმე რეალურ შედეგებს, მაგრამ ამ დროულმა რეიდმა აიძულა ნაპოლენი რეზერვების გამოყენებაზე უარი ეთქვა. რითაც რუსების არმია სერიოზულ უსიამოვნებას გადაარჩა. ამ რეიდმა ფრანგების ფრონტალური შეტევა ორი საათით შეაჩერა. დღის სამ საათზე ნაპოლენმა შეტევის განახლება ბრძანა. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა, როგორც იქნა, ეს სიმაგრეც აიღეს. უკანდახეულ რუსებს ნაპოლენმა კავალერია დაადგინა, მაგრამ მას რუსი ცხენოსნები შეეკებნენ, 4 საათისათვის ბრძოლა თითქმის შეწყობა. მხოლოდ ზარბაზნების ქუხილი არ წყდებოდა. აქა-იქ იფეთქებდა ხოლმე შეტაკება. მალე ჩამობნეულა. ფრანგებმა თავის პოზიციებზე დაიხიეს.

ასე დამთავრდა ეს ბრძოლა, რომელიც კუტუზოვს მიაჩნდა „ყველაზე სისხლისღვრულ ბრძოლად, რომელიც კი უახლოეს პერიოდში მომხდარა“. ბორჟინოს ბრძოლით შეიძლება



დაიწყო ნაოლეონის განადგურების ისტორია. აქ ჩაეყარა საფუძველი იმ გზას, რაჟელმაც ეს გენიალური დამპყრობელი ვატერლომდე მიიყვანა და ევროპის დამონებული ხალხები ბოხპარტეს ბატონობისაგან გაათავისუფლა. ამ ბრძოლის წმინდა სამხედრო თეორიის პოზიციებიდან შეფასება მცდარი იქნებოდა, ბოროდინომ შესარტულა თავისი მისია — რუს ხალხს და არმიას მან მოუტანა უდიდესი მორალური გამარჯვება და რწმენა, რაც მოსკოვის დატოვებამაც ვერ შეარყია. ეს კარგად ესმოდა ნაოლეონსაც, რომელიც სიხარულით შეხვდა რუსების უკან დახვევის ცნობას. შეიძლება მას კარგად არ ესმოდა, რომ 26 აგვისტოს იგი სასიკვდილოდ დაიჭრა. მაგრამ წინათგანძობა აწუხებდა. მხოლოდ პირველ სექტემბერს, როცა პაკონნაიას სიამღევებიდან მან დანახა ქალაქი, „რუსეთის გული“, მზით გაბრწყინებული კრემლის კოშკები, სადაც მას ელოდებოდა დასვენება და იქნებ ზავიც — ბოროდინოს კონსპარს ბურჟუა ვადაფვარა.

ჯერ კიდევ არ მიჩუმებულყვენ ზარბაზნები ბოროდინოს ველზე. მაგრამ კუტუზოვი არ მალავდა თავის კმაყოფილებას ბრძოლის შედეგებით. და როცა მასთან მივიდა ბარკლას ალიუტანტი და სამხედრო მინისტრის სხელით (რომელიც, სხვათა შორის, წერდა ცოლს: — თუ ბოროდინოსთან მთელი არმია არ განადგურდა, მე ვარ მხსნელი!) მოახსენა, არმია დეზორგანიზებულია და რუსებმა წააგეს ბრძოლა, კუტუზოვი აღშფოთდა და საქაოლ უხეშად გაისტუმრა მაცნე. უფრო მეტიც, მან იქვე გასცა ბრძანება, რათა არმია მომზადებულიყო მეორე დღეს შეტევაზე გადასასვლელად. მხოლოდ დამის 11 საათზე, როცა დობტროვმა და რაევსკიმ მოახსენეს, რომ არმიის დანაკლისი შეადგენდა 58 ათას კაცს, მათ შორის 21 გენერალს, კუტუზოვმა ხელი აიღო. ამ ვანზახვაზე. ს. ფილიპოვი გამართულ ცნობილ სამხედრო თათბირზე უკანდახევა მოიხიოვენ ბარკლაი დეტოლმ, რაევსკიმ, ოსტრომანნამ; შებრძოლება — ბუნიავენსმა, დობტროვმა, ვერპოლოვმა და სხვებმა. კუტუზოვმა ბრძანა უკანდახევა...

ნაოლეონმა მოსკოვი თვეზე ცოტა მეტ ხანს გასძლო. ამოდ ელოდა იგი პარლამენტორებს, რომელთაც სამშვიდობო წინადადება უნდა მიეტანათ. უფრო მეტიც მის ინიციატივას — ე. წ. ლორისტონის სამშვიდობო მისიას დუმლით

უპასუხეს. ახლოდებოდა მრისხანე რუსული ზამთარი. არმიაში თავს იჩენდა რღვევის ნიშნები. ნაოლეონმა გადაწყვიტა უკანდახევა. და იმ, 7 ოქტომბერს 107-ათასიანი არმია — ჯერ კიდევ საქაოლ მრისხანე ძალა — მოსკოვიდან გავიდა. კუტუზოვმა, რომელიც ზედმეტად თვლიდა ახალი ბოროდინოს მოწყობას, შეეკრა რკალი ფრანგების გარშემო და აიძულა ისინი მათ მიერვე განადგურებული და აზრებელი სმოლენსკის გზით დაეხია. კუტუზოვის არმიამ, სახალხო შურისმგებლებმა — პარტიზანებმა, ყინვამ და შიმშილმა თავისი ჰქნა. „დიდი არმია“ განადგურებული იქნა, ხოლო მისი ნარჩენები, იმპერატორთან ერთად, საზღვარს იქით ვანდევნილი.

1812 წლის ომში რუსების მზარდამზარ ბერი ქართველი იბრძოდა. მრაველი შესანიშნავი ფურცელი ჩაწერეს ამ ომის ისტორიაში გენერლებმა — ძმებმა ივანე და სიმონ ფანულოვიძეებმა, იაშვილმა, ბიბოლოვმა, ჯავახიშვილებმა, რევაზ ბაგრატიონმა, ბარათაშვილმა, პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, მომავალმა დეკაბრისტმა ვანგებაშვილმა და სხვებმა. მაგრამ ომის აღიარებულ გმირად დარჩა პეტრე ბაგრატიონი, რომელსაც აღარ ეწყრა რუსეთის მიწის გათავისუფლების ხილვა.

...დაჭრილ ბაგრატიონს პირველი დახმარება იქვე აღმოუჩინა ექიმმა გოგოროვმა, რის შემდეგ იგი დაუყოვნებლივ გაზხაენეს მოსკოვს. ჭრილობმა უკვე ჩიქმდებოდა. ფეხის ამპუტაცია ერთადერთი გამოსავლი იყო, მაგრამ ვერ შეხედეს და წაიყვანეს მის მამულში, ვლადიმირის გუბერნიის სოფ. სიმში. პირველ სექტემბერს ბაგრატიონმა შეიტყო მოსკოვის დატოვება, რამაც მასზე დიდად იმოქმედა. ოღროჩლო გზამ და მოუხერხებელმა კარტიამ აიადყოფის მდგომარეობა გაუარესა. 8 სექტემბერს მიადწიეს სოფელს; მალე პეტრე ბაგრატიონს ფეხის განგრენა დაეწყო, 12 სექტემბერს იგი გარდაიცვალა. დაკრძალეს სოფლის ეკლესიაში. 1839 წელს მისი ყოფილი ადიუტანტის დენის დავიდოვის მრავალჯობის თხოვნა ყურადიღეს და ბაგრატიონის ნეშტი გადასვენეს ბოროდინოს ველზე, რაევსკის ბატრეაზე. საფლავს ადევს უბრალო ქვა წარწერით:

„ღროებითი ძეგლი პ. ი. ბაგრატიონის საფლავზე. ბაგრატიონის ნეშტი დაკრძალულია ბოროდინოს ველზე 1839 წლის 26 აგვისტოს პარტიზან დენის დავიდოვის წინადადებით“.

ისტორიამ თავისი ხელთუქმნელი ძეგლი აუგო „სასიქადლო მამულიშვილს, დიდ მხედართმთავარს პეტრე ბაგრატიონს.“



გიორგი შერვაშიძე

რომანისტის მნა და ტიპები

ტიპის გამოკვეთილი ხასიათი, მისი საშუალებით მთელი გარკვეული წრისა თუ გჯგუფის აღამიანების დამახასიათებელ თვისება-თავისებურებათა გახსნა, მთავარის დანახვა და მისი ხაზგასმა, ტენდენციის გამახვილებული შინაგანი ხილვა — ყოველივე ეს ისევე დამახასიათებელია მიხეილ ჯავახიშვილისათვის, როგორც ყველა სხვა დიდი მხატვრისათვის.

ჩვენ გვიჩვენებს მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ ტიპიზაციის არა ამ საერთო კანონზომიერებაზე, არამედ იმ მხატვრულ საშუალებებზე, ხერხებსა და მანერაზე, რომელთა გამოყენებითაც მიხეილ ჯავახიშვილი სრულყოფილ ტიპებს ძერწავს და რომლებიც ვანაპირობებენ მისი სტილის თავისებურებას.

მიხეილ ჯავახიშვილი ტიპების მრავალგვაროვანი ხატვის ოსტატია. ტიპის ხატვას იგი სხვადასხვა კუთხით უღვებდა, და ეს თვალსაჩინოდ ვლინდება არა მთლიანად მის შემოქმედებაში, არამედ ერთი რომანის — „არსენა მარაბდელის“ — ფარგლებშიაც. მასში, მაგალითად, სხვა მანერით არის დახატული ზაალი, სხვა ხერხით — არსენა ან სევასტი, სხვა ხატვითი საშუალებებია გამოყენებული მაგდანას ან კარპირას სახეების შექმნისათვის, ისევე როგორც სხვაგვარი მიდგომა იგრძნობა არლოვის ტიპური თავისებურებების განხატვებისას და ა. შ.

ზოგ შემთხვევაში ეს არის ლიტერატურული გმირის შინაგან განცდთა ვადმოცემა; შეპირისპირებული მის მოქმედებასთან; ზოგ შემთხვევაში კი — ხერხი ხასიათთა კონტრასტული დამირისპირებისა, რომლის რელიეფზე მკაფიოდ წარმოიქმნება გარკვეული ტენდენცია ხასიათისა; ზოგან შემოქმედი მიმართავს მინიშნებით ხატოვან მტკვებლებს ან სხვათა თვალთ ტიპის თვისებების შემეცნებას, ზოგან აღმწერლობა-ვადმოცემითს მანერას იყენებს ან პერსონაჟის ილუმლ ფიქრებში განასახიფენებს

მის ისტორიასა და დღევანდელ მდგომარეობას და ა. შ.

მაგრამ არც ერთ ამ შემთხვევაში იგი არა თუ არ გამოირიხავს, არამედ განსაკუთრებულ ძალით ავლენს ტიპს მოქმედებაში.

რომანის პირველსავე გვერდებზე, მის ექსპოზიციაში უეცრად მრავალი სახე შემოიღეს. თვითეული მათგანი, რასაკვირველია, თავის ვანეითარებას ჰპოვებს შემდგომში, თანდათან შეივსება სისხლითა და ხორციით. მაგრამ ამ საერთო ფონზე მხატვარი მაინც ასწრებს ზოგიერთი მათგანის, როგორც მთავარი პერსონაჟის, სახის უფრო მკვეთრ მოხაზვას. ესენია — ზაალი, არსენა, კუკუატელი. თვითეული მათგანი, როგორც ექსპოზიციაში, ისე შემდგომშიაც, სხვადასხვაგვარი მანერით დახატული ტიპებია. ამ მხრივ საქმე მხოლოდ ფერების შერჩევა როდია; მთავარია ის ინდივიდუალური, თავისებური ვასალები, რომლითაც უნდა ვახსნას მათი სული, რთული ფსიქოლოგიური სამყარო. ამიტომ არის, რომ შემოქმედი მიმართავს თავის პერსონაჟთა არა მარტო გარეგნულ თავისებურებათა ხატვას, არამედ მათი შინაგანი ვანცდების ვახსნა-ვადმოცემას. გარეგნობის შტრიხს მწერალი მხოლოდ დამატებით, დამხმარე ელემენტად იყენებს ტიპის შინაგანი სამყაროს ვახსნისათვის.

ზაალ ბარათაშვილის პორტრეტის ხატვას მწერალი იწყებს ამ პერსონაჟის დამოკიდებულებით ყოველივე იმისადმი, რაც მის გარემოში ხდება. პერსონაჟის შინასამყაროდან ხილული და შეფასებული მოვლენა და ფაქტი, წარსულის მოვონება თუ სხვათა ხასიათების მისეული ათვისება, — ყოველივე ამის ვანხატოვებული კომპლექსი უკვე ჰქმნის მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ფეოდალის ტიპურ სახეს.

პირველად მას ვხვდავთ ვაცხარებულს მარადეული ფალავნების მოულოდნელი მარცხით.



ეს მას წარსულს აგონებს და მისი პირით თუ ნაზარევით ვარდასული დიდების სურათებს გადმოაშლევინებს, რომელთა ფონზეც ახლანდელი ბატონი გადაგვარებულად მოსჩანს.

ასეა გახსნილი ზაალის ხასიათი, მისი სული. მაგრამ ტიპის პორტრეტის ასეთი ხატვისას მწერალი მხოლოდ ამით ვერ დაკმაყოფილდება. მისი მთელი არსება რომ უკეთ გვიჩვენოს, მბატარი ასახავს თავისი პერსონაჟის გარეგნობასაც; დაგვანახებს მის „ინგლისურ მადლის შავ კაბას“ და „ლურჯი აბრეშუმის გულისპირს“, თავზე დახურულ მაღალ ყალმუხურ ჩაბნეხილ ბოხოს, ფეხებზე ჩაიშულ კვიტიან თალათინის ჩექმებს“, წელზე ჩამოკიდებულ „ოქრო-ფლეთ მოქვილ ხმალხახალს“, რომელნიც „ათასი წლის ტვირთი და ბავსით იყვ დაქორფილი“.

სხვა მანერით არის მოცემული კუპატნელის ტიპური ნიშნები. ჯერ იგი დანახულია მარაბდის ბატონის თვლით, მისი დამოკიდებულებით ამ „ვიღაც მოთრეული მილიცილისადმი“, რომელიც „იმერეთიდან გადმოსულა, სოფელ კუპატანში დასახლებულა და აღიკებს ეომება. ეხლა კი ზაალის შესარცხვენად ამოუყვანიათ საბარათიანოში და მის ფალაენებს საქვეყნოდ უტეხავენ სახელს“.

ზაალის ამ განაფიქრით შესრულებულია მოკლე ექსკურსი პერსონაჟის ისტორიაში. ხოლო ამის შემდეგ მას უკვე არსენას თვლით ვხვდებით: „ის ოხერი კუპატნელი ტყვიასავით მოდის და ლელო ღონით გააქვს ხოლმე“, — ფიქრობს მასზე არსენა. „ოცის არსენამ. გიორგი ფეისერაძე ძალიან კარგი მოქიდავეა, მაგრამ მერტისმეტად შურთან, დაუნდაბელი, ანხალი, ავი ადამიანია. არსენას ეს კაცი თრიალეთზედაც და დღეობაშია. უნახავს. ბოლისში, თელეთში, სვეტიცხოვლობას და ალავერდობასაც შეხვდებოდა. წაქცევას ვერ ინელებს“.

ასე ხედავს მას არსენა.

გზირს კი კუპატნელში არსენას მერტოქე დაუნახავს: „მოვიდა თუ არა ის ოხერი, მაშინვე მარინეს დაადგა თვლი. ამბობენ, ზაალს დიდ ფულს შეაქაღესო“, — ეუბნება იგი მარაბდელს.

ამგვარად მოიყვანა მწერალმა თავისი პერსონაჟი უშუალო მოქმედებაში და მარაბდელს შეაბა, ხოლო ამის შემდეგ მისი ოდნავი პორტრეტული შტრიხი გააღო: „არსენაზე ოდნავ დაბალა, სამაგიეროდ უფრო სრული, ჩატყვიებული და უკისროა. მისი ქორული წამოსვლა, რიხიანი შემოტევა, ფახი და ბუქი მოპირდაპირეს უმალვე აფრთხობდა, სულიერად აღუნებდა და სჯაბნინდა“.

არსენა კი, ძირითადად, ხილულია უშუალოდ მბატარის მიერ და ხატვის ამ პროცესში გათ-

ვალისწინებელია ხალხის თვალთახედვა, მისი დამოკიდებულება თავისი გმირისადმი; ნაჩვენებია, რა იმედი აქვს ხალხს მისი, რა რწმენით შეჰყურებს: „თავმოშვებული ცხენი მხედარს ისე მოურიდებლად მოჰყავდა კარგისკენ, თითქოს მის გარღვევას და ბატონების გაძანას აპირებდაო“; „არსენამ ბოძივით დაარქო ცხენი და გადმოხტა, ისე გადმოხტა, რომ ვერავინ ვერ შეამჩნია, ცხენი უფრო ადრე შეჩრდა თუ მისი მხედარი გაჩნდა მიწაზე“; „ასევეტილა არსენა უკვე ფეხდაფეხ მიდიოდა ზაალისკენ — ტანვაშლით, ლალად და თამამად მიიბიჯებდა“.

შემდეგ — მცირე დიალოგი ზაალთან და ისევ ამოქმედებული გმირი, რომელსაც ხალხი განსაკუთრებული იმედით შესცქერის და მისი ყოველი ნაბიჯიც კი სიამაყით უხვებს გულს.

ზაალთან, კუპატნელთან, შემდეგ — არლოვთან ურთიერთობაში არსენას სახე სულ უფრო იესება და უკვე რომანის პირველი თავის დასასრულს მკვეთრად განიხიბება მისი დიდი ბუნებაც, რანდული სულიც. სიმტკიცეც; ამტანობა და ამაყი, შემართებითი ხასიათიც. ყოველივე ეს დანახულია ისეთი მოვლენებით თუ დეტალებით, როგორცაა: ზაალთან ჯიქურ მისვლა და უდრეკი ტონი მის სიტყვებში იალღუჯიდან დაბრუნებისას, კუპატნელთან შეშმა და ღირსეული გამარჯვება, დაბლობა მოწინააღმდეგისა; დამარცხებულისკენ გაწვილი ფართო მკლავი და შერჩების შეთავაზება; სიღრმე კუპატნელთან ცხარე შეკამათებისას; ხალხთან ურთიერთობა; დროშის დაკვა არლოვის ხელყოფისგან; ნადირობაში არლოვისა და თავადთა დაჯანება და ა. შ.

ტიპის კონტრასტულ ხატვას მიხილ ვაგახიშვილი სწორად იყენებს ხასიათების გახსნას. აი, მაგალითად, როგორ ღრმად და ფერადონად კონტრასტულია არსენას სახე ერთ ადგილას: „სწორის ხეუჭუა თმაში მუქი ოქროულივლივებდა. სახეზე და მკერდზე ბრწყინვალე მზის შუქი აწეა და იგი ოდნავ წინწამოწეული კენიხით დაჩრდილულ თვალსს, გრძელი წამწამით მოვლებულს, ღიღრონსა და თითქმის შავ თვალსს, უფრო მეტად ამუქებდა, წელი ცეცხლით აკამაყებდა. და ეს ცეცხლი რუსეთი მტკიცე, უდრეკელი და იღუმალი იყო, ვითარცა ორი ამოწეღენილი მახვილი“ (გვ. 17).

აქ მეტფორა ისეა შესიტყვებული გმირის რეალურ გარეგნობასთან, რომ ბუნებისა და ადამიანის ერთობლიობის დიდებულ სურათს ჰქმნის.

არსენას და — ფიქრიაე ერთ ადგილას დახატულია მთვარის შუქზე და კონტრასტის ასეთივე ხერხით: „ოქროს ნაკადულს; ოცის ბუღულივით აეკრიფნა და თავი შავი თაქშალით მოებურნა. სიმაღლით თითქმის არსენას ტოლი



იწებოდა და სახითაც მის ჰგავდა. ისეთივე გამწვანებული და მალალი მკერდი, მოთეთრო კანი, თხელი და მალალი ცხვირი და დიდრონი. თვალები ჰქონდა, სადაც ზაფხულის ცხელი ღამე ციალებდა და გაბედული, თითქმის თავხედური ხასიათი გამოჰქროდა“.

ხორეშანის პორტრეტს უკვე აღარ ახასიათებს ეს ზეაწეული ტონი, რომანტიკულ-მეტაფორული ხანები და სათუთი ნიუანსები. ყოველივე ეს არ შეიძლება მიუღწესო „წარსული საუკუნის ლანდივით“ ჩამჯდარი მოხუცი ქართველი კენიანს სულს. ამიტომაც მისი პორტრეტის ორნამენტირება უფრო მკაცრია, თუმცა ეს პორტრეტიც ასევე კონტრასტულადაა გამოკვეთილი. პორტრეტულ-კონტრასტული ხატვის სახალე აქ ის არის, რომ ამ პროცესს ზოგან უეცრად ჩაერთვის ხოლმე დამატებითი ახსნა, რაც მტ სინათლეს აძლევს და რასაც განვრცობითი ელემენტრ შეაქვს პორტრეტის ერთმომენტიაზობის ასპექტურ ხილვას.

მკითხველი ხედავს კადრის ძირას ძვირფას აბთაკანში მჯდომ ხორეშანს, რომლის მოთეთრო თითებსაც ქარვის კრიალომანი უჭირავს. „ტანზე შვი ხვედრდის ქითბი აცვია, სიასამურის ბეწვით შემოვლებული“. ეს პორტრეტი ერთ მომენტში აღებული სახისა. ამასთან მხატვარს არ აკმაყოფილებს პერსონაჟის ასეთი ერთი მომენტით ხილვა, მაგრამ რადგანაც სურს პორტრეტის ხატვის პრინციპი ბოლომდე დაიკვას, ფრჩხილებში რთავს ამ ბეწვეულის მიღების დეტალს, რომელსაც, მისი აზრით, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ხორეშანის მდგომარეობის და ამასთანავე მისი ხასიათის გახსნისათვის: „ეს ბეწვეული ოცდარვა წლის წინათ რუსის ელჩის კოვალენსკის მეუღლემ მიაჩრთა“. ამის შემდეგ კვლავ გრძელდება პორტრეტის ხატვა: „შუბლზე მუქლურჯი თავსაყრავი ადგას, რომელზედაც პაწაწა პანტის მსგავსი მარგალიტი კიაფობს“, და ისევ ჩართვა — „(მზითევეში მონაყოლი)“. „გათეთრებულ თავზე ხორანის ფარჩის მანდლი აქვს მოხვეული. გულისპირზე ნამეგობრალის დარეჯან დედოფლის ნაწუქარი თხილის-ოდენა ფირუზი ჩაურქვია“ (გვ. 42).

ბოლო ფრაზაში თითქმის ირდევია ამ სახის ხატვის აღებული პრინციპი, რადგან პორტრეტის ჩვენ დავინახეთ მხოლოდ ფირუზს და არა იმას, თუ საიდან განნდა იგი ხორეშანის მოკაზმულობაში. მაგრამ ეს განგებ განხორციელებული დისონანსია, რადგანაც ჩართვა აქ უკვე უფრო დიდი მნიშვნელობის ფაქტის ნათელსაყოფად ესაჭიროება აეტაროს. აი ისიც — „(შემდეგში დარეჯანი და ხორეშანი ერთმანეთს დაპირდნენ, რადგან დიდი ზაალი და მისი შვილი რუსებს მიუდგნენ“. დასასრულს მწე-

რალი ისევ უბრუნდება თითებს, რომლებიც პორტრეტის ხატვის დაწყებისას დაგვანახა და ახალი სოციალური წინაარსით ავსებს მათს განმეორებით ხილვას: „ხოლო თითები ისეთი ძვირფასი თვლებით აქვს მოოქვილი (ზოგი მზითევეში მოჰყვა, ზოგი კიდევ განსვენებული ქმრის ნაწუქარია), რომ ის ბეწვები ორ მარამდასაც ადვილად იყიდები“.

ტიპების ხასიათის ჩვენებისას მსგავს აქვს სურაებს რომანისტი თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც მეტად ოსტატურად იყენებს. საერთოდ, მისთვის დამახასიათებელია დამაინთა გარკვეული ხასიათების შექმნა, მკვეთრი ჩამოყალიბება პარალელური მოვლენების, დეტალების, ცხოველთა სამყაროს, მორთულთა-მოყაზმულობის და სხვა. ხშირად მეორეხარისხოვანი, ელემენტების ჩვენებით.

მაგრამ დავებრუნდეთ ისევ დაპირისპირებათ ხატვის მანერას.

დალი ჰასანი და არსენა, რომლებიც სოციალურ უსამართლობას ტყვეში გაუყვანია. კონტრასტულად დაპირისპირებული ტიპები არიან. დალი ჰასანი მძარცველ ბანდიტად ქცეულა, არსენა კი იდეური მებრძოლია. რომანში ეს დაპირისპირება კარგად არის შესრულებული განსაკუთრებით არსენას და დალი ჰასანის პირველი შეხვედრის სცენაში: ჰასანს განცუვიფრებს არსენას სიტყვები, ჯერ არაიენ მომიკლავსო. ჰასანისათვის წარმოუდგენელია, უამისოდ როგორ მოხხევა სახელი ოძელა-შვილმო. ყაჩაღის გაოცებას რომანისტი მოაყოლებს პერსონაჟის შინაგან მონოლოგს, სადაც ახსნილია მისი ბუნება და მოქმედება. „უსისხლო სახელი ბორჩალოელი ყაჩაღისათვის მართლა გაუგებარი რამ იყო. ჭკუას ძალას ატანდა და ლამობდა მშრალი წყალი ან ცივი ცეცხლი წარმოედგინა, მაგრამ ვერ დასძლია. არსენამ რომ ჰასანი არც მოკლა და არც კი დასაჯა, ეს გასაგებო იყო და სამართლიანიც, ხოლო ყოვლად შეუსმენელი იყო და უსამართლოც, რომ გავარდნილს არ ამოეხოცის ყველა მტრები, არ გადაწევას მათი სახლ-კარი და არ გაეტეტელებინოს ყველა, მგზავრიც და არა მგზავრიც, ვისაც კი შალვარი ან კაბა ეცვა“.

ან კიდევ, ასეთი კონტრასტი: ტყის ძმების ბანაკში მოსულ როტომს ახალი ამბები მოუტანია და მათ შორის — კუჰატელის გაბრუნებისა. „კუჰატელში თურამე სიმწარით უღვაშებო და იგილი ჯა“, — ამბობს იგი. „— ოლონდაც! — ჩაჩრუჩლო არსენამ და შეურცხვენელი უღვაშებო აიგრიხა“.

მათორას მიერ შეურაცხყოფილი, შერცხვენილი ოჯახი, აღვირახსნილი შვილის გაუთავებელი ლოთობა და ბანქოში დიდი თანხების



წაგება, აჯანყებულ გლეხთა მიერ დარბეულ კარ-მიდამო, დაცარიელებული სალარო და გაპარტახების პირას მისული მეურხეობა გუხებას უმღვრევს უკვე მოტივილ ზაალს და უიძოდოდ განაწყობს. ხოლო ყოველივე ამის ფონზე მწერალს შემოაყავს ცხოვრების ორომტრიალის ცენტრში მონვედრად შედუხანე ლოაიას ფიგურა და კონტრასტულად უპირისპირებს მას სულიერად და ფიზიკურად მოშლილ ბარათაშვილს. ხედავს მას ზაალი და ფიქრობს: „რა ბედნიერი კაცია!.. არც ორსული ქალი-შვილი ჰყავს და არც მფლანგველი ვაჟი;“ მას უღარდელად აცხოვრებენ ყოჩხები, მამლები, მტკიცარი, განიერი მკერდი, ვეება მუშტები და ლახლანდარული ყბედობა. ზაალი კი ყველაზე უბედური ვინმეა. მას ყველა იბრაყევებს, ატყუებს და ამკირებს. აღარც გასართობი, აღარც სიყვარული, აღარც პატივი — ყველაფერი მორჩა, წველია, დასრულდა!

კონტრასტის ასეთსავე გამოყენებად მიგვაჩინა მთელი რიგი ის პასაჟები, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებიან ღვთისავარი და არსენა. ერთ ადგილას ეს ასეთი ხატოვანი სურათით არის გადმოცემული: „ცალთვალა დევი მუღამ გაღმა რჩებოდა, მოკვირვარ არსენა კი გამოიღმა იღვ: და საყუთარ გზას ექებდა“.

მეტად კონტრასტულად არის ხილული გაროზვეის სცენა. მარაბდელი გლეხების გაროზვეის ადგილად რომანისტს ამოურჩევია ლევენდარული ცხრა მძა ხერხეულიძის საფლავეები. ცხრა ქვას ცხრა კაცს დააკრავენ და როზგავენ. ქართველი კაცის ფიზიკური დასჯა-შეურაცხყოფის ამ სცენას განსაკუთრებული ემოციური ძალით გამაჰვალავს სწორედ ეროვნული გმირების საფლავეების შეურაცხყოფა. ესეც ძლიერი კონტრასტული პარალელია. სცენის კონტრასტულობას განსაკუთრებით აძლიერებს ლაკონურად მოხატული მძიმე სურათი, რომლის არსიც დაქვირილია ადამიანთა უშუალო განცდებით. ოა დიდი ძალით არის აქ არა მხოლოდ დანახული, არამედ განცდილი და შემეცნებული თვითიული პერსონაჟის მდგომარეობა და სული!

„ჰაერში მრავალი სახრე ზუზუნებს. კარპინა ლეკვივით წყეტუნებს. დათუხა ხრიალდებს. ლაცაბიძე ჰგმინავს“.

და სანამ საფლავეებზე განროხმულ დანარჩენთა მდგომარეობას გადმოგვეცემდეს, მწერალი არსენასაკენ მიგვახედვებს, რომელიც ხიშტების ღობეებს აწყდება და მათს გარღვევას ამოდ ლამობს. „და რადგან კედელი ვერ გარადგია, რადგან მამასა და მეგობრებს ვერ მიეშველა, პირქვე დაემგობ მიწაზე და ბალღივით ატირდა, თან ფესვიანად ჰგლეჯდა ხმელ

ბალახს, სიმწრით იხოკავდა პირსახეს და მკვრილი მოხვედრით პლუოდა“.

თავისი გმირის სულიერი სამყაროს ხილვის შემდეგ მხატვარი ისევ როზგებს ქვეშ მომწყვდეულთა განცდა-მდგომარეობის ლაკონურ ხატებაზე გადადის:

„ლაშქარა ბალღივით ჰვენესის. მეშთა ჯგრ კიდევ ჰკივის. ბერუა, პაპუნა და ნასყიდა უკვე დაღუშებულან“.

და მხოლოდ ცალთვალას ვერ ამოაღებინეს კრინტი. რათა არ შერცხვენელიყო და არ დაევივრა, პირში მოკლე სახრე ჩაედო და ნახევარი უკვე დაეღრღნა.

იქვე გვერდით მას ერეკლე უწევს და მამა დროგამოშვებით უძახის შვილს:

— შვილო, თავი არ მომკრა!.. არ დიოყვირო! ახე უშუალოდ გმირების განცდათა გამოვლენით არის გადმოცემული მძიმე სურათი ერთთა მხეცური ინსტინქტების თავაშვებულობისა, ხოლო მეორეთა თუმცა დამკირების, მაგრამ მიინც რანდული გაუტეხლობის და სიმტკიცისა. მხოლოდ ერთ ადგილას, რათა სცენის დასაწყისი („ჰაერში მრავალი სახრე ზუზუნებს“) შეგვახსენოს, კვლავ დროებით მიმართავს რომანისტი აღწერა-გადმოცემის ხერხს („წყებას ცხრა კონა კი ცხრა საფლავეზე ისევ ბზუის, ხერხეულიძეთა ქვებს წითლად ჰღებავს და ცხრა კაცის სისხლი იმავე შავს მიწას უბრუნდება, საიდანაც წამოსულა“). და როცა ასე შეკუმშულად დაგვანახებს საერთო სურათს, მხატვარი ისევ უშუალო სახეთა ხატვის მიუბრუნდება.

მთელი ეს ტრაგიზმით აღსავსე სურათი, რომელიც ასე ცხოველი, ხატოვნად შთამბეჭდავი და კონტრასტულ-ექსპრესულია, მთავრდება დიდი მონუმენტური ძალის შტრახით. რომლითაც ხაზგასმულია როგორც უხეში ძალის დამორგუნველობა, ისევე უძლეველობა ხალხისა და, ამასთან, ნაკვიანვეი მწარე სინანულიც არის გაცხადებული.

„ცხრა საფლავიდან რვა უჯონო კაცი ასწყის, მეც დამე კი, ცალთვალამ, თვითონვე წამოიწია, ისევ დამე, შეფართხალდა. მაგრამ მიინც წამოდგა და მაღალი ხმითა დაიხრიალა: — ხალხო, აბია ჩემზე, აბი!

და გაროზგიღმა დევმა ჰქალარა შუბლი ისევ შავ მიწაში ჩაჰყო“.

ამ სცენაში ყურადღებას იქცევს ხასიათთა დიფერენციაციის მექანიზმი. მათი ორი სხვადასხვა ასპექტით დანახვა. კარპინა, დათუნა, სვისტარ, ლაშქარა, მეშთა, ბერუა, პაპუნა, ნასყიდა და ერეკლე; მკვანა, ფიქარი, მელანო და მარინე, რომელთაგან ერთნი უშუ-



ალოდ განიცდიან, ხოლო მეორენი შეიმეცნენ აქამდე არანხულ ფორმის ძალადობას, დახატულნი არიან, ძირითადად, პორტრეტული მომენტურობის მანერით. ტილოზე შათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ერთი, ყველაზე კულმინაციური მომენტი დაჭკობილი და ამით შთელი სულიერი განცდაა გადმოცემული (კარპინა წამუტუნებს, დათუნა ხრილებს, ლაცაბიძე გმინავს, ლაშქარა კენესის, მემთა ჰკივის, ბერუა, პაუნა, ნასყიდა დაღუმებულან, მაგდანა ვაშვებული გაჰკერია ეკლესიის კედელს, ფიქრისა და მელანოს ცრემლიანი თვალები ზეცისათვის მიუპყრიათ, მარინე ცახცახს შეუპყრია).

სხვა ხატებით ხერხია გამოყენებული ღვთისხვარისა და არსენას ჩვენებისას. ისინი უმთავრესად შოქმდე ბასა და მოძრობაში დანახული ხასიათებია (არსენა დასჯილებისაკენ მიიწევს, შემდეგ მიწაზე დაეშობა და ხნელ ბალახს ჰგლეჯს, სახეს იხოკავს და ხარივით ბღვივს; ღვთისხვარი სახრეს ხრავს და გვერდით მწოლარე შვილს — ერეკლეს სიმტკიცისაკენ მოუწოდებს). ამგვარად, პორტრეტის სტერეოტიპი სტერეოტიპობასთან ერთად დინამიკურობის მძაფრ ელემენტსაც იძენს.

პერსონაჟთა ინდივიდუალურ-კონტრასტული ხილვის მანერა, რომელსაც რომანისტი თავისი ნაწარმოების ბევრ ადგილას იყენებს, სხვადასხვაგვარ ვითარებაში სხვადასხვაგვარ გამოვლენას პოულობს და თვისობრივად ახალ სტილურ ელფერს იღებს. ერთ პასაჟში გრძელ და ხშირ წვერებთან ლაცაბიძეს ბაბახხად ნათლავენ; მოუხვეწარი კარპინა „ეზოს ცალი ფეხით ჰპარავს“ (კოკლია); გიგოლა „გველამუასავით დაძვრება, მაგრამ სადაც კი მივა, იქ უმაღლვე მკვდარი სიჩუბი ჩამოწვება ხოლმე“; აბრამ ბარნაველი განაპირებულა, „კუნძუზე სთელემს“.

ან ასეთი სურათი:

კვლავ გავისწავლოთ გიგოლას დასმენით აძლერეულ ზაღი, რომელიც ღვთისხვარის შეუყურებს და მისი ხმა მთელ ეზოს წამოშლის და ამომძრაიებს. ელიზბარი ჭოჭინიდან წამოვარდება, სუშმათაშვილი და მელიტონ ბარათაშვილი საჯინბოსაკენ გამოეშურებიან, სევასტი ქაჭქირს დაადგებენ, მღვდელი ბარნაველი უცრლად გამოფხიზლდება, ჩოროთი მომავალი კარპინა შემოტრიალდება და ამირიზება, გიგოლა, დაეითი და გამზაოცი ამომრავლებიან.

ამ კონტრასტულ სურათზე თვითეულა ფიგურა გაიციხლებულია თავისი ინდივიდუალური დამახასიათებელი ნიშნით და, ამგვარად, შექმნილია საერთო დაძაბული სიტუაცია.

მაგდანას ფიგურას თითქმის ფერიც მისცა მხატვარმა და ამით მკვეთრი გახდა მისი ისე-

დაც სიმბოლურ-კონტრასტული სახე. პირველად „შავი ქერივის“ ცნება გამოყენებულია უღროოდ დაქვრივებული, სამგლოვიარო ტანსაცმელი შემოწილი ადამიანის ვარეველ ნიშნად. მაგრამ შემდეგ და შემდეგ იგი თანდათან ხდება ტიპის დამახასიათებელ სულიერ ნიშნადაც, რამდენადაც ეს ქალი იქცევა მრისხანე შურისმაძიებლად, „შავი ანგელოზიდან“ — „შავ ალქაჯად“.

„ქვრივმა სიბნელეში ბნელად ჩაიღიმოა“, — ვკითხულობთ ერთ ადგილას რომანში და სწორედ ამ „ბნელი ჩაღიმებით“ ორიგინალურად არის ბარათაშვილების ასაკლებად ამხედრებული მრისხანე ქერივის ხასიათი და არა გარეგნობა (აქ ხილვა გონებმს სფეროშია გადატანილი, რადგან სიბნელეზე ჩვენ შეიძლება მხოლოდ შევივარძნოთ ეს „შავი ღიმილა“ და არა დაეინახოთ!)

სასტიკი ქერივის ხასიათს მხატვარი განსაკუთრებით გამოჰყოფს თავში „შავი ქერივი“, სადაც მაგდანა ზაღ ბარათაშვილის ოჯახის აკლების ერთ-ერთი ინვიტორი და რახმის ერთ-ერთი ფაქტორი მოთაველ ხდება („მაგდანა უსიტყვოდ მოშორდა სევასტის და იმის წვერივით დაბნელდა“, „შავი ანგელოზი შავ სატანად გადაქცეულიყო“, „ლაცაბიძემ თითი ასწია, მაგრამ შავმა ქვრივმა დაასწრო, თოფის კონდახი დაჰკრა მიწას და შესძახა“, „შავი ქერივი წამოღდა წინ და თვალები ორი შავი მახვილივით ააციმცინა“, „შავმა ქვრივმა შავწვერა ლაცაბიძეს ბელადობა მოსტაცა“, და ამ ფერთან შესიტყვებული ტონიც მის მიერ განაჩენის გამოცხადებისა: „მაგდანა დინჯად ლაპარაკობდა, მაგრამ მის ხმას ბანაშვილური სიღინჯე და სამარისებური სიცივე ისმოდა“; ბოლოს, არსენას მიერ შერცხვნილი ფიგურა შავი ქერივისა, რომელიც „შავი ძეგლივით გახვეებულიყო და მიწას მისჩერებოდა“).

აღნიშნულ თავში თავისი „შავი გმირისათვის“ მიწერაღს სათანადო შეხამებაც მოუხატავს: ასევე გადპირით მოქმედი სევასტის ფიგურაც „მუქ ფერს“ იღებს; მათ შავი დროშაც კი შეუქვრავთ და ამ დროშით მიღიან მარადის ბატონისაკენ (სევასტის ეპითეტები — „შავი მტრელი“, „შავი შაჯული“; გამოთქმა — „შავ წვერას შავი დროშა კიდევ დასკირდება“ და ა. შ.).

ვარემოს, ბუნების სურათის, ტიპის კონტრასტული ხატვა, ისევე როგორც სხვა ხატოვანი ხერხი, მთელს რომანში არსად არ წარმოადგენს თვითმიზანს, მას ყოველთვის თავისი მიზანი აქვს და გარკვეულ იდეურ შინაარსს შეიცავს.

ალგეთის ზეგანის უღრანი ტყე თავისი განუ-



მეორეული ფერებითა და მდიდარი ფუნით მწერლისათვის თუმცა დამოუკიდებლად არსებული სამყაროა, მაგრამ არა განსვენებული, ადამიანთა ცხოვრებას მოწყვეტილი, არამედ ამ ადამიანთა თვალთ ხილული, მათს განწყობილებებში გადატანილი და შემტენველი. აქ პუნების პარამონიის სურათს ესიტყვება ადამიანთა მრავალფეროვანება, ცხოვრების წინააღმდეგობანი. ტყის გაღვიძება, ფრინველთა ყვირილ-ხივილი, ჩამუქებულ ტერეში „მზის ათასი თინათინის შემონაკადულმა“ და ამ სივრცეში ფრინველთა, მწერთა და მხეტთა გუნდების ვივური სიხარულით ბანაობა, ნებეურობა და ერთი მთლიანი საგლობელი რომ უხილავს და მოუსმენია, მწერალს ისიც დაუნახავს, თუ როგორ შემოდიან ბუნების ამ დიდებულ სამყაროში ადამიანები, რომელთაც თან მოჰქვით ნათელი რწმენა მომავლის სიხარულისა და ამ პარამონიასთან დაპირისპირებული, უსამართლობით აღძრული დიდი სევდამწუხარება.

მარადის „შოთით თვალბდაქცეტილი სახლების“ მეტაფორულ ზმანებას რომ ჰქმნის, ამით ავტორი შესანიშნავად გადმოგვცემს დაშინებულ სოფლის ხატვან სურათს; ან „წესის დამყარებას“ და „უშოროვების გაიფებას“ რომ გვაყნობებს, ამის ფონზე იგი წარმოსახავს მარტოდ დარჩენილ მარადის ბატონს, რომელსაც ხალხი შემოცლია და ყველასაგან „მოძულეზული და დაწყევლილი“ დვას. ზაალის აკეთილებული გამოთქმები: „ამაზე მტერი რა გინდა“, „ვეყო, ასეთი ამბავი გაგონილა?“, „ბუნტია-მეთქი, მაშ რა ჯანდაბაა“, — ტიპის ენის ინდივიდუალიზაციის პრინციპის ისეთი გამოყენებაა, რომლის საშუალებითაც გახსნილია ფსიქოლოგიური-იდურის სიღრმე პერსონაჟისა, ისევე როგორც ზაალის სახეზე ადგილობრივი კონტრასტული ცვლილება (იირგვლივ ხარხარი ატყდა, რომელმაც კნიინების თავდაპერილი სიცილი დაჩრდილა. ზაალსაც პირი აეგრება ღიმილისაგან, მაგრამ უმაღლე ჩამორიცხა და ისევე რისხვა აისხა, ვინაიდან ყმებთან გაიკინება სამარცხვინოდ მიჩინდა“) არ გამოხატავს მის მხოლოდ წმინდა ფსიქოლოგიურ განწყობილებას.

ტიპის დასრულებული სახის ხატვაში რომანისტს ძლიერ ეხმარება პორტრეტის მკვეთრად მოხაზვა. ამ მხენარში იგრძნობა კონდენსაციის განსაკუთრებული ძალა, არავეულუბრივი სისხარტე, მკვეთრი ლაკონიზმი, უჩვეულო სიეხოველე, მთავარის, არსებობის დანახვა.

რამდენიმე მაგალითი:

1. „პატარები თავჩაქინდრული ისხდნენ, არსენა კი აშოტილი იდგა, ორივე ცერა თითი სარტყელში ჰქონდა ჩარქობილი, ნათალი თავი

სოფლისკენ მიეგრიხნა, შუბლზე წინააღმდეგობა მოეგროვებინა, ერთი წარბი მოზიდულა შვილდევით აეგრიხნა, თხელ ნესტოებს თავის ლურჯასათვი აცახცახებდა და სოფლის გმინავს ისე უვლდება ყურს, თითქმის ის ვაება და ვალალი მარტო იმის ოჯახიდან მოდენილიყო. მის პირსახეზე ჰრქაქის შუქი თრთოდა და მარაბდელის შინაგან თრთოლვას ამქალავებდა“.

არსენას პორტრეტის ხატვის ამ სიტუაციაში ყურადღებას იპყრობს არლოვის მიერ დაპატარავებულ ურჩ გლეხთა ერთგვარი დათრგუნვილი განწყობილება. ეს მუქი ფონია, რომელზეც უფრო მკაფიოდ, მკვეთრად უნდა გამოინდეს ამაყი და ქედუბრელი მარაბდელის კოლორიტული ფიგურა. მისი უღრევი ნებისყოფის გახსნას მხატვარი ძირითადად აღწევს ხაზგამტევი ნებელობის ჩვენებით. თავი მას თავისთავად კი არ მოგრებია, არამედ თვითონ მიუგრებია სოფლისკენ, შუბლზე ნაკები კი არ მოპკოვებია, არამედ მოუგროვებია, წარბი თავისით კი არ აგრებია, არამედ თვითონ აუგრებია, თხელი ნესტოები კი არ უცახცახებს, არამედ მათ თვითონ აცახცახებს; და ასე შინაგანად დაძაბული, თავისი სულის ყრველ მიმორბევას თვით განაგებს, და ისე უვლდება იგი ყურს სოფლის გმინავს. ამავე დროს ეს საერთო უბედურება გადატანილია მის პირადულ ცხოვრებაში; იგი მას ისე განიცდის, თითქმის „ის ვაება და ვალალი მარტო მისი ოჯახიდან“ მოდიოდეს;

2. „როტომი ბოძს მიჰყუდებია და ჯეჯილწვერს იწიწვნის, თანაც უცნაურად იღიმება. კედლებსა და ფიცრებზე მათი ჩრდილები ჰრთის, რადგან ჰრქაქის ენა და ბუხრიდან მონადენი ალიც ცახცახებს, ხან ძაღლის ენასავით ლაქალბებს და ხანაც ვერხვის ფოთოლივით კანკალბებს“.

„არსენა კედელს მიეყუდა და ჩვეულებრივ ფეხი-ფეხზე გადაიძლო, ხანჯალი ლაჯებში ჩაივდო, ორივე ხელი შავი ძვლის ტარზე დაიწყო და სმენად გადაიქცა“.

პერსონაჟის ფიგურა და მისი შინაგანი სულიერი მდგომარეობა აქ უკვე სხვაგვარად არის ხილული, თუმცა შუქის ნათელი აქაც მოშველილებულია. არსენა გარეგნულად ერთ მომენტშია დაქვერული და მისი სახე მხოლოდ შინაგან სულეორ დღეილს გადმოსცემს. როტომი კი, თუმცა ბოძს მიჰყუდებია, მაგრამ მაინც მოძრაობაშია დანახული, რაც წვერის შეუჩერებელი წიწქითა და უცნაური ღიმილით გამოიხატება. ამ მოძრაობის დასახნავად კი

შუქი აქ თითქოს გაძლიერებულია ბუხრიდან ზონადენი სინათლითაც;

3. „ლაკაბიძე ჩამოხრჩობილი ვით აღიმემა და ცოცხალ-ოდენა წვერს ყველა თითებით ივარცხნის“.

მეტად შთამბეჭდავად არის აქ გამოყენებული მასველი თვალით დაკერილი ორიგინალური ხატოვანი სახე — „ჩამოხრჩობილის ღმილი“. სწორედ ამ იშვიათად ლაკონური პორტრეტული შტრიხით მთლიანად ვახსილია პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა გარკვეულ მომენტში. მოვიგონოთ, როგორ ამხედრა ლაკაბიძემ რაზმი, როცა არსენა ზანაკიდან იყო წასული, როგორ წამოაყვანა იგი და დაარბევინა ზაალის კარ-მიღამო, ბატონები სახლში ჩააყვებინა და ცეცხლს მისცა, რაზეც ლენებს ბარათაშვილის ქონების ძარცვა დააწყებინა და ხალხის დროშა ჰადრის ქვეშ დააწყვდა ამ მდგომარეობაში მოუსწრო მათ არსესამ და რაზმი შერცხვენისაგან იხსნა. ლაკაბიძემ ახლა დაინახა რაოდენ დიდი იყო მისი დანაშაული არსენასა და მთელი რაზმის წინაშე. სწორედ ეს მომენტია გადმოცემული სიტყვებით — „ჩამოხრჩობილივით იღიმებოდა“. ცხადია, ღმილი აქ მოჩვენებითია შინაგანად შეშფოთებული, დარცხენილი, გამორკვეული და გაკიბული ადამიანისა.

4. „კენიან ხორეშანი თითქო საფლავიდან წამომჯღარაყო, ჩონჩხის ხელები ზევით აეწია და ძლივს აცმატუნებდა პირს“.

ეს სიმბოლური ნახატია ცეცხლიდან გამოყვანილი და ვადარჩენილი ადამიანისა, რომელიც ფაქტიურად უკვე საფლავში იწევა. ჩონჩხი ხელებიც ამას მიგვანიშნებს.

ტიპის, პერსონაჟის რაიმე ცალკე ხასიათით, კონკრეტული ნიშნით გამოიღონებასაც მხატვარი იყენებს მისი გამოყვეთილი სახის წარმოქმნისათვის, ხან პირდაპირი და ხანაც მინიშნებითი მანერით ხატვისათვის. „სალამოს ეამზე ქობის კარი ზაქრო ბაჯიაშვილმა დააბნელა“, — ამბობს მწერალი და ამით გადატანით დაგვანახებს ბაჯიაშვილის ხორბა ტანსაც და იმ ქონის კონკრეტულ ნახატსაც, რომელშიაც სინათლე მხოლოდ კარიდან შედის.

მარადის ეკლესიის გალავანში არსენას მიერ შეკობილ თანსაფლავებთან მისული ლეთისავარი შვილი „ქვის“ ხმით შესძახებს: „ვაგიფდი?!“, და ამას მოსდევს ფრთიანი ფრაზა: „ორგვლივ ხერხეულიძეთა ცხრა მძის სიჩუშე ჩამოწევა“. ამითაც ბევრი რამ არის ხატოვნად თქმული გადატანითი მინიშნელობით. ჯერ ერთი, შემოხვევითი როდია პარალელი „ქვის ხმას“ და მძიმე ლოდებით დამუხრეველ საფლავებს შორის; ისინი როგორცაც საერთო, მძიმე სიტუაციას ჰქმნიან. მეორეც, ცხრა ძმა

ხერხეულიძის სიჩუმის ჩამოწოლით ისმის მდგომარეობაა გადმოცემული, რაც შეილისა და სოფლელენისადმი ლეთისავარის დაპირისპირებას შეუქმნია. და მისამდე, ელმუბარე საფლავთა ამ ხატოვანი სახით დანახულა წარსული დიდებისა და ტრაგედიის გმირები, რომელნიც გარინდებულნი შემოსტყერიან თავიანთს შთამომავლებს და მათს მოქმედებას ელოდებიან.

როცა ტიპიზაციის ჯგეფისშვილისეულ მხერგზე ვლაპარაკობთ, უპირველესად, ხაზი უხდა გავსვის ტიპის, ხასიათის, პერსონაჟის სახის განვითარების ლოგიკას. „არსენა მარაბდელის“ ტიპები შინაგანად ექსპრესიული, გარეგნულად — რელიეფური, შინაარსობრივად — მრავალგვარი და მდიდარია. მათი პროტოტიპური ფუძე მყარია თავის რეალისტურ ყოფაში, ისევე როგორც მათი საშუალებით დანახული სინამდვილე პროტოტენდენციურია.

არსენა ოქელაშვილი, როგორც მყარი ფიგურა რომანისა, თავისებური კონდენსატურული ძალის ხასიათია, რომლის გარშემოც გაშლილი მოვლენებსა და ამბებში, აღმართა მოქმედებაში რომანისტი ხედავს დიდ ვროგულ და სოციალურ პრობლემებს.

არსენას სახის ევოლუციის ლოგიკა, როგორც ლოგიკა მალახატოვანი ვახსნიერებისა, ბუნებრიობისა და დამაჯერებლობის ემყარება. თავიდან ბოლომდე მის მოქმედებას რაინდული მორალი გამსჭვალავს, რაც მის რეალისტურ ფიგურას, ერთი მხრივ, მალალი რომანტიკულობის იერს აძლევს, ხოლო მეორე მხრივ, საალ-არლოვების თუ კუქაბნელ-გიგოლების საყაროში მოხვედრილს, გულუბრყვილობის დაღს ასევამს. მაგრამ მისი ხასიათი მაინც მთლიანია. მხოლოდ ფინალში ხედავს გმირი თავის გულუბრყვილობას. და ცრტა გვიან, თითქოს მისი აღზრდილი ერეკლეს სახეში გაცხადებული ბრუნდება სასტრუ შურის მაძიებლად (დურეკლემაც იცოდა, რომ მანამდე არ უნდა დაეკრა, სანამ მტერი ერთხელ მაინც არ მოიქნედა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ კუქაბნელმა ეს არ იცოდა და ამიტომ უტყვიპირთ და უუუურო კაცი უმაღლე ამოილო მიზანში“).

სახეთა ლოგიკური განვითარების ურთიერთ-განპირობებულობის ასეთი ფართო მონახაზია ეპილოგის ის პასაჟიც, სადაც კვლავ წარმოსდგება არსენას მონუმენტური პიროვნება, ახლა დათუნა ოქელაშვილის სახეში გარდასული, ვისაც ასე ვაოცებთი შესტყერიან შორეული ციმბირიდან დაბრუნებული როსტომი და ბარნაველი: „მათ თვალწინ თვარამეტი წლის ცოცხალი არსენა იდგა — იგივე ახლოვანი, გაინიერი, მუქი ოქროსთმიანი, შავ-

თვალა და ქალივით ლამაზი. ზემო ტუჩზე გინგლი ეყარა და ცალი წარბი ოდნავ უცახცახებდა... როსტომმა... იგრძნო, რომ არსენები და მომავალი ძმადნაფიცები კიდევ გაჩენილიყვნენ, იზრდებოდნენ, მოდიოდნენ და ოდესმე ისინიც ისე დაიქუხებდნენ, როგორც ოდესღაც მათი წინაპარი გორდა და მისი შეფიცული ძმები ჰქუხდნენ“.

მწერალი მხატვარია. გმირს, პერსონაჟს, ხასიათებს იგი ხატავს ცალკეული ცოცხალი შტრიხებით, რომლებიც მათს გარეგნობას უფრო დამაჯერებელს, ინდივიდუალიზებულს, მკაფიოდ დანახულსა და დამარწმუნებელს ხდის. ასეთი შტრიხით ხშირადაა დანახული არამარტო გარეგნობა, არამედ შინაგანიც. როცა, მაგალითად, ვკითხულობთ — „ზალი საქანელა სკამზე გაშხლართულიყო, იქაურობას კვამ-

ლით ავსებდა“, ჩვენ ამით მარტო იმას კი არ ვგებულობთ, რომ ნაწარმოების პერსონაჟი ამ მომენტში ჩიბუხს ინტენსიურად ეწევა, რაც ქარავმულად არის ნათქვამი, არამედ მისი სოციალური წრის ადამიანთა დამახასიათებელ სულიერ განწყობილებასაც ვხედავთ. აქვე მაიორ არლოვზე ნათქვამია, რომ იგი ოდესღაც „ყვირილის წყალს წითლად ღებავდაო“, და მარტო ამ ფრაზითაც კი გახსნილია სახე მეფის რუსეთის პირწავარდნილი სატრაპისა, რომელიც დამსჯელად მოვლენია ხალხს და მის სისხლსა ღვრის.

საერთოდ, მოვლენათა და ტიპთა ზიღვის სოციალური ასპექტი რომანში ჩინებულად არის გადატანილი მხატვრულ ქსოვილში. მიზეზილ ჯავახიშვილისათვის ამ შემთხვევაშიაც უცხოა შიშველი უშუალობის სტერეოტიპი.



მედიკალიზაცია

მხატვრული თარგმანის თეორიის ზოგიერთი
საკითხი თანამედროვე ამერიკულ
ლიტერატურათმცოდნეობაში

პარვარდის უნივერსიტეტის მიერ 1959 წელს გამოცემული სტატიათა კრებული „თარგმანის შესახებ“¹ ასახავს თანამედროვე ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობის დაინტერესებას მხატვრული თარგმანის პრობლემით და ამჟღავნებს მხატვრული თარგმანის თეორიის თანამედროველი, მწყობრა და გამართული მეთოდოლოგიის უქონლობას.

ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობა უკეთეს შემთხვევაში გვაძლევს ემპირიულ მასალას, რომელიც გარკვევით არ არის მითითებული რომელიმე კონცეფციის მიუხედავად ამისა, კრიტიკული ანალიზის შედეგად მაინც შესაძლებელია დაედგინოთ სტატიათა მეთოდოლოგიური სათავეები ანუ, სხვანაირად, ყოველი მათგანი მივიყვანოთ თარგმანის რომელიმე ცნობილ ძირითად პრინციპამდე.

მხატვრული თარგმანის თეორიის ერთ-ერთი სპეციფიკური თვისებაა მისი საკითხების მოხვედრითი გარკვეულობა და პრაქტიკაში კი დაუსრულებელი დაეა თეორიულად გადაწყვეტილი საკითხების გამო. თითქოს ჯერ კიდევ მიცხრამეტე საუკუნეში, დამთავრებული დაეა თავისუფალი თუ სიტყვა-სიტყვითი თარგმანის პრინციპების თაობაზე, პრაქტიკულად ყოველ ფეხის ნაბიჯზე იჩენს თავს როგორც ჩვენს, ისე საზღვარგარეთის ლიტერატურაში. ამჟღავნებს სწორად ძნელდება იმ ობიექტური პოზიციის დადგენა, საიდანაც შესაძლებელია პრინციპთა სათავეების მითითება, რამდენადაც თვითონ დამდგენი აღმოჩნდება ხოლმე რომელიმე ამ ძირითადი პრინციპის მხარეზე და ამით

პარავას ობიექტურობას. მდგომარეობას ართულეს ის გარემოება, რომ ორივე პრინციპს საკმაოდ მოეპოვება ლოგიკურად დასაბუთებული არგუმენტები და ყოველ ახალ ეპოქაში, ყოველ ახალ მასალაზე შესაძლებელი ხდება ორივე პრინციპის ახალი თეორიული და პრაქტიკული დასაბუთება.

ამ ვითარებაში განსაკუთრებული ობიექტური და მეთოდოლოგიურად მართებული პოზიცია უჭირავს რეალისტურ თვალსაზრისს და მასზე დამყარებულ რეალისტურ მეთოდს მხატვრული თარგმანის თეორიაში. ამ წერილის მიზანი არ არის ამ მეთოდის დამახასიათებელ მხარეთა ჩამოთვლა ან მათი აღწერა, ჩვენ განზრახული გვაქვს შემოაღნიშნული კრებულის მასალებში განვიხილოთ სწორედ რეალისტური მეთოდის პოზიციიდან, ნათელყოთ ზოგიერთი მათგანის არსი და მისგან გამოვინარე დადებითი და უარყოფითი დასკვნები.

ამ თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იქცევს შემოაღნიშნულ კრებულში მოთავსებული ვლადიმერ ნაბოკოვის ნაშრომი სათაურით „მონობის გზა“ (The servile path), რომელიც ეხება პუშკინის „ევგენი ონეგინის“ ინგლისურ თარგმანს: აეტორის თვითონვე უთარგმნია „ევგენი ონეგინი“ ინგლისურ ენაზე, რისთვისაც ხუთი თუ ექვსი წელიწადი მოუწოდებია. მთარგმნელი პირდაპირ ამბობს: „შრომა ამჟამად დამთავრებულია. ჩემს თარგმანში მნიშვნელობის ზედმიწევნით სიზუსტესა და სრულყოფას მსხვერპლად შევიწირე ფორმის ყოველი ელემენტი, გარდა იამბური რიტმისა, რომლის შენარჩუნებამ უმალ შეუწყო ხელი, ვიდრე შეუშალა ღედნის მიმართ ერთგულებას“.

შემდეგ აეტორი ამტკიცებს, რომ მისი პრინ-

¹ On Translation, Harvard University Press, 1959.



ციბის მიხედვით, მთარგმნელი, რათა ერთგული იყო ტექსტისა, უნდა იცნობდეს ავტორისეულ რემინისცენციას, იმიტაციას ან უცხო ენიდან თარგმნელ ადვილს. ეს არა მარტო იხსნის მთარგმნელს უხეში შეცდომებისა ან სტილისტური წვრილმანების აღრევისაგან, არამედ აგრეთვე ხელს შეუწყობს აირჩიოს საუკეთესო რედაქცია რამდენიმე შესაძლებლობიდან. ამგვარი ონეგინის ინგლისელმა მთარგმნელმა, — აცხადებს დასასრულ ავტორი, — მარტო რუსული ენა კი არ უნდა იცოდეს რუსივით, მან უნდა იცოდეს აგრეთვე პუშკინისეული ფრანგული.

ტექსტის დეტალური შესწავლა აუცილებელია თარგმანის რეალისტური მეთოდის თვალსაზრისითაც. ამ ფარგლებში შეიძლება არც იყო წინააღმდეგობა სტატიის ავტორის თვალსაზრისსა და რეალისტურ მეთოდს შორის. მაგრამ რეალისტური მეთოდის თანახმად უნდა გადაწყვიტოს საკითხი ფრანგული ენის პუშკინისეული ოცდის ხვედრითი წონის შესახებ საერთოდ მის შემოქმედებაში და, კერძოდ, სათარგმნ ნაწარმოებში; რამდენადაც, როგორც ცნობილია, მხატვრული თარგმანი საერთოდ არის არა დედნის აღქმადური განმეორება, არამედ უკეთეს შემთხვევაში მის ტიპურ მხარეთა მხატვრული ასახვა (რეალისტურ თარგმანში), ამდენად ზემოაღნიშნული საკითხის გადაჭრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

წინასწარ შეიძლება ითქვას შემდეგი: ფრანგული აღზრდა-განათლება, რომელიც პუშკინმა მიიღო, მართლაც მნიშვნელოვანი იყო მისი შემოქმედებისათვის. მაგრამ ეს მარტო პუშკინს როლი შეუხება. მეტწილად საუკუნეში ფრანგული ენის ბატონობამ რუსულ არისტოკრატიაში, საიდანაც გამოვიდა დიდი რუსი მწერლების მნიშვნელოვანი ნაწილი, თავისი დიდი დასავა რუსულ ხალიტერატურა ენასა და ლიტერატურას. მაგრამ მხედველობაში მისაღები, რომ რუსული სალიტერატურო ენისთვის როგორც ფრანგულთან საერთო (ინდოევროპული) ოჯახის ენისთვის, გავლენის ეს პროცესი ენის ბუნებრივი და ორგანული განვითარება იყო. მთავარი კი ისაა, რომ დიდი რუსი მწერლებისთვის ამ გარემოებას არ ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ისინი დარჩნენ რუსული ყოფისა და რუსული სულის მხატვრებად. შეიძლება თუ არა ასეთ პირობებში ფრანგულის გავლენას მიენიჭოს ტიპიურობის ხარისხი? რა თქმა უნდა, არა, და ამდენადვე რუსულ ნაწარმოებთა რეალისტურად თარგმნის დროს არ უნდა დაიხვას ამ „ფრანგული საწყისის“ თარგმანში ასახვის საკითხი.

სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არ არის ინგლი-

სური თარგმანის სრული ტექსტი, მაგრამ შევკვიპლია დაეკმაყოფილდეთ ავტორის მიერ წამოყენებული თეორიული დებულებებით, რომლებიც სათანადოდაა ილუსტრირებული მისივე თარგმანით.

ნაშრომის პირველ ნაწილში „ფრანგი შუამავალი“ (The French Middleman) ავტორი უსაყვედურებს რუს კომენტატორებს, რომლებიც მხედველობიდან უშვებენ იმ ფაქტს, რომ პუშკინისდროინდელი რუსი მწერლები ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ და ანტიკურ ლიტერატურას იცნობდნენ არა დედნით, არამედ ფრანგი პარაფრასტების მეშვეობით. შემდეგ ავტორი წერს: „პოპულარული ევროპული რომანების მდარე რუსულ ადაპტაციებს კითხულობდნენ მხოლოდ დაბალი კლასები, ხოლო, მეორე მხრით, ინგლისური და გერმანული ლექსების ყუიოცესესეულ ვერსიათა მომხიბლავმა მელოდიებმა ისეთი ვამარჯვებია მოუტანეს რუსულ ლიტერატურას, რომ სრულიად გაბათილდა ის დანაკლისი, რომელიც განიცადეს შილერმა და გრიმ ამ ადაპტაციაში. როგორც წესი, პეტერბურგელი მოდური, მოწყენილი ჰუსარი, განათლებული აზნაური თუ პროვინციელი ქალბატონი ცაცხვებით დაჩრდილულ, მოხატულ ხის სასახლეში — ყველანი მხოლოდ და მხოლოდ ფრანგული ვერსიებით კითხულობდნენ შექსპირსა და სტერნს, რიჩარდსონსა და სკოტს, მერსსა და ბაირონს, აგრეთვე გერმანულ რომანისტებს (გოეთე, აგუსტ ლაფონტენი)“.

ავტორი ასახელებს ინგლისელი მწერლის რიჩარდსონის ფრანგული თარგმანების გამოცემებს, რომლებსაც კითხულობდნენ პუშკინი და მისი ტატანა ლარინა („ნეგენი ონეგინი“ ხშირია მითითებები ასეთ უცხო წიგნებზე). ავტორი ამტკიცებს, რომ პუშკინს, რომელსაც ბევრმოდანევე აუთვისებია მეთვარამტე საუკუნისათვის დამახასიათებელი ფრანგული ფრაზოლოგია და იდიომატიკა, მხოლოდ XIX საუკუნის ოციანი წლებიდან უძღოდა თვითონვე შეესწავლა ინგლისური ენა, მაგრამ ვერ გასცილება საწყის სტადიას. პუშკინის ცდები — ეთარგმნა უორდსვორთი (1833) ან ბაირონი (1836) — ამტკიცებს, რომ მას არ შეეძლო გაეგო უმარტივესი ინგლისური საქცეები. იმ წლებში, როცა მან დაიწყო „ონეგინის“ წერა, მას არ შეეძლო ინგლისური ხმოვნების გამო-



თქმა და ბაირონის პოემის სათაურს „ჩაილდს“ გამოთქვამდა ფრანგულად „შილდ“.

შემდეგ ავტორი ასახელებს ბაირონის თხზულებათა ფრანგული ვერსიების გამოცემებს, რომლებზეც ხელი მიუწვდებოდა რუს მკითხველს. ამ გამოცემებში მას ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია ამაღე პიშოს ფრანგული თარგმანები, რომლებიც უნდა სცნობოდა პუშკინს. ავტორი აღნიშნავს თარიღებს და იმ აღვილებს, სადაც შეეძლო პუშკინს ამ თარგმანთა მიღება (პიატიგორსკი, 1820, ოდესა და მიხაილოვსკოე, 1824 და სხვ.).

ნაშრომის პირველი ნაწილი თავისთავად არ იწვევს საწინააღმდეგო მოსაზრებებს. მეორე ნაწილის — „პიშოტრზმის“ დასაწყისშივე ავტორი აფრთხილებს პუშკინის ინგლისელ მთარგმნელს, დიდი ყურადღება გამართებს, რათა გაარჩიო, რა ისეხსა პუშკინმა ბაირონისაგან და რა ამ უკანასკნელის ფრანგი მთარგმნელი პიშოსაგან.

ბაირონის 1822 წელს გამოსულ პიშოსეულ თარგმანს ქვესათურად მითითებული აქვს „poème romantique“. პუშკინიც თავის ცნობილ წერილში (1824 წლის გაზაფხული, ოდესა) იწვევს ონეგინს „რომანტიკულ პოემას“ უწოდებს. მაგრამ რა ისეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ ფაქტიდან, რომელსაც მნიშვნელობა ექნებოდა მთარგმნელისათვის? ცნობილია, რომ „ივეგენი ონეგინს“ საბოლოოდ პუშკინმა უწოდა „რომანი ლექსად“ და ამითაც დაადასტურა პოემის რეალისტური და არა რომანტიკული ხასიათი. მთარგმნელმა უნდა იცოდეს პოემის შექმნის ისტორია. მაგრამ თუ პოემის საბოლოო ტექსტზე მისი გავლენის ნიშანი წაშლილია, ზემოაღნიშნული ფაქტი თავისთავად მნიშვნელობას მოკლებული რჩება მთარგმნელისათვის.

მაგრამ ეგებ სხვა ფაქტებთან ერთიანობაში ენიჭება ზემოაღნიშნულ ფაქტს რაიმე მნიშვნელობა? ვფიქრობთ, რომ არც ეს ხდება.

ავტორს ბაირონის პიშოსეული თარგმანის გავლენის მეორე საბუთად მოყავს შემდეგი ფაქტი:

„ივეგენი ონეგინის“ პირველი თავის XVIII სტროფი, სადაც აღწერილია ონეგინის და პუშკინის სეირნობა სასახლის სანაპიროზე, თემატურური გამოძახილია ბაირონის „ჩაილდ-პაროდის“ მეორე ქეპის, XXIV სტროფისა: Thus bending o'er the vessel's laving side, To gaze on Dian's wave-reflected sphere..

პუშკინი ამბობს:

И вод веселое стекло
Не отражает лик Дианы

ავტორის აზრით, ეს არის კლიშე, აღებული პიშოს ვერსიიდან:

„...le disque de Diane qui se réfléchit dans le miroir de l'océan“.

ავტორი ასკვნის: „ამრიგად, პარაფრასტმა უღალატა ერთ პოეტს და შეაღვინა მეორე“

შესაძლებელია ეს ასეა, — ვამბობთ ჩვენ, — მაგრამ რა უნდა ჰქნას ამ შემთხვევაში მთარგმნელმა? უნდა ასახოს ის, რაცაა „შემცდარი“ პოეტის ტექსტში და არა ასწოროს ეს „შეცდომა“ პირველწყაროს მიხედვით, რადგან „შეცდომა“, ავია თუ კარგია, პოეტის საყუთარ კონტექსტთან არის ორგანიზულად დაკავშირებული და მისი უბუღებელყოფა შეუძლებელია თარგმანში.

თარგმანის პრობლემასთან ასევე არ არის დაკავშირებული ავტორის მსჯელობა პუშკინის იმ შენიშვნის შესახებ, რომელიც ეხება ლენსკის წამოძახილს („ივეგენი ონეგინი“, თავი II, სტრ. XXVII, რომელიც სხვათა შორის, ჩვენს ავტორს შეეცდომით XXXV-ად აქვს მოხსენიებული). ავტორი აკრიტიკებს პუშკინის რუს კომენტატორს ბროდსკის.

ლაპარაკია „ივეგენი ონეგინის“ შემდეგ ადგილზე: ლენსკიმ ბრიგადირ ლარინის საფლავი მოინახულა. პოემაში წერია:

«Роог Yorick!» — молвил он уныло, —
Он на руках меня держал.
Как часто в детстве я играл
Его Очаковской медалью!

პუშკინი გამოთქვამს „Роог Yorick!“ ასეთ შენიშვნას უკეთებს: «Бедный Иорик! — Воскликание Гамлета над черепом шута (см. Шекспира и Стерна)».

ბროდსკის კომენტარის თანახმად პუშკინის ეს შენიშვნა გვიხსნის პოეტის ირონიულ დამოკიდებულებას ბრიგადირ ლარინის მიმართ. ე. ნაოკოვის აზრით ბროდსკის ეს კომენტარი დაუჯერებლად ვულგარულია და შეეცდომაში შემყვანი, რადგან პუშკინის შენიშვნა პირდაპირ მომდინარეობს პამლეტის 1821 წლის გამოცე-



შელ ფრანგული ვერსიისათვის დართული შენიშვნებიდან (გვ. 386—387):

"Alas, poor Yorick! Tout le monde se souvient et du chapitre de Sterne où il cite ce passage et comment, dans le Voyage sentimental, il s'est à ce propos donné à lui-même le nom de Yorick!".

ჯერ ერთი სრულიად არ ჩანს, რომ პუშკინმა თავისი შენიშვნა აუცილებლად ზემოაღნიშნული გამოცემიდან აიღო, რადგან საერთო ამ გამოცემასა და პუშკინის შენიშვნას შორის მხოლოდ სტერნის სახელის სხეულებია, საამისოდ კი პუშკინს შეეძლო სხვა წყაროდ გამოეყენებინა. მეორე, პუშკინს თუნდაც რომ სწორედ ამ გამოცემიდან აეღო სტერნის სახელი, რა მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას მოცემული ადგილის თარგმნისათვის? როგორც ჩანს, ეს მსჯელობა ავტორის მხოლოდ პუშკინის კომენტარის ბროდსკის აუგად მოხსენებისათვის სწორდებოდა. რომ ამ გარემოებას მნიშვნელობა არა აქვს თარგმანისათვის, ეს ჩანს თვით ავტორის (და იმავე დროს მთარგმნელის) მეორე მსჯელობიდან, რომელშიც ავტორი ამტკიცებს: თუმცა პამლეტი პუშკინთან და მის ხასიათებთან ლეტურნეს ფრანგულ თარგმანთანაა შედარებით მოვიდა, მაინც შეგვიძლია ლენსკის პატარა მონოლოგს შექსპირისებური შეფერილობა მივცეთო².

ჩვენი აზრით, არც ლეტურნეს და არც თვით შექსპირს ამ შემთხვევაში უშუალოდ დამოკიდებულება არა აქვთ თარგმნის პრობლემასთან; მთარგმნელი მათ სტერტს მხოლოდ და მხოლოდ პუშკინის ტექსტის მიღმა, მის წინ კი პუშკინის ტექსტია, და როცა გამოირკვევა, რომ ამ მიღმა მდებარეს უშუალო გავლენა არა აქვს სათარგმნ ტექსტზე, თარგმანში აისახება მხოლოდ ეს უკანასკნელი.

გ. ნაბოკოვის ამ მსჯელობის ყველაზე საინტერესო მომენტია ზემოთ მითითებული ადგილის მისივე თარგმანი, რომელიც, როგორც ჩანს, დამახასიათებელი ნიმუშია:

"Poor Yorick!" — mournfully he uttered, he hath borne me in his arms.
How oft I played in childhood
with his Ochakov medal!

1 ეჭა, საბრალო იორიკ! ყველა იგონებს სტერნის თავს, სადაც მას მოაქვს ეს ნაწყვეტი, და იმას, თუ როგორ უწოდა, მან, ამასთან დაკავშირებით, თავის თავს იორიკის სახელი „სენტიმენტალურ მოგზაურობაში“.

² On Translation, p. 100.

ეს თარგმანი შესრულებულია „ფრანგ შუამავალთან“ ყოველგვარი დამოკიდებულების გარეშე. საკმარისია პუშკინის ტექსტს ჩაეუკვირდეთ და ცხადი გახდება მისი განწყობილება, რომელიც გადმოცემულია თარგმანშიც. მაგრამ ჩვენ აქ სხვა რამ გვინტერესებს, სახელდობრ ის, რომ თარგმანში დაკარგულია დედნის პოეზია, მართლაც მსხვერპლად ზეჟირებულია ფორმის ყველა ელემენტი, რომელიც ჰქმნის პოეზიას, და პირველ რიგში დედნის მომხიბლავ რითმათა სისტემა, მისი ლაღი და ოდნავ ირონიული მდინარეობა; და მიუხედავად იმისა, რომ დედნის ლექსის ზომა დაცულია, თარგმანი მხოლოდ სიტყვათა სიკვანძის ბუკურეს წარმოადგენს.

ინგლისელი მთარგმნელისათვის ცაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ავტორის მითითება ფრანგულ ფორმულათა რუსული შესატყვისების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ პუშკინს-დროინდელი სალიტერატურო ენის ქმნადაზიანებულ ელემენტებს. ავტორის აზრით, ზოგიერთ ლაღი კული ტერმინი პუშკინს აღებულო აქვს პარანოსა და სხვა ფრანგი ელემენტებისაგან. მკვლელთა: „Умление“, არის „attendissement“, „Hera“ — „mollesse“, „любезный“ — „aimable“, „жар“ — „ardeur“, „пламень“ — „flamme“, „ветренный“ — „frivole“, ან „volage“, „агог“ — „gagé“, „сладолюбие“ — „volupté“ და ა შ

უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი ლექსიკური შესატყვისები თავისთავად შეიძლება ჩაათვალოს მხოლოდ რუსული ენის სინდიკატის საბუთად. უფრო საყრდნობა ე. წ. „რუსული სამოსილით შემოსილი მზამზარეული ფრანგული თქმები: „âme novice“ (неопытная душа), „belle âme“ (прекрасная душа), „esperance flatteuse“ (лестная надежда), „heureux talent“ (счастливый талант), „vivement touché“ (живо тронут), „fausse honte“ (ложный стыд), „grands droits“ (большая правда), „femme à la mode“ (модная жена), „sein de la tranquillité“ (лово тишины); „par la force de choses“ (силою вещей), „par suprême vouloir“ (всевышний волею) და სხვა მრავალი, რომელიც ავტორის აზრით, იმ დროის ფრანგულ ნახტებებს უკავშირდება.

ავტორის აზრით, ინგლისელი მთარგმნელი უნდა მოელოდეს დიდ სიძნელეს ისეთი ხშირად ხმარებული სიტყვებისაგან, როგორცია, მაგალითად, „dаль“ (le lointain, l'éloignement), რომელიც აღნიშნავს უფრო შორი მანძილის პოეზიას, ვიდრე თვით შორი მანძილს (შდრ. ქართული „შორეთი“, აგრეთვე პოეტური ნეოლოგიზმი, რომელიც მანძილის პოეზიას აღნიშ-

ნავს). ავტორი სწორად მიუთითებს, რომ პუშკინი ხშირად უპრადღებას არ აქცევს ფრანგული გამოთქმის ფორმის ბანალობას, რადგან რუსულად ეს გამოთქმა მოხდენილი და ეფფონურია. ამის მავალითაა („სურვილთა გუნდი“, ინგლ. swarm of desires, or ardors), რომელიც მიღებულია ფრანგი ავტორების გაცვეთილი გამოთქმიდან „l'essai d s voulu piés“ (Par ny), „tendre essaim des d'sirs“ (Bertin) „des plai-irs le dangereux essaim“ (Ducis, 1

სათარგმნი ავტორის სესხებათა და რემინისცენციითა ძიების პრაქტიკული უმნიშვნელობა მთარგმნელისათვის დასტურდება ჩვენი ავტორის სტატიის მეოთხე ნაწილში — „თარგმანთა თარგმანი“: ავტორი მიუთითებს, რომ „ეკვენი ონეგინის“ მერვე თავის მეორე სტროფის მეხუთე სტრიქონი (რომელიც მხოლოდ ხელნაწერში ავსებს ამ სტროფს, რადგან თვით სტროფა მხოლოდ პირველი კატრენის სახით იყო თავის დროზე გამოქვეყნებული) იცოთება ასე:

И Дмитриев не был наш хулигатель

ვ. ნაბოკოვი თარგმნის მას ასე:

And Dmitrev (sic) was not our detractor.

შემდეგ ის არკვევს, რომ რუს მწერალს დმიტრიევს ჰქონია უფერული ვერსია (1798) ინგლისელი პოეტის ალექსანდრე პოპის ლექსისა „წერილი დოქტორ არბეთონტს“ (1734).

Kongrev applauded me, Swift was not my detractor.

ვ. ნაბოკოვის მტკიცებით ეს ვერსია შესრულებული ყოფილა პოპის ფრანგული (უთუოდ La Porte-ის, თარგმანიდან, რასაც ადასტურებს ინგლისელი მწერლის კონგრევის სახელის (Congreve) გალღური სამოსელი (Kongrev).

დმიტრიევის სტრიქონი ყოფილა პარაფრაზი პოპის სტრიქონისა (138):

And Congreve loved, and Swift endured, my lays.

ერთი შეხედვით, ამ პირველწყაროს თანახმად, ინგლისელმა მთარგმნელმაც პუშკინის სტრიქონი უნდა თარგმნის ასე:

And Dmitriev, too, endured my lays.

მაგრამ არა! აქ ვ. ნაბოკოვი უკვე სწორ გზაზე დგება და აცხადებს, პუშკინი ფიქრობდა არა პოპზე ან ლა პორტზე, არამედ დმიტრიევზე, და ამიტომაც უნდა ინგლისურ თარგმანში დავიცვათ detractor-ით¹. სწორია, მაგრამ ამით ხომ ჯვარი ესმევა მთელ ძიებას. მაშასადამე, გამოდის, რომ გამოსავალი პოზიცია დედნის

ტექსტია და არა მისი ლიტერატურულ მნიშვნელობა.

სტატიის მეხუთე ნაწილი დათმობილი აქვს მცენარეულის პრობლემას. ავტორის აზრით მთარგმნელმა ზუსტად უნდა გადმოიტანოს მცენარეთა სახელები, რადგან ისინი სხვადასხვაგვარ წარმოდგენას ჰქმნიან სხვადასხვა ენაზე. მსჯელობისათვის ავტორი იღებს „ევეგენი ონეგინის“ მეექვსე თავის მეშვიდე სტროფის მეცხრე სტრიქონს:

Под сень черемух и акаций

პირველი მცენარის სახელი (черемуха) მთარგმნელს უქმნია ლექსიკონებში და უპოვნია განმარტება racemose, old-world bird cherry. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ მას მიუღია გადაწყვეტილება, შემოეტანა უბრალო და ეფფონიური racemosa ხმარებული ვრსებითი სახელად და გარითმული mimosa-სთან.

მეორე მცენარესთან (акация) დაკავშირებით ავტორი აყენებს კითხვას: „მთარგმნელმა უნდა აიღოს მცენარის ნომინალური სახელი თანახმად ლექსიკონისა, რომელიც ამბობს: акация არის acacia; თუ აზოვოს, ნამდვილად რას ნიშნავს ეს სიტყვა მის კონტექსტუალურ სამშობლოში, გარკვეული ადგილის პირობებში და გარკვეული ლიტერატურული სქემის შუქზე? მე მეორე გზის დამცველი ვარ“.

ავტორი მართლაც არკვევს, რომ პუშკინის მიერ ნახსენები „აკაცია“ არის არა ნამდვილი (თეთრი) აკაცია, რომელიც არ ხარობს შოთხვის (черемуха) გვერდით (რომანის მოქმედების არეში — ჩრთილო-დასავლეთ და ცენტრალურ რუსეთში), არამედ აზიიდან შემოტანილი ყვითელ-ყვავილიანი მცენარე, რომელიც ჩრდილოეთ რუსეთის თავადაზნაურთა ფანჯატურებსა და ბეიენებში ხშირად იყო დარგული. ფრანგი აღმზრდელები მას უწოდებდნენ „l'acacia de Siberie“.

თავის მტკიცების უფრო მნიშვნელოვან საბუთად ავტორს მიაჩნია პუშკინის წინამორბედის პოეტ კ. ნ. ბატიუშკოვის ლექსის „Беседка муз“ (1817) ორი პასაჟი, სადაც ლაპარაკია ზემოაღნიშნულ მცენარეებზე. ბატიუშკოვის ლექსის პირველი პასაჟია ლექსის პირველი სტრიქონები, რომლის დედანიც გამოიყურება ასე:

Под тению черемухи млечной

И золотом блистающих акаций...

ხოლო მეორე პასაჟი ე. ი. ლექსის ორი უკანასკნელი სტრიქონი — ასე:

Он некогда придет вздохнуть в сени густой
Своих черемух и акаций .

ლექსის მეორე სტრიქონში აღწერილი „ოქროსფრად მოელვარე აკაცია“ ჰგავს მცენარე

¹ On Translation, p. 102.



caragana-ს (ინგლ. pea tree) ყვავილს და არა ჰგავს თეთრ აკაციას. ამიტომაც, — ასკენის ავტორი, — „ვევენი ონეგინის“ ზემოაღნიშნულ ადგილი (მეორე თავი, VII, 9) უნდა ითარგმნოს ასე:

beneath the racemosas and pea trees.

ამასთან დაკავშირებით ავტორი აღბადებს: „მე ვუტოვებ სხვა ხეებს იმ კეთილშობილ პარადრასტებს, რომელნიც სერ ჯონ დენამამა ამ სამი საუკუნის წინ შეაქო თავის მიმართვაში მეორე გამოჩენილი კაცის, სერ რიჩარდ ფენ-შოუსადმი (იხ. დრაიდენის „ოვიდისის მიმართვათა წინასიტყვაობა“):

That servile path thou nobly dost decline
Of tracing word for word and line for line¹

სწორედ აქედან არის აღებული ჩვენი ავტორის ნაშრომის დამახასიათებელი სათაურიც „მონობის გზა“.

უთუოდ საქები იქნებოდა თარგმანში ასეთი „მონობის გზა“, მას რომ არ გამოეწვია უმთავრესის, სახელდობრ, პუშკინის ელვარე პოეზიის დაკარგვა მკითხველისათვის. თარგმანის სიტყვა-სიტყვით პრინციპის, ე. წ. ბუკვალის მიხედვით მუდამ ის იყო (და როგორც ჩანს დღესაც ის რჩება), რომ იგი ცალკეულ დეტალებს (უმეტესად სიტყვებს და შესიტყვებებს, სახელებს და მათ ეტიმოლოგიას და ა. შ.) ზუსტად გადმოგვეცემს თარგმანში, ხოლო უფრო ადრეულ სტოვებს (ან ვერ სწვდება) პოეზიას.

ნაშრომის უკანასკნელ ნაწილში ე. ნაბოკოვა ეხება სესხებისა და იმიტაციის საკითხს. იგი ადგენს, რომ „ვევენი ონეგინის“ მეექვსე თავის მეოთხე სტროფში მოთავსებული სტრიქონები

И даже честный человек:
Так исправляется наш век.

აღებული ყოფილა: პირველი სტრიქონი ვოლტერის „კანდიდიდან“, ხოლო მეორე სტრიქონი იმავე ვოლტერის „უენევის სამოქალაქო ომის“ მეოთხე ქების დასაწყისიდან. ეს ნაწარმოები პუშკინის, როგორც ჩანს, ძალზე მოსწონდა.

ამის შემდეგ ე. ნაბოკოვი პოულობს ფრანგი პოეტის ევარისტ პარნის (ავრეთვე პუშკინის საყვარელი პოეტის) ლექსის „ხელისა“ და პუშკინის პოემის ერთი ადგილის მსგავსებას. სახელდობრ, პუშკინი ამბობს (მესამე თავი, XXV, 1-6):

¹ On Translation, p. 106. აღნიშნული სტრიქონები ქართულად ითარგმნება ასე: შენ კეთილშობილად უარყოფ ამ მონობის გზას სიტყვისთვის სიტყვის და სტრიქონისთვის სტრიქონის კვალდაკვალ ძიებისა.

I. Кокетка судит хладнокровно,
Татьяна любит не шутя
И предается безусловно
Любви, как милое дитя,
Не говорит она: отложим —
Любви мы цену тем умножим.

პარნის ლექსის დედანი კი ასე გამოიყურება:

5. On ne dit point: "la resistance
Enflamme et fixe les desirs,
Reculons l'insiant des plaisirs".

9. Ainsi parle un amant trompeur
Et la cocuette ainsi raisonne.
La tendre amante s'abandonne
A l'objet qui touch son coeur.

(5. არავინ იტყვის „წინააღმდეგობა აღვივებს და ამტკიცებს სურვილს; მოდი გადავდლოთ განცხრომის წუთი“.

9. ასე ლაპარაკობს მატყუარა მიჯნური და კოკეტი მსჯელობს ასე, ნაზი ასული კი უთმობს მას, ვინც მისი გული შესძრა).

ამ მსგავსებიდან ე. ნაბოკოვის გამოაქვს დასკვნა: ინგლისური თარგმანი ისე უნდა შესრულდეს, რომ ორივე პოეტს, პარნის და პუშკინს უხდებოდეს და ამ ადგილს თარგმანის შემდეგნაირად:

1. The coquette reasons colly,
Tatiana in dead earnest loves
And unconditionally yields

4. to love, like a sweet child.
She does not say: Let us Defer,
therby we shall augment love's value.

ეს, მე ვიტყვოდი ბუკარედი, შესრულებულია პუშკინის ტექსტის მიხედვით და პარნის ტექსტთან იმავე მიმართებაშია, როგორმაც დედანია. მაშასადამე რა შესცვალა ამ ე. წ. სესხების აღმოჩენამ თარგმანში? აბოსლუტურად არაფერი. მხოლოდ დაამცირა დიდი პოეტი არაკომპეტენტური მკითხველის თვალში, რომელმაც არ იცის, რომ მსგავსი სესხებანი დაახლოებით ისეთივე მოკლეანა ლიტერატურულ სამყაროში, როგორიც ჩვეულებრივ სალიპარაკო ენაში საყოველთაოდ მიღებული სიტყვებისა და ფორმულების განმეორება სრულიად ახალ კონტექსტში. მთელი კონტექსტი, ნაწარმოები ფორმისა და შინაარსის მთლიანობაში — აი რა აისახება მხატვრულ თარგმანში, და არა მთელისგან მოწყვეტით ტექსტის მონაკვეთთა კირკიტის შედეგი.

ზემოაღნიშნული მავალითი თანამედროვე ბუკვალის დამახასიათებელი ნიმუშია, იგი თავისთავად ადასტურებს დიდი პოეტის სესხებათა ძიების უაზრობას თარგმანისათვის.

როგორც ჩანს, ე. ნაბოკოვი თვითონვე გარწმობს ამგვარი ძიებით შექმნილ უზერბუ-

ლობას და წერს: „რემინისცენციებისათვის გამოვიღება ავტორის შემოქმედებაში, რა თქმა უნდა, სახიფათო სპორტია. ეჭვი არ არის, რომ მრავალ შემთხვევაში პუშკინი ჰკრეფს თავის ყვაილებს აშკარა პლაგიატის პირად, მაგრამ ჩვენ ხშირად უნდა გავუწიოთ ანგარიში იმ მსგავსებებს, რომელიც მომდინარეობს კულისებს უკან არსებული საერთო წყაროდან, ან აუტოლებელ კომბინაციებს ჩამოყალიბებულ ეპარის შედარებით ვიწრო ფარგლებში“.

თუკი ეს ასეა, მაშინ ისმება კითხვა: საჭიროა თუ არა ამგვარი „პლაგიატის“ ძიება ან რა სარგებლობა მოაქვს ამ ძიებათა შედეგებს მთარგმნელისათვის?

ამ კითხვის პასუხი თავისთავად ნათელია. როგორია ავტორის საბოლოო დასკვნა? იგი გვეუბნება, რომ მისი მიზანია არა გიგანტის დამცირება („belittling a giant“), არამედ მხოლოდ „პატიოსანი მთარგმნელისათვის ტექსტის უკეთესი გაგების მიწოდება“. უდავოა, არც რეალისტური თარგმანი უარყოფს სათარგმნი ტექსტის ღრმა შესწავლას, თითო იმ რემინისცენციების ჩათვლით, რომლებიც ყოველთვის და ყველგან არის მოსალოდნელი, მსგავსად პუშკინის „ევგენი ონეგინისა“. მაგრამ რემინისცენციათა შესწავლა მხოლოდ იმისათვის არის საჭირო, რომ გადაწყდეს მათი ხვედრითი წონისა და მნიშვნელობის საკითხი მთელ ტექსტში, მათი ტიპობის საკითხი სათარგმნი ავტორის შემოქმედებისათვის, და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოიძებნოს თარგმანში მათი გადმოცემის გზები და საშუალებანი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი რემინისცენციის გადმოსაცემად საჭირო არაა მივმართოთ მის პირველ წყაროს თავდაპირველი ავტორისეული ტექსტის აღსადგენად, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა უნებლიე ლაფსუსთან გვაქვს საქმე ამ ტექსტის გადმოცემის დროს. ეს არაა საჭირო იმიტომ, რომ რემინისცენცია სათარგმნი ავტორის მთლიან კონტექსტშია და ჩვენ ვალდებული ვართ თარგმანში გადმოვცეთ სწორედ ის გაგება, რომელიც მას მისცა სათარგმნმა ავტორმა, თუნდაც იგი განსხვავებულდეს პირველწყაროსაგან.

ამერიკელი ავტორი ტექსტის ლიტერატურულ

რემინისცენციათა პირველ წყაროს ეჭვს პუშკინის კონტექსტისაგან მოწყვეტით და უგულვებელყოფს მის ახალ გააზრებას ამ უკანასკნელში. ავტორი ცდილობს რემინისცენციათა გზით მიწვედეს ისტორიულ სინამდვილეს და ამით ახსნას ტექსტში მათი შემოჭრის მიზეზები, მაგრამ მხედველობის გარეშე რჩება მათი ადგილი დედნის მხატვრულ სინამდვილეში.

რეალისტური მეთოდი თარგმანში გვიკარანხებს მივწვდეთ ტექსტის მიღმა მდებარე სამყაროსაც, ე. ი. იმ სინამდვილესაც, რომელიც აისახა დედანში, მაგრამ რადგან ენა არის ავტორის აზრის სინამდვილე და მხოლოდ სათარგმნი ტექსტის სახით გვევლინება, ჰუმბოლტი რეალისტ მთარგმნელს ვეალებს ასახოს თარგმანში მხოლოდ ის მხატვრული სინამდვილე, რომელსაც წარმოადგენს მის წინაშე მდებარე ტექსტი. რეალისტური მეთოდის თვალსაზრისით მხატვრულ თარგმანში აისახება არა დედნის უკან მდგარი ისტორიული სინამდვილე, არამედ დედნის მხატვრული სინამდვილე, რომელშიც გაშუალებულია დედანში ასახული ისტორიული სინამდვილე დედნის ავტორის შემოქმედებითი ინტერპრეტაციის გზით. თუ ტექსტი ავტორის აზროვნების უშუალო სინამდვილეა, მისი ასახვა პირობადებულია ავტორის აზროვნების მთლიანობით. ამიტომაც ტექსტისაგან ამ უკანასკნელის მოწყვეტას თარგმანში მივყავართ სიტყვისიტყვივით თარგმანის მეთოდამდე. გასაგები ხდება ამ მეთოდის უარყოფითი პრაქტიკული შედეგიც, რომელსაც დებულობს ამერიკელი ავტორი: პუშკინის პოემის ინგლისურ თარგმანში დეკარგულია დედნის მხატვრული ფორმის თითქმის ყველა ძირითადი ელემენტი (გარდა ლექსის საზომისა და ენობრივი სახეებისა) და არ არის ასახული დედნის მხატვრულ სინამდვილეში არსებული ფორმისა და შინაარსის ერთიანობა.

სოხუსტის იმგვარი ძიებანი, რომელსაც მისდევს ე. ნაბოკოვი თავის ნაშრომში, ამ ძიებათა შედეგის არატიპიური ხასიათი პუშკინისათვის, პრაქტიკულად აზრსა ჰკარგავს მთარგმნელისათვის და მხოლოდ „ბუჟვალისტური“ მეთოდის თანამედროვე გამოვლინებად რჩება. უფრო მეტიც: ეს ძიებანი ამცირებს დიდ პოეტს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ასეთი განზრახვა ნაშრომის ავტორს.



ქეჩიკი ბასი

IX

ოთხად გაკეცილმა ქალადმა შეაკრთო გამხიარულებული კლაპზუბები. ისინი დაბნეულად შეკურებდნენ ხან საიდუმლო დეპეშას, ხან მამის იდუმალებით მოცული სახეს. ბოლოს გონზა გამოერკვა ფიქრებიდან და დეპეშა გახსნა. ვინცენცა მაცეშკა ლონდონიდან იტყობინებოდა:

„ავსტრალია გიწვევთ მსოფლიო ჩემპიონობის მატჩში სამი თვის შემდეგ სიდნეიში შემოგვი-თვალეთ თქვენი პირობები მაცეშკა“.

გონზამ დეპეშა იოსებს მიაწოდა, მან ჩურჩულით დაიწყო კითხვა, ტუჩები უთრთოდა, მერე — კარლიკს გადასცა, და ასე გადავიდა დეპეშა ხელიდან ხელში და თვითულმა საკუთარი თვლით ამოკითხა ეგზომ მოულოდნელი წინადადება. სამი თვის შემდეგ სიდნეიში მსოფლიო პირველობის გათამაშება? კლაპზუბელები ავსტრალიელთა წინააღმდეგ? თვითული გრძნობა, თუ როგორ ეკვროდათ სუნთქვა მღელვარებისკენ. ისინი დაბნეულად შეპყრებდნენ მოხუც კლაპზუბს, რომელსაც, ვითომდა არაფერი მომხდარიყოს, ტუჩის კუთხიდან კუთხეში გადააქონდა ჩიბუხი, ბოლოს გონზამ დაარღვია სიჩუმე.

— თქვენ რას იტყოდით ამის შესახებ, მამა?

— რა უნდა ვთქვა? — აურჩაბრებლად უპასუხა მოხუცმა. — დასაანია, რომ ასე გვიან მოვიდა დეპეშა! თამაშით უკვე აღარ ვითამაშებთ, რალს ვეწვალთ... მე და დედამ გადავწყვიტეთ, როგორ მოვიქცეთ და რა გავაკეთოთ. დღეს მე სოფელში გავიკითხავ გუთანს და როგორც კი ვიშოვნი, გადავხვანათ მოედანს, დაფეთსავთ... აქ ნასენი მიწაა, მშვენიერი ყანა იქნება, რა თქმა უნდა, თქვენ რომ გადაწყვეტილება არ მიგელოთ, ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი, ავსტრალიის მთელ კონტინენტს შეეძრავდით.

— ჩვენც ეგრე ვფიქრობთ, — ერთხმად დაეთანხმნენ ვაჟები. — მსოფლიო პირველობისათვის ღირს ბრძოლა.

— მგ გასაგებია, აქ ყველას მოეუბნეთ, ავსტრალიას კი ჯერ არ შეეხედვინებოდით. მას გამოწვევის უფლება აქვს, მაგრამ რას იზამ, გაუფზავნით პასუხი მაცეშკას, რომ კლაპზუბელები იარაღს ყრიან.

ეს მან წარმოსთქვა მშვიდად, ისე რომ თვალის ანახამებია, მაგრამ ყოველი მისი სიტყვა ჰინჭარბივით სუსხავდა ბიჭებს.

— რას ამბობთ, მამა, ჩვენს შესახებ ამის გაფიქრებასაც ვერაფერს გაბედავს!

— რა გინდათ, თქვე ეშმაკის კერძებო? ამ კვირას მოვხვანათ მოედანს და თესვასაც დავიწყებთ...

— გეყოფათ, მამა, თქვენ ეხლა ამას სერიოზულად არ ფიქრობთ.

— ვითომ რატომაო? თქვენ უარი თქვით თამაშზე და არ შემოძლია ანგარიში არ გავიწიოთ. ვიმეორებ, მოვხვანათ, მოვფოცხოთ, დაფეთსავთ.

რისხვამ მოიცვა თერთმეტი ახალგაზრდა კლაპზუბი. კბილებს ახრჭიალებდნენ, თვლებს ატრიალებდნენ, ხელებში შემოემტვრათ მაგიდის ფიცარი. მოხუცი კლაპზუბის დაუნდობელმა ლოლიკამ სასოწარკვეთილებამში ჩააგდო ისინი.

— გონზა, კაპიტანო! — ყვიროდნენ და ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, — შენ ითმენ ამას? სდუმხარ? შეგიძლია ამ სირცხვილის ატანა?

— დამაცადეთ, — შეპყვრია გონზამ და მამას მიუბრუნდა, — კეთილი, მამა, გადავხვანათ მოედანს და დაფეთსავთ. მაგრამ მერე რა გავაკეთოთ?

დასასრული. იხ. „ციცისარი“, № 7, 8.



— როგორ თუ რა? მეურნეობას მოვეკიდებით, ეშმაკმა წაგიღოთ, ახალ მოსავალს დაგროვებთ...
 — სწორია, მამა! მაგრამ თავისუფალი დრო რაღაცნაირად ხომ უნდა გამოვიყენოთ. ერთი მომეცით რომელიმე რუკა...

ოცი ხელი შექმნა თაროში, რათა სწრაფად მოეძებნათ კოზენ-ირენჟე-მეტელას ძველი სასკოლო ატლასი, რომელშიც წითელი მელნით იყო აღნიშნული კლავაზუბელთა ყველა მოგზაურობა. გონზამ ატლასი გადაშალა, ნახა მსოფლიო რუკა და ყურადღებით დააქვერდა.

— აი აქ: ბრინდიზი — ბომბეი — 13 დღე, ბომბეი — სიდნეი — 20 დღე. თუ არაფერმა შეგვიშალა ხელი, გზას დასჭირდება ერთი თვე იქით და ერთი თვე უკან გამოსაბრუნებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ მკის დაწყებამდე ისევ შინ ვიქნებით.

- ესე იგი...
- ესე იგი, მივიღივართ ავსტრალიაში!
- ვაშა-ა-ა-ა-ა-ა!

ეს წამოძახილი მეხის გავარდნას გავდა. ათი ძმა კისერზე ჩამოეკიდა გონზას. მოხუც კლავაზუს ისევ სწრაფად აუხამხამდა წამწამები, მისმა ჩიბუხმა მოგზაურობა დაიწყო ტუჩის ერთი კუთხიდან მეორეში.

— ეს თქვენი უკანასკნელი სიტყვაა? — იკითხა მან ბოლოს, — ეშმაკმა დაგლახებოთ, ცუდლუტებო, რამხელა ტვირთი მომხსენით მხრებიდან, ის-ის იყო ვიჯერებდი, რომ თქვენ პირად ღირსებას, ბოლოსდაბოლოს, ლაქას მისცხებდით.

X

სამი წამით ადრე, სანამ ას სამოც ათას ავსტრალიელს აღმოხდებოდა თავისი გააფთრებული ძახილი გამარჯვებისა, თავმჯდომარეს ლოჯაში გაისმა ჩუმი ტაკანო: მოხუცმა კლავაზუმ მეფესული ჩიზუხი გადაკვინტა. წამის ამ რაღაც მესაღებში ფეხბურთელების მამამ იგრძნო, რომ საქმე ცუდად იყო. უფრო მეტად ინსტინქტმა, ვიდრე გონებამ, მას უკანახა, რომ გოლი ვარდაუვლია. ამის მიზეზი გახლდათ მარცხენა ნახევარმკველის, ტონიკის სუსტი დარტყმა, ხოლო მარცხენა მკველს იურკას მიანცდამანაც ამ დროს მოუნდა წაქცევა, მარჯვენა მკველი ძალზე წინ გავიდა — პირველ წუთებში ეგონათ, რომ თავდამსხმელები ცენტრიდან შეუტყვედნენ, — და მხოლოდ მაშინ დაბრუნდა უკან, როდესაც ავსტრალიელი თავდამსხმელები ბურთს დაუფლნენ. ამას მოჰყვა დაბალი გადაცემა, გამოცდილი შორტი წინ გამოეარდა და გოლი ვარდაუვლია შეიქმნა. ერთი წამით კიდევ რჩებოდა იოტისოდენა იმედი, რომ შორტი ააცდენდა კარებს, ან შეკარეს მოარტყამდა. გონზა წინ გამოიჭრა, რათა შეემიკრებინა დარტყმის რადიუსი. მაგრამ ამ დროს შორტი ზნედიანივით ეცა ბურთს, რომელიც (ეშმაკმა დალახვროს) შესანიშნავად მოაჯდა მარჯვენა ფეხზე და ბადეში ააფართხალა. ბურთმა ელვასავით ჩაუქროლა გონზას, ეს იყო უძლიერესი დარტყმა, რაც კი ოდესმე ენახა მოხუც კლავაზუს მას თვალები აუხამხამდა, ფეხები აუკანკალდა, გული შეეკუმშა. არც კი შეივინა, მხოლოდ თავისმდებურად მოქაჩა ჩიზუხი, მაგრამ იგი ჩამქარალიყო. მოხუცმა ჩიზუხი გადაკვინტა. მაყურებელი მთელი თორმეტი წუთის განმავლობაში ღრიღებდა. თამაში უკვე კარგა ხანი იყო, რაც გრძელდებოდა, მაგრამ ტრიბუნებზე მჯდომი ხალხი მაინც ხტოდა, ღრიღებდა, ერთმანეთს ურტყამდა და ეხევოდა. ოდნავ ფერწყალული კლავაზები გაუნძრევლად იქტირებოდა ქვევით. არა, იგი არ სცდება. ზიკები ისე არ თამაშობდნენ, როგორც ყოველთვის. გზამ მოქანცა, თუ საერთოდ არ იყვნენ ხასიათზე, ეს არაინი იყო, მხოლოდ აშკარა იყო, თამაში ვერ აეწყოთ. მათ კლავაზებზე უნდა შესანიშნავ თამაშს ალტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი, მაგრამ აღმაგლონა თავგამოდება აკლდა, რაც აუცილებელია გამარჯვებისათვის. ამას გარდა, წითლები თერთმეტი ეშმაკივით თამაშობდნენ, კლავაზები კი მთელი პირველი ნახევარი თავს იცავდნენ. როდესაც მსაჯმა მაყურებლებს აუწყა პირველი ნახევრის დამთავრება, ანგარიშით 1:0-ზე ავსტრალიელთა სასარგებლოდ, კლავაზუმები დაღონებულნი დაბრუნდნენ გასახდელში, სიტყვაც არ წამოსცდენიათ. უხმოდ დაეშვნენ სკამებზე, მხოლოდ გონზა იხოცავდა ცხვირს გამუდმებით, ცდილობდა შეეკავებინა თვალზე მომდგარი ცრემლები.

გვერდით ოთახში მეშასაკეების და მწრთენულების მთელი არმია დაეხვია ავსტრალიელ მოთამაშეებს, რათა დაზღვევით გაეცოცხლებინათ მათი დადლილი კუნთები. კლავაზუბთა გასახდელში სიჩუმი იდგა. გარდუვალი დამარცხების ჩრდილი ადგა თავზე ბუკოვიჩის გუნდს. მამა მაინც ვამოჩენილიყო! მაგრამ თითქოს ჯიბრზე, მაინცდამაინც დღეს არ ჩანდა. მაშინ, როცა ყოველთვის თვითონ ელოდა ხოლმე გასახდელში ზიკებს. წუთები გადიოდა, მამა კი არა და არ ჩანდა!

— ღმერთო, რამე ხომ არ შეემთხვა? — თქვა ფრანტიკმა და შიშისგან თვალები გაუფართოვდა.

ყველა შეკრია. მართლაც, სხვა რითი უნდა აიხსნას მისი დავიანება? ზიკები შიშმა შეიპყრო.



ისინი წამოხტნენ ადგილებიდან და კარებს ეცნენ. გარედან სასტვენის გაბმული ხმა მოისმა, მსაჯურ მერე ნახევრის დაწყების ნიშანს იძლეოდა, მაგრამ კლაპზუნებს წარბივ არ შეუხრიათ. მათ მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდათ: რა დაემართა მამას?

ამ დროს კარებში მოხუცი კლაპზუნები გამოჩნდა.

— მამა! მამა!

ყველა სიხარულით შემოეხვია. მოხუცი ოდნავ გაწითლებული იდგა შვილებს შორის და ძლიერი შორებდა მათ.

— აბა, აბა, თავქარიანო ეშმაკებო, დამაცადეთ!

ბიჭებმა უკან დაიხიეს, მიხვდნენ, მამა რაღაცის თქმას აპირებდა. ძალაუნებურად თვალები დახარეს მაგრამ მამა არ ბრახობდა. პირიქით, მისი ხმა რბილად ჭვრდა, ჩვეულებრივზე უფრო რბილად.

— მოიცადეთ, ბიჭებო, არ დამახრჩოთ! ყველაფერს საზღვარი აქვს! მე ვუყურებდი თქვენს თამაშს. შესანიშნავი იყო, მართლაც რომ შესანიშნავი. თქვენი ასეთი სუფთა თამაში მე ჯერ არასოდეს მინახავს...

ტონიკმა ეგვიანად ახედა მამას. ეს თბილი კილო მას სრულებით არ მოსწონდა. მამა კი განაგრძობდა:

— მართლაც რომ კარგი თამაში იყო! სირბილი, შეთამაშება, ახლა დარტყმებს არ იკითხავთ?! ძალიან გამახარეთ! მოვიდა ჩემთან ერთი სქელი ჯენტლმენი და მითხრა, სიდნეიში არსებობსო მძიმე წონიანების კლუბი — ასი კილოგრამიდან დაწყებული და უფრო ზევით. ვითომდა, ისინიც თამაშობენ ფეხბურთს ხანდახან, ხომ არ დასთანხმდებით, მათ შეეჯიბროთ შემდეგ კვირასო? მაგრამ ცოტად დაისვენონო შენმა ბიჭებმა, რათა ჩვენი ღირსეული მეტოქეები იყვნენო. მერე ჩემთან გამოცხადდა ერთი ქალიშვილი და განმიცხადა, აქ შემოიღის ახალი თამაში, განდობილიო. და იქნებ უმჯობესია, ამ სპორტს მოჰკიდონ ხელი ბიჭებმა, ვიდრე ფეხბურთში იჯახირონო. ამას გარდა, მე გავიგონე, როგორ კამათობდა ორი ბებერი ქალი, ნუთუ ჩვენს ახალგაზრდობაშიც ასე ხშირად კარგვდნენ ბურთებს, როგორც ახლა კარგავენ ევროპელებიო...

— მამა!..

ეს გმინვა უფრო იყო, ვიდრე წამოძახილი. ყველა სლუკუნებდა გამშაგებისაკან. მოხუცმა კლაპზუნმა ვერ შეინარჩუნა თავისი დამცინავი კილო. იგი დადნა და მოლბა.

— ინგლისის უდიდებულესობის ნაჩუქარი ჩიბუხი თქვენი გულსათვის გადაგვნიტე. ეშმაკმა დალაზეროს, გუნდო, რა ვუთხრა დედათქვენს?

ბიჭებმა ველარ შესძლეს მეტის ატანა და გარეთ გავარდნენ, მსაჯურ უკვე გაბრაზებით უსტვენდა, ხილვ ტრიბუნები დროალებდნენ და ჩეხების განადგურებას მოითხოვდნენ. სანამ ღერეფნიდან გავიდოდნენ, ტონიკი შეჩერდა:

— ბიჭებო... ღმერთო ჩემო!..

დადგა „ყოფნა არყოფნის“ საკითხი! ყველა გრძობდა ტონიკის სიტყვების მნიშვნელობას. სახელოებით მოიწმინდეს თვალები და უსიტყვოდ წაუჭირეს ხელები ერთმანეთს. ეს ფიცზე მეტს ნიშნავდა.

და სათამაშოდ გავიდნენ.

მეორე ნახევარი იყო თავზარდამცემი და შემშუსვრელი, როგორც ქარიშხალი, იყო წუთები, როდესაც ავსტრალიელები ჩერდებოდნენ, იქნებ გავარკვიოთ, რა ხდება მოვლანზეო. როგორ უტყვდნენ თეთრები? რვა კაცი გრივალეით დაჰქროდა და სადაც, მათ შორის დაფრინავდა ბურთი მანამ უხილავი, სანამ ბადეში არ გაეხვეოდა. დაცვა? თერთმეტი კაცი, როგორც თეთრი კედელი ისე იყო აღმართული. კომბინაციები? მას საერთოდ ვერ ამჩნევდნენ. ლოცება და ტრიბუნებზე ხალხი თითქმის არ სუნთქავდა. ახლა მარტო თერთმეტი კაცი როდი თამაშობდა. ბურთი თვითონაც გაეცოცხლდა, თითქოს მოჯადოვდა და ეშმაკური სურვილი შეუქდა, რაც არ უნდა ყოფილიყო. დემარტეზინა ახალგაზრდა კონტინენტი. ბურთი გაუთავებლად ბზრიალებდა, ხტოდა წინ და უკან, მარტენივ და მარჯენივ, ზემოთ და ქვემოთ, ავსტრალიელებს უსხლტებოდა, თეთრებს ეკრობოდა, დახტოდა იქ, სადაც წითლები ცველაზე ნაკლები იყვნენ, წინ მიძვრებოდა, ხან უბრალოდ დაგორავდა, ხან ზუზუნით ვადაივლიდა ეს პატარა, მრგვალი უშმაკუნა, რომელიც თითქოს თეთრების გუნდს ემსახურებოდა.

პირველი ბურთი მესამე წუთზე გაიტანეს. იგი არც შეუვლიათ, უბრალოდ, კარლიკმა მკერდით შეიტანა კარებში. მეორე გოლი ბუბიკმა გაიტანა გარემარბების კომბინაციის შედეგად: ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთი ზედა ძელზე აიკენწლა, მერე ზედ ფეხებთან დაუვარდა პეპიკს. მესამე ბურთი ტონიკმა გაიტანა ოცდაათი მეტრიდან, როცა არავინ ელოდა. მეოთხე, კუთხურის ჩამოწოდებისას, თავით შეაგდო ფრანტიკმა. ყველაზე ლამაზი და საოცარი — მეხუთე — ახლაც შეიძლება ნახოთ ფედერაციის კინემატოგრაფიულ არქივში. ეს იყო იერკას უძლიერესი დარტყმა; მეკარე



გამოვარდა კარიდან და ბურთი აიღო, მაგრამ დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ ბურთმა გადასძლია მეკარის წონა და მისი დაცემის ინერცია, პერში ოთხმოცდაათი გრადუსით შემოაბრუნა გოლიათი. როდესაც უბედური მიწაზე დაეცა, იგი კარების ახლოს კი არა, მის პერპენდიკულარულად აღმოჩნდა. ფეხები კარებს გარეთ ჰქონდა, ხოლო თავი ბადეში, რაღა თქმა უნდა, ბურთიც ბადეში აღმოჩნდა. მეექვსე ბურთი დახვეწულმა ავსტრალიელებმა თვითონ შეაგდეს საკუთარ კარში. შემდეგი ოთხი მსაჯუებმა არ ჩათვალეს, თითქოს და „თამაშგარე“ მდგომარეობის გამო. დარჩენილი რვა წუთი საკმარისი აღმოჩნდა, რომ პეტის და სლავის მეშვიდე, მეერვე და მეცხრე ბურთები გაეტანათ.

- მამა, სად არის თქვენი მძიმეწონიანები? — ყვიროდნენ ალტაცებელი კლავზუმები, როდესაც გასახლეისავენ მიმავლებმა წარმომადგენელთა ლოქას ჩაუარეს.
 - დასკდნენ, გაირღვნენ, ერთიც აღარ დარჩა, წყულო მსოფლიო ჩემიონები!
- ასე დიდებულად დამთავრდა შეხვედრა მსოფლიო პირველობაზე, რომელიც კლავზუმებს თავიანთი უკანასკნელი მატჩი ეგონათ.

XI

- ეშმაკმა წაიღოს ეს ოქანე! თუ არ ცვლები, სტვენა-ჭყვიტინს ბოლო მოვლო.
 - მამა! გუშინ საღამოს თქვენ დაგვიბრდიო, აღარ შევივინებო!
 - ეშმაკმა წაიღოს, ჩვეულება.. პატიოსან სიტყვას ვიძლევი, ეშმაკს ახლოს აღარ გავიკარებ!
- ეს საუბარი მიმდინარეობდა დილის ხუთ საათზე, წყნარი ოქანის მოლივლივზე ზედაპირზე. ზუსტად რა ადგილას იყვნენ — არცერთმა მოსაუბრემ არ იცოდა, რადგან საშინელი ქარბუქი მთელი ხუთი საათის განმავლობაში მიაქანებდა მათ საღვაც, უკუნეთში. ახლა ქარბუქი უფროად შეწყდა და, როდესაც პორიზონტზე მთელი თავისი სილამაზით გამოჩნდა მზე, მნათობმა დაინახა წყნარი ზღვა, რომელიც მშვიდად ლივლივებდა დილის ნიაგზე და — კამკამა ცის თალი, სადაც ლურჯი, მწვანე, ვარდისფერი და ნარინჯისფერები ირეოდნენ ერთმანეთში. ამ შესანიშნავ სანახაობათა შორის მხოლოდ თორმეტი მუქი სხეული მოჩანდა.

ეს იყო კლავზუმთა გუნდი მამის მეთაურობით. არცერთი მათგანი არ დაშვებულა, რაღაც საოცრებით ყველა ჯანსაღი და უფნებელი გადაურჩა ამ საშინელ ქარიშხალს. საოცრებით? დიახ, ეს იყო საოცარი გადაჩენა, რომლის ჩუმი, მაგრამ საქმიანი რეჟისორი მოხუცი კლავზუმი გახლდათ, როდესაც მან შეატყო, „ტიმორი“ იღუპებოთ და აღარ შეიძლებოდა ნაუცბათევედ შეკრული ტივის იმედად ყოფნა, კაიუტაში ჩავიდა და გონზას დახმარებით ამოათრია თავისი უზარმაზარი ჩემოდანი,

წყალგაუმტარ ტომრებში სასწრაფოდ ჩაალაგეს სურსათ-სანოვავე და იმ დროს, როდესაც ტალღები ახალი დარტყმისათვის ეშვადებოდა, ტივი წყალში ჩაუშვეს. ის-ის იყო კლავზუმებმა რამდენჯერმე მოასწრეს ნიშების მოსმა, რომ გაისმა საშინელი ქუხა-ჭუხი. ზემოთა გემბანის უკანასკნელი ოკუები ჩამოიხრება და შუაზე გახლეჩილმა გემმა ჩაიძრვა დაიწყო. ტალღები ღრიალით გადაევედნენ დამსხვრეულ გემის ნარჩენებს, მაგრამ იმ დროს კლავზუმელთა ტივი უკვე შორს იყო და წარმოქმნილ შორეულ გადაურჩენ. ისინი თვალებს აციცებდნენ და მაღლიერების გრძნობით იყვნენ აღსავსე, ასე იოლად რომ გადარჩნენ უსაზღვროდ დიდებულ სივრცეში, განთიადის ბრწყინვალე ფერებს შორის, კლავზუმელები საშინელ მარტობას გრძნობდნენ. პორიზონტზე არ მოსჩანდა არავითარი ნიშანწყალი არც გემისა და არც მიწის. ამან ცოტა არ იყოს, შეაშფოთა ისინი, მაგრამ შეუდრეკელი რწმენით მოცულეებს, გონება არ დაუკარგავთ; ყველაზე უმცროსებმა წინადადება შემოიტანეს გაეხსნათ ტოპაკები, რომელშიც გახმარი პური და დამაშხული ხორცი ედოთ. და მოგზაურებმა, თითქოს ნიჟნიე ბუკოვიჩის მინდორზე იყვნენ წამოწოლილებიო, ჭამა დაიწყეს.

მხოლოდ გონზა იღქებოდა მოუსვენრად, განუწყვეტლივ იყურებოდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ბოლოს და ბოლოს, მოხუცმა კლავზუმმა ამას ყურადღება მიაქცია.

- ეშმაკმა წაი... — უნდოდა დაეწყო მას თავისი საყვარელი გამოთქმა, მაგრამ გაახსენდა წინაღამის ფიცი, სიტყვის ბოლო ჩაყლაბა და განავრძო — რას ათვალერებ ასე დაქინებით, გონზა?
 - მამა, არ მინდა ტყუილად ავაღლეოთ, ქარს ისედაც მიგყვართ იქითკენ, მაგრამ მზად ვარ კისერი დავდო, რომ იქ კუნძულს ვხედავ!
 - სად? სად? — აყვრდნენ დანარჩენები და დაიწყეს ცქერა, საითაც გონზა მიუთითებდა.
- მთელი დასავლეთი ჯერ კიდევ იწვოდა განთიადის ისფერ, ნარინჯისფერ და წითელ საღებავებად. პორიზონტზე კი გამკვირვალე ღრუბლებსა, ნისლსა და ბურუსსი, ერთ ადგილას მოსჩანდა მუქი ლაქა, რომელმაც დაკვირვების შემდეგ უფრო მკვეთრი და ნათელი გამოსახულება მიიღო.
- მიწა გამისკდეს, გონზა. ეს კუნძულია!



ყველა აღფრთოვანებით გაცქეროდა უსასრულო სივრცეს, სადაც თანდათანობით მკვეთრად იხსებოდა ორი წვეტიანი მწვერვალი და მთების გრძელი ქედი.

— კუნძული! — ქარსაც სწორედ იქით მივყავართ.

ოთხ საათზე ქარმა ისევ დაუბერა. იმ წუთშივე გამართეს იალქანი და ტალღებს გააკყვნენ. ექვს საათზე უკვე ამკარად არჩეულდნენ მწვანე ბორცვებზე გაფენილ პალმების ტყის მარაოსმაგვარ გვირგვინებს და ზვირთკემის თეთრი ზოლს, რომელიც მთის ძირებს ლოკავდა. მზის ჩასვლისას იძულებული ვახდნენ იალქანი დაეხვიათ, რადგან ქარმა მიმართულება შეიცვალა და ისინი კუნძულს ასცდებოდნენ. წარწერა „სპორტული კლუბი. კლაპზუბთა გუნდი“, ოკეანის ზედაპირიდან გაჰქარა და, როდესაც ჩამოქვებულ ცაზე გამოჩნდა სამხრეთის ჯვარი, კლაპზუბთა გუნდი მამის მეთაურობით, წყალში ოცი საათის ყოფნის შემდეგ, ნაპირზე ამოვიდა.

მხოლოდ ახლა მიხვდნენ, რა საფრთხეს გადაურჩნენ ისინი. ასე ჩვეოდათ. სანამ საფრთხე ემუქრებოდა, შიში და ყოყმანი უცხო იყო — თუ არსებობს წინააღმდეგობა, უნდა კიდევ გადალახო იგი. ძმები არასოდეს კარგავდნენ იმედსა და რწმენას, მაგრამ არც გულზელდაკრეფილები ისხდნენ. აღზრდამ ისინი დააჩვია ვაჭირვებასთან ბრძოლას, შესანიშნავად იცოდნენ, რომ მხიარული და გამარჯვებულნი ვაჭირვების ნახევარია, და გემის დაღუპვის ყველაზე საშინელ წუთებშიც კი არ უღუქრიათ სიკვდილზე. მაგრამ ახლა, როდესაც ყველაფერი უკან დარჩა, კლაპზუბები მიხვდნენ, რა ემუქრებოდა მათ. უდიდესი მადლიერების გრძნობით აღივსნენ: მიუხედავად ყველაფერი ამისა, ისინი კვლავაც ნახავენ ნიჟინ ბუკოვიჩის, დედიკოს, ქოხს ტყის პირას, თერთმეტ თეთრ სახლს ბუარის ყანის ვარშემო, რომელსაც, ალბათ, უკვე თიბავენ, ბებერ ორეშკას და იმ თერთმეტ მხიარულ გოგონას, რომლებიც მოუთმენლად ელიან მათ დაბრუნებას. მაგრამ ალტაიკებასთან ერთად, კლაპზუბებმა საშინელი დაღლილობა იგრძენეს, ჭამის თავიც აღარ ჰქონდათ. ყველამ სასწრაფოდ გაიხადა რეზინის კოსტუმები, წამოწყვეთ პალმების ტყის პირას და ერთი წუთის შემდეგ მკვდრებივით ეძინათ. არცერთ მათგანს აზრად არ მოუვიდა, რომ ყარაული დაეყენებინათ.

მათი ღრმა ძილი დაარღვია გამყინავმა საშინელმა დამყინებელმა და ყვირილმა. წამოხტომა უნდოდათ, მაგრამ ვერ შესძლეს. თვითეულ მათგანს ზედ აწვა ხუთ-ხუთი, ექვს-ექვსი ნაირფერადმოხატული საძაგელი შავკანიანი, რომლებიც შემზარავი ყვირილით კოჭავდნენ მათ.

კლაპზუბები წამსვე მიხვდნენ რაც მოხდა. ისინი კაცოჭამიების კუნძულს ესტუმრნენ და სიკვდილს გადარჩენილები, ახლა სხვა, უფრო საშინელი ხიფათის პირისპირ აღმოჩნდნენ.

XII

მთავარ ბელადს ბირიმარატაოას მთელი სახე სპირალური ხაზებით ჰქონდა მოსვირინდებული. ყურის ბიბილოები ისე დაგრძელებოდა, რომ მაღლა იკეცვოდა, ნემსით ამაკრებდა და იქმნებოდა მოხერხებული ჯიბე. მარჯვენა ყურში იგი ატარებდა ბურუნთით სავსე ვერცხლის სათოთუნეს, მარცხენაში — სეიფის გასაღებთა აკიღის. სეიფში ინახებოდა ერთ-ერთი მდიდარი ამერიკელი ვაჭრის ძვირფასი საჩუქარი. ყველაზე მდიდრული სამკაული — კოხინორის ყვითელი ფანქარი, HBB—მას სვივრში ჰქონდა გარჭობილი.

ბირიმარატაოა მთავარი ბელადი, იჯდა თავის სამეფო ტახტზე, დაღმევილ მრუდფეხებიან დემრთებს შორის. კლაპზუბები მის წინ იდგნენ, გარშემო ველური მეომრების სამი რიგი ერთკაით, რომლებიც ფხიზლად დარაჯობდნენ ტყვეებს.

მთავარი ბელადი, სახედანაოკებული, ცეცხლოვანთვალეზიანი ბირიმარატაოა, ამთავრებდა ტყვეების დაკითხვას. გარეული ცხოველების ფრჩხილებით და კბილებით მორთული გულისამრევი მოხუცი თარჯიმნობას ეწეოდა.

— დიადო ბირიმარატაოა, — თქვა მან მოკრძალებული თავდახრით, — კარგად იცნობს თეთრი ადამიანები. მთელ კუნძულზე გუ ვაისმის ძმების ქება-დიდება, რომლებიც აკეთებენ ფეხბურთს. დიად ბირიმარატაოას უყვარს ფეხბურთი. კარგად გააკეთებ ფეხბურთი — კარგად გააკეთებ ომი. დიად ბირიმარატაოას აქვს მთელი, დიად ბირიმარატაოას აქვს გუნდი. ბირიმარატაოას გუნდი გააკეთებს ფეხბურთი, თეთრი ძმებიც გააკეთებს ფეხბურთი. როცა თეთრი ძმები გააკეთებენ წაგება — ბირიმარატაოას გუნდი გააკეთებს მათი შეჭმა. როცა თეთრი ძმები გააკეთებენ მოგება — დიადი ბირიმარატაოა გააკეთებს მათი სიციცხლე. ბირიმარატაო არის დიადი.

— თქვენო კაცოჭამიათა უდიდებულესობაე, პან მეფეო, — თავაზიანად უპასუხა მოხუცმა კლაპზუბმა. გონზე თარგმნიდა მის სიტყვებს ინგლისურად. პატარა მოხუცი კი პაპუსურად, — მე, თუ არ ვცდები, ლაპარაკი ეხება მატჩს?

— დიახ, თეთრი ძმები აკეთებენ ფეხბურთი, ბირიმარატაოას გუნდს აკეთებს ფეხბურთი. ბირიმარატაოა არის უდიადესი.

— როდის უნდა შესდგეს მატჩი?

— ბირიმარატაოა ხვალ დღისით გააკეთებს ხალხის დაძახება. მთელი ხალხი გახარებულია,



რომ გააკეთებთ ფეხბურთი. როცა ფეხბურთი გააკეთებენ, მერე მთელი ხალხი ქიფი გააკეთებენ. ბირიმარატაოა არის უღიადესი.

— მატჩისათვის დაგვიბრუნებენ ნივთებს? ჩვენ მხოლოდ კოსტუმებში თამაშს ვართ მიჩვეულები.

— თეთრი ძმები გაუკეთებენ რაც უნდა. ბირიმარატაოა არის უღიადესი.

— ბურთი როგორი იქნება?

მოხუცმა ვერ გაიგო, დაიბნა.

— ბურთი? რა უნდა ბურთი?

— ბურთი, ასეთი, მრგვალი, რომელსაც ურტყამენ!

— მრგვალი? გააკეთო ფეხბურთი მრგვალზე? ბირიმარატაოას გუნდი არ იცის მრგვალი ღარტყმა. ბირიმარატაოას გუნდი ფეხბურთი აკეთებს ისე. ბირიმარატაოა უღიადესია.

ახლა მოხუცი კლავსუბი დაიბნა.

— რას ნიშნავს — ფეხბურთი ისე?

— ხო, ისე! გააკეთო ფეხბურთი ხელი, ფეხი, გააკეთო ფეხბურთი მუცლით, ცხვირით, ყველაფერი. მაგრამ არ გააკეთო დახრჩობა, არ გააკეთო ხელებით დაჭერა. ეს არის უხეში. ვინც გაქცევა გააკეთებს, ის გააკეთებს წაგება. ბირიმარატაოა არის უღიადესი!

მოხუც კლავსუბს სახე დაუგრძელდა, თვალები შუბლზე ამოუვიდა, იგი მხოლოდ კეფას იფხანდა, ბირიმარატაოამ მარჯვენა ყურიდან სათუთუნე ამოიღო, ბურუნუს უყნოსა, დააცემინა, ამოიღო ყურიდან გასაღებთა გროვა და დააჩხარუნა, ეს ნიშნავდა, რომ აუღიეცია დამთავრდა, მეომრებმა კლავსუბელები თავიანთ ქონში წაიყვანეს.

როცა ტყვეები მართო დარჩნენ, მოხუცმა კლავსუბმა დაიწყო თავში ხელისცემა და ლანძღვა-გინება.

— ოჰ, შე ჩერჩეტო თავო, გამოტყინებულო, ეს შენ გააკეთე, ეს შენ ჩაიღინე! სულელი ვარ, ყვეჩი, ვირი, ქერქეტი! სად გაქრა ჩემი გამოცდილება, როგორ არ მომივიდა აზრად! ვაჰ, დედაჩემო, დედა, ჩემო მშობელო, ახლა რაღა ღრისია. ეს რა საქმე ჩაიღინე. ასე მოვიხლება, რეგვერო, ყბელო, სულელო, ვირო!

თერთმეტი შვილი შიშით შესცქეროდა მამას. ბოლოს გონზა მოვიდა აზრზე.

— მამა, რა მოვივიდათ? რამ შეგაშინათ?

— რაო? — ეცა მას მოხუცი. — შენ კიდევ მკითხებ? ხვალინდელი დღის მეშინია! განა თქვენ, ქერქეტებო, შეგიძლიათ უხეშობა? თქვენ, ხომ ისე თამაშობთ, თითქოს ფეხებზე ლაქის ხელათმანები გეცვათ. და ახლა უნდა მივიშვათ თერთმეტი კაციკამიას წინააღმდეგ. ისიც უბურთოთ! გაიგეთ, რას თხოვლობენ თქვენგან? ისინი უნდა მიზევეთ და დახილოთ! განა ამას შესძლებთ? გონზა, შენ ყველაზე უფროსი და ყველაზე ღონიერი ხარ — შეგიძლია წარმოიღვიო, რომ ვინმეს პანდური ამოქტრა, როგორც საჭიროა ისე დაუმინო და ამოქტრა ფეხი მუცელში?

— მართალი გითხარათ... მამა... არ ვიცი, მე მგონია, ვერ შევძლებ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! განა ჩემი აღზრდილები არა ხართ? თქვენ ხომ ისე თამაშობთ, როგორც ქალიშვილები! როგორც ანგელოზები! როგორც ცუკვის მასწავლებლები! თქვენი ფეხები ხომ უფრო სათუთი და ზრდილობიანია. ვიდრე ზოგიერთი მოკვდავთა ტურნები! რა რეგვენი ვარ! ახლა ფეხბურთის ჩვენმა კანონებმა მშრალზე დაგეტოვა. შენ დაიღუპე და დამიწდი, ჩემო ხასიათო! ოდენმე რომ მიგველო საჯაროში დარტყმა, იოტისოდენა იმედი მაინც მექნებოდა. ახლა კი... რას გაუძლებთ თქვენი უმანკოებით კაციკამიებს!

უცებ დაბერებული და გამხდარი მოხუცი ქობის შუაში დაღვა და შვილებს მიმართა:

— მომისმინეთ, ბიჭებო, ყველაზე ბედნიერმა მამამაც შეიძლება ვერ შეაფასოს შვილები. გთხოვთ, ძალიან გთხოვთ აღიაროთ: არის თუ არა თქვენში რომელიმე თვალთმაქცი? გამიგეთ, მხედველობაში მყავს ისეთი, ვინც ყოველთვის წესიერად და კეთილშობილურად თამაშობს, მაგრამ როდესაც არავინ არ უყურებს, უარს არ იტყვის ერთ-ერთი პანდური ამოქტრას მოწინააღმდეგე; გემუდარებთ, ბიჭებო, ჩემო ოქრო შვილებო, იქნებ რომელიმე თქვენგანი ჩუმალი უხეშია? დაფიქრდით და აღიარეთ. ამით აუწერელ სიხარულს მომანიჭებთ!

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, თვალები დახარეს, მერე მამას შეხედეს და ყველამ სათითაოდ გააქნა თავი. კლავსუბმა გააფთრებით დაირტყა ხელი ფეხზე.

— ესე იგი, დავიღუპე. მზე მალა იყოს, ისე დავამთავრებთ ცხოვრებას შამფურზე, როგორც ბატები წმინდა მარტინის დღესასწაულზე. მე უკვე ვხედავ, როგორ მწვავენ. ეშმაკმა წაიღოს, ახლაც არ შევიგინო? კარგი ფინალია მსოფლიო ჩემპიონებისათვის, ვერაფერს იტყვი. ისე შეგვჭამენ, თმასაც არ დატოვებენ.

მოხუცი დაღუპდა და საცოდავად გახედა ღრიჭოს, მან დაინახა სამი ქობი, უკან დიდი მინდორი, სადაც ხეღ უნდა გადაწყვეტილიყო მათი ბედი.



— ყური გვივლე, მამა, — ჩემად თქვა იურკამ, — მე მგონი, ცოტა ეშმაკობის შესაძლებლობა გვექნება. წარმოიდგინეთ, პანლური რომ ამოგვრათ ხალხს, მით უმეტეს, თუ ისინი კაცობამიები არიან, ჩვენთვის ძნელია. მაგრამ როდესაც გვასწავლიდით, რას უნდა ვერიდოთ და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება მოწინააღმდეგის დასაძლევად, თქვენ შეგვასწავლეთ ერთ-ორი ხერხი, რომელიც ახლა გამოგვადგება. ზუსტად აღარ მახსოვს, როგორ მოხდა, მაგრამ ერთხელ ბერლინში ისე დავენარცხე, მეგონა, ვეღარ ავდგებოდი. ერთ-ერთმა ნახევარდამცემმა დამავლო, არც კი შემიმჩნევია, როგორ დამიღო ფეხი...

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა იურა, მით უფრო ყურადღებით უსმენდა მოხუცი კლაპზუმი. უეცრად მამამ კეფა მოიფხანა, მივლს ტანში გააჭყოლა, ნაღვლიან თვალებში ნაპერწკალმა გაუქვლა და უცებ შეაწყვეტინა იურას.

— მოიცა, იურკა! მგონი, რაღაცას მივაგენი! ეს გამოგვადგება! საქმე მართო პანლურში კი არ არის! ხომ შეიძლება იუბეშო მეტად თავზაიანად? მე კი, ბებერმა დოყლაპიამ, ეს ვერ მოვიფიქრე! იურკა, ჩემო ოქროს ბიჭო, მაკოცე! აი, ეს მესმის! დეე, კაცობამიები დინიტერენე! კმ, ხანდახან კაცი რომ თავს დაკარგავს! აბა, ვიჩქაროთ. დავამთავროთ ლაპარაკი, თქვენ კიდევ მოგოწმებთ გაკვეთილის მისმენა.

მოხუცი თითქოს გამოიცვალა. პიჯაკი გაიხადა, დაიკაპიწა სახელოები და შვილებს აკრძალული ხერხების ასხნა დაუწყო. მან აღწერა სხვადასხვა ხერხი ფეხის დაღების, მოთამაშის წაქცევის. მამა ეშხში შევიდა, ბიჭები კი ყველაფერს გულისყურით იმახსოვრებდნენ.

— თუ თქვენ მიღიხართ, ან არცთუ ისე ჩქარა მიზნობხართ, ხოლო თქვენი მოწინააღმდეგე გვერდით იმყოფება, შეიძლება იგი ლამაზად განზღაროთ თქსლით. უცხრეთ: მარჯვენა ფეხი წინ გამოდის, ეშვება. ახლა იმის ნაცვლად რომ ასწიოთ მარცხენა, მარჯვენა ქუსლი წაიწიოთ. თქვენ დგახართ ფეხის წვერზე და აბრუნებთ მარჯვენა ფეხს ისე, რომ ქუსლი რჩება გარეთ. ამით თქვენ ერთი ტაქტი ჩამორჩით. მოწინააღმდეგე კი, რომელიც იმავე სიჩქარით აგრძელებს სირბილს, მარცხენა ფეხს წინ სწევს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მიწას შეახოს, იგი გამოედება თქვენს ქუსლს და ძირს ენარცხება...

— ...ეხლა კი გასწავლით შესანიშნავ ხერხს, თუ როგორ დაავლოთ მოწინააღმდეგე უკნიდან. მოთამაშე მიზნის თქვენს წინ, მისდგეთ ფეხდაფეხ. აკვირდებით მის ფეხებს. აი, მისი მარცხენა ფეხი, უკანაა, მან ასწია იგი, ფეხი პაერშია, მაგრამ ჯერ ისე უკანაა. ამ დროს თქვენ ბუცის წვერით წაყრავთ შიდა მხრიდან, ქუსლის მახლობლად ან კოჭთან — სულერთია. მაგრამ ყველაზე კარგია, თუ ფეხის წვერზე მთარტყამთ. როდესაც კაცს ცალი ფეხი პაერში აქვს და არაფერს მოელის, იგი საოცრად უძლურია. თქვენი წარტყმისაგან იგი ხუთი სანტიმეტრით მარჯვნივ ვარდება. ამასთან, ცოტა წინაც იხრება, წონასწორობას კარგავს. იმის ნაცვლად, რომ მარცხენა ფეხი მიწაზე დაუშვას, ზურგიით ედება მარჯვენას, და მოთამაშე ძირს ვარდება, ამასთან, ვერც ხვდება, როგორ მიხდა ეს ყველაფერი...

გვიან დღემდე ისმობდა ტყეშთა ქოხში ბრავუნი, დაცემის ხმა, ბრძანების სიტყვები და ჩუმ ლაპარაკი. დაახლოებით შუადღისას, კლაპზუმმა ვარჯიში დაამთავრა.

— ოინაზობა ოინაზობაა, მაგრამ ეს ქვეყანა კი სასამოლო საზიზღარია, თქვა მან და ოფლი მიიწმინდა, — მაგრამ ღმერთი მოგებდავს და იქნებ, შამფურზე ტრიალმა არ მოვიჭვიოს.

XIII

მოხუცი კლაპზუმი დილიდანვე მოუთმენლად გაპყურებდა მოედანს. იგი ნივთების დაბრუნებას ელოდა, იმ ნივთებისას, რომელიც მათ ჩამოართვეს და, რომელსაც ბირიმარატაო განსაკუთრებულ ძვირფას შენაქმნად თვლიდა. ნივთები კი მოხუც კლაპზუმს ძალზე უირდებოდა, ყველაზე მეტად — რეზინის კოსტუმები. თუ მათი საშუალებით ესპანელებს გაუმღალავდებოდნენ, ვინ იცის, ეგებ კაცობამიების წინააღმდეგაც გამომდგარიყო. შუადღისას კლაპზუმმა გაიხარა. მოედანზე გამოჩნდა მოხუცი თარჯიმანი, რომელსაც მოპყებოდნენ ნივთებით დატვირთული ველურები. უღიადესი ბირიმარატაო სიტყვის პატრონი აღმოჩნდა, ალბათ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ნივთები ბოლოს მაინც მას დარჩებოდა. კლაპზუმებზემა ყველაფერი მიიღეს: კოსტუმები, ბურთი, ტუმბოები, რომლებიც გემზე არ დაეიწყინათ, და სურსათ-სანოვაგაიანი ჩანთები. კაცობამიებს ვერ გაეგოთ პატენტისა სპექტები. სადღის შემდეგ კლაპზუმებმა ერთმანეთი დაბერეს და ნახევარი საათის შემდეგ, თერთმეტ უზარმაზარ სფეროდ გადაიქცნენ. ამ დროს ქუჩიდან მოისმა მრავალხმიანი შეძახილები, ღრიანეყლი, ველური სიმღერა, დღლის ბრახუნი, ნიჭარებისა და ცხოველთა რქებისაგან გამოჭრილი საკრავების ქვეტიანი. ღერწმის კედლის ნასტრეტებიდან კლაპზუმებმა დაინახეს, თუ როგორ ერტყმოდნენ მოედანს კაცობამათა ჯგუფები. მათი ქონით ვაპოხილი, მოსვირინდებული ტიტველი სხუსულები მზეზე ლაპლაპებდა. ბრბოს შუა სამეფო ტახტი იყო აღმართული, რომელზედაც დიდი ბელადი, ბირიმარატაო წამომგდარიყო. დროდადრო იგი ბურნუთს ყნოსავდა და მერე გულდასმით ინა-



ზავდა ქისას. შუა მინდორზე თერთმეტმა მოთამაშემ საბრძოლო ცეკვა შეასრულა. ისინი შიშის-
მომგერელნი იყვნენ უზარმაზარ, ჩამოფხატულ ნიღბებში, რომლებიც გამოხატავდნენ ხახადლებულ,
ბასრებილებთან ქაჯებს, ისინი მოწინააღმდეგეს კი არა, მაცურებელსაც აწინებდნენ. საბრძოლო
ცეკვას დოლის ბრახუნით და ღრიანცელით ზანს აძლევდა ოცი მისანი. კაცუჭამიები ყვიროდნენ და
გახელებით იტყაპუნებდნენ ხელებს მუცელზე. ბოლოს ცეკვა დამთავრდა და მოხუცი თარჯიმანი
დაიხარა ბელადის წინაშე. ბირიმარატაოამ დიდის ამბით ვაიხსნა მარცხენა ყური, აყოლო გასალე-
ბები და დაჩხარუნა. მოხუცმა მდაბლად დაუკრა თავი და კლავსუბთა ქობისკენ გამოემართა.
ბრბომ უკან დაიხია და ძაბრისებური გასასვლელი შექმნა, რომლის ფართე ბოლოში იდგა თერთმე-
ტი ნიღბიანი მოთამაშე, ვიწრო მხარე კი ტყვეთა ქობთან მთავრდებოდა.

უცებ ჰაერი გააბო საშინელმა ღრიანცელმა. ეს არ იყო სიძულელიის გამოხატველი ყვირილი
ან გახელებული საბრძოლო ყვირა, ეს იყო შიშისა და ძრწოლვის სასოწარკვეთილი გმინვა.

ქობიდან, თერთმეტი საყოდავი მსვერბლის ნაცვლად, რომლებსაც საღამოს შექმის უპირებდ-
ნენ. გამოვიდა თერთმეტი უსნობი ღმერთი, საოცრად ჩამრგვალებული, სიამაყით მოსილები. შემო-
ნებულეებმა თავის დასაცავად ათასი ხელი აღმართეს მათ შესახვედრად. ბირიმარატაოას ხალხი თა-
ვის დღეში არ მოსწრებია ასეთ დიდებულსა და არაჩვეულებრივ სანახაობას, მისნებს ყველაფრის
გაკეთება შეეძლოთ. მხოლოდ სფეროებს ვერ აკეთებდნენ და ამიტომ ზღვის ნიჭარები მათთან
უწმინდესად ითვლებოდა.

ახლა კი მათ დაინახეს თერთმეტი ცოცხალი სფერო, რომლებიც თერთმეტი ცის მკვიდრივით
ჩამოწვიოდნენ. თერთმეტი მიწიერი დემონის წინააღმდეგე. მაცურებლები მოსალოდნელი საშინელე-
ბის მოლოდინში მიწყნარდნენ და ეკმაყოფილოდ მიიღუმენ. შეამჩნიეს, რომ ნიღბაქმეშ მათი
ფეხბურთელები ცახცახებდნენ.

უღიადესმა ბირიმარატაოამ გასაღებები გააჩხაყუნა. მისნებმა ამოვიგინეს. მოთამაშეებმა გაი-
მეორეს ეს ხმა, მინდორზე გამოიტყვენ და ჩუმად. ეშმაკისებური ვერაგობით ორივე ფეხებით მო-
ახტნენ თავიანთ ბურთისმაგვარ მოწინააღმდეგეებს. კლავსუბები ზიძისგან ოდნავ შეირხნენ, კაცუ-
ჭამიები კი უკან გადაცვიოდნენ. მერე წამოდგნენ, კვლავ გამოქანდნენ და მოახტნენ მოწინააღმდე-
გებს. ბურთებმა კვლავ უუკუაგდეს ისინი. ზოგიერთ კაცუჭამიას ნიღბი ჩამოუვარდა და შეშინალებული
სახე გამოუჩნდა. მისნებმა დაიწყეს ყვირილი და დოლის ცეკვა, მაგრამ მოთამაშეები შიშმა მოიცვა.
ისინი ერთად შეგროვდნენ და უცდიდნენ, რას გააკეთებდნენ ბურთები. ერთი წამით ყველა და-
დუმდა და უეცრად ბურთები გამოქანდნენ. ისინი არნახული სისწრაფით ეტაკენ კაცუჭამიებს.
შეტევა იყო ისეთი სწრაფი, მოულოდნელი, რომ კაცუჭამიები მიწაზე დაეხმნენ და შიშისგან ცახ-
ცახი დაიწყეს. ბურთები შეჩერდნენ. მისნები უყვიროდნენ თავიანთ მოთამაშეებს, უყვივინებდნენ,
აქეზებდნენ ახალი შეტევისათვის. ბოლოს საყოდაებმა მოიკრიფეს სიმაშაყე, წამოდგნენ და გამო-
შვართნენ. ბურთები გამოქანდნენ მათ შესახვედრად, მაგრამ შეტაკება არ მოხდარა, კაცუჭამიები
შუა გზიდან შემობრუნდნენ და სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. ბურთები გამოედგნენ,
ატყდა ისეთი ბანიკა, ქვეყანას არ ენახა. კაცუჭამიები ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ეცემოდნენ, ცხვირ-
პირს იმტრევდნენ, მუხლები დაუსისხლანდათ, ყვიროდნენ, კენესოდნენ, ნიღბები და მხეცების
ტილიბისგან დამზადებული სამკაულები ეკარგებოდათ. შიშმა და ძრწოლვამ მოიცვა მთელი ხალხი,
დიდმა ბირიმარატაოამ აღლევებისგან ცხვირიდან ფანქარი გამოიღო და ორივე ბოლო გადა-
უქვნიტა.

შეჯიბრების დაწყებიდან თხრთმეტი წუთის შემდეგ შავმა მოთამაშეებმა გაარღვიეს ბრბო და
ტყისკენ გაეარდნენ. ხალხის ტალღა თავგანწირული ღრიანლით დაედგა მათ.

— თქვენო კაცუჭამიათა უღიდებულესობაე, ზატონი მეფეო. — წარმოსთქვა ამ დროს მოხუცმა
კლავსუბმა, რომელიც მოულოდნელად აღმოჩნდა მეფის ტახტის წინ. — თუ არ ვცდები, ჩვენ აქ
მარტონი ვართ, მე მგონია, ვინც დარჩენა გააკეთა, მან მოგება გააკეთა.

— სწორია, — უთხრა ბირიმარატაოამ თარჯიმნის საშუალებით, — თერთმა ძმებმა მოგება
გაკეთეს. თერთი ძმები გააკეთებენ ქეიფი ბირიმარატაოას ხალხთან. მალე გააკეთებთ ქეიფი. ბირი-
მარატაოა არის უღიადესი.

მოხუცი კლავსუბი ადგილზე ცქმუტავდა, თან კეფას იფხანდა.

— თქვენო კაცუჭამიათა უღიდებულესობაე, პან მეფეო, ნუ გამირისხდებით და თუ შეიძლება
მითხარით, რა იქნება ვახშმად?

— მმ, ბირიმარატაოა გააკეთოს დიდი ღრეობა. თერთი ძმები გააკეთებენ დაჯდომა ბირიმარა-
ტაოასთან. ბირიმარატაოა გააკეთოს ვახარება, ბირიმარატაოა არის უღიადესი.

— გასაგებია, მაგრამ მე მინდოდა გამეგო, რას მოგვართმევენ?

— რას გააკეთებენ მორთმევა? შეშწავარი ნახევარდამცველს. ბირიმარატაოა არის უღიადესი.
მოხუცმა კლავსუბმა თვალები დახახახა, მისი შვილები ოდნავ გაფითრდნენ. მაგრამ მოხუცმა
ლაპარაკი განაგრძო:



— თქვენო კაცობამთა უდიდებულესობავ, პან მეფეო, პატარა თხოვნა მატეს, ჩვენ ვბარძოდით თქვენებურად, ახლა უფლება მოგვეცით გამარჯვება ჩვენებურად აღენიშნოთ, — უბრალო საზეიმო სირბილით. ჩვენ მას დავიწყებთ, როცა თქვენი ხალხი დაბრუნდება.

უდაღესმა ბირიმარატაჰამ თავი დაუტარა. ტყვიდან ცალკეული შიშნარევი ხმები ისმოდა, ბირი-მარატაჰას ხალხი მოსდევდა წაგებულებს. კლაპზუბელებმა შიშით გაიხსენეს მათი ჩანაფიქრი, კლაპზუბი გონზასკა: —

— როდესაც კონიდან გამოხვედით, — შეუმჩნეველად წასჩურჩულა მან, — მე წაივლე მთელი ჩვენი ნივთები განმარტოებულ პალმასთან, სოფლის განაპირას. საზეიმო სირბილსაც იქითკენ წარვმართავთ. გავიქცევით სამ ოთხეულად, შენ იქნები პირველი, როგორც კი გავცდებით სოფელს, გავფარდი წინ და მოაგროვე მთელი ჩვენი ნივთები, მე გგონია, რომ ჩვენს იქით შენ არ გამოჩნდები. გავიქცევით ტყის ნაპირისაკენ აურჩარებლად, ნელი ტემპით, უკან აღარ დაგებრუნდებით, გავუხვევთ მარცხნივ და გადავჭერთ ტყეს. იქ კი მუხლებში ქარს ჩავიდგამთ. გასაგებია?

გონზამ ყველაფერი გაიგო და ჩუმად აცნობა ძმებს. ხალხის უმრავლესობა უკვე დაბრუნდა. მოხუცმა კლაპზუბმა საზეიმო სირბილის დაწყების ნებართვა მოითხოვა. ბირიმარატაჰამ გასაღებები გააჩნარუნა. ბიჭები მამის გვერდით გამწკრივდნენ და გაიქცნენ. თავი ამწყაღ ეჭირათ, თან გუნდის ჰიმის ღიღინებდნენ.

როდესაც სოფელს გასცილდნენ, გონზამ ყველას გაუსწრო და პალმასთან დაიწყო ლოდინი, დანარჩენებიც მალე მოვიდნენ, გონზა თავიდან ფეხებამდე დახუნძლული იყო ჩანთებით. კლაპზუბელები აურჩარებლად განაგრძობდნენ სირბილს, მაგრამ მიაღწიეს თუ არა ტყეს, თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ.

— მარცხნივ, წყაროსთან, და მის გაყოლებით, ქვევით! ეშმაკმა დალახვროს, გუნდო! გაიქცით, როგორც ას მეტრზე შეჯიბრებისას.

შორიდან საგანგაშო შეძახილები მოისმა. კლაპზუბელებმა ტყე გადასჭერეს და დაბლოზზე დაემგნენ. გუშინ დილით აქ კაცობამებს მოყავდათ კონენივით შეკოპილები, ზღვა ახლოს უნდა ყოფილიყო. ლტოლვილებს ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ, მაგრამ მაინც ისე გარბოდნენ, თავის ღღეში რომ არ გაქცეულან. მოულოდნელად ველი მარჯვნივ დარჩა, გზა ქვევით დაქანდა. დაკლანდელადღამართზე ხეებშუა ჩანდა უნაპირო, გლუვი სივრცე. ზღვის მთვლემარე ხმაური მოისმოდა. კლაპზუბები კი არ მირბოდნენ, მიხტოდნენ. ბოლოს ისინი სულ ქვევით აღმოჩნდნენ, ოცი ნახტომით გადაუქროლეს დარჩენილ მანძილს. პატარა მდინარის შესართავთან იდგა ხისგან გამოთლილი თორმეტი ნავი. ერთერთი მათგანი იყო სწორი, მსუბუქი და ძალზე გრძელი.

გონზა მასთან მიიჭრა და შიგ ნივთები ჩაჰყარა.

— დანარჩენებს ნიჩბები ავაცალოთ! — დაიძახა იურამ და ძმები ყველაფერს მიხვდნენ. ამასობაში გონზამ და მამამ ბელადის ნავი წყალში შეაცურეს. ბიჭებმა ნიჩბები ამოიღლიავეს და ნავში ჩახტნენ. კლდეთა მხრიდან გაცოფებული ღრიალი მოისმოდა. ნავის მახლობლად, წყალში, ორი ისარი ჩაეარდა, მაგრამ ლტოლვილებმა ნიჩბები მოუსვენეს და ნავი სწრაფად გააქროლეს. ფერდობზე ღრიანცვლი ძლიერდებოდა. აქა-იქ ისრებმა ჩაუქროლეს კლაპზუბებს.

შემდეგ მათ დაინახეს, თუ როგორ გამოჩნდნენ პირველი მეომრები ნაპირზე და ნავებისაკენ გამოიქცნენ. როდესაც ველურებმა შეამჩნიეს, ნავეზზე ნიჩბები აღარ არისო, ახალი გააფთრებული ყვირა ასტეხეს. თუმცა მაინც შეათრიეს ნავები წყალში და ხელებით დაიწყეს მოსმა. შავკანიანები საკმაო სისწრაფით ახლოვდებოდნენ, მაგრამ კლაპზუბთა თორმეტნიჩბიან ნავს ვერ ეწეოდნენ. მაშინ ერთ-ერთი მათგანი, მაღალი, ზორბატანიანი მეომარი ნავის ცხვირზე შედგა და გაქცეულებს უშველებელი, მძიმე შუბი დაუმიზნა.

— ფრთხილად! — წამოიძახა მოხუცმა კლაპზუბმა და ბიჭებმა უკან მიიხვედს.

შუბმა შუბის სხივივით გაილეჯა, პაერში რკალი მოხაზა და კლაპზუბელთა ნავს მოხვდა.

— ერთი-ორი! — აყვირდა მამა და ბიჭებმაც სიჩქარეს მოუმატეს.

შუბი ჭახანით მოხვდა ნავის ფერდს, გაგლიჯა იგი და წყალი მშუილით შემოიჭრა ნავში.

— ამ ნახვრტს როგორმე ამოვგლისავთ, მაგრამ თუ არ ვცდები, ჩვენ ღღეს დავესწარიით მსოფლიოს რეკორდის დაბადებას შუბის ტყორცნაში.

მოხუცი მართალი იყო, რადგან სხვა ნასროლი შუბები ნავამდე ვეღარ აღწევდნენ.

ნავი კი მიპქროდა სულ შორს და შორს, თუმცა წყალი განუწყვეტელი ემატებოდა და თანდათან სძირავდა.

შემოკლებული თარგმანი გ. გომართელის და ე. ყიფიანისა

7



3360 60 433.

ՀԱՅԿԱՅԻՆ
ԳՐԱԳՐԱԿԱՆ
ՍԵՆՏՐԱԿ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ՇԻՏԿԱՐԻ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„ՏԱԲՇՈՒ ՄՇԵՐԱԼԻ“